# სარჩევი


მამუკა წურწუმია
MAMUKA TSURTSUMIA
მამუკა გონგაძე
MAMUKA GONGADZE



ქართული ჯილდოები (2000 წ.)
GEORGIAN AWARDS 4



საქართველოს მოქმედი სახელმწიფო ჯილდოები
GEORGIAN STATE AWARDS 13



საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების ჯილდოები
AWARDS OF GEORGIAN STATE INSTITUTIONS 20



ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები
STATE AWARDS OF EUROPEAN COUNTRIES 48

ნიკო ჯავახიშვილი
NIKO JAVAKHISHVILI



ქართული ფალერისტიკის სათავეებთან
THE FIRST PROJECTS OF GEORGIAN STATE AWARDS 69

ზაქარია კიკნაძე
ZACHARY KIKNADZE



„ოქროს საწმისის“ ორდენის ისტორია
THE ORDER OF THE GOLDEN FLEECE 76

თორნიკე ასათიანი
TORNIKE ASATIANI



ორდენების გამოსახულებანი გერბებზე
ORDERS DEPICTED ON THE COATS OF ARMS 87



ხაჯი მურად დონოგო
HADJI MURAD DONOGO

შამილის ორდენები
THE ORDERS OF SHAMIL 98



1560 დიოგო ჰომემის პორტოლანი
1560 DIOGO HOMEM PORTOLAN CHART 102



მამუკა წურწუმია
MAMUKA TSURTSUMIA

კვლავ ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ ანუ „არასიმართლე... წარმოსახვით ნასაზრდოები“
ONCE MORE ABOUT THE STANDARD OF UNIFIED GEORGIA 104



საქართველოს პრეზიდენტის დროშა
THE FLAG OF THE PRESIDENT OF GEORGIA 120




თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები
THE SYMBOLS OF TELAVI MUNICIPALITY 128



სამართლებრივი აქტები
LEGAL ACTS 129



ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები (ცხრილები)
AWARDS OF EUROPEAN STATES (CHARTS) 145



პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი – მამუკა გონგაძე
მთავარი რედაქტორი – დავით ჩხეიძე
სარედაქციო კოლეგია: თორნიკე ასათიანი, ზაქარია კიკნაძე, დავით კლდიაშვილი, ნიკო ჯავახიშვილი
გამოცემაზე მუშაობდნენ: თამთა მელელაშვილი, ვიქტორია სარჯველაძე, ნათია ცირეკიძე
რედაქტორი – თამარ ხვედელიძე
დაკაბადონება, დიზაინი: ირმა ჯიშკარიანი, ნათია ცირეკიძე
გამომცემელი – საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
**www.heraldika.ge; E-mail: heraldika@parliament.ge**



© საავტორო უფლებები დაცულია. სტატიაში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.



ISSN 2298-0261



სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე ღვაწლის აღნიშვნის და წახალისების უმთავრესი საშუალება არის სახელმწიფო დაჯილდოების სისტემა. მოქალაქის ძალისხმევა წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებაში, მეტწილად იზომება ღირსებით, რაც თავის მხრივ, მხოლოდ სიმბოლურად შეიძლება შეფასდეს.

მოქალაქისათვის დამსახურებისამებრ პატივის მიგება მხოლოდ სიმბოლურ ხარისხში შეიძლება გაიზარდოს და ამიტომ სახელმწიფო და უწყებრივი დაჯილდოების ერთიანი მექანიზმის მოწესრიგებას, ჯილდოთა გაცემის მიზნობრიობას, რაოდენობის მკაცრად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის.

ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივმა წყვეტამ, მართალია, საფუძველი გამოაცალა მოქალაქის დაფასების მექანიზმს, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა, დაგროვილი ცოდნა უკვე იძლევა საშუალებას მოხდეს დაჯილდოების სისტემის სრულყოფა და წარმატებით გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკაში.

ჰეროლდის წარმოდგენილი ნომერი ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, მკითხველს მთლიანობაში დაანახოს საქართველოს სახელმწიფო და უწყებრივი ჯიდლოების მხატვრულ-შინაარსობრივი სახე, კანონმდებლწობა და ისტორიული წინაპირობები, შედარებისათვის უცხო ქვეყნების დაჯილოების თანამედროვე სისტემები, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გაუხსნას მოქმედების უფრო ვრცელი თვალსაწიერი.



**მამუკა გონგაძე**
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე

# ქართული ჯილდოები[1]

ეროვნული ჯილდოები (ორდენები, წარჩინების ნიშნები და მედლები) ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

საუკუნეთა უკან დაწესებული ორდენები თუ სხვა წარჩინების ნიშნები კვლავაც გამოიყენება, რადგან ისინი საუკეთესო ფორმაა, რომლითაც საზოგადოება, პერსონიფიცირებული სახელმწიფოს მეთაურის მიერ, აფასებს პიროვნების ღვაწლს.

დაჯილდოების ინსტიტუტს დიდი მორალური ძალა გააჩნია: მისი დანიშნულებაა, გამოარჩიოს და წაახალისოს ღირსეულნი, დანერგოს და აღზარდოს ერში პატრიოტული გრძნობები. როგორც ქართული ჯილდოების პირველი პროექტის ავტორი იოანე ბატონიშვილი ამბობს, ჯილდო „მამულის მსახურებისათვის ხალხის გასახალისებელ" საშუალებას წარმოადგენს. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული უძველეს დროშიც. ძვ.წ. VI-V საუკუნის ჩინელი სამხედრო მოღვაწე, სამხედრო ხელოვნების შესახებ უძველესი ტრაქტატის ავტორი, სუნ ძი ამბობს, რომ მთავარსარდალი აუცილებლად უნდა არიგებდეს ჯილდოებს. სუნ ძის ცნობილი კომენტატორი ცია ლინი კიდევ უფრო ავრცობს ამ აზრს: „როცა უნდათ ციხე-სიმაგრის აღება, სახელმწიფოს დამხობა, მიმართავენ საგანგებო ჯილდოებს".

სახელმწიფო ჯილდო უნდა იყოს სასურველი, მის მოპოვებას უნდა ცდილობდნენ და მისი ტარებით უნდა ამაყობდნენ. ტყუილად არ ამბობდა მებრძოლის ფსიქოლოგიის უდიდესი მცოდნე ნაპოლეონი, რომ „ჯარისკაცი თავს გაწირავს ლითონის ამ პატარა ნაჭრისთვის". ისტორიას ისეთი შემთხვევებიც ახსოვს, როდესაც მავანთ თავი არ დაუზოგავთ და სწორედ კონკრეტული ჯილდოს მოსაპოვებლად ჩაუდენიათ გმირობა. ალბათ, არ თვალთმაქცობდა ჰარი ტრუმენი, როდესაც ამბობდა, კონგრესის ღირსების მედალი მირჩევნია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობასო. მას კვერს უკრავდა II მსოფლიო ომის საუკეთესო ამერიკელი გენერალი ჯორჯ პატონი – სულს მივცემდი ამ ჯილდოსთვისო.

ესოდენ ღირსეული ვერ იქნება ვერცერთი ჯილდო, თუკი იგი შინაარსით (სტატუტით) და გარეგნული სახით (სილამაზით) სათანადო სიმაღლეს არ შეესაბამება. თუმცა ჯილდოსათვის მხოლოდ გარეგნული მხარე არ კმარა; სასაცილო და უხერხულ მდგომარეობაში ჩავიგდებდით თავს, თუ არ დავიცავთ ფალერისტიკაში (ჯილდოთმცოდნეობა) არსებულ წესებს და ჰერალდიკურად გამართლებული და ახსნილი არ გვექნება ჯილდოს გარეგნული სახე და ყოველი დეტალი. შედეგად, მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა იმ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების დონეზე აღმოჩნდება, რომელთა კულტურაც და ტრადიციებიც რამდენიმე ათეულ წელს თუ მოითვლის.

## ორდენების, წარჩინების ნიშნების და მედლების მოკლე ისტორია

დაჯილდოების ტრადიცია ადამიანთა საზოგადოებას ოდითგანვე მოსდევს. პირველი ჯილდოები ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში ჩნდება და მათ პირველყოფილი (პრიმიტიული) წარჩინების ნიშნები შეიძლება ვუწოდოთ. პირველი ისტორიული ჯილდო ანტიკური ხანის ბერძნული დაფნის გვირგვინია. ბერძნების წაბაძვით, რომაელებმა პირველებმა შექმნეს სამხედრო ჯილდოების ჩამოყალიბებული სისტემა – *dona militaria*. ეს სისტემა მოიცავდა 10 ტიპის ჯილდოს, რომელთაგან 6 გვირგვინს წარმოადგენდა. რომაელები აგრეთვე იყენებდნენ ფალერას – ლითონის პატარა ბალთას, რომელიც აბჯარზე ან ცხენის მოსართავზე მაგრდებოდა. რომაული *phalera* ბერძნული *falara*-დან წარმოიშვა და სათავე დაუდო ტერმინს ფალერისტიკა – მეცნიერებას ჯილდოების შესახებ.

შუა საუკუნეების ორდენებს საფუძველი ჩაუყარა საეკლესიო ორგანიზაციებმა, რომლებიც ჯვაროსნული ომების ეპოქაში სასულიეროსარაინდო ორდენებად ჩამოყალიბდა. მათ მიეკუთვნება საქვეყნოდ ცნობილი ტამპლიერთა ორდენი (შეიქმნა 1118 წელს). ჰოსპიტალიერთა (მალტის) ორდენი (1113), ტევტონური ორდენი (1190). მრავალი სასულიერო-სარაინდო ორდენი შეიქმნა მავრებთან ბრძოლის დროს პირენეის ნახევარკუნძულზეც: კალატრავას (1158) და

1 ნაწყვეტი წიგნიდან: მამუკა წურწუმია, მამუკა გონგაძე, *ქართული ჯილდოები* (თბილისი, 2000), 4-22.

ალკანტარას (1156) ორდენები, ქრისტეს სამხედრო ორდენი (1317), რომელთაც დღემდე მოაღწიეს. ამ პერიოდშივე ჩაისახა ორდენებისთვის დამახასიათებელი სიმბოლიკაც, რადგან მათი წარმომადგენლები განსხვავებულ სამოსს იყენებდნენ. ტამპლიერები თეთრ მოსასხამზე წითელ ჯვარს ატარებდნენ, ჰოსპიტალიერები პირიქით, წითელზე - თეთრს, ხოლო ომის დროს კი შავ მოსასხამზე თეთრ ჯვარს იყენებდნენ; ტევტონური ორდენის წევრებს თეთრ სამოსზე შავი ლათინური ჯვარი ჰქონდათ გამოსახული.

XIV საუკუნიდან, როდესაც სამეფო ხელისუფლება საეკლესიოზე ძლიერი ხდება, ევროპაში იწყება საერო-სარაინდო ორდენების ჩამოყალიბება. ასეთ ორდენს მონარქი ან სხვა მაღალი საერო ხელისუფალი აარსებდა და მას თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა. სასულიეროსაგან განსხვავებით, რომელიც წევრთა შემადგენლობით მრავალეროვნული იყო, საერო-სარაინდო ორდენს უფრო ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ყოველ ორდენს გააჩნდა სტატუტი, ანუ წესდება, რომელიც არეგულირებდა დაჯილდოვების, ტარების თუ სხვა წესებს. იმდროინდელი ორდენი კლასებად (ხარისხებად) არ იყოფოდა, წევრთა რაოდენობა შეზღუდული იყო და რაინდი მხოლოდ ერთი ორდენის წევრი უნდა ყოფილიყო. მცირედი სახეცვლილებით დღემდე მოაღწია ბრიტანულმა წვივსაკრავის ორდენმა (1348), დანიურმა სპილოს ორდენმა (1462) და სხვ.

ამ ორდენთა წევრები მდიდრული სამოსით და ძვირფასი საორდენო ნიშნებით გამოირჩეოდნენ. ორდენის, როგორც ჯილდოს დამახასიათებელი ნიშნებიც სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება: საორდენო ვარსკვლავის წინაპარია ფრანგული ვარსკვლავის ორდენი (1351), რომელსაც სამოსზე იმაგრებდნენ რაინდები; მხარზე გადასაკიდი ლენტი პირველად ჩნდება ალფონსო XI კასტილიელის მიერ 1330 წელს დაარსებულ ყაწიმის ორდენში; საერო ორდენების წევრთა მდიდრულმა ჯაჭვის ფორმის ყელსაბამებმა დაამკვიდრა ორდენის ყელსაბამი, რომლის კლასიკური მაგალითიც ბურგუნდიული ოქროს საწმისის ორდენი (1430 წ.) გახლავთ.

იმდროინდელ სახელმწიფოებში ორდენის ადმინისტრაცია ერთნაირად იყო ორგანიზებული. ორდენის ხელმძღვანელად ანუ გროსმაისტერად სახელმწიფოს მეთაური ითვლებოდა. ორდენის მიმდინარე ხელმძღვანელობა



"ქართული ჯილდოები", მამუკა წურწუმია, მამუკა გონგაძე; თბილისი, 2000

ევალებოდა კანცლერს, რომელიც დაჯილდოებულთაგან ქმნიდა კაპიტულს. ორდენს ჰყავდა თავისი მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც აგვარებდა ფინანსურ მხარეს, ჯილდოებისა და სიგელების დამზადებას; ორდენის საქმისმწარმოებელი იცავდა კანონმდებლობის შესრულებას; ჰეროლდი ხელმძღვანელობდა საზეიმო ცერემონიალს. ყველა ამ პირს ორდენის ოფიციალები ეწოდება. მეტნაკლები სახეცვლილებით ასეთმა ორგანიზაციამ დღემდე მოაღწია და იგი განკარგავს ორდენის საქმიანობას, არა მარტო მონარქიულ (ინგლისი, ესპანეთი, შვედეთი), არამედ რესპუბლიკურ (საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, იტალია, ფინეთი) ქვეყნებშიც.

დღევანდელი ორდენის ერთ-ერთი წინამორბედია საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის მიერ 1693 წელს დაარსებული წმ. ლუის სამხედრო ორდენი, რომელმაც სათავე დაუდო ორდენების დაყოფას ხარისხებად. თავად ეს ორდენი იყოფოდა სამ კლასად – რაინდის, კომანდორის და დიდი ჯვრის. „წმ. ლუის ორდენს" წმინდა ჯილდოს ფუნქცია ჰქონდა. იგი წოდებრივ განსხვავებას არ ცნობდა და სხვა ორდენებისგან

განსხვავებით, რევოლუციის პირველ წლებშიც განაგრძობდა არსებობას.

ჯილდოების ევოლუციის ბოლო ეტაპი ნაპოლეონის ომების ხანას ემთხვევა. ამ ომებმა მოიცვა მთელი ევროპა და შექმნა იდეალური პირობები გამოცდილების გაზიარებისა და ჯილდოების უნიფიკაციისათვის. ეპოქის ეტალონად იქცა ნაპოლეონის მიერ 1802 წელს შემოღებული საპატიო ლეგიონის ორდენი, რომელიც პირველი ჭეშმარიტად ეროვნული ჯილდო იყო. თავიდან იგი 4 ხარისხისაგან შედგებოდა, 1816 წელს კი მეხუთეც დაემატა.

მედალი (ლათინური სიტყვიდან *metallum*), როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ძირითადად ლითონისაგან მზადდება. ჩვეულებრივ, იგი მრგვალი ფორმის, მკერდზე ლენტით საკიდი ჯილდოა. მედალს, რომელსაც ვაჟკაცობისათვის გადასცემენ, წარჩინების ნიშანი (*Decoration*) ეწოდება. ადრეული მედლების კვალს ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის ჩინეთში ვხვდებით. ალბათ, პირველ ევროპულ მედლად შეიძლება, ჩაითვალოს XVI საუკუნის ინგლისური, დედოფალ ელიზაბეტ I-ის დროინდელი საზღვაო მედლები, რომლითაც ესპანეთის „უძლეველი არმადის" დამარცხების შემდეგ აჯილდოვებდნენ. ნაპოლეონის ომებმა ბიძგი მისცა მედლებისა და წარჩინების ნიშნების შემოღებასაც, რომლებიც ავსტრიული მამაცობის მედლით (1789) დაიწყო. ამ პერიოდიდან ყველაზე ცნობილი წარჩინების ნიშანია 1813 წელს დაწესებული პრუსიული რკინის ჯვარი. ამავე დროს შემოიღეს მედლები საბრძოლო კამპანიისათვის (ვატერლოოს მედალი და სხვ.); შემდგომში უკვე ჭრიან სამახსოვრო თუ საიუბილეო, აგრეთვე მედლებს ხანგრძლივი სამსახურისათვის, დაჭრისათვის და ა.შ.

დღევანდელ ჯილდოებს უწინდელი პრივილეგიები აღარ შემორჩათ. მართალია, ზოგიერთ დაჯილდოვებულს სახელმწიფო ორდენის პენსიას უნიშნავს, მაგრამ ძირითადად სხვაგვარად მიაგებენ პატივს: ზოგიერთი ორდენის საჩინოდ ტარებისას, მას მხედრულ სალამს აძლევენ; ზოგი ჯილდოს კავალერს გარდაცვალების შემდეგ ეკლესიაში დაასვენებენ, დროშებს გადმოფენენ და ზარების რეკვით აცილებენ.

ამ მოკლე მიმოხილვას ყველაზე ცნობილი უცხოური ჯილდოების ჩამოთვლით დავასრულებთ: ავსტრია – ღირსების ორდენი, ტევტონური ორდენი, წმ. იოანეს და მალტის ორდენი; აშშ – კონგრესის ღირსების მედალი; ბელგია – ლეოპოლდის ორდენი, გვირგვინის ორდენი, სამხედრო ჯვარი, ომის ჯვარი, ლომის ორდენი; გერმანია – რკინის ჯვარი, ღირსების ორდენი; დანია – სპილოს ორდენი, დანებროგის ორდენი; დიდი ბრიტანეთი – წვივსაკრავის ორდენი, ნარშავის ორდენი, აბანოს ორდენი, წმ. მიქაელის და წმ. გიორგის ორდენი, გიორგის ჯვარი, ვიქტორიას ჯვარი, სამხედრო ჯვარი, ღირსების ორდენი; ესპანეთი – იზაბელა კათოლიკეს ორდენი, ალფონსო X ბრძენის ორდენი, კარლოს III-ის ორდენი; ვატიკანი – ოქროს დეზის ორდენი, წმ. გრიგორი დიდის ორდენი, ქრისტეს ორდენი; იაპონია – ამომავალი მზის ორდენი; იტალია – ღირსების ორდენი, ომის ჯვარი; ნიდერლანდები – უილიამის სამხედრო ორდენი, ბრინჯაოს ჯვარი, საპატიო ჯვარი; ნორვეგია – წმ. ოლაფის ორდენი, ომის ჯვარი; პოლონეთი – ვირტუტი მილიტარის ორდენი; პორტუგალია – ქრისტეს სამხედრო ორდენი, კოშკისა და ხმლის ორდენი, ღირსების ორდენი; საბერძნეთი – მაცხოვრის ორდენი, წმ. გიორგის და წმ. კონსტანტინეს ორდენი, ფენიქსის ორდენი, ომის ჯვარი; საფრანგეთი – საპატიო ლეგიონის ორდენი, ეროვნული ღირსების ორდენი, ომის ჯვარი, სამხედრო მედალი, სამხედრო ღირსების ორდენი, საზღვაო ღირსების ორდენი; ფინეთი – თავისუფლების ჯვარი, მანერჰაიმის ჯვარი, თეთრი ვარდის ორდენი, ფინეთის ლომის ორდენი, წმ. კრავის ორდენი; შვედეთი – სერაფიმის (ანგელოზის) ორდენი, მახვილის სამეფო ორდენი, ჩრდილოეთის ვარსკვლავის ორდენი; ჩეხეთი – თეთრი ლომის ორდენი; ჩინეთი – ორმაგი დრაკონის ორდენი.

## ისტორიულად ჩამოყალიბებული ორდენის სტრუქტურა

ჩვეულებრივ ორდენი კლასებად ანუ ხარისხებად იყოფა. იშვიათი, გამორჩეული და დიდი მნიშვნელობის მქონე ორდენი, შესაძლოა, მხოლოდ ერთი (უმაღლესი) კლასით შემოიფარგლოს.

ორდენი სამ ძირითად კლასად იყოფა – დიდი ჯვრის კლასი, კომანდორის კლასი და რაინდის კლასი, რომლის ხუთამდე გაზრდაც ორი (ოფიცრის) კლასის დამატებით შეიძლება.

ორდენის საჩინო ნიშნებია ორდენის ყელსაბამი, ორდენის ნიშანი, ორდენის ლენტი, ორდენის ვარსკვლავი და ორდენის სამოსი (აღარსად გამოიყენება ბრიტანეთისა და ვატიკანის გარდა).

ყველა ეს ნიშანი ორდენის გარკვეულ ხარისხს შეესაბამება:

დიდი ჯვრის კლასი – ორდენის ვარსკვლავი და ორდენის ნიშანი – მხარზე გადასაკიდ ლენტზე ან ორდენის ყელსაბამზე.

კომანდორის კლასი – უფრო მცირე ზომის ორდენის ნიშანი კისერზე საკიდ ლენტზე.

რაინდის კლასი – ორდენის ნიშანი მკერდზე საკიდ ლენტზე.

ეს შესაბამისობა სავალდებულოა ყოველი ორდენისათვის. რომელიც ხარისხებად იყოფა. მცირედი ვარირება მხოლოდ სამხედრო ჯილდოებშია შესაძლებელი, რომლებიც ფალერისტიკაში გარკვეული თავისებურებითა და თავისუფლებით გამოირჩევა. ასე მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჯილდოს გერმანული რაინდის ჯვრის (რკინის ჯვრის უმაღლესი კლასი) სამივე ხარისხი კისერზე იკიდება; ფრანგული სამხედრო ღირსების ორდენის (*Ordre du Mérite militaire*), მებრძოლთა ღირსების ორდენის (*Ordre du Mérite combattant*) 3 ხარისხიდან ორი მკერდზე იკიდება, უმაღლესი კი – კისერზე; ბელგიური სამხედრო ჯვრის (*Croix militaire*) და სამხედრო წარჩინების ნიშნის (*Decoration militaire*) ორივე ხარისხი მკერდზე იკიდება.

ორდენის ყელსაბამი ორდენის უმაღლეს დონეს წარმოადგენს და სახელმწიფოს მეთაურის, ანუ ამავე ორდენის გროსმაისტერისთვისაა განკუთვნილი. საორდენო ყელსაბამი იუველირის მიერ ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებისაგან შექმნილი ხელოვნების ნიმუშია. იგი შედგება იდენტური ან განსხვავებული რგოლებისაგან, რომელთა ფორმასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. რგოლები ქმნიან დეკორატიულ ჯაჭვს, რომელსაც სპეციალური რგოლი აქვს ორდენის ნიშნის დასაკიდად.

ორდენის ნიშანი არის ორდენის მთავარი სიმბოლო, რომელსაც აქვს ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმა. ორდენის ნიშანი მომინანქრებულია და მის ცენტრალურ მედალიონში პორტრეტი ან რაიმე ემბლემაა, რომელიც ყველა ხარისხში უნდა განმეორდეს. მის ავერსზე (წინა მხარე) ან რევერსზე (უკანა მხარე) შეიძლება, მოთავსდეს ორდენის დევიზი ან მაქსიმა. დევიზი ორდენის ორგანული შემადგენელი ნაწილია (განსაკუთრებით, მაღალი ხარისხის ორდენის) და გამოხატავს მასში ჩადებულ აზრს, მის დანიშნულებას. თუ დევიზი ორდენის ნიშანში არ არის გამოყენებული, მაშინ იგი ორდენის ბეჭედზეა. დევიზის გარდა ორდენს შეიძლება ჰქონდეს ლეგენდა – წარწერა ჯილდოს პერიფერიაზე ან წარწერა, რომელიც ჯილდოს შინაარსს გადმოგვცემს. ზოგიერთ ორდენს აქვს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დივიზიონი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო დამსახურებისათვის განკუთვნილ ორდენის ნიშანს გადაჯვარედინებული ხმლები ან მახვილები ემატება. როგორც წესი, ორდენის ნიშანი ოქროსი ან ვერცხლისაა, განსხვავებით მედლისაგან, რომელიც შეიძლება ბრინჯაოსიც იყოს. ორდენის ნიშანი ძირითადად სამი ზომისაა: დიდი ჯვარი 50-70 მმ-ია, კომანდორის – 40-50 მმ და რაინდის – 25-40 მმ. ორდენის ნიშანი შეიძლება ორი ზომისაც იყოს: ერთი – დიდი ჯვრის და კომანდორის, მეორე კი რაინდის კლასისათვის.

ორდენის ლენტი აბრეშუმისგანაა მოქსოვილი, უმეტესწილად ლივლივაა, ერთი ან რამდენიმე ფერის და სხვადასხვა სიგანის. ლენტის ფერები სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და ორდენის ნიშანს შეესაბამება. ორდენის ლენტი მეტწილად პალინდრომია, ე.ი. იდენტურია მარცხნიდან მარჯვნივ და პირუკუ, თუმცა გამონაკლისებიც არსებობენ. ორდენის უმაღლეს ხარისხს მხარზე გადასაკიდი ლენტი შეესაბამება, რომელიც თეძოსთან, ბაფთაზე დაკიდული ორდენის ნიშნით ბოლოვდება. თეძოსთან დაკიდებულ ორდენის ნიშანს სიმბოლურად „სულიერი ხმლის" მნიშვნელობა აქვს. მხარზე გადასაკიდი ლენტის ბოლო ფოჩიანი ან დაკბილულია. მისი სიგანე დაახლოებით 100 მმ-ია მამაკაცებისათვის და 55 მმ – ქალბატონებისათვის, კისერზე ჩამოსაკიდი ლენტის სიგანე 37-55 მმ-ია, მკერდზე დასაკიდის კი – 25-37 მმ.

ორდენის ვარსკვლავი მასიური, ვარსკვლავის ფორმის ნიშანია, რომელიც ორდენის მაღალი კლასისთვისაა დამახასიათებელი. იგი მზადდება ოქროს ან ვერცხლისაგან და ჩვეულებრივ 4-12 ქიმიანია. ორდენის ვარსკვლავი არასოდეს არ იკიდება ლენტზე და იგი უშუალოდ მაგრდება სამოსზე. ვარსკვლავის სხივების ზედაპირი წახნაგოვანი, ჭრილი ან სადაა. სხივი შეიძლება იყოს წვეტიანი, ისრისებური, სამწვერა, კლაკნილი, მრგვალი ან ირიბი ბოლოთი და ა.შ. ვარსკვლავი თავიდან ნაჭრისაგან მზადდებოდა და საბოლოოდ მხოლოდ XX საუკუნეში შეცვალა ლითონმა.

ორდენის გასაფორმებლად, მის გასამდიდრებლად, ხშირად იყენებენ ე.წ. დავლას (*trophy*). დავლა შეიძლება იყოს ორდენის ნიშნის ნაწილი ან საკიდი, რომელიც აკავშირებს ორდენს,

წარჩინების ნიშანს და მედალს მის ნიშანთან. იგი ძირითადად სამი სახისაა: იარაღის დავლა (*trophy of arms*) – შედგება სხვადასხვა იარაღისაგან, რომლებიც გადაჯვარედინებულია ცენტრალური ელემენტის (ჯავშანი) უკან; დროშისა და იარაღის დავლა (*trophy of arms and flags*) – შედგება იარაღისა და დროშებისაგან, რომლებიც გადაჯვარედინებულია ცენტრალური ელემენტის (ჯავშანი ან დომინანტური დროშა) უკან და საკიდად გამოყენების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მუზარადით გვირგვინდება; დროშათა დავლა (*trophy of flags*) – წარმოადგენს ცენტრალური ელემენტის უკან გადაჯვარედინებულ დროშებს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ორდენს ემატება ბრილიანტები, რომლებიც ორდენის ნიშანზე ან მის ვარსკვლავზეა დამაგრებული. ბრილიანტებით დამშვენებულ ორდენს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რისი დასტურიცაა შემდეგი წესი: თუ ორდენის დაბალი კლასი მორთულია ბრილიანტებით, მისი მფლობელი მაინც ამ ხარისხის ნიშანს ატარებს, მიუხედავად მისი დაჯილდოებისა უფრო მაღალი, მაგრამ უბრილიანტო ხარისხით.

უცხოეთში მიღებულია შემცირებული ზომის ორდენების და მედლების, ანუ მათი მინიატურების ტარება საღამოს სამოსზე, ფრაკზე, სმოკინგზე. სხვადასხვა ქვეყნებში მინიატიურული ჯილდოები სხვადასხვა ზომისაა: აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და მისი თანამეგობრობის ქვეყნებში – ოფიციალურად გამოშვებულის ნახევარი ზომა, სკანდინავიაში – 17 მმ, ბელგია-საფრანგეთში – 14 მმ. ადრე ორდენის ვარსკვლავის მინიატურაც არსებობდა, დღეს კი მხოლოდ საორდენო ნიშნის მინიატურები გამოიყენება. ზოგიერთი მაღალი დონის ორდენს მინიატურა არ გააჩნია.

## ქართული ჯილდოების ისტორია

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს არ გააჩნია ეროვნული წარჩინების ნიშნების ხანგრძლივი და ჩამოყალიბებული ტრადიცია. პირველი ქართული ჯილდოს პროექტს ორასიოდე წლის ისტორია თუ აქვს, პირველი ქართული ორდენი კი 90 წლისაც არ არის.

ქართული ფალერისტიკის ისტორია იოანე ბაგრატიონის „სჯულდებით" იწყება. იოანე ბატონიშვილი ფრიად განათლებული პიროვნება და მრავალმხრივი მეცნიერი გახლდათ. მან 1799 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს წარუდგინა „სჯულდება" – რეფორმების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სამეფოს ევროპულ ყაიდაზე მოწყობას. „სჯულდებაში" გათვალისწინებული იყო ქართული ჯილდოების შემოღებაც. იოანე ბატონიშვილს შემუშავებული ჰქონდა შემდეგი ჯილდოები (გარეგნული სახის და სტატუტის მონახაზით):

ა) წმინდა ნინო კაპადოკიელის ორდენი (I, II ხარისხი): I ხარისხი – ვარსკვლავი, გულში წმინდა ნინოს გამოსახულებით და მხარზე გადასაკიდი თეთრ-წითელი ლენტით, II ხარისხი – ორდენის ნიშანი იგივე გამოსახულებით, ოღონდ კისერზე ჩამოსაკიდ ლენტზე;

ბ) წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენი (I, II, III ხარისხი): I ხარისხი – ვარსკვლავი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და მხარზე გადასაკიდი, წითელი, თეთრარშიაშემოვლებული ლენტით, II ხარისხი – კისერზე ჩამოსაკიდებელი, III ხარისხი კი – მკერდზე საკიდი. ორდენის დევიზი იყო – „მამულისა, სიმხნისა და თავდადებისთვის";

გ) წმინდა ქეთევან დედოფლის ორდენი (I, II ხარისხი): I ხარისხი – ვარსკვლავი, ცენტრში ქეთევან დიდმოწამის გამოსახულებით, წითელ-ყვითელი ლენტით, II ხარისხი – მკერდზე საკიდ ლენტზე;

დ) წმინდა გიორგის მედალი: მკერდზე, ყვითელ ან წითელ ლენტზე საკიდი მედალი, ავერსზე წმ. გიორგის გამოსახულებით და რევერსზე დევიზით: „მამაცობისა და სიმხნისათვის".

პროექტში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ჯილდოები „წმინდათა მეფეთა არჩილ და ლუარსაბის" სახით და „ჭრელის ლენტით".

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ ხაზი გადაუსვა იოანე ბატონიშვილის გეგმას, მაგრამ ვერ დააკნინა მისი მნიშვნელობა ისტორიისთვის. ეს გეგმა დიდად პროგრესული იყო თავისი დროისთვის. აღსანიშნავია ის ცოდნაც, რომელსაც ბატონიშვილი ამჟღავნებს თითოეული ჯილდოს შემუშავების დროს. იგი მართებულად ყოფს ორდენებს კლასების მიხედვით და შეუცდომლად იცავს ტანსაცმელზე მათი დამაგრების წესებს. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, ბოლო დრომდე საქართველოში შემუშავებული ჯილდოები თუ მათი პროექტები ერთხელაც ვერ აღმოჩნდა საჭირო სიმაღლეზე და საგრძნობლად ჩამოუვარდება საუკუნეთა უკან ბაგრატოვანთა თვალსაჩინო წარმომადგენლის ნააზრევს.

ქართული ჯილდოს დაწესების საკითხი ხელახლა მხოლოდ I მსოფლიო ომის დროს

დადგა. 1915 წელს, გერმანიის ფრთის ქვეშ შექმნილმა ქართულმა ლეგიონმა შემოიღო თამარ მეფის ორდენი. ორდენს სამი ხარისხი ჰქონდა და წარმოადგენდა რვაქიმიან ვარსკვლავს, გულში თამარ მეფის გამოსახულებით. ორდენი მეტად ლამაზი იყო და ისეთი მოწონებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ II მსოფლიო ომის დროსაც აღადგინეს ქართველებმა გერმანიაში.

1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლა დაპყრობის შემდეგ, ქვეყნის მთავრობა და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი ემიგრაციაში წავიდა. პარიზში მყოფმა საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს თავისუფლებისათვის (*Pro Georgiae Libertate*) ორდენის პროექტი, რომელიც ქართული საქმისთვის თავდადებული უცხოელებისთვის იყო გამიზნული.

საზღვარგარეთ ქართული ჯილდოების შემუშავება კიდევ ერთხელ სცადეს 1954 წელს. ამ წელს მიუნხენს თავშეფარებული ყოფილი ქართველი სამხედროები აარსებენ ორგანიზაციას „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში" და ცდილობენ შემდეგი ჯილდოების დაწესებას:

ა) დავით აღმაშენებლის ორდენი – რვაქიმიანი ვარსკვლავი, ცენტრალურ მედალიონში გელათის ფრესკიდან გადმოღებული დავით აღმაშენებლის პორტრეტით და გადაჯვარედინებული ხმლებით;

ბ) წმინდა გიორგის მედალი – მრგვალი, მკერდზე ლენტით საკიდი მედალი ავერსზე წმ. გიორგის გამოსახულებით;

გ) ქართული ლეგიონის მედალი – იგივე ფორმის მედალი, მხოლოდ ავერსზე წმ. გიორგის ნაცვლად „ქ" და „ლ" ასოების გამოსახულებით.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეს პროექტები (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ორდენი) საკმაოდ დაბალი დონისაა, რაც ალბათ ემიგრაციის დუხჭირი პირობებით უნდა აიხსნას. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ უკვე მეორე პროექტში მეორდება დავით აღმაშენებლისა და წმ. გიორგის სახელობის ჯილდოები, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ შეუცვლელობაზე ქართულ ჯილდოთა სისტემაში. მოწონებას იმსახურებს ჯილდოებში გამოყენებული გადაჯვარედინებული ხმლისა და შურდულის თემაც, რომელიც საქართველოს სამეფო გერბიდანაა ამოღებული და „სიმბოლურად იძლევა სახელოვანი ჩვენი მხედრული ისტორიის სულის შენახვის და მისი გაგრძელების აუცილებლობას".

ბოლშევიკური ოკუპაციის წლებში საქართველოში დაჯილდოება ყოვლად უსახური და უშინაარსო წითელი დროშის და მსგავსი სახელწოდების საბჭოთა ორდენებით ხდებოდა. საბჭოთა კავშირის ჯილდოებს სახელად ერქვა ორდენები, რეალურად კი მედლებს ან, ყველაზე დიდი, წარჩინების ნიშნებს წარმოადგენდნენ. ისინი არ აკმაყოფილებდნენ ორდენებისათვის წაყენებულ არცერთ მოთხოვნას და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად წარსულს ჩაბარდნენ. სამწუხაროდ, საქართველოს ამჟამინდელი ჯილდოები მეტწილად საბჭოთა მემკვიდრეობითაა ნასაზრდოები, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

## ორდენები და მედლები დღევანდელ საქართველოში

დღეს არსებული ჯილდოები 1992 წელს შექმნა უნიჭიერესმა მხატვარმა და შესანიშნავმა ხელოვანმა ბატონმა ემირ ბურჯანაძემ არქიტექტორ გიორგი ავსაჯანიშვილთან ერთად. ეს იყო ქართული ჯილდოების შემუშავების პირველი განხორციელებული ცდა პოსტსაბჭოურ სინამდვილეში და მათ თავისი როლი ითამაშეს სახელმწიფოს ცხოვრებაში. დღევანდელი გადასახედიდან, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არსებული ჯილდოების გარეგნული სახე (შინაარსი ანუ სტატუტი მათ საერთოდ არ გააჩნიათ) მხატვრული და ფალერისტიკის კანონების თვალსაზრისით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ქვემოთ შევეცდებით, დაწვრილებით განვიხილოთ მათი ნაკლი და დავასაბუთოთ ასეთი შეფასების სიმკაცრე:

1. ყველა ჯილდო, ორდენია ის, თუ მედალი, მკერდზე დასამაგრებლადაა გამიზნული და მათ შორის არავითარი დიფერენციაცია არ შეინიშნება. ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც ორდენები ყოველთვის რანგის მიხედვითაა განაწილებული – უმაღლეს ხარისხს გააჩნია ვარსკვლავი და მხარზე გადასაკიდი ლენტი, მაღალი ხარისხი მაგრდება კისერზე საკიდ ლენტზე, უფრო დაბალი კი მკერდზე და ა.შ. არსებული ორდენებიც სწორედ ამ სისიტემით უნდა იყოს შემუშავებული.

2. ორდენებისათვის არასწორად არის შერჩეული წრიული, მრგვალი ფორმა. ფალერისტიკაში უმაღლესი ხარისხის ჯილდოებს (ანუ ორდენებს) ტრადიციულად ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმა აქვთ (მუსლიმურ ქვეყნებში

ნახევარმთვარისაც); მრგვალი ფორმა კი ძირითადად მიღებულია მედლებისთვის (ე.ი. საფეხურით დაბლა მდგომი ჯილდოებისთვის). ევროპაში თითქმის არცერთ მაღალი ხარისხის ორდენს არ აქვს მრგვალი ფორმა. ასეთი ფორმის ორდენი ხელოვნურადაა დამცრობილი და იგი თითქოს ტრადიციული ორდენებიდან ამოგლეჯილ ცენტრალურ მედალიონს წარმოადგენს.

3. არცერთ ორდენში არ არის გამოყენებული მინანქარი – ისინი მთლიანად ლითონისაა. ეს კიდევ უფრო აახლოებს მათ მედლებთან, რადგან მხოლოდ მედლები მზადდება მთლიანად ლითონისგან, ორდენებში კი აუცილებელია მინანქრის გამოყენება.

4. ორდენებსა და მედლებში სრულიად არ არის გათვალისწინებული და გამოყენებული ქართული ფალერისტიკის ტრადიციები, ადრე არსებული ჯილდოები თუ მათი პროექტები.

5. დავით აღმაშენებლისა და ვახტანგ გორგასლის ორდენებში ტრადიციული, კანონიკური პორტრეტები რატომღაც ინიციალებით არის ჩანაცვლებული, ეს კი მაჰმადიანური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი – იქ პორტრეტის ნაცვლად ყოველთვის წარწერებს იყენებენ. ქრისტიანულ სამყაროში კი პორტრეტული გამოსახულებები გვხვდება. მეტიც, ეს ტრადიცია იმდენად იყო დამკვიდრებული, რომ XII-XVIII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში ზოგიერთი მუსლიმი მმართველი, რომელსაც მრავალრიცხოვანი ქრისტიანი ქვეშევრდომი ჰყავდა, ანგარიშს უწევდა მათ და სახელმწიფო ცხოვრებაში პორტრეტულ გამოსახულებებს იყენებდა.

თანაც გასათვალისწინებელია, რომ ჰერალდიკაში რაიმე გამოსახულების ინიციალებით (ასოებით) ჩანაცვლება მისი ერთი რიგით დამდაბლებას გულისხმობს. როდესაც დასავლეთ ევროპაში არაფრით გამორჩეულ გერბებს ქმნიდნენ, მათში საგანგებოდ სვამდნენ ასოებს, ასოგამოსახულებებს და შეგნებულად ამცირებდნენ გერბის ჰერალდიკურ დონეს. საკვირველია, რომ ქართულ ორდენებში ძირითად თემად სწორედ ასეთი დამცრობილი ვარიანტია არჩეული.

6. არსებულ ჯილდოებში მახვილი არასწორადაა გამოსახული და გამოყენებული:

ა) მედალში „მხედრული მამაცობისათვის" მახვილი გამოსახულია წვერით ძირს, რაც დაუშვებელია: ჰერალდიკაში სამხედრო მახვილის წვერი ყოველთვის ზევით არის მიმართული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად იყენებენ. ამ შემთხვევაზე ღირს ცოტა ხნით შევჩერდეთ: მოგეხსენებათ, ჰერალდიკა მეტყველებს ფიგურა-გამოსახულებების ენით. ამ მედლის ჰერალდიკური წაკითხვით (ბლაზონირებით) გამოდის, რომ იგი უნდა მივანიჭოთ უკვე დასაღუპად განწირულთ! აი, ასეთ ლაფსუსამდე შეიძლება მიგვიყვანოს ჰერალდიკის კანონების უგულვებელყოფამ;

ბ) თავად მახვილის გამოსახულებაც არაკანონიკურია – იგი ვადიდანვე იწყებს შევიწროვებას და ხანჯალს ემსგავსება.

გ) იმავე მედალზე უხეიროდ მოძებნილი მხატვრული სახეა დაფნის გვირგვინში ჩაგებული მახვილი: ჯერ ერთი, დაფნის გვირგვინს ასეთი ფორმით არასოდეს იყენებენ მახვილის მოსართავად და მეორეც, გამოსახულება მოგვაგონებს ცეცხლის ალით მოცულ, აალებულ მახვილს – მებრძოლი კათოლიციზმის ემბლემას, რაც აქტიური რელიგიური აგიტაციის პოზიციებზე მდგომ ეკლესიას ნიშნავს და არავითარ კავშირში არ არის მედლის შინაარსთან.

დ) ვახტანგ გორგასლის ორდენზე მახვილები არასწორად არის გამოსახული. ისინი უვადო და ორწვერია, რაც ალბათ უპრეცედენტო შემთხვევაა ფალერისტიკაში.

7. შეცდომაა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ღირსების ორდენის და ღირსების მედლის არსებობა. ერთი დასახელების ჯილდოები ერთ მოტივს უნდა იმეორებდნენ სხვადასხვა დონეზე. ღირსების ორდენს და მედალს ცენტრალური თემა ერთი უნდა ჰქონდეთ და ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდნენ ფორმით, ლითონის ხარისხით, მომინანქრების დონით და ა. შ.

8. ღირსების მედალზე გამოსახულია მუხის რტოები და ამ მედლით ჯილდოვდებიან სამოქალაქო და სასულიერო პირებიც. მუხა, მისი რტოები, ფოთლები მთელ მსოფლიოში მხოლოდ სამხედრო ემბლემატიკაში გამოიყენება. ერთადერთი ქვეყანა იყო გდრ, რომლის სამოქალაქო ჯილდოებშიც გვხვდებოდა მუხა (რაც დაკავშირებული იყო მუხის ადგილზე მათ ცნობიერებაში, მუხა ძველგერმანელთ ტაძარსაც კი უცვლიდა). მუხის სიმბოლიკის არასამხედრო დანიშნულებით გამოყენებას რუსეთში სკანდალიც კი მოჰყვა: 1986 წელს მოსკოვში აღადგინეს ერმოლოვას სახლ-მუზეუმი და გამოუცდელმა მხატვარმა შენობის ფრონტონზე მსახიობის პორტრეტი, დაფნის ნაცვლად, მუხის ფოთლების გვირგვინში ჩასვა. დარგის ცნობილი სპეციალისტი ვილიამ პახლიობკინი აღშფოთებით

წერდა ასეთ მხატვრებზე: „ისინი არ უკავშირებდნენ ემბლემის გამოყენებას ისტორიულ ტრადიციას, არამედ ეგონათ, რომ ყოველთვის შეიძლება ახალი ემბლემის არჩევა, მისი კოსტუმივით ცვლა...“

9. ღირსების მედალში ჯვრისებრი წნული ჩუქურთმა ფირუზისფერი მინანქრითაა დაფარული. არსებითი შეცდომაა ჩუქურთმის, როგორც ორნამენტის მინანქრით დაფარვა. ის ყოველთვის ლითონში (ოქრო, ვერცხლი) უნდა იყოს შესრულებული და მეორეც, ჰერალდიკაში არ არსებობს ფირუზისფერი მინანქარი.

10. მედალში საბრძოლო დამსახურებისათვის“ არ არის გამართლებული რგოლად შეკრული ჯაჭვის გამოყენება. ჯაჭვი კლასიკურ ჰერალდიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ატრიბუტი იყო, სოციალისტურ ემბლემატიკაში კი დასამხობ კაპიტალისტურ წყობას აღნიშნავდა. თანამედროვე გაგებით, რგოლად შეკრული ჯაჭვი ერთიანობის ნიშანია და მას ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები იყენებენ, როგორიცაა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და აფრიკული ერთობის ორგანიზაცია. დაგვეთანხმებით, რომ არცერთი ეს მნიშვნელობა არ შეესაბამება მედლის არსსა და დანიშნულებას.

11. დავით აღმაშენებლის ორდენში რომბის გამოყენება ახსნილია იმით, რომ „რომბი ჩვენს სიმბოლიკასა და საეკლესიო მხატვრობაში მამა ღმერთის დიდი ნიშანია“. გაუგებარია, თუ რა საერთო აქვს „მამა ღმერთის დიდ ნიშანს“ დავით აღმაშენებელთან; ამასთან რომბი ჰერალდიკაში სრულიად სხვა დატვირთვის მატარებელია.

12. ორდენების გულში მეტად არაორგანულად და გაუგებრადაა მოთავსებული რვაქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც არავითარ დატვირთვას არ ატარებს და თავისი უადგილობის გამო ე.წ. „მცურავ ვარსკვლავადაა“ ქცეული.

13. ვახტანგ გორგასლის ორდენის ლენტის აღწერისას ძოწისფერი განმარტებულია, როგორც „ქმედების სიმბოლო“. არსებობს ფერთა მრავალნაირი სიმბოლიკა, მათ შორის კლასიკური, ჰერალდიკური, ქრისტიანული, ალქიმიური, მასონური, აღმოსავლური და სხვ. არცერთ მათგანში წითელი ან მეწამული (ჰერალდიკაში არ არსებობს „ძოწისფერი“) არ არის განმარტებული, როგორც ქმედების აღმნიშვნელი: კლასიკური ტრადიციის მიხედვით, წითელი ნიშნავს ძალას, სიმამაცეს; ქრისტიანულ სიმბოლიკაში მეწამული ნიშნავს ღვთაებრივს, მეფურს და ა.შ.

14. ორდენებისა და მედლების ლენტები მეტად მცირე ზომისაა, ისინი ნამდვილ ზომასთან შედარებით გაუმართლებლად არიან დაპატარავებულ-დამოკლებულნი და მოგვაგონებენ საბჭოთა პერიოდის ისეთ ჯილდოებს, როგორიც იყო „დედობის მედალი“, „ოქროს ვარსკვლავი“, „ნამგალი და უროს“ მედალი და სხვ.

რაც მთავარია, ყოვლად დაუშვებელია ის სისტემა ან უფრო ზუსტად – უსისტემობა, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფო ჯილდოებში. არცერთ ჯილდოს არ აქვს ნათლად განსაზღვრული არათუ სტატუტი, არამედ დებულებაც კი; არ არის დადგენილი, კონკრეტულად რა დამსახურებისა თუ გმირობისათვის უნდა მიენიჭოს მოქალაქეს ესა თუ ის წარჩინების ნიშანი – ყოველივე ეს კი ფასს უკარგავს მათ.

ორდენების სტატუტების არქონა ქართულ სინამდვილეში მათ ლამის ანგარიშმიუცემელ დარიგებას იწვევს, რაც კიდევ უფრო აუფასურებს ჯილდოებს (საბედნიეროდ, ეს არ ეხება დავით აღმაშენებლისა და ოქროს საწმისის ორდენს). მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ არ შეიძლება ასე ხელაღებით სახელმწიფო ჯილდოების დარიგება: ინგლისის უმაღლესი ჯილდო - ვიქტორიას ჯვარი (*Victoria Cross*) მეორე მსოფლიო ომში მიიღო 182 კაცმა, 1946 წლიდან დღემდე კი მხოლოდ 11 (!) პიროვნებას გადაეცა; ამავე ომის დროს გერმანიის უმაღლესი ჯილდო – რაინდის ჯვარი მუხის ფოთლებით, ხმლებითა და ბრილიანტებით – 27 კაცმა დაიმსახურა, იგივე ჯვარი ოქროს მუხის ფოთლებით კი - მხოლოდ ერთმა (!); II მსოფლიო ომში მონაწილე 13 მილიონი ამერიკელიდან 190-მა მიიღო ქვეყნის უმაღლესი ჯილდო კონგრესის *Medal of Honor* (ამას ემატება კიდევ 243 სიკვდილის შემდგომ გადაცემული ჯილდო); რუსეთის იმპერიის არსებობის მანძილზე მხოლოდ 25 კაცი დაჯილდოვდა I ხარისხის წმ. გიორგის ორდენით და მარტო 4 (!) იყო მისი სრული კავალერი (ე.ი. მიღებული ჰქონდა ორდენის ოთხივე ხარისხი).

ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული სახელმწიფოს უმაღლეს პირთ: ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ საფრანგეთში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მიიღო პოლონეთის არმიის დეპუტაცია, რომლის უფროსმა, თავადმა სულკოვსკიმ არმიის სახელით შესთავაზა მას პოლონური სამხედრო ორდენის *Virtuti Militari*-ს I ხარისხი. დიდების

ზენიტში მყოფი იმპერატორი მხოლოდ მცირე ჯვრის მიღებას დაყაბულდა (რომელიც ნამდვილად ეკუთვნოდა პირადი სიმამაცისთვის), ისევე, როგორც მანამდე უარყო შემოთავაზებული წმ. გიორგის ორდენის I ხარისხი და მხოლოდ IV ხარისხისას დასჯერდა.

მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, თუ როგორ უფრთხილდებიან საზღვარგარეთ სახელმწიფო ჯილდოების პრესტიჟს და რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ მართებულ (სტატუტის შესაბამის) გამოყენებას, რაც სამაგალითო უნდა გახდეს ჩვენთვისაც.

დღემდე საქართველოში სრულიად არ ექცეოდა ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან გარემოებასაც, როგორიც ორდენებისა და მედლების ტარების წესები გახლავთ. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ნორმატიული აქტი, წარჩინების ნიშნის ტარების წესს რომ არეგულირებდეს. არადა, ჯილდოს ტარებისა და დამაგრების წესების უცოდინრობამ სასაცილო მდგომარეობაშიც კი შეიძლება ჩაგვაგდოს და წარმოშვას გაუგებრობა დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევისას. ასე, მაგალითად, მსოფლიოში დამკვიდრებულია პრაქტიკა – საკუთარი და უცხო ქვეყნის ორდენების კავალერმა, თუკი იგი სტუმრადაა ამ ქვეყანაში ან მის საელჩოში, უპირატესობა უნდა მიანიჭოს უცხო ქვეყნის ჯილდოებს. ამ ეტიკეტის დაუცველობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ნებისმიერ პიროვნებასა თუ დიპლომატს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მეტად მკაცრად ეკიდებიან ამ წესების დარღვევას და ჯილდოთა სტატუტებში სპეციალური დამატებითი მუხლებიც აქვთ შეტანილი, რომლის მიხედვით, ჯილდოს ჩამორთმევაც კი შეიძლება, თუკი მას ატარებენ არასწორად, ჭუჭყიან ტანსაცმელზე, დროებით გადასცემენ სხვა პირს, თუნდაც ყოველგვარი ანგარების გარეშე (მაგ., ბავშვს სათამაშოდ) და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ საჭიროა სახელმწიფო ჯილდოთა ახალი სისტემის შექმნა, რომლის იერარქიაშიც ყოველი ჯილდო თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს და ექნება ჰერალდიკურად გამართული სახე; ყოველი ორდენი და მედალი შეიძენს შესაბამის სტატუტს ან დებულებას და ჩამოყალიბდება მათი ტარების წესები.

ნურავის შეაცბუნებს ის ფაქტი, რომ არსებული სახელმწიფო ჯილდოების ძირეულად შეცვლის საჭიროებას ვხედავთ. რაიმე მიზეზით ორდენის ფორმისა და შინაარსის შეცვლა მეტად გავრცელებულია მსოფლიო ფალერისტიკაში. მაგალითისთვის ორი ისეთი ცნობილი და გამორჩეული ორდენის დასახელებაც იკმარებს, როგორიცაა ოქროს საწმისისა და საპატიო ლეგიონის ორდენი: XV საუკუნეში დაარსებულმა ოქროს საწმისის ორდენმა სახეცვლილება განიცადა ავსტრიასა და ესპანეთშიც; ნაპოლეონის მიერ შემოღებულმა საპატიო ლეგიონის ორდენმაც მრავალგზის იცვალა ფორმა ბურბონების, ივლისის მონარქიის, ნაპოლეონ III-ისა და მომდევნო რესპუბლიკების დროს. წლების მანძილზე იცვლებოდა ცნობილი პოლონური *Virtuti Militari*-ს (მხედრული ღირსების) ორდენიც. რუსული საიმპერატორო ორდენებიც განიცდიდნენ ცვლილებას: თეთრი არწივის ორდენი შეიცვალა 1831, 1917 წლებში; 1735 წელს დაარსებული წმ. ანას ორდენი პერმანენტულად იცვლებოდა; 1845 წელს შეიცვალა წმ. ვლადიმირის ორდენის სტატუტი; მუდმივ სრულყოფას განიცდიდა წმ. გიორგის ორდენის სტატუტიც და ა.შ. საბჭოთა კავშირში კი ალბათ ჯილდო არ დარჩენილა, რომელსაც რაიმე ცვლილება არ განეცადოს: ცვლილებები შეტანილია ოქროს ვარსკვლავის, „ლენინგრადის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“ მედლებში, უშაკოვის, ალექსანდრე ნეველისა და სამამულო ომის ორდენებში; სუვოროვის ორდენი ორჯერ არის გადაკეთებული, კუტუზოვის ორდენი კი – ოთხჯერ (მას III ხარისხიც კი დაუმატეს).

ასე, რომ დროთა განმავლობაში არსებული ჯილდოების შეცვლა გარდაუვალია. რაც უფრო ადრე ჩატარდება ეს რეფორმა, მით უფრო მოგებული დარჩება სახელმწიფო და ამ სფეროში მაინც ღირსეულად ამოუდგება გვერდში ევროპის მოწინავე ქვეყნებს.

**მამუკა წურწუმია**
ისტორიის დოქტორი

**მამუკა გონგაძე**
ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის
ასოცირებული წევრი



ეროვნული გმირის ორდენი



წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენი



დავით აღმაშენებლის ორდენი



თამარ მეფის ორდენი



ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი



წმინდა ნიკოლოზის ორდენი



ოქროს საწმისის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
II ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენი



ღირსების ორდენი



მედალი „სამოქალაქო
თავდადებისათვის“



მედალი „მხედრული
მამაცობისათვის“



მედალი „საბრძოლო
დამსახურებისათვის“



ღირსების მედალი

# საქართველოს მოქმედი სახელმწიფო ჯილდოები

## ეროვნული გმირის ორდენი



ეროვნული გმირის ორდენის ნიშანი წარმოადგენს ხუთჯვრიან კომპოზიციას – ოქროს დიდი ჯვარი, მკლავთა შორის ოთხი ოქროს მცირე ჯვრით (იმეორებს საქართველოს სახელმწიფო დროშის კომპოზიციას). ჯვრების ფრთებში მეწამული (წითელი) მინანქრით. ჯვრის კომპოზიციის საკიდს წარმოადგენს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს „ივერიული“ გვირგვინი (სახელმწიფო გერბის ფარს ზემოთ მოთავსებული - სუვერენიტეტის სიმბოლო). ორდენი საკიდთან დაკავშირებულია ვაზის წნულის ორნამენტული ოქროს დეტალით.

ეროვნული გმირის ორდენის ტარება ხდება ყელზე, მეწამულ (წითელ) ლივლივა ბაფთაზე, რომელსაც კიდეებზე გასდევს ოქროსფერი ზოლები. ორდენის აღნიშვნა აგრეთვე ხდება ორდენის ბაფთის შესატყვისი თამასით. ორდენის დიამეტრი 5 სმ-ია.

საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი არის სახელმწიფო უმაღლესი ჯილდო. ეროვნული გმირის ორდენი დაწესდა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 24 ივნისის №218 დადგენილებით.

ეროვნული გმირის ორდენის ესკიზის ავტორია მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე.

## წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენი



წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენს ბოლნური ჯვრის ფორმა აქვს, არის ოქროსი, მეწამული (წითელი) და თეთრი მინანქრითაა გაწყობილი. ჯვრის ცენტრში გამოსახული მედალიონის მეწამულ (წითელ) მინანქარზე ამოტვიფრულია ვერცხლის წმინდა გიორგის გამოსახულება (გველეშაპის გამგმირავი მხედარი – სახელმწიფო გერბის გამოსახულება). ლენტზე დამაგრებული ორდენის საკიდი არის ფარი, რომელსაც ამშვენებს ივერიული გვირგვინი (სახელმწიფო გერბის დეტალი) და ვაზის წნულის ორნამენტი. ფარის თეთრ (ვერცხლი) ველზე გამოსახულია მეწამული (წითელი) ჯვარი – წმინდა გიორგის ჰერალდიკური სიმბოლო.

ლენტი არის ლივლივა თეთრი, შუაში მეწამული (წითელი) ზოლით. ორდენის თამასა თეთრია, შუაში მეწამული (წითელი) ზოლით. ორდენის დიამეტრი 5,7 სმ-ია. ორდენი ყელსაკიდია.

წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენის ესკიზის ავტორია მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე.

## დავით აღმაშენებლის ორდენი

დავით აღმაშენებლის ორდენს აქვს 40-მილიმეტრიანი მრგვლოვანი სილუეტი, რომელზეც გამოკვეთილია რომბი. რომბის წრიულ ჩაღრმავებაში გამოსახულია ასომთავრული „ა“-თი გარშემოწერილი ასომთავრული „დ“ და „თ“ (აღნიშნავს დავით აღმაშენებელს), ხოლო მათ თავზე ადგას სამეფო გვირგვინი. ორდენის ჰორიზონტალურ ღერძზე მოთავსებულია რვაქიმიანი ალმასისთვლიანი ვარსკვლავი. ორდენი მოძრავი ყუნწით უკავშირდება ოქროს ფირფიტისაგან დამზადებულ სამაგრს. რომბი ქართულ სიმბოლიკასა და საეკლესიო მხატვრობაში მამა ღმერთის სიმბოლოა და იისფერი ტონალობით გამოხატავენ, ამიტომ სამაგრზე გადაკრული ბაფთის თეთრ ფონზე (სიგანე – 27 მმ), დავით აღმაშენებლის მეფობის ოქროს ხანის აღსანიშნავად, გამოყენებულ ოქროსფერს (9 მმ) ორივე მხარეს 1,5 მმ დაცილებით ახლავს 2 მმ სიგანის იისფერი ხაზები.



დავით აღმაშენებლის ორდენის ესკიზის ავტორია გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი ემირ ბურჯანაძე.

## თამარ მეფის ორდენი

თამარ მეფის ორდენი არის 585 სინჯის ოქროს 100-გრამიანი ვარსკვლავი.



ორდენის ავერსი: დიდი ვარსკვლავი არის თეთრი მინანქრით, ბოლოები აქვს ოქროსფერი, ფონად დომინირებს მწვანე მინანქარი. ასევე გამოყენებულია ოქროსფერი და შავი. ცენტრში რელიეფურად (ამოწეული) გამოსახულია თამარ მეფე, გარშემო წითელი მინანქარია გამოყენებული წარწერით: „თამარ მეფე“. ქვემოთ აქვს დამუშავებული ორნამენტი. ვარსკვლავი ოქროს ყუნწით მოძრავად უკავშირდება სამაგრის რგოლს. ოქროს რგოლი ხისტად არის დაკავშირებული სამაგრთან. სამაგრის რგოლი არის მწვანე მინანქრით.

ორდენის რევერსი: ცენტრში ოქროსფერ ფონზე რელიეფურად (ამოწეული) გამოსახულია საქართველოს გერბი. გერბის გარშემო არის წრე, რომელიც დამუშავებულია ორნამენტებით. ორდენის ბაფთა არის წითელი და თეთრი.

თამარ მეფის ორდენი და მისი ესკიზი დამზადებულია ლიეტუვის ზარაფხანაში.

## ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი



ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი არის ოქროსფერი ვარსკვლავი.

ორდენის ავერსი: დიდ ვარსკვლავში არის თეთრი მინანქარი წითელი კონტურით, ბოლოები აქვს ოქროსფერი. ვარსკვლავის ფონი არის გაფორმებული დამუშავებული ოქროსფერი ორნამენტებით. ცენტრში, ოქროსფერ ფონზე გამოსახულია პრეზიდენტის რეზიდენცია, ზევიდან რელიეფურად (ამოწეული) – საქართველოს გერბი. ორდენს მეორე მხრიდან აქვს სამაგრი.

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი და მისი ესკიზი დამზადებულია ლიეტუვის ზარაფხანაში.

## წმინდა ნიკოლოზის ორდენი



წმინდა ნიკოლოზის ორდენი არის ოქროსფერი ვარსკვლავი. ორდენის ავერსი: დიდ ვარსკვლავში დომინირებს შინდისფერი მინანქარი, ბოლოები არის ოქროსფერი, ფონად გამოყენებულია მწვანე, ასევე ოქროსფერი მინანქარი. ცენტრში რელიეფურად (ამოწეული) გამოსახულია წმინდა ნიკოლოზი, გარშემო თეთრი მინანქარია გამოყენებული და არის წარწერა: „წმინდა ნიკოლოზი", რომლის კანტიც დამუშავებულია ორნამენტით. ვარსკვლავი ოქროს ყუნწით მოძრავად უკავშირდება სამაგრის რგოლს. ოქროს რგოლი ხისტად არის დაკავშირებული სამაგრთან. სამაგრის რგოლი ოქროსფერია.

ორდენის რევერსი: ცენტრში ოქროსფერ ფონზე რელიეფურად (ამოწეული) გამოსახულია საქართველოს გერბი.

ორდენის ბაფთა არის წითელი და თეთრი.

წმინდა ნიკოლოზის ორდენი და მისი ესკიზი დამზადებულია ლიეტუვის ზარაფხანაში.

## ოქროს საწმისის ორდენი




ოქროს საწმისის ორდენი არის 52-მილიმეტრიანი ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მიღებულია დიდი შვიდბოლოიანი და მცირე შვიდქიმიანი ვარსკვლავების გადაწვნით. ვარსკვლავი შედგება შვიდი 51.450-იანი სეგმენტისაგან.

ორდენის ავერსი: დიდი ვარსკვლავის ბოლოებში ჩასხმულია შინდისფერი მინანქარი, გადაწვნის ადგილებში მონაცვლეობით ჩასმულია 7 ლურჯი და 7 წითელი თვალი. ცენტრალური მედალიონის ირგვლივ არის 2 მმ სიგანის თეთრი ოქროს ტეხილი დეტალი. მედალიონში ამობურცულ ლურჯ მინანქარზე გამოსახულია ოქროს საწმისი თეთრი ოქროს რქებით.

ვარსკვლავი ოქროს მოძრავი ყუნწით (10,5 X 10 მმ) უკავშირდება სამაგრის ზოლს. 1,1 მმ

სისქის ოქროს რგოლი (გარე დიამეტრი – 15მმ) ხისტადაა დაკავშირებული სამაგრთან.

სამაგრი არის ოქროს ორი გრიფონი (სიმაღლე – 16,5 მმ), ოქროს ფარით (7 X 12,2 მმ). ფარის ლურჯ მინანქარზე გამოსახულია ოქროს ემბლემა და დევიზის ლენტი (სიგრძე - 25,7 მმ; სიგანე – 3მმ), რომლის შინდისფერ მინანქარზე ოქროს ლათინური შრიფტით ამოტვიფრულია წარწერა – LABOR PRO GEORGIA.

ორდენის რევერსი: ზედა ნაწილში აღნიშნულია ორდენის სამნიშნა რიგითი ნომერი. შუა ნაწილში, ქართული ორნამენტის თავზე ოქროთი ამოტვიფრულია წარწერა – „ღვაწლი საქართველოსათვის“, ქვემოთ – ორდენის დამზადების წელი.

ორდენის ბაფთა ცისფერია (სიგანე - 34 მმ) ორი ოქროსფერი ზოლით (სიგანე – 5 მმ).

ოქროს საწმისის ორდენის ესკიზი შექმნილია საქართველოში, ქ. თბილისში, 1997 წელს. მისი ავტორები არიან: მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე და ჰერალდიკოსი მამუკა წურწუმია.

## ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი

წრიული ფორმის დიაგონალური ჯვრის წიბოვანი ფორმებით გამოხატული ფიგურული ველი არის ოქროსფერი, ორდენის შუაგული, სარტყელი და დეკორატიული ჯვრები – ვერცხლისფერი. სახელხატი (მონოგრამა) და რვაწიბოვანი მნათობი ოქროსფერია. მნათობის შუაგულში ჩასმულია წითელი (ლალი) თვალი. ბაფთა – თეთრი ველის შუაში ფართო მეწამული ზოლია, რომელსაც გვერდზე ჩამოყვება ოქროსფერი წვრილი ზოლები. მეწამულ ველზე გამოსახულია ორდენის ხარისხის აღმნიშვნელი რომაული ციფრი „I“.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის და მისი ესკიზის ავტორია გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი ემირ ბურჯანაძე.



## ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი

წრიული ფორმის დიაგონალური ჯვრის წიბოვანი ფორმებით გამოხატული ფიგურული ველი არის ვერცხლისფერი, ორდენის შუაგული, სარტყელი და დეკორატიული ჯვრები – ოქროსფერი. სახელხატი (მონოგრამა) და რვაწიბოვანი მნათობი ვერცხლისფერია. მნათობის შუაგულში ჩასმულია ლურჯი (საფირონი) თვალი. ბაფთა – თეთრი ველის შუაში ფართო მეწამული ზოლია, რომელსაც გვერდზე ჩამოყვება ოქროსფერი წვრილი ზოლები. მეწამულ ველზე გამოსახულია ორდენის ხარისხის აღმნიშვნელი რომაული ციფრი „II“.

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის და მისი ესკიზის ავტორია გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი ემირ ბურჯანაძე.



## ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი



წრიული ფორმის დიაგონალური ჯვრის წიბოვანი ფორმებით გამოხატული ფიგურული ველი არის რუხი, ორდენის შუაგული, სარტყელი და დეკორატიული ჯვრები – ვერცხლისფერი.

სახელხატი (მონოგრამა) და რვაწიბოვანი მნათობი ოქროსფერია. მნათობის შუაგულში ჩასმულია მწვანე (ზურმუხტი) თვალი.

ბაფთა – თეთრი ველის შუაში ფართო მეწამული ზოლია, რომელსაც გვერდზე ჩამოყვება ოქროსფერი წვრილი ზოლი. მეწამულ ველზე გამოსახულია ორდენის ხარისხის აღმნიშვნელი რომაული ციფრი „III“.

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის და მისი ესკიზის ავტორია გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი ემირ ბურჯანაძე.

## ღირსების ორდენი



წრიული ფორმის ფენოვანი მორკალული ფორმებით შედგენილ ვერცხლისფერ ველზე დევს შვიდქიმიანი წნული ოქროსფერი ვარსკვლავი. წნულის წრიულ შუაგულში მეწამულ ფონზე გამოსახულია ოქროსფერი ვაზის ფოთოლი, რომელზეც დასმულია შვიდქიმიანი ვერცხლისფერი წიბოვანი მნათობი. წიბოებს შორის არის წიბწისებური ფორმის ექვსი ვერცხლისფერი მარცვალი.

ბაფთა – თეთრი ველის შუაში ფართო ლურჯი ზოლია, რომელსაც გვერდზე ჩამოყვება მეწამული წვრილი ზოლები.

ღირსების ორდენის ავტორია გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი ემირ ბურჯანაძე.

## მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“



ავერსი: მედალი სამოქალაქო თავდადებისათვის მრგვალი ოქროსფერი მეტალის მედალიონია, რომლის ცენტრში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი. გერბის გარშემო განლაგებულია თორმეტი მცირე ჰერალდიკური ჯვარი (ბოლნური). მედალიონი ქართული ვაზის წნულის ორნამენტის დეტალით უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა ლაჟვარდისფერი (ლურჯი), კიდეებზე მცირე ლურჯი ზოლების შიგნით ორი ვერცხლისფერი ზოლია. მედლის თამასა არის ლაჟვარდისფერი (ლურჯი), კიდეებზე ვერცხლისფერი ზოლით. მედლის დიამეტრი - 3,7 სმ-ია; მედალი არის გულსაკიდი;

რევერსი: ამოტვიფრულია წარწერა - „სამოქალაქო თავდადებისათვის“. მედალიონი ქართული „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით უკავშირდება ბაფთას. ბაფთა ლივლივა ლაჟვარდის (ლურჯი) ფერია კიდეებზე მცირე ზომის ლურჯი ზოლების შიგნით ორი ვერცხლისფერი ზოლით.

„სამოქალაქო თავდადებისათვის“ მედლის ესკიზის ავტორია მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე.

## მედალი „მხედრული მამაცობისათვის“

მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ წარმოადგენს 33 მმ დიამეტრის მრგვლოვან სილუეტს. მასზე ამოკვეთილია რომბის ფორმა, რომლის შუაგულში ამოღებულ 14 მმ ფარს ამშვენებს დაფნის გვირგვინში წვერით ჩაგებული ხმალი, როგორც ძლიერებისა და კეთილშობილების სიმბოლო. მედლის ყუნწი მოძრავადაა დაკავშირებული სამაგრთან, რომელზეც გადაკრულია 25 მმ სიგანის ბაფთა. ბაფთის თეთრ ფონზე გამოხატულ 2 მმ სიგანის ორ ოქროსფერ ხაზს ორივე მხარეს ახლავს 2 მმ სიგანის ძოწისფერი ხაზები. მედლის რევერსზე 14 მმ დიამეტრის წრესა და მედლის წრიულ ხაზს შორის ამოტვიფრულია წარწერა – „მხედრული მამაცობისათვის“.

„მხედრული მამაცობისათვის“ მედლის ესკიზის ავტორია არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი.



## მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ წარმოადგენს 33 მმ დიამეტრის ოქროსფერ მრგვლოვან სილუეტს. მედლის ავერსი დაყოფილია რვა ტოტად, რომლის თითოეულ სეგმენტში ჩაწნულია ჯაჭვისებრი ხლართით გამიჯნული ცხრა რელიეფური სხივი. 17 მმ დიამეტრის წრიული ფორმის ვერცხლისფერ შუაგულში გამოკვეთილია შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელზეც ამოზიდულია ორი განსხვავებული დიამეტრის წრე. მედლის ყუნწი მოძრავადაა დაკავშირებული სამაგრთან, რომელზეც გადაკრულია 25 მმ სიგანის ბაფთა. ბაფთის თეთრ ფონზე გამოხატულ 2 მმ სიგანის ორ მწვანე ხაზს ორივე მხარეს ახლავს 2 მმ სიგანის ძოწისფერი ხაზები. მედლის რევერსზე შუაგულში ამოტვიფრულია შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო მის გარშემო წრიულად წარწერა – „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

„საბრძოლო დამსახურებისათვის“ მედლის ესკიზის ავტორია არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი.



## ღირსების მედალი

ღირსების მედალი არის ოქროსფერი, დისკოს ფორმის. მედლის ავერსი მზის ფორმისაა და ოქროსფერია. წრიულ ვერცხლისფერ შუაგულში გამოხატულია ოქროსფერი ჯვრისებრი წრიული ჩუქურთმა ქვემოდან ამოფენილი მუხის რტოებით, ხოლო ცენტრის ოთხკუთხა ფორმაში ამოტვიფრულია ჯვარი. მედლის რევერსზე ამოტვიფრულია წარწერა „ღირსების“, რომელსაც შვეულად ამშვენებს მუხის რტოს ოქროსფერი გამოსახულება.

მედლის მოძრავი ყუნწი დაკავშირებულია სამაგრთან, რომელზეც გადაკრულია თეთრი ბაფთა, ორი ლურჯი და ორი ძოწისფერი ხაზით.

ღირსების მედლის ესკიზის ავტორია არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი.



# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

### ᲜᲘᲛᲣᲨᲘ 1. ᲛᲔᲓᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ (III ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ)



1. III ხარისხის მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, 5 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის, როდესაც მათ მიმართ განვლილი სამსახურის პერიოდში წახალისებების რაოდენობა აღემატება დისციპლინური გადაცდომების რაოდენობას და დაჯილდოების პერიოდში, მასზე არ მოქმედებს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. მასალა – ლითონი ბრინჯაოს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ვარსკვლავში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო (ისტორიული) დროშის სამხედრო ვერსიის რელიეფური გამოსახულება წრეში (ფიგურას ეწოდება „ჯვარი გორგასლიან-დავითიანი“);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „უმწიკვლო სამსახურისათვის. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

### ᲜᲘᲛᲣᲨᲘ 2. ᲛᲔᲓᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲣᲛᲬᲘᲙᲕᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ (II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ)



1. II ხარისხის მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, 10 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის, როდესაც მათ მიმართ განვლილი სამსახურის პერიოდში წახალისებების რაოდენობა აღემატება დისციპლინური გადაცდომების რაოდენობას და დაჯილდოების პერიოდში მასზე არ მოქმედებს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. მასალა – ლითონი ვერცხლის შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ვარსკვლავში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო (ისტორიული) დროშის სამხედრო ვერსიის რელიეფური გა-

მოსახულება წრეში (ფიგურას ეწოდება „ჯვარი გორგასლიან-დავითიანი“);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „უმწიკვლო სამსახურისათვის. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## ნიმუში 3. მედალი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ (I ხარისხი)

1. I ხარისხის მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, 15 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის, როდესაც მათ მიმართ განვლილი სამსახურის პერიოდში წახალისებების რაოდენობა აღემატება დისციპლინური გადაცდომების რაოდენობას და დაჯილდოების პერიოდში მასზე არ მოქმედებს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ვარსკვლავში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო (ისტორიული) დროშის სამხედრო ვერსიის რელიეფური გამოსახულება წრეში (ფიგურას ეწოდება „ჯვარი გორგასლიან-დავითიანი“);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „უმწიკვლო სამსახურისათვის. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.



* *თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლების ავტორები არიან:*
*მხატვარი ვახტანგ რურუა: მედალი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“ (I, II და III ხარისხი); მედალი „სამშობლოსათვის თავდადებული“; მედალი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი„; მედალი „საბრძოლო იარისათვის“; მედალი „გენერალი კვინიტაძე“; მედალი „სიცოცხლის გადარჩენისათვის„; მედალი „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“; მედალი „გენერალი მაზნიაშვილი“.*
*მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე: მედალი „დიდგორის ჯვარი”; მედალი „გიორგი ანწუხელიძე“; მედალი „თეთრი გიორგი“.*

## ნიმუში 4. მედალი „სამშობლოსათვის თავდადებული“



1. მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ ჯილდოვდებიან:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებისთვის როგორც საომარი მდგომარეობის, ისე მშვიდობიანობის პერიოდში;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში 20 და მეტი წლის უმწიკვლო სამსახურისთვის, როდესაც დაჯილდოების პერიოდში, მათზე არ მოქმედებს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – გამოსახულება ლომი (რელიეფი) – „კოლხური თეთრიდან“;

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „ლომგული. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## ნიმუში 5. მედალი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“



1. მედლით „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დაცვის საქმეში გამოჩენილი თვალსაჩინო დამსახურებებისათვის.

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის განზოგადებული რელიეფური პორტრეტი (პროფილი);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „ქაქუცა. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს და სპეციალური წოდების მქონე პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები), რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

## ნიმუში 6. მედალი „საბრძოლო იარისათვის“



1. მედლით „საბრძოლო იარისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები საბრძოლო დავალების შესრულებისას და შეიარაღებული კონფლიქტების დროს მიღებული ჭრილობებისა ან სხეულის სხვა სახის დაზიანებებისათვის.

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – რაინდის ფარი რელიეფური (დიაგონალზე) „მახვილით“;

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „იარა. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „საბრძოლო იარისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებსა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მედლით „საბრძოლო იარისათვის“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები, სამშვიდობო ოპერაციების შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ერთობლივი სამხედრო ოპერაციების შესრულებისას მიღებული ჭრილობების ან სხვა დაზიანებებისათვის.

## ნიმუში 7. მედალი „გენერალი კვინიტაძე“



1. მედლით „გენერალი კვინიტაძე“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები, საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებისა და ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის.

2. მასალა – ლითონი ვერცხლის შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – გენერალ კვინიტაძის განზოგადებული რელიეფური პორტრეტი (პროფილი);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „გენერალი კვინიტაძე. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „გენერალი კვინიტაძე“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „გენერალი კვინიტაძე“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები), რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

## ნიმუში 8. მედალი „სიცოცხლის გადარჩენისათვის“



1. მედლით „სიცოცხლის გადარჩენისათვის“ აჯილდოებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს:

ა) საომარი მოქმედებების დროს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, საომარი მოქმედებების რაიონში მყოფი სამოქალაქო პირების ან დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენისთვის;

ბ) მშვიდობიანობის პერიოდში უბედურების ზონაში დარჩენილი ადამიანების საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადარჩენისთვის;

გ) სიცოცხლისათვის საშიში ქიმიური, რადიაქტიური და ფეთქებადი ნივთიერებების გაუვნებელყოფისთვის, რითაც თავიდან აიცილეს ადამიანების მსხვერპლი;

დ) სამშვიდობო ოპერაციების შესრულების დროს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სამხედრო მოსამსახურეების ან სამოქალაქო პირების გადარჩენისათვის.

2. მასალა – ლითონი ვერცხლის შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ჯვრის ცენტრში მოთავსებულია წმინდა ნინოს ჯვრის რელიეფური ფიგურა;

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „წმ. ნინო. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „სიცოცხლის გადარჩენისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „სიცოცხლის გადარჩენისათვის“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები) ქართული სამხედრო მოსამსახურეების ან სამოქალაქო პირების გადარჩენისათვის.

## ნიმუში 9. მედალი „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“



1. მედლით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირები სამშვიდობო ოპერაციებში ღირსეულად მონაწილეობისთვის.

2. მასალა – ლითონი ვერცხლის შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – არწივი მკერდზე რაინდის ფარით, ფარზე – გორგასლიან-დავითიანი ჯვარი, არწივის თავზევით – რვაქიმიანი ვარსკვლავი (ღვთისმშობლის ვარსკვლავი);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „სამშვიდობო ოპერაცია. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები) საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

## ნიმუში 10. მედალი „გენერალი მაზნიაშვილი“



1. მედლით „გენერალი მაზნიაშვილი“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები, წარმატებული სამხედრო ოპერაციებისა და ფართომასშტაბიანი სწავლებების დაგეგმვისა და მართვისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

2. მასალა – ლითონი ვერცხლის შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – გენერალ მაზნიაშვილის განზოგადებული რელიეფური პორტრეტი (პროფილი);

ბ) რევერსი – რელიეფური წარწერა „გენერალი მაზნიაშვილი. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „გენერალი მაზნიაშვილი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „გენერალი მაზნიაშვილი“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები), რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

## ნიმუში 11. მედალი „სტიქიასთან ბრძოლაში მამაცობისათვის“



1. მედლით „სტიქიასთან ბრძოლაში მამაცობისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირები სტიქიური მოვლენების ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების დროს, აგრეთვე მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის.

2. მასალა – ლითონი ბრინჯაოს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – გამოსახულება გადაჭდობილი ხელები (რელიეფი), რელიეფური წარწერით;

ბ) რევერსი – თავისუფალი (გამოსახულების და წარწერის გარეშე).

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – თითბერის ფირფიტა, ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „სტიქიასთან ბრძოლაში მამაცობისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## ნიმუში 12. მედალი „დიდგორის ჯვარი“






1. მედლით „დიდგორის ჯვარი“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები საომარი და საბრძოლო მოქმედებების დროს გაბედული მოქმედებებისათვის, ლიდერის თვისებებისა და თანამებრძოლის სიცოცხლის გადარჩენისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის.

2. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – მედალი „დიდგორის ჯვარი“ წარმოადგენს ვერცხლის ჯვარს, ფრთებში მეწამული (წითელი) მინანქრით. ჯვრის ცენტრში მრგვალი მედალიონის სევადის (შავი) მინანქრის ველზე გამოსახულია ვერცხლის გადაჯვარედინებული ხმალი და შურდული. ჯვარის ფრთებზე მეწამულ (წითელ) ველზე ვერცხლით ამოტვიფრულია ქართული ასომთავრულით ასო – „დ“ (დიდგორი; დავითი) და „ჩრბა“ (1121 წ). ჯვარი, საკიდით უკავშირდება ბაფთას;

ბ) რევერსი – ვერცხლის ჯვრის ზედაპირზე ამოტვიფრულია წარწერა ქართულ ენაზე მხედრული ანბანით: „სამშობლო, ღირსება, ერთგულება“ და სამი ციფრი (მედლის ნომერი) – „000“;

გ) ბაფთა არის ლივლივა მეწამული (წითელი) ფერის, გვერდებზე ორი თეთრი ზოლით;

დ) მედლის თამასა არის ლივლივა მეწამული (წითელი) ფერის, გვერდებზე ორი თეთრი ზოლით.

3. მედლით „დიდგორის ჯვარი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ლოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მედლით „დიდგორის ჯვარი“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უმაღლესი რანგის უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები), რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

## ნიმუში 13. მედალი „გიორგი ანწუხელიძე“






1. მედლით „გიორგი ანწუხელიძე“ ჯილდოვდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უმცროს, უფროს და მთავარ სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს:

ა) საბრძოლო დავალების შესრულებისას გამოჩენილი ინდივიდუალური მამაცობისათვის;

ბ) სწავლებების მართვის ან დაგეგმარების დროს გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მონაწილეობისათვის.

2. მასალა – ლითონი ოქროსფერი შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – ხუთი ჯვარი, ერთი მთავარი გარშემო არშიით და ფრთებს შორის ოთხი მცირე ჯვრით. მთავარი ჯვრის ზედა ფრთაზე ამოტვიფრულია ქართული ასომთავრული ასო „ა“;

ბ) რევერსი – რიგითი ნომერი და დევიზი ქართულ ენაზე, მხედრული ანბანით: „წინამძღოლობა, წვრთნა, წინსვლა, წარმატება“.

4. მედლის ლენტი: მკერდზე საკიდი ლენტი ღივლივა წითელი ფერის, კიდეებზე გასდევს ორი ოქროსფერი კანტი.

5. მედლის თამასა არის ღივლივა წითელი ფერის, კიდეებზე გასდევს ორი ოქროსფერი კანტი.

6. მედლით „გიორგი ანწუხელიძე“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## ნიმუში 14. მედალი „თეთრი გიორგი“




1. მედლით „თეთრი გიორგი“ ჯილდოვდებიან, საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მოქმედი და ყოფილი ხელმძღვანელი პირები (მეთაური/სარდალი/უფროსი), მოქმედი ოფიცრები, სერჟანტები და კაპრალები, რომლებმაც იმსახურეს ეროვნულ გვარდიაში 3 ან მეტი წელი (გამონაკლის შემთხვევაში წელთა ნამსახურების გათვალისწინების გარეშე) და განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს, ეროვნული გვარდიის განვითარების, აღმშენებლობის, საბრძოლო მომზადებისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების საკითხებში. (13.12.2018 N129 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე).

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – მედალი „თეთრი გიორგი“ წარმოადგენს მრგვალი ოქროსფერი მეტალის მედალიონს, რომლის ცენტრში ამოტვიფრულია ვერცხლისფერი „თეთრი გიორგი“, ოქროსფერი შვიდი მნათობი და ოქროსფერი მთა.

ბ) რევერსი – მრგვალი ოქროსფერი მედალიონის უკანა მხარეს ამოტვიფრულია წარწერა: „თეთრი გიორგი. საქართველო“.

4. მედლის ლენტი:

ა) ავერსი – ესკიზის შესაბამისად;

ბ) რევერსი – მეტალის ფირფიტა ამოტვიფრული ხუთნიშნა მედლის ნომრით.

5. მედლით „თეთრი გიორგი“ საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მოქმედ და ყოფილ ხელმძღვანელ პირებს (მეთაური/სარდალი/უფროსი), მოქმედ ოფიცრებს, სერჟანტებს და კაპრალებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. (13.12.2018 N129 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე).

6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით და შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, მედლით „თეთრი გიორგი“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები) ეროვნული გვარდიის განვითარების, აღმშენებლობისა და საბრძოლო მომზადების ამაღლების საკითხებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

## ნიმუში 15. მედალი „ღირსეული პარტნიორი“




1. მედლით „ღირსეული პარტნიორი“ ჯილდოვდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები (სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები), რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხში.

2. მასალა – ლითონი ოქროს შეფერილობით.

3. მედლის ზოგადი აღწერილობა:

ა) ავერსი – მრგვალ ლითონის ოქროს შეფერილობით მედალიონზე გამოსახულია საქართველოს თავდაცვის ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სიმბოლო (ხუთჯვრიანი კომპოზიცია ცენტრში ფარაკით, შუაგულში გადაჯვარედინებულია ხმალი და დავითის შურდული). მედალიონის გარშემო ამოტვიფრულია წარწერა – „ღირსეული პარტნიორი“, ხოლო ქვედა ნახევარში -მუხის ფოთლების გვირგვინი შუაში შვიდქიმიანი ვარსკვლავით;

ბ) რევერსი – მრგვალი ლითონის ოქროს შეფერილობის მედალიონის შუაგულში განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო გერბი, წარწერა – „NOBLE PARTNER“ და მედლის ნომერი -000. წრიულად ამოტვიფრულია ქართულ-ინგლისური წარწერები: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“ და „MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA“;

გ) ბაფთა არის ღივლივა ლურჯი ფერის, შუა ფართე მეწამული (წითელი) და ორი ვიწრო თეთრი ზოლით;

დ) ზომები: მედლის დიამეტრი – 34 მმ; მედლის სისქე – 3,5 მმ; ბაფთის სიმაღლე – 46 მმ; ბაფთის სიგანე – 32 მმ.

1 მედლის საკიდი ბაფთაზე - ორსარჭიანი „პეპელა“.

2 მედლით „ღირსეული პარტნიორი“ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი“.

დანართი №3

## სამკერდე ნიშნის ნიმუშები

### პლანშეტი №1 სნაიპერის მომზადების კურსის დამთავრების აღმნიშვნელი სამკერდე ნიშნები




პლანშეტი №1/1



პლანშეტი №1/2

1. ნიმუშები: პლანშეტი №1/1 ყოველდღიური და საავლუმე ფორმის სნაიპერის მომზადების კურსის დამთავრების აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი „არწივი შაშხანით“ – სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

პლანშეტი №1/2 - საველე ფორმის სნაიპერის მომზადების კურსის დამთავრების აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი „არწივი შაშხანით“ – სამკერდე ნიშნის წინა მხარე;

2. აღწერილობა:

ა) ყოველდღიური და საავლუმე ფორმის სნაიპერის მომზადების კურსის დამთავრების აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანზე (პლანშეტი №1/1) გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი შაშხანით. სამკერდე ნიშანი მზადდება ოქროს ან ვერცხლის ფერებში. ოქროსფერი სამკერდე ნიშანი გადაეცემა სპეციალური დანიშნულების სნაიპერის მომზადების კურსის კურსდამთავ-

რებულ სნაიპერთა პირად შემადგენლობას, ხოლო ვერცხლისფერი სამკერდე ნიშანი გადაეცემა საერთო-საჯარისო სნაიპერის მომზადების კურსის კურსდამთავრებულ სნაიპერთა პირად შემადგენლობას.

ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 43 მმ, ხოლო სიგანე 27 მმ. სამკერდე ნიშანს უკანა მხარეს არ აქვს გამოკვეთილი კონტურები, შუა ნაწილზე გამოყოფილია სამკერდე ნიშნის სანომრე ადგილი, რომელიც დაიტანება დამზადების დროს, არწივის ფრთებზე უკანა მხარეს დატანილია სპეციალური სამაგრები;

ბ) საველე ფორმის სნაიპერის მომზადების კურსის დამთავრების აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანზე (პლანშეტი №1/2) მართკუთხედის მინდვრის შუა ნაწილში, მწვანე ფერში გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი შაშხანით. მართკუთხედის სიგრძე – 50 მმ; სიგანე – 40 მმ. მართკუთხედის კონტური გამოსახულია მწვანე ფერში, მართკუთხედის კონტურის სისქეა – 3 მმ; არწივის და შაშხანის კონტურების სისქეა – 1 მმ. კონტურები გამოსახულია ყავისფერ ფერში. არწივის ფრთების შიდა მოყვანილობის კონტურების სისქეა – 1 მმ. კონტურები გამოსახულია ღია მწვანე ფერში; არწივის ნისკარტი და ფრთების კონტურების შიდა მხარე გამოსახულია ღია ყავისფერ ფერში; არწივის ბრჭყალები გამოსახულია ყავისფერ და ღია ყავისფერ ფერებში.

## პლანშეტი №2 „ღირსეული გვარდიელის“ სამკერდე ნიშნები

1. ნიმუშები: პლანშეტი №2/1 – „ღირსეული გვარდიელის“ სამკერდე ნიშანი – სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე. პლანშეტი №2/2 საველე ფორმის „ღირსეული გვარდიელის“ სამკერდე ნიშანი.

2. აღწერილობა:

ა) ყოველდღიური და სააღლუმე ფორმის „ღირსეული გვარდიელის“ სამკერდე ნიშანზე (პლანშეტი №2/1) გამოსახულია „თეთრი გიორგი“. სამკერდე ნიშანი გადაეცემა საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მოსამსახურეებსა და ეროვნული გვარდიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, დადგენილი წესით გაცემულ „ღირსეული გვარდიელის სიგელთან“ ერთად. სამკერდე ნიშანი არის თითბერისგან ჩამოსხმული ერთ ფერში, 3D განზომილებაში. სამკერდე ნიშნის კანტი, ყველა სახის წარწერა და „თეთრი გიორგის“ გამოსახულება შესრულებულია ოქროსფერში, კანტში არსებული სივრცე წითელ ფერში. სამკერდე ნიშანს უკანა მხარეს არ აქვს გამოკვეთილი კონტურები და დატანილია სპეციალური სამაგრები. ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა – 35,8 მმ, ხოლო სიგანე – 33 მმ; (13.12.2018 N129 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)



პლანშეტი №2/1




პლანშეტი №2/2

ბ) საველე ფორმის „ღირსეული გვარდიელის“ სამკერდე ნიშანი (პლანშეტი №2/2) შესრულებულია 2 (ორი) კონტრასტული ღია და მუქი მწვანე ფერით. ფარის ფორმის სამკერდე ნიშნის შუა ნაწილში გამოსახული „თეთრი გიორგი“ და სამკერდე ნიშნის კანტი სრულად შევსებულია მუქი მწვანე ფერის ნაქარგი ძაფით, ხოლო ყველა სახის წარწერა შესრულებული ღია მწვანე ფერში.

ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა – 65 მმ, სიგანეა – 55 მმ, ხოლო ნაქარგის სისქე – 1 მმ.

## პლანშეტი №3 „საუკეთესო სამხედრო“ სამკერდე ნიშანი





1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო სამხედრო“, გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის რიგით/კაპრალთა, სერჟანტთა და უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, დაჯილდოებულნი არიან, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების საუკეთესო სამხედრო მოსამხურეები და ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაკისრებული არ აქვთ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის ვერცხლის შეფერილობის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის მეწამული ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის მუზარადი და ოქროს შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო სამხედრო“;

ბ) რევერსზე დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო სამხედრო“, აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №4 „საუკეთესო სპეციალისტი“ სამკერდე ნიშანი





1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო სპეციალისტი“, გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც არანაკლებ 2 წლის განმავლობაში დანიშნულნი არიან შესაბამის თანამდებობაზე, ამ ხნის განმავლობაში გამოავლინეს მაღალი კვალიფიკაცია და თავი გამოიჩინეს სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატიურად მაღალხარისხიანად შესრულებით, ამასთან ბოლო ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ წახალისებულნი არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული ისეთი წახალისების ფორმით, რაც დაკავშირებულია დაკისრებული მოვალეობის მაღალხარისხოვნად/დავალების წარმატებით შესრულებასთან და ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაკისრებული არ აქვთ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის ვერცხლის შეფერილობის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის მეწამული ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის სტილიზებული შვიდქიმიანი ვარსკვლავი და ოქროს შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო სპეციალისტი“;

ბ) რევერსზე დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო სპეციალისტი“, აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №5 „საუკეთესო მსროლელი“ (III ხარისხი) სამკერდე ნიშანი




1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო მსროლელი“ (III ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ყველა ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის ვერცხლის შეფერილობის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ვერცხლის შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ვერცხლის შეფერილობის მედალიონის ვერცხლის შეფერილობის ველის შუაგულში გამოსახულია ვერცხლის შეფერილობის „დავითის შურდული“ და ვერცხლის შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო მსროლელი“;

ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი III და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო მსროლელი“ (III ხარისხი) აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №6 „საუკეთესო მსროლელი“ (II ხარისხი) სამკერდე ნიშანი




1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო მსროლელი“ (II ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ყველა ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის ოქროს შეფერილობის ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის „დავითის შურდული“ და მეწამულ ველზე ოქროს შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო მსროლელი“;

ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი II და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო მსროლელი“ (II ხარისხი), აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №7 „საუკეთესო მსროლელი“ (I ხარისხი) სამკერდე ნიშანი



1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო მსროლელი“ (I ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ჩატარებულ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ყველა ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის მეწამული ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის „დავითის შურდული“ და მეწამულ ველზე ოქროს შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო მსროლელი“;

ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი I და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო მსროლელი“ (I ხარისხი), აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №8 „საუკეთესო ათლეტი“ (III ხარისხი) სამკერდე ნიშანი



1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო ათლეტი“ (III ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა ფიზიკურ ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის ვერცხლის შეფერილობის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ვერცხლის შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ვერცხლის შეფერილობის მედალიონის ვერცხლის შეფერილობის ველის შუაგულში გამოსახულია ვერცხლის შეფერილობის განმკლავის გამომსახველი პიქტოგრამა და ვერცხლის შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო ათლეტი“;

ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი III და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო ათლეტი“ (III ხარისხი), აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №9 „საუკეთესო ათლეტი“ (II ხარისხი) სამკერდე ნიშანი

1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო ათლეტი“ (II ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა ფიზიკურ ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის ოქროს შეფერილობის ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის განმკლავის გამომსახველი პიქტოგრამა და მეწამულ ველზე ოქროს შეფერილობით შესრულებული






წარწერა: „საუკეთესო ათლეტი“;

ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი II და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო ათლეტი“ (II ხარისხი), აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## პლანშეტი №10 „საუკეთესო ათლეტი“ (I ხარისხი) სამკერდე ნიშანი

1. ნიმუშები: სამკერდე ნიშნის წინა მხარე; სამკერდე ნიშნის უკანა მხარე

2. სამკერდე ნიშანი „საუკეთესო ათლეტი“ (I ხარისხი), გადაეცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა ფიზიკურ ნორმატივში მიიღებს უმაღლეს შედეგს.

3. ზოგადი აღწერილობა:

ა) სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ჯვრის ფორმის მედალიონს, რომლის ფრთებს შორის გადაჯვარედინებული ოქროს შეფერილობის მახვილებია მოთავსებული. ვერცხლის შეფერილობის ჯვრის ოთხივე ფრთა დაღარულია ათი ვერცხლის შეფერილობის სხივით. ცენტრალური ოქროს შეფერილობის მედალიონის მეწამული ველის შუაგულში გამოსახულია ოქროს შეფერილობის განმკლავის გამომსახველი პიქტოგრამა და მეწამულ ველზე ოქროს შეფერილობით შესრულებული წარწერა: „საუკეთესო ათლეტი“;






ბ) რევერსზე გამოსახულია სამკერდე ნიშნის ხარისხის ამსახველი რომაული ციფრი I და დატანილია სპეციალური სამაგრები;

გ) ზომები: სამკერდე ნიშნის სიგრძეა 30 მმ, ხოლო სიგანე 30 მმ.

4. სამკერდე ნიშნით „საუკეთესო ათლეტი“ (I ხარისხი), აჯილდოებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.“.

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## „სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის №1000 ბრძანების დანართი

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისათვის სამინისტროს თანამშრომელს შეიძლება გადაეცეს შემდეგი სახის სამკერდე ნიშანი, მედალიონი ან მედალი:

### სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ (10 წელი)



ავერსი: სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ წარმოადგენს ვერცხლისფერ მრგვალ მედალიონს, რომლის ცენტრშიც ოქროსფერ ველზე გამოსახულია წითელი ფერის ჯვარი (სახ. დროშის მცირე ჯვარი), ხოლო ჯვრის ქვეშ აბრევიატურა – „შსს“. მედალიონის გარშემო ლაჟვარდისფერ (ლურჯი) ველზე ვერცხლისფერი წარწერაა: „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

რევერსი: სამკერდე ნიშნის უკანა მხარეს მოთავსებულია სამაგრი.

### სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ (15 წელი)



ავერსი: სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ წარმოადგენს ოქროსფერ მრგვალ მედალიონს, რომლის ცენტრშიც ოქროსფერ ველზე გამოსახულია წითელი ფერის ჯვარი (სახ. დროშის მცირე ჯვარი), ხოლო ჯვრის ქვეშ აბრევიატურა – „შსს“. მედალიონის გარშემო ლაჟვარდისფერ (ლურჯი) ველზე ოქროსფერი წარწერაა: „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

რევერსი: სამკერდე ნიშნის უკანა მხარეს მოთავსებულია სამაგრი.

### სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ (20 წელი)




ავერსი: სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“ წარმოადგენს სტილიზებულ ოქროსფერ ფარს, რომლის ვერცხლის ველზეც გამოსახულია მეწამული (წითელი) ფერის ჯვარი (სახ. დროშის მცირე ჯვარი). ფარის გარშემო გამოსახულია ქართული სტილიზებული ორნამენტი – „ვაზის წნული“. სამკერდე ნიშნის ქვევით რომბის ფორმის მეწამული ფერის ველზე გამოსახულია წარწერა „20“. კომპოზიციას აგვირგვინებს ოქროსფერი აბრევიატურა – „შსს“.

რევერსი: სამკერდე ნიშნის უკანა მხარეს მოთავსებულია სამაგრი.

### სამკერდე ნიშანი „დამსახურებული პოლიციელი“



ავერსი: სამკერდე ნიშანი „დამსახურებული პოლიციელი“ წარმოადგენს ვერცხლისფერ ოვალურ მედალიონს, რომლის ცენტრშიც ზევიდან ქვევით დაშვებულია ვერცხლის ხმალი; მედალიონის მეწამულ (წითელი) ველზე გამოსახულია ოქროსფერი შვიდქიმიანი ვარსკვლავი. კომპოზიციას საფუძვლად უდევს სადევიზო ბაფთა, რომლის მეწამულ ველზეც შესრულებულია ოქროსფერი წარწერა – „შსს“.

რევერსი: სამკერდე ნიშნის უკანა მხარეს მოთავსებულია სამაგრი.

## მედალიონი „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“

მედალიონი წარმოადგენს მრგვალი ფორმის ფარს, რომლის ცენტრშიც ოქროსფერ ველზე რელიეფურად გამოსახულია სამინისტროს ემბლემა. ფარს გარშემო შემოვლებული აქვს ვერცხლის ქობა ინგლისური წარწერით: „Ministry of internal affairs of Georgia“.

მედალიონის დიამეტრია 5 სმ.




## მედალიონი „განსაკუთრებული დამსახურებისა და გაწეული ღვაწლისათვის“ (შსს თანამშრომლისათვის)

ავერსი: მედალიონი „განსაკუთრებული დამსახურებისა და გაწეული ღვაწლისათვის“ წარმოადგენს მრგვალი ფორმის მედალიონს, რომლის ცენტრშიც მეწამულ (წითელი) ველზე გამოსახულია ოქროსფერი ლომი (შსს სიმბოლო). მედალიონის გარშემო ოქროსფერ ველზე ამოტვიფრულია ოქროსფერი წარწერა: „განსაკუთრებული დამსახურებისა და გაწეული ღვაწლისათვის“ და აბრევიატურა – „შსს“.

რევერსი: ოქროსფერი მეტალის მრგვალი მედალიონის უკანა მხარეს ამოტვიფრულია ოქროსფერი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ინგლისური წარწერა – „DISTINGUISHED MEDAL OF ACHIEVEMENT“ და აბრევიატურა – „შსს“.



## მედალი „მამაცობისათვის“ (შსს თანამშრომელთა და სხვა პირთათვის)

ავერსი: მედალი „მამაცობისათვის“ წარმოადგენს ოქროსფერი მეტალის მრგვალ მედალიონს, რომლის ცენტრშიც გადაჯვარედინებულ ორ ხმალზე შესრულებულია ფარი ლომის გამოსახულებით (შსს სიმბოლო). მედალიონის გარშემო განლაგებულია ოთხი მცირე ჯვარი. მედალიონი ქართული „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა მეწამული (წითელი) ფერის, ცენტრში ფართო ოქროსფერი, ხოლო კიდეებზე ორი თეთრი ზოლით. მედალის თამასა არის ლივლივა მეწამული (წითელი) ფერის, ცენტრში ფართო ოქროსფერი, ხოლო კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.

რევერსი: ოქროსფერი მეტალის მრგვალი მედალიონის უკანა მხარეს, კომპოზიციის ცენტრში ამოტვიფრულია წარწერა – „გამოჩენილი მამაცობისათვის“ და აბრევიატურა – „შსს“.



## I ხარისხის მედალი








ავერსი: I ხარისხის მედალი წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერკანტშემოვლებულ თეთრი მინანქრის ჯვარს (მალტური ჯვარი), რომელიც მოთავსებულია ოქროსფერ რკალზე. თეთრი ჯვრის ცენტრში რელიეფურად გამოსახულია სამინისტროს ემბლემა (ემბლემა მცირეოდენ სცილდება ჯვრის ცენტრს). ბაფთის ფერი იმეორებს საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერებს – ოქროსფერქობაშემოვლებულ თეთრ ველს შუაში გასდევს მეწამული ზოლი, ხოლო ოქროსფერ ქობასა და მეწამულ ზოლს შორის მეწამული ჯვრებია.

რევერსი: ჯვრის უკანა მხარეს რელიეფურად არის შესრულებული ინგლისური წარწერა – „Ministry of Internal Affairs of Georgia. For Merit" და მედლის ნომერი. მედლის დიამეტრია 5 სმ. მედალი წარმოადგენს ყელსაკიდს.

თამასა – ოქროსფერქობაშემოვლებულ თეთრ ველზე არის ვერტიკალური წითელი ზოლი, რომლის ორივე მხარეს (ოქროს ქობასა და მეწამულ ზოლს შორის) მოთავსებულია მეწამული ჯვრები.

## II ხარისხის მედალი








ავერსი: II ხარისხის მედალი წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერკანტშემოვლებულ თეთრი მინანქრის ჯვარს (მალტური ჯვარი), რომელიც მოთავსებულია ოქროსფერ რკალზე და ერთიანად განთავსებულია თექვსმეტქიმიან ოქროსფერ ვარსკვლავზე. თეთრი ჯვრის ცენტრში რელიეფურად გამოსახულია სამინისტროს ემბლემა (ემბლემა მცირეოდენ სცილდება ჯვრის ცენტრს). ბაფთის ფერი იმეორებს საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერებს – ოქროსფერქობაშემოვლებულ თეთრ ველს შუაში გასდევს სამი წითელი ზოლი.

რევერსი: თექვსმეტქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავის უკანა მხარეს რელიეფურად არის შესრულებული ინგლისური წარწერა – „Ministry of Internal Affairs of Georgia. For Merit" და მედლის ნომერი. მედლის დიამეტრია 4,3 სმ. მედალი წარმოადგენს გულსაკიდს.

თამასა – ოქროსფერქობაშემოვლებულ თეთრ ველზე არის სამი ვერტიკალური წითელი ზოლი.

## სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამკერდე ნიშანი



სამკერდე ნიშანი: მრგვალ ჰერალდიკურ ფარზე, შავ ველზე გამოსახულია მარცხნიდან მარჯვნივ დაშვებული სამი ირიბი ლენტი და სამინისტროს სტილიზებული სიმბოლო – მეწამულ ველზე ოქროს ლომის გამოსახულება. შავი ოქროსკანტებიანი არშია ოქროსფერი წარწერებით: „სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი" და „შსს", რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა ორი ოქროს შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

# სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამკერდე ნიშანი და მედალი

## მედალი „საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში უმწიკვლო სამსახურისათვის“

I ხარისხი – ჯვრის ფორმის ოქროსფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია. რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 20 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური I ხარისხს აღნიშნავს. ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.



II ხარისხი – ჯვრის ფორმის ვერცხლისფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია. რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 15 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური II ხარისხს აღნიშნავს. ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.



III ხარისხი – ჯვრის ფორმის ბრინჯაოსფერი მედალიონი. ავერსზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის ოთხი სიმბოლოს (თამარ მეფის ხელრთვა) ჯვრული კომპოზიცია. რევერსზე წარწერაა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში 10 წელი უმწიკვლო სამსახურისათვის“. ცენტრში ლათინური III ხარისხს აღნიშნავს. ბაფთა არის მწვანე ფერის, კიდეებზე ორი თეთრი ზოლით.



## გიორგი თორელის სახელობის მედალი





ავერსი: მრგვალი ფორმის ოქროსფერ მედალიონზე გამოსახულია აბჯარი (ჯაჭვის პერანგი), ზეაღმართული ხმალი მრგვალი ფარით, რომელზეც არის სახელმწიფო საზღვრის სიმბოლოს გამოსახულება; შვიდი ჯვარი (ბოლნური); ასომთავრული აბრევიატურა – „გთ“ – გიორგი თორელი. ბაფთა არის თეთრი ფერის, შუაში ფართო მწვანე ზოლით, კიდეებზე ორი შავი ზოლით. რევერსის შუაში გიორგი თორელის (ინიციალები შესრულებულია ასომთავრულით) მედლის გარშემო არის წარწერა: „სახელმწიფო საზღვრის დაცვაში შეტანილი წვლილისათვის“.

## სამკერდე ნიშანი „სანაპირო დაცვა 1998–2018“




ავერსი: ჰერალდიკური ფარი, ლურჯ (ლაჟვარდისფერი) ველზე გამოსახულია ირიბი ვერცხლის ჯვარი, სანაპირო დაცვის დროშა და ემბლემა. ცენტრში ზევიდან ქვევით დაშვებულ ოქროსფერ ღუზაზე განლაგებულია მრგვალი ოქროსფერი ლითონის მედალიონი, მასზე – სასაზღვრო პოლიციის ემბლემა, რომლის გარშემო ლურჯ (ლაჟვარდისფერი) არშიაზე ამოტვიფრულია წარწერა: „სანაპირო დაცვა“ და „1998–2018“. სამკერდე ნიშნის ზომაა 40–30 მმ-ზე.

## სამკერდე ნიშანი „საპატიო მესაზღვრე“



ავერსი: ოქროსფერი (ბოლნური) ჯვარი მწვანე მინანქრით ფრთებში, ცენტრში – მრგვალი მედალიონი. მწვანე მინანქარზე არის სახელმწიფო საზღვრის ემბლემის ოქროსფერი გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით – „საპატიო მესაზღვრე“. მედალიონის ქვევით გამოსახულია ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიცია.

## სამკერდე ნიშანი „ვეტერანი მესაზღვრე“



ავერსი: ოქროსფერი შვიდფრთიანი ვარსკვლავი (მალტური ჯვრის ფორმის ფრთა). ცენტრში – მრგვალი მედალიონი, მწვანე მინანქარზე სახელმწიფო საზღვრის ემბლემის ოქროსფერი გამოსახულება, გარშემო შავი მინანქარი წარწერით – „ვეტერანი მესაზღვრე“.

I, II, III თანრიგის სამკერდე ნიშანი.

1. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგ ვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – I, რაც თანრიგის მაჩვენებელია.




2. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – II, რაც თანრიგის მაჩვენებელია.




3. ღუზის, გადაჯვარედინებული ხმლებისა და ფრთის კომპოზიციაა. ზემოთ არის ნორმანული ფარი მწვანე ველზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სიმბოლოს გამოსახულებით. სამკერდე ნიშანს აგვირგვინებს წითელ მინანქარზე ოქროსფერი წარწერა – III, რაც თანრიგის მაჩვენებელია.




## ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲓᲔ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ „ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ – 15 ᲬᲔᲚᲘ“

სამკერდე ნიშანი „სასაზღვრო ავიაცია – 15 წელი“ არის ჰერალდიკური ფარი, რომელიც გარედან შემოსაზღვრულია ოქროსფერი ლითონით, შიგნიდან – ცისფერი მინანქრით. მინანქრითვე კომპოზიციის ცენტრში თეთრ ფონზე გამოსახულია წითელი ცენტრალური ჯვარი (წმინდა გიორგის ჯვარი), მეოთხედებში ირიბი ჯვრის ზღვარზე ოთხი მწვანე (სასაზღვრო პოლიციის სიმბოლური ფერი) სამკუთხედი, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან მოძრაობის სიმბოლოს. ცენტრის ზემოთ სასაზღვრო ავიაციის რელიეფური ემბლემაა, ხოლო ემბლემის ქვემოთ არის ოქროსფერი ლითონით შესრულებული ასევე რელიეფური წარწერა – „სასაზღვრო ავიაცია – 15 წელი“. სამკერდე ნიშნის ზომაა 40x30 მმ.



## საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 20 წელი“




ავერსი: საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია -20 წელი“ არის ჰერალდიკური ფარი, რომლის ცენტრში გამოსახულია სასაზღვრო ავიაციის ემბლემა. ჰერალდიკური ფარი გარედან შემოსაზღვრულია ოქროსფერი არშიით. ცენტრში თეთრ ფონზე გამოსახულია წითელი ცენტრალური ჯვარი (წმინდა გიორგის ჯვარი), მეოთხედებში ირიბი ჯვრის ზღვარზე ოთხი მწვანე (სასაზღვრო პოლიციის სიმბოლური ფერი) სამკუთხედი. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დროშის ფონზე რელიეფურ ორ ოქროსფერ ფრთას შორის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ემბლემაა. მედალი ოქროსფერი ცი-ხე-სიმაგრიანი საკიდითა და ვაზის ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. მედლის ბაფთა ლივლივა თეთრი ფერისაა, რომელზეც გამოსახულია ერთი წითელი და ორი მწვანე ფერის ზოლი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა თეთრი ფერის ზოლებით. მედლის თამასაზე თეთრ ველზე ერთი წითელი და და ორი მწვანე ზოლია.

რევერსი: მედლის ცენტრში ოქროსფერ ველზე ამოტვიფრულია წარწერა – „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 20 წელი“. საიუბილეო მედლის ზომა 36x43 მმ.

## სამკერდე ნიშანი „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“



გამოყენებული მასალა – ოქროსფერი უჟანგავი მეტალი. მედალზე გამოსახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ემბლემა. მედლის დიამეტრია 50 მმ.

თამასა „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ არის ლივლივა თეთრი ფერის, ცენტრში ფართო ვერტიკალური სტაფილოსფერი, ხოლო კიდეებზე ერთი ლურჯი ვერტიკალური ზოლით.

## სამკერდე ნიშანი „წარმატებული სამსახურისთვის“



გამოყენებული მასალა – ვერცხლისფერი უჟანგავი მეტალი. მედალზე გამოსახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ემბლემა. მედლის დიამეტრია 50 მმ

თამასა „წარმატებული სამსახურისთვის“ არის ლივლივა თეთრი ფერის, ცენტრში ორი ვიწრო ვერტიკალური სტაფილოსფერი, ხოლო კიდეებზე ერთი ლურჯი ვერტიკალური ზოლით.

## საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამკერდე ნიშნის, მედალიონისა და მედლის ნიმუშებისა და აღნიშნული სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანება №10 2017 წლის 8 თებერვალი

დანართი №2

### სამკერდე ნიშანი – „ღირსეული სამსახურისათვის“ – 5 წელი

ავერსი: ნიშანი წარმოადგენს ვერცხლისფერ სტილიზებულ ოთხქიმიან ვარსკვლავს. მის ცენტრში, მრგვალ ვერცხლისფერ მედალიონზე გამოსახულია ვერცხლისფერი ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ვერცხლისფერ ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას.

რევერსი: სტილიზებული ოთხქიმიანი ვარსკვლავის ზედა ნაწილში ამოტვიფრულია ციფრი „5“. სამკერდე ნიშნის დიამეტრია 3 სმ.




### სამკერდე ნიშანი – „ღირსეული სამსახურისათვის“ – 10 წელი

ავერსი: ნიშანი წარმოადგენს ვერცხლისფერ სტილიზებულ ოთხქიმიან ვარსკვლავს, რომლის ცენტრში მრგვალ ლაჟვარდისფერ (ლურჯი) მედალიონზე გამოსახულია ვერცხლისფერი ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ვერცხლისფერ ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას.

რევერსი: სტილიზებული ოთხქიმიანი ვარსკვლავის ზედა ნაწილში ამოტვიფრულია ციფრი „10“. სამკერდე ნიშნის დიამეტრია 3სმ.




### სამკერდე ნიშანი – „ღირსეული სამსახურისათვის“ – 15 წელი

ავერსი: ნიშანი წარმოადგენს ვერცხლისფერ სტილიზებულ ოთხქიმიან ვარსკვლავს, რომლის ცენტრში მრგვალ ლაჟვარდისფერ (ლურჯი) მედალიონზე გამოსახულია ოქროსფერი ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ოქროსფერ ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას.

რევერსი: სტილიზებული ოთხქიმიანი ვარსკვლავის ზედა ნაწილში ამოტვიფრულია ციფრი „15“. სამკერდე ნიშნის დიამეტრია 3სმ.



## სამკერდე ნიშანი – „ღირსეული სამსახურისათვის“ – 20 წელი




ავერსი: ნიშანი წარმოადგენს ოქროსფერ სტილიზებულ ოთხქიმიან ვარსკვლავს, რომლის ცენტრში მრგვალ ლაჟვარდისფერ (ლურჯი) მედალიონზე გამოსახულია ოქროსფერი ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ოქროსფერ ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას.

რევერსი: სტილიზებული ოთხქიმიანი ვარსკვლავის ზედა ნაწილში ამოტვიფრულია ციფრი „20“. სამკერდე ნიშნის დიამეტრია 3სმ.

## მედალიონი - „განსაკუთრებული წვლილისათვის“




ავერსი: მედალი წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერ მედალიონს, რომლის ცენტრში გამოსახულია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტილიზებული გერბის მთავარი ჰერალდიკური ფიგურა: მარჯვენა მხარეს მოტრიალებული თავით, ოქროსფერი ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ოქროსფერ ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას ერთ ფერში (ოქროსფერი).

რევერსი: მრგვალ, ოქროსფერ მედალიონზე, ცენტრში, ზედა ნაწილში გამოსახულია ოქროსფერი სტილიზებული ოთხქიმიანი ვარსკვლავი (რომლის ცენტრში მრგვალ მედალიონზე გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი, რომელიც წარმოადგენს მცირე ფარზე გამოსახულ სტილიზებულ საქართველოს სახელმწიფო დროშას) და ამოტვიფრულია წარწერები: ზედა მხარეს წრიულად „განსაკუთრებული წვლილისათვის“; ქვედა მხარეს – „FOR THE SPECIAL CONTRIBUTION“; ცენტრში ჰორიზონტალურად გამოსახულია ამობურცული მართკუთხედი წარწერის ამოსატვიფრად, რომლის ქვევით უნდა განთავსდეს ხელმოწერა.

მედალიონის დიამეტრია 7 სმ.

## მედალი „მამაცობისათვის“




ავერსი: მედალი „მამაცობისათვის“ წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერ მედალიონს, რომლის ცენტრში ქვევიდან ზევით თანმიმდევრობით გამოსახულია: სტილიზებული ჰერალდიკური ჯვარი (ბოლნური); ორი გადაჯვარედინებული, ზემოდან ქვევით დაშვებული ხმალი და მრგვალი აღმოსავლური (ხევსურული) ფარი.

რევერსი: მრგვალი, ოქროსფერი მედალიონის ცენტრში ამოტვიფრულია წარწერა „მამაცობისათვის“. მედალიონი „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა მეწამულისფერი (წითელი) ცენტრში თეთრი ზოლით. თამასა არის ლივლივა მეწამულისფერი (წითელი), ცენტრში თეთრი ზოლით. მედლის დიამეტრია 3.70 სმ

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მედალი

I ხარისხი. ავერსი: მედალი წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერ მედალიონს, რომლის ცენტრში გამოსახულია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტილიზებული ემბლემა ერთ ფერში (ოქროსფერი) მედალიონი „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ცენტრში თეთრი ფართო ზოლით. თამასა არის ლივლივა ლაჟვარდისფერი (ლურჯი), ცენტრში თეთრი ფართო ზოლით. მედლის დიამეტრია 3.70 სმ.



II ხარისხი. ავერსი: მედალი წარმოადგენს მრგვალ, ვერცხლისფერ მედალიონს, რომლის ცენტრში გამოსახულია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტილიზებული ემბლემა ერთ ფერში (ვერცხლისფერი) მედალიონი „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ცენტრში ორი თეთრი ვიწრო ზოლით. თამასა არის ლივლივა ლაჟვარდისფერი (ლურჯი), ცენტრში ორი თეთრი ვიწრო ზოლით. მედლის დიამეტრია 3.70 სმ.



## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მედალი - „საპატიო“

ავერსი: მედალი წარმოადგენს მრგვალ, ოქროსფერ მედალიონს, რომლის ცენტრში გამოსახულია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ემბლემის მთავარი ჰერალდიკური ფიგურა – ოქროსფერი ფრთებგაშლილი არწივი, მარჯვენა მხარეს მოტრიალებული თავით, რომელიც წარმოადგენს მცირე ოქროსფერ ფარზე გამოსახულ ჰერალდიკურ ჯვარს (ბოლნური) ერთ ფერში (ოქროსფერი).

რევერსი: მრგვალი, ოქროსფერი მედალიონის ცენტრში ამოტვიფრულია წარწერა „საპატიო.“ მედალიონი „ვაზის წნულის“ ორნამენტის დეტალით (საკიდი) უკავშირდება ბაფთას. ბაფთა არის ლივლივა თეთრი ფერის, ცენტრში ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ფართო ზოლით. თამასა არის ლივლივა თეთრი ფერის, ცენტრში ლაჟვარდისფერი (ლურჯი) ფართო ზოლით. მედლის დიამეტრია 3.70 სმ.



## საქართველოს დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება საქართველოს დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესების და გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. 28 ივლისი 2014 წელი

დანართი №5

### მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის“




1. მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის“ წარმოადგენს:

ა) ავერსი (I ხარისხი) – მრგვალ ოქროსფერ ჰერალდიკურ ფარს, რომელზეც განთავსებულია ვერცხლისფერი მეტალის ბოლნური ჯვარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გერბი. ჰერალდიკური ფარის ზემოთ, ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ოქროსფერი მეტალის ბაფთა, რომლის ოქროსფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა - „უმწიკვლო“, ხოლო ჰერალდიკური ფარის ქვემოდან ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ოქროსფერი ბაფთა, რომლის ოფროსფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა „სამსახურისთვის“;




ბ) ავერსი (II ხარისხი) — მრგვალ ვერცხლისფერ ჰერალდიკურ ფარს, რომელზეც განთავსებულია ვერცხლისფერი მეტალის ბოლნური ჯვარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გერბი. ჰერალდიკური ფარის ზემოთ, ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ვერცხლისფერი მეტალის ბაფთა, რომლის ვერცხლისფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა – „უმწიკვლო“, ხოლო ჰერალდიკური ფარის ქვემოდან ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ვერცხლისფერი ბაფთა, რომლის ვერცხლისფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა „სამსახურისთვის“;




გ) ავერსი (III ხარისხი) – მრგვალ ბრინჯაოსფერ ჰერალდიკურ ფარს, რომელზეც განთავსებულია ვერცხლისფერი მეტალის ბოლნური ჯვარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გერბი. ჰერალდიკური ფარის ზემოთ, ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ბრინჯაოსფერი მეტალის ბაფთა, რომლის ბრინჯაოსფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა „უმწიკვლო“, ხოლო

ჰერალდიკური ფარის ქვემოდან ბოლნურ ჯვარზე განთავსებულია ბრინჯაოსფერი ბაფთა, რომლის ბრინჯაოსფერ ველზე ლურჯი ასოებით შესრულებულია წარწერა „სამსახურისთვის“.

2. რევერსი (I, II, III ხარისხი) - მედლის უკანა მხარეს ჰერალდიკური ფარი ხარისხის შესაბამისი ფერის (ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ბრინჯაოსფერი) რომელზეც წრიულად ტვიფრული ასოებით გაკეთებულია წარწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე („საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური/SPECIAL STATE PROTECTION SERICE OF GEORGIA“). ქართულ და ინგლისურ წარწერებს შორის, ასევე ტვიფრული სახით, გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვარი. სამკერდე ნიშნის უკანა გვერდის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ერთიანი საქართველოს რუკა, რომელსაც ფონად აქვს საქართველოს სახელმწიფო დროშა.

3. მედლის მკერდზე საკიდი ლენტი (I, II, III ხარისხი) – ლაჟვარდისფერი, რომელსაც ხარისხების მიხედვით გასდევს ერთი, შესაბამისი ფერის (ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ბრინჯაოსფერი) კანტი მეწამული ზოლით.

4. მედლის თამასა (I, II, III ხარისხი) – ლაჟვარდისფერი, რომელსაც ხარისხების მიხედვით გასდევს ერთი, შესაბამისი ფერის (ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ბრინჯაოსფერი) კანტი მეწამული ზოლით.

დანართი №6

## სამახსოვრო მედალი გამორჩეული თანამშრომლობისათვის




1. სამახსოვრო მედალი „გამორჩეული თანამშრომლობისათვის“ წარმოადგენს:

ა) ავერსი – ოქროსფერ ვარსკვლავში მოთავსებულ სამსახურის გერბის ცენტრალურ კომპოზიციას, რომელსაც წრიულად გარს აკრავს ტვიფრული ასოებით შესრულებული ქართული და ინგლისურენოვანი წარწერა - („საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური/SPECIAL STATE PROTECTION SERICE OF GEORGIA“). ქართულ და ინგლისურ წარწერებს შორის, ასევე ტვიფრული სახით, გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვარი;

ბ) რევერსი – ოქროსფერ ვარსკვლავში მოთავსებულ ხუთ ოთხქიმიან (ერთი დიდი ზომის და ოთხი ირიბად განთავსებული მცირე ზომის) ვარსკვლავს სამსახურის გერბის ცენტრალური კომპოზიციიდან, რომელსაც წრიულად გარს აკრავს ტვიფრული ასოებით შესრულებული ქართული და ინგლისურენოვანი წარწერა - („გამორჩეული თანამშრომლობისათვის„/FOR OUTSTANDING COOPERATION“). ქართულ და ინგლისურ წარწერებს შორის, ასევე ტვიფრული სახით, გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვარი;

გ) მედლის მკერდზე საკიდი ლენტი - ლაჟვარდისფერი, რომელსაც გასდევს სამი ტეხილი (ორი ოქროსფერი და შუაში ერთი მეწამული) კანტი.




სამახსოვრო მედალთან ერთად გადასაცემი ბლოკნოტი: ა) ბლოკნოტის ყდის (ზომა: სიმაღლე – 32სმ., სიგანე – 22სმ.) გარე მხარე; ბ) ბლოკნოტის ყდის (ზომა: სიმაღლე – 32სმ., სიგანე – 22სმ.) შიდა მხარე. შენიშვნა: უკანა ყდის შიდა მხარეს განთავსებულია შიგთავსის სამაგრი თეთრი ლენტი მეწამული ზოლით; გ) ბლოკნოტის შიგთავსის (ზომა: A3-ის ფორმატი) გარე მხარე – თეთრი, შიდა მხარე. შენიშვნა: სამახსოვრო მედლის („გამორჩეული თანამშრომლობისათვის“) უცხოელის დაჯილდოების შემთხვევაში ბლოკნოტის შიგთავსი შეიძლება შეივსოს ინგლისურ ენაზე, დამტკიცებული ტექსტის მიხედვით.



212-01-4-202012041114

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-212;    04/12/2020                                                                                    ქ. თბილისი

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი - საგარეო საქმეთა სამინისტროს მედლით დაჯილდოების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ**

,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ,,დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის N01-74 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოს – საგარეო საქმეთა სამინისტროს მედლის (შემდგომში - სამინისტროს მედლის) ნიმუში თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი N1).

2. დამტკიცდეს სამინისტროს მედლით დაჯილდოების სერთიფიკატის ფორმა (დანართი N2).

3. დამტკიცდეს თანდართული სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი დაჯილდოების წესი და პირობები (დანართი N3).

3. დამტკიცდეს თანდართული სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივ ჯილდოზე წარდგენის ფორმა (დანართი N4).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ზალკალიანი

## საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებრივი ჯილდოს – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედლის აღწერა






საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებრივი ჯილდო - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედალი წარმოადგენს მეტალის 34 მმ დიამეტრისა და 3.5 მმ სისქის წიბოს მქონე, ოქროცურვილით დაფერილ, ორმხრივ, ერთიან სხმულს, საკიდი ყუნწით, რომელიც შესაბამის 45 მმ სიმაღლისა და 32 მმ სიგანის, მედალთან შეერთების მხარეს ორმხრივ ცერად წაკვეთილ საკიდ სალენტე ბაფთაზე მიერთებულია ორრგოლიანი ოქროთი დაფერილი საკიდი ჯაჭვით.

მედლის ავერსი: ავერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით); ავერსის ველის ცენტრში რელიეფურად გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დიდი გერბი რომელსაც შემოსაზღვრავს მაყურებლის მხრიდან მარცხნიდან მარჯვნივ რელიეფური წარწერა – „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო“; გერბის სადევიზე ბაფთის ქვეშ განთავსებულია რელიეფური, ერთმანეთზე გადაჭდობილი დაფნის ტოტები.

მედლის რევერსი: რევერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით); რევერსის ზედა ნახევარზე ჩატვიფრულია სულხან-საბა ორბელიანის ფრაზა - სადევიზე წარწერა – „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“; რევერსის ქვედა მარჯვენა მეოთხედში, მაყურებლის მხრიდან, განთავსებულია სულხან-საბა ორბელიანის რელიეფური ფაქსიმილე – ხელრთვა;რევერსის ქვედა ნაწილში განთავსებულია რელიეფური თარიღი – „1658-1725“; რომლის ქვემოთაც ცენტრალური ღერძის ჩასწვრივ საჭიროების მიხედვით დატანილი იქნება ნუმერაცია გრავირების მეთოდით.

მედლის საკიდი ბაფთა: საკიდი ბაფთა წარმოადგენს მუქცისფერ ატლასის (აბრეშუმის) ნაქსოვ რელიეფურ ლენტს ორი გადამკვეთი, ვერტიკალური, 4 მმ სიგანის თეთრი ზოლით, რომლებიც კიდეებიდან დაცილებულებია შესაბამისად 2-2 მილიმეტრით; საკიდი ბაფთის ზურგის ზედა ნაწილში განთავსებულია ჰორიზონტალური, ჩამკეტიანი სამაგრი-სარჭი.

მედლის თამასა: მედლის თამასა წარმოადგენს 32 მმ სიგანისა და 10 მმ სიმაღლის მეტალის ფირფიტას, ჰორიზონტალური, ჩამკეტიანი სამაგრი-სარჭით; მედლის თამასა დაფარულია სალენტე ბაფთით; მედლის თამასის წინა მხარეს ცენტრში განთავსებულია 8 მმ დიამეტრის, მეტალის, ოქროთი დაფერილი მინიატურა – სულხან-საბა ორბელიანის ხელრთვა.




** სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები სრულად იხ. გვ 129*

# ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები

## ლიეტუვა

### 1. ვიტაუტას დიდის ორდენი (Vytauto Didžiojo ordinas).

ლიეტუვის საპრეზიდენტო ჯილდო. შეიქმნა 1930 წელს, ლიეტუვის დიდი მთავრის, ვიტაუტას დიდის გარდაცვალებიდან 500 წლის აღსანიშნად. აღდგენილია 1991 წელს. ორდენის დიზაინი ეკუთვნის ლიეტუველ მხატვარს იონას ბურბას (აღდგენილი ორდენის დიზაინი ძველს იმეორებს). სტატუტი – ორდენი გადაეცემა ლიეტუვის და უცხო სახელმწიფოთა მეთაურებს, ასევე მოქალაქეებს, ლიეტუვის სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ორდენს გააჩნია უმაღლესი და ხუთი ხარისხი. ორდენს აქვს მედალი. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი.

ორდენის უმაღლესი ხარისხი – ოქროს ჯაჭვით, წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს. იგი შედგება ოქროს ჯაჭვის, ნიშნის, ვარსკვლავისა და ლენტისგან. ჯვარი – 50 მმ. თეთრი მინანქრის, ცენტრში მეწამული ფარით, რომელზეც სტილიზებული მხედარია გამოსახული. ფარის ზემოთ – დიდი მთავრის გვირგვინი. რევერსი – ასეთივე ფარი, სტილიზებული V ასოს გამოსახულებითა და ვიტაუტას დიდის მმართველობის წლების – „1392 – 1439“ მითითებით. ჯვარს ზემოდან ადგას სამეფო ოქროს გვირგვინი, ბრილიანტის სამი ქვით. ჯაჭვის ორნამენტი მიიღება ორმაგი ჯვრისა და სტილიზებული V ასოს მონაცვლეობით. ცენტრალური, შემაერთებელი რგოლის ფორმა და ორნამენტი აღებულია ვიტაუტას დიდის ბეჭდიდან. ვარსკვლავი – 85 მმ. ცხრაქიმიანი, გასხივოსნებული, გულში – მეწამულ მინანქარზე გამოსახულია „ვიტაუტას დიდის ორდენის“ შემცირებული ჯვარი, თავზე ოქროს გვირგვინით. ორდენის ჯვარს ატარებენ ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდ ორდენის ლენტზე, ვარსკვლავს – მკერდზე. ლენტი – თეთრ-ნარინჯისფერი 100 მმ. ქალებისათვის 65 მმ. მასალა – ოქრო; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – თეთრ-ნარინჯისფერ-ყვითელი, ვარდულით, ზედ ოქროს გვირგვინით.



ავერსი





რევერსი





I ხარისხი: დიდი ჯვარი (Didysis kryžius). დიდი ჯვრის ორდენი შედგება დიდი ჯვრის, ვერცხლის ვარსკვლავისა და ლენტისგან. ჯვარი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. ვარსკვლავი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. მასალა – ვერცხლის, გული – ლაჟვარდის; ლენტი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით; ორდენის ჯვარს ატარებენ ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდ ორდენის ლენტზე, ვარსკვლავს – მკერდზე; თამასა – თეთრ-ნარინჯისფერ-ყვითელი, ვარდულით.



მამაკაცის



ქალის







მამაკაცის



ქალის







მამაკაცის



ქალის



II ხარისხი: კომანდორის დიდი ჯვარი (Komandoro didysis kryžius). ჯვარი – 40 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. ვარსკვლავი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით; მასალა – ვერცხლის, გული – სევადის; ლენტი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით; თამასა – თეთრ-ნარინჯისფერ-ყვითელ-თეთრი, ვარდულით.

III ხარისხი: კომანდორის ჯვარი (Komandoro kryžius). ჯვარი – 40 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. ლენტი, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. თამასა – თეთრ-ნარინჯისფერ-თეთრი, ვარდულით.





IV ხარისხი: ოფიცრის ჯვარი (Karininko kryžius). ჯვარი – 42 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. ლენტი – 32 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით, როზეტით. თამასა – თეთრ-ნარინჯისფერი, ვარდულით.





V ხარისხი: რაინდის ჯვარი (Riterio kryžius). ჯვარი – 42 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. ლენტი – 32 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით. თამასა – თეთრ-ნარინჯისფერი.

მედალი – ვიტაუტას დიდის ორდენის მედლით ჯილდოვდებიან ლიეტუვის სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის. 36 მმ–ის წრიული ფორმის; მასალა – ვერცხლის; ავერსი – ვიტაუტას დიდის ორდენის ნიშანი. რევერსი: სამეფოს გვირგვინი, ქვემოთ წარწერა „ვიტაუტას დიდი" და მისი მმართველობის წლები „1392-1430". ლენტი – 32 მმ-ის, ისეთივე, როგორც ვიტაუტას დიდი ორდენის. თუ პირი ჯილდოვდება ბრძოლასა ან შრომაში სიცოცხლის რისკის ფასად გამოჩენილი დამსახურებისთვის, მედლის ლენტზე მაგრდება ორი გადაჯვარედინებული ვერცხლის ხმალი.





ავერსი




რევერსი





## 2. ვიტის ჯვრის ორდენი (Vyčio Kryžiaus ordinas)

ლიეტუვის საპრეზიდენტო ჯილდო. დაარსების თარიღი – 1919 წლის 30 ივლისი. აღდგენილია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – 1991 წლის 15 იანვარს. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი. სტატუტი – ორდენი გადაეცემა მოქალაქეებს ლიეტუვის რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ჩადენილი გმირობისათვის. ვიტის ჯვრის ორდენს აქვს ხუთი ხარისხი.



მამაკაცის



ქალის





I ხარისხი: დიდი ჯვარი (Didysis kryžius). ორმაგი ჯვარი სევადის მინანქრით. გული – სტილიზებულ მეწამულ ფარზე ვერცხლის მხედარი. უკან ორი გადაჯვარედინებული ოქროს ხმალი. რევერსზე წარწერა „Už narsumą“ და „1919“. ვარსკვლავი ცხრაქიმიანია, გასხივოსნებული, გულში „ვიტის ჯვრის ორდენის“ შემცირებული ჯვარი. მასალა – ოქრო; ლენტი – წითელ-შავი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – წითელ-შავ-ყვითელი, წითელ-შავი ვარდულით.



მამაკაცის



ქალის





მამაკაცის



ქალის



II ხარისხი: კომანდორის დიდი ჯვარი (Komandoro didysis kryžius). თამასა – წითელ-შავ-ყვითელ-თეთრი, წითელ-შავი ვარდულით.

III ხარისხი: კომანდორის ჯვარი (Komandoro kryžius). თამასა – წითელ-შავ-თეთრი, წითელ-შავი ვარდულით.





IV ხარისხი: ოფიცრის ჯვარი (Karininko kryžius). თამასა – წითელ-შავი, ვერცხლის ორი მუხის ტოტით.





V ხარისხი: რაინდის ჯვარი (Riterio kryžius). თამასა – წითელ-შავი, ვერცხლის მუხის ტოტით.

მედალი – ვიტის ჯვრის ორდენის მედალი (lit. Vyčio Kryžiaus ordino medalis) დაარსდა 2002 წლის 18 ივნისს ლიეტუვას სახელმწიფო პრემიების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად. მედლით ჯილდოვდებიან საბრძოლო პირობებში გამოჩენილი გამბედაობისა და სამხედრო დამსახურებისთვის.

აღნიშნული მედლით აგრეთვე ჯილდოვდებიან 1940-1990 წლების წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები. მედალი მზადდება ვილნიუსის ლიეტუვის ზარაფხანაში.






ავერსი რევერსი



თავდაპირველად ორდენი შეიქმნა ლიეტუვის ახლად ჩამოყალიბებული გვარდიის წევრთა დასაჯილდოვებლად წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის. ორდენის აღდგენის შემდეგ მისი პირველი მფლობელები გახდნენ ვილნიუსის სატელევიზიო ანძასთან და მედინინკაის სასაზღვრო პუნქტზე საბჭოთა ჯართან შეტაკების მსხვერპლნი. 2002 წელს მიღებული „სახელმწიფო ჯილდოების შესახებ კანონის" თანახმად, „ვიტის ჯვრის" ორდენი ენიჭება პირებს, ლიეტუვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირული დაცვისთვის, ასევე ოკუპაციის პერიოდში (1940-90) გაწეული შეიარაღებული და შეუიარაღებელი წინააღმდეგობისა და 1988-90-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვებისას გამოჩენილი მამაცობისთვის. ვიტის ჯვრის ორდენის პატივსაცემად, 23 ნოემბერს დაწესებულია დღესასწაული.

### 3. ლიეტუვას დიდი მთავრის, გედიმინასის ორდენი, გედიმინის ორდენი
(Didžiojo Lietuvos Kunigaikščio Gedimino ordinas, Gedimino ordinas)

დაარსების თარიღი – 1928 წ. აღდგენილია 1991 წელს. სტატუტი – ორდენი გადაეცემა ლიეტუვისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პატიოსანი, გულმოდგინე შრომისა და გამორჩეული ღვაწლისთვის სახელმწიფო სამსახურში ან საზოგადოებრივ საქმიანობაში. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი და მედალი. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი.

I ხარისხი: დიდი ჯვარი (Didysis kryžius). ჯვარი – 50 მმ. თეთრი მინანქრის, უკან გამავალი ოქროს სტილიზებული მზე. გულში მეწამული რომბი ოქროს კანტით, რომელზეც გამოსახულია გედიმინასის სვეტები – ლიეტუვის ერთ-ერთი ეროვნული სიმბოლო. რევერსი – ასეთივე, ოხკუთხედში სვეტების ნაცვლად წარწერა – „1316 - 1341" –გედიმინასის მმართველობის წლები. ვარსკვლავი ცხრაქიმიანია, 85 მმ, გულში შემცირებული ზომის „გედიმინასის ორდენის" ჯვარი. მასალა – ვერცხლი; ლენტი – ყვითელ-მუქი ყავისფერი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – ყვითელ-მუქი ყავისფერ-ყვითელი, მუქი ყავისფერ-ყვითელი ვარდულით.





მამაკაცის ქალის







მამაკაცის



ქალის







მამაკაცის



ქალის



II ხარისხი: კომანდორის დიდი ჯვარი (Komandoro didysis kryžius). ჯვარი, როგორიც დიდი ჯვრის. ვარსკვლავი, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი, როგორიც დიდი ჯვრის, 40 მმ-ის; თამასა – ყვითელ-მუქი ყავისფერ-ყვითელ-თეთრი, მუქი ყავისფერ-ყვითელი ვარდულით.

III ხარისხი: კომანდორის ჯვარი (Komandoro kryžius). ჯვარი, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი, როგორიც დიდი ჯვრის, 40 მმ–ის. თამასა – ყვითელ-მუქი ყავისფერ-თეთრი, მუქი ყავისფერ-ყვითელი ვარდულით.





IV ხარისხი: ოფიცრის ჯვარი (Karininko kryžius). ჯვარი – 42 მმ–ის, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი – 32 მმ-ის, როგორიც ორდენს ოქროს ჯაჭვით, როზეტით. თამასა – ყვითელ-მუქი ყავისფერი, მუქი ყავისფერ-ყვითელი ვარდულით.





V ხარისხი: რაინდის ჯვარი (Riterio kryžius). ჯვარი – 42 მმ-ის, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი – 32 მმ-ის, როგორიც დიდი ჯვრის. თამასა – ყვითელ-მუქი ყავისფერ-ყვითელი.

მედალი – 36 მმ–ის დიამეტრის წრიული ფორმის. მასალა – ვერცხლი; ავერსი: გედემანისის ორდენის ნიშანი, რევერსი: ლიეტუვის სამთავროს გვირგვინი წარწერით: „ლიეტუვის დიდი მთავარი გედიმანისი“ და მისი მმართველობის წლები: „1316–1341“. ლენტი: 32 მმ –ის, ისეთივე, როგორც გედიმანისის ორდენს. გედიმინასის ორდენით დაჯილდოვებულია 16 პირი. მათ შორის, პირველი ხუთი დაჯილდოვდა 1991 წელს, ლიეტუვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ.



ავერსი




რევერსი



### 4. ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (Ordinas Už nuopelnus Lietuvai)

სახელმწიფო ჯილდო. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი. დაარსების თარიღი – 2002 წლის 18 ივნისი. სტატუტი – ორდენი გადაეცემა ლიეტუვისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ლიეტუვას წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის: საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისა და გაფართოებისთვის, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო, ბიზნესის, სპორტის, სამხედრო და სხვა სფეროში გამოჩენილი პროფესიული მიღწევებისთვის. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი და მედალი.

I ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: დიდი ჯვარი (Didysis kryžius). ჯვარი – 50 მმ–ის, ხუთქიმიანი, თეთრი მინანქრის, უკან გამავალი ოქროს მზის სხივებით, ზედ ვერცხლის „ვიტისი“ (რაინდი – დიდი მთავრის ისტორიული და თანამედროვე ლიეტუვას გერბი). რევერსი – ჯვრის ბოლოებში ვილნიუსის, კაუნასის, კლაიპედას, შიაულიაის და პანევეჟიოს გერბები, ცენტრში წარწერა „Pro lituania“ და ორდენის დაარსების წელი – „2002“. საკიდი – ოქროსი, შვიდი სახის – სფეროების მიხედვით: წრეში – 1. გედიმინასის სვეტები (სახელმწიფო სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობები); 2. სამი მუხის ფოთოლი (ჰუმანიტარული დახმარება); 3. წიგნი (კულტურა და განათლება); 4. მერკურის კვერთხი (ბიზნესი და მრეწველობა); 5. ასკლეპიოსის სამედიცინო ემბლემა (ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა); 6. ორი გადაჯვარედინებული ხმალი (სამხედრო საქმე); 7. ჩირაღდანი (სპორტი). ვარსკვლავი – 85 მმ. ცხრაქიმიანია, ვერცხლის, გულში – ორდენის „ლიეტუვას წინაშე დამსახურებისათვის“ შემცირებული ზომის ჯვარი. მასალა – ოქრო; ლენტი – წითელ-მწვანე-ყვითელი, 100 მმ, ქალებისათვის 65 მმ; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – წითელ-მწვანე-ყვითელ-ყვითელი, ვარდულით.


მამაკაცის


ქალის






მამაკაცის


ქალის






მამაკაცის


ქალის



II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: კომანდორის დიდი ჯვარი (Komandoro didysis kryžius). ჯვარი, როგორიც დიდი ჯვრის. ვარსკვლავი, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი 40 მმ–ის, როგორიც დიდი ჯვრის. თამასა – წითელ-მწვანე-ყვითელ-ყვითელი-თეთრი, ვარდულით.

III ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: კომანდორის ჯვარი (Komandoro kryžius). ჯვარი, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი – 40 მმ, როგორიც დიდი ჯვრის. თამასა – წითელ-მწვანე-ყვითელ-თეთრი, ვარდულით.









ავერსი რევერსი



IV ხარისხი: ოფიცრის ჯვარი (Karininko kryžius). ჯვარი – 42 მმ, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი – 32 მმ, როგორიც დიდი ჯვრის, როზეტით. თამასა – წითელ-მწვანე-ყვითელი, ვარდულით.

V ხარისხი: რაინდის ჯვარი (Riterio kryžius). ჯვარი – 42 მმ, როგორიც დიდი ჯვრის. ლენტი – 32 მმ, როგორიც დიდი ჯვრის. თამასა – წითელ-მწვანე-ყვითელი.

მედალი ლიეტუვას წინაშე დამსახურებისათვის. 36 მმ-ის დიამეტრის წრიული ფორმის. მასალა – ვერცხლი; ავერსი: ორდენის, ლიეტუვას წინაშე დამსახურებისათვის ნიშანი; რევერსი: დაფნის გვირგვინი წარწერით „Pro Lituania" და მედლის დაარსების წელი: 2002. ლენტი – 32 მმ-ის, ისეთივე, როგორიც ორდენს.

## 5. ჯვარი სიცოცხლის გადარჩენისათვის (Žūvančiųjų gelbėjimo kryžius)





ავერსი რევერსი



სახელმწიფო ჯილდო. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი. დაარსების თარიღი – 1930 წელი. აღდგენილია 1991 წლის 12 სექტემბერს. სტატუტი – ჯვარი გადაეცემა ლიეტუვის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რისკისა და საშიშროების მიუხედავად გამოჩენილი მამაცური ქმედებისათვის, რესპუბლიკის ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ლიეტუვის მოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენისთვის. დასაშვებია ერთსა და იმავე ადამიანისთვის ჯვრის რამდენჯერმე მიკუთვნება. ყოველი ახალი ჯილდო აღინიშნება ოქროს ვარსკვლავით, რომელიც ერთვის ლენტს. ორდენს ხარისხები არ აქვს. ჯვარი – ოქროსი, მეწამული მინანქრით, ზედ თეთრი მტრედი, რომელსაც ნისკარტით დაფნის ტოტი უჭირავს, მტრედის ქვეშ არის ოქროს წარწერა - „SOS". ზომა 36 მმ. უკანა მხარეს გული – მრგვალ სევადზე სტილიზებული ოქროს მხედარი. გარშემო ლაჟვარდზე წარწერა – სიცოცხლის გადარჩენა (Žūvančiųjų gelbėtojui). მასალა – ოქრო; ლენტი – მუქი წითელ–თეთრი, 32 მმ;დევიზი / მაქსიმა – არ აქვს.

ომამდელ ლიეტუვაში ეს ჯვარი 44 ადამიანს გადაეცა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი ამ ჯილდოთი 345 ადამიანს მიაგეს პატივი. ასევე, „სიცოცხლის გადარჩენის ჯვრით" დაჯილდოვდნენ ლიეტუვის მოქალაქეები, რომლებმაც ნაცისტების ოკუპაციის დროს იხსნეს ებრაელები.

## 6. მედალი ლიეტუვის შეიარაღებული ძალების შემქმნელი მოხალისეებისათვის (Lietuvos kariuomenes kūrėjų Savanorių Medalis)

დაარსების თარიღი – 1928 წელი. აღდგენილია 1991 წლის 11 მარტს. დამზადდა დევნილობაში დაღუპული მხატვრის, ადომას სმეტონას დიზაინის მიხედვით. თუმცა ოდნავ შეცვლილია განახლებული მედლის რევერსზე არსებული წარწერა. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრის წარდგინებით. სტატუტი – მედალი გადაეცემა კანონით დადგენილი წესით სამხედრო მოხალისედ აღიარებულ პირებს. ასევე შეიარაღებული წინააღმდეგობის რაზმების ლიდერებს და მათ, ვინც ამ სტრუქტურების ხელმძღვანელობისაგან დაჯილდოვებული იყო მედლით „შეიარაღებული წინააღმდეგობა 1940-1990“. მედალი არის მრგვალი. ავერსი – ორი ხმლის რელიეფური გამოსახულება. ერთი ხელი შეჯავშნული, გატეხილი ხმლით. ჰორიზონტზე ჩანს გედიმინასის ციხე-სიმაგრე, საიდანაც დიაგონალზე გამოდის ჯაჭვი. რევერსი – მუხისა და დაფნის ტოტები მათ შორის წარწერა „Lietuvos savanoriui“ (1928 წელს ეწერა – SAVANORIUI). მასალა – სპილენძი; ლენტი – მწვანე-წითელი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს.


ავერსი



რევერსი



## 7. მედალი ლიეტუვის დამოუკიდებლობისათვის (Lietuvos nepriklausomybės medalis)

სახელმწიფო ჯილდო. დაარსების თარიღი – 1928 წელი, ლიეტუვას რესპუბლიკის 10 წლისთავის აღსანიშნად. გადაეცემოდა პირებს, 1919-1928 წლებში სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენაში შეტანილი წვლილისთვის. მედლის დიზაინი ეკუთვნის მოქანდაკე იოზას ზიკარასს. 2000 წლიდან მედალი მოდერნიზებულია. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი. სტატუტი – მედალი განკუთვნილია ლიეტუვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენაში გაწეული დამსახურებისათვის. მედალი არის მრგვალი. ავერსი – თავისუფლების ფრთოსანი ქალღმერთის ქანდაკების რელიეფური გამოსახულება ამომავალი მზის სხივების ფონზე. რევერსი – წარწერა: ჩვენ გავიმარჯვეთ თავისუფლების გზაზე მსხვერპლის გარეშე და თავდადებით – PER AMŽIUS BUDĖJĘ LAISVĘ LAIMĖJOM PER AUKAS IR PASIŠVENTIMĄ. 1918-1928. მასალა – ბრინჯაო; ლენტი – ყვითელი-შავი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს.

2000 წელს ლიეტუვის დამოუკიდებლობის მედალი მიენიჭა შეიარაღებული ძალების წევრებს და მოხალისე ჯარისკაცებს, „ლიტვის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკის“ გამომცემლებს, მორწმუნეთა უფლებების დაცვის კომიტეტის დამფუძნებლებს, ჰელსინკის ჯგუფის წევრებს, აგრეთვე სეიმის (Seimas), ეროვნული აღორძინების მოძრაობა „საიუდისის“ (Sajudis) და ლიეტუვის უმაღლესი საბჭოს – Reconstituent Seimas-ის წარმომადგენლებს.


ავერსი



რევერსი



## 8. მედალი „13 იანვარი“ (Sausio tryliktosios atminimo medalis)




ავერსი რევერსი



დაარსების თარიღი –1991 წელი. დიზაინი შემუშავებულია მოქანდაკე პივორიუნასის მიერ. სტატუტი – გაიცემა ლიეტუვისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, ვილნიუსში 1991 წლის 13 იანვარს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების აღსანიშნად, 1991 წლის იანვარ-სექტემბერში ლიეტუვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი. მედალი არის მრგვალი. ავერსი – ანგელოზი გედიმინასების სვეტების გერბით. ზემოთ წარწერა „SAUSIO 13“, ქვემოთ – „1991“. რევერსი – წარწერები: „ლიეტუვა“ (LIETUVA), „ჩვენ ვიყავით და ვიქნებით“ (BUVOM ESAME IR BUSIM) და მათ უკან გამავალი მუხის რტო. მასალა – სპილენძის და თუთიის შენადნობი, მონიკელებული. 38,1 მმ; ლენტი – ყვითელი-წითელი-შავი-მწვანე; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს.

„13 იანვრის“ მედალი პირველი ჯილდოა, რომელიც დაარსებულია ლიეტუვის აღდგენილ სახელმწიფოში და სხვა სახელმწიფო მედლებთან შედარებით, მისით ყველაზე ხშირად ჯილდოვდებიან. ცხრა წლის განმავლობაში „13 იანვრის მედალი“ გადაეცა ლიეტუვისა და უცხო ქვეყნების სამი ათას მოქალაქეს.

## 9. დარიოსის და გირენასის მედალი (Dariaus ir Girėno medalis)




ავერსი რევერსი



დაარსების თარიღი – 1933 წ. აღდგენილია 1991 წლის12 სექტემბერს. 2003 წლის 15 დეკემბრის შემდეგ მედალი არის უწყებრივი. მიმნიჭებელი – თავდაცვის მინისტრი, ეროვნული კომუნიკაციების / სამოქალაქო ავიაციის / მინისტრი. ჯილდოს დიზაინი ეკუთვნის მოქანდაკე გარსკას. სტატუტი – დაარსებულია მფრინავების, სტეფონას დარიუსის და სტასის გირენასის საპატივცემულოდ და გაიცემა ლიეტუვის ავიაციაში შეტანილი წვლილისათვის. მედალი არის მრგვალი. ავერსი – სტეფონას დარიუსისა და სტასის გირენასის პროფილების „რელიეფური გამოსახულება, ქვემოთ, ნახევარწრეზე განთავსებული წარწერით „DARIUS IR GIRĖNAS“. რევერსი – წარწერა UŽ / NUOPELNUS / LIETUVOS / AVIACIJAI / 1933 07 15-17. და მის ზემოთ კონტინენტების ფონზე აღნიშნულია მათი ფრენის მარშრუტი. მასალა – სპილენძი; ლენტი – ლურჯი-მწვანე-თეთრი. დევიზი / მაქსიმა – არ აქვს.

მედალი პირველად მიიღეს ლიეტუვის საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ავიაციის ვეტერანებმა. სულ კი ეს ჯილდო 79 ადამიანს მიენიჭა.

# ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

## 1. ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ (L’Orde national de la Legion d’honneur)

ქვეყნის უმაღლესი, საპრეზიდენტო ჯილდო. დაარსების თარიღი დაწესებულია ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორც საფრანგეთის პირველი კონსულის მიერ, 1802 წლის 19 მაისს. სტატუტი – ორდენი გადაეცემა მოქალაქეებს საფრანგეთის წინაშე განსაკუთრებული სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისათვის. გადაეცემა უცხოელებსაც. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი. მიმნიჭებელი – საფრანგეთის პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად არის საპატიო ლეგიონის ორდენის დიდი მაგისტრი.

I ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: დიდი ჯვარი (Grand Croix). დიდი ჯვრის ორდენი შედგება დიდი ჯვრის, ვარსკვლავისა და ლენტისგან. ჯვარი – თეთრი მინანქრის, ხუთქიმიანი, უკან ზურმუხტის დაფნის გვირგვინი. გული ლაჟვარდის, წრიული წარწერით – საფრანგეთის რესპუბლიკა (Republique Francaise), მის ცენტრში ოქროს „მარიანა“ – საფრანგეთის რესპუბლიკის პერსონიფიცირებული სახე – სიმბოლო. საკიდი – ზურმუხტის დაფნის გვირგვინი. ვარსკვლავი არის ოქროს ხუთქიმიანი ჯვარი გამავალი სამ-სამი ხმლის პირით. გული „მარიანა“, გარშემო წარწერით „Honneur et patrie და Republique Francaise“.

დიდი ჯვრის კავალერი ორდენს ატარებს ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდ ორდენის ლენტზე. ოქროს ვარსკვლავს მკერდზე, მარცხენა მხარეს. მასალა – ოქრო; ლენტი – წითელი; დევიზი / მაქსიმა – ღირსება და სამშობლო (Honneur et patrie); თამასა – წითელ-ყვითელი, ვარდულით.







II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: გრანდ ოფიცერი (Grand Officier). ატარებს ორდენის ლენტით, ვარდულით. ვერცხლის ვარსკვლავს – მკერდზე, მარჯვენა მხარეს. თამასა – წითელ-ყვითელი-თეთრი, ვარდულით.









III ხარისხი: კომანდორი (Commandeur). ატარებს კისერზე ორდენის ლენტით. თამასა – წითელ-თეთრი, ვარდულით.



IV ხარისხი: ოფიცერი (Officier). ატარებს ორდენის ლენტით, ვარდულით. თამასა – წითელი, ვარდულით.



V ხარისხი: კავალერი (Chevalier). ატარებს ორდენის ლენტით. თამასა – წითელი.

ჩანაფიქრის მიხედვით, ორდენი შექმნილია რაინდული ორდენების ტრადიციისა და კოდექსის მიხედვით, არა როგორც გადასაცემი ჯილდო, არამედ როგორც საპატიო ლეგიონერთა ორგანიზაცია, რომლის წევრადაც მიიღება მხოლოდ ქვეყნის წინაშე უდიდესი და გამორჩეული ღვაწლის მქონე პიროვნება. ამდენად, საპატიო ლეგიონი დღემდე ითვლება საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციად, რესპუბლიკის სიმბოლოდ, ხოლო ორდენის წევრობა კი გამორჩეულ პატივად და დაფასებად. საპატიო ლეგიონში მიიღებიან უცხოელებიც, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი ორდენის წევრობა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისებისთვისაა დაშვებული. შარლ დე გოლის სიტყვებით, „საპატიო ლეგიონი ესაა ელიტური გაერთიანება ცოცხალთა შორის“.

შექმნის დღიდან ორდენის წევრთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა მისი პრესტიჟისთვის სახიფათოდ მიიჩნეოდა, ამიტომ დროთა განმავლობაში, ქვეყნის პირველი პირების მხრიდან ხდებოდა ორდენის კავალრების ლიმიტირება. ბოლოს, 2017 წლის 2 ნოემბერს, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გადაწყვიტა მნიშვნელოვნად შეემცირებინა დასაჯილდოებელთა რაოდენობა. მისი განკარგულებით, წელიწადში სამოქალაქო პირთა რაოდენობა 50%-ით, სამხედრო პირთა 10%-ით, ხოლო უცხოელთა 25% -ით შემცირდა.

## 2. გათავისუფლების ორდენი (L’Ordre de la Libération)

საფრანგეთის სახელმწიფო ჯილდო. დაარსების თარიღი – დაარსდა 1940 წლის 16 ნოემბერს გენერალ შარლ დე გოლის მიერ. პირველი ორდენი გაიცა 1941 წლის 29 იანვარს, ბოლო – 1960 წლის 2 აპრილს. ამჟამად ორდენის გადაცემა შეჩერებულია.

სტატუტი – ორდენი განკუთვნილი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე-თათვის, სამხედრო ფორმირებებისა და სამოქალაქო გაერთიანებებისათვის. გადაეცემოდა უცხოელებსაც. ორდენს ხარისხები არ აქვს. მიმნიჭებელი – გენერალ შარლ დე გოლი.

ნიშანი: ავერსი – ფარი ხმლით, ზედ სევადის ორმაგი ჯვრით. რევერსი – წარწერა „ქვეყნისათვის გავიმარჯვეთ“ (Patriam servando victoriam tulit). მასალა – სპილენძი; ლენტი – მწვანე-შავი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – მწვანე-შავი.

თავისუფლების ორდენით დაჯილდოვებულთა საერთო რაოდენობაა: 1038 კავალერი, 18 სამხედრო ნაწილი და 5 ტერიტორიული ერთეული.






## 3. ღირსების ეროვნული ორდენი (L’Ordre national du Mérite)

დაარსების თარიღი – დაარსდა საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ შარლ დე გოლის მიერ, 1963 წლის 3 დეკემბრის ბრძანებით, არსებული მრავალრიცხოვანი უწყებრივი ორდენების ჩასანაცვლებლად.

სტატუტი – ორდენი გადაეცემა სამოქალაქო და სამხედრო პირებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის. გადაეცემა უცხოელებსაც. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი. საფრანგეთის ყოველი პრემიერ–მინისტრი ორდენის გროსმეისტერია. მიმნიჭებელი – პრემიერ-მინისტრი.

I ხარისხი: დიდი ჯვარი (Grand Croix). ჯვარი ლაჟვარდის ექვსქიმიანი, მკლავებს შორის სტილიზებული შროშანით. გულში ოქროს „მარიანა“, გარშემო წარწერით – საფრანგეთის რესპუბლიკა (Republique Francaise). საკიდი – ოქროს დაფნის გვირგვინი.ვარსკვლავი არის თორმეტქიმიანი ჯვარი გამავალი ხმლის პირებით. გული – „მარიანა“, გარშემო წარწერით „Republique Francaise“. ატარებენ ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდ ორდენის ლენტზე. ოქროს ვარსკვლავს – მკერდზე მარცხენა მხარეს. მასალა – ოქრო; ლენტი – ლურჯი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; თამასა – ლურჯ-ყვითელი, ლურჯი ვარდულით.













II ხარისხი: გრანდ ოფიცერი (Grand Officier). ატარებს ორდენის ლენტით, ვარდულით. ვერცხლის ვარსკვლავს მკერდზე, მარჯვენა მხარეს. თამასა – ლურჯ-ყვითელი-თეთრი, ლურჯი ვარდულით.

III ხარისხი: კომანდორი (Commandeur). ატარებს კისერზე ორდენის ლენტით. თამასა – ლურჯ-თეთრი, ლურჯი ვარდულით.









IV ხარისხი: ოფიცერი (Officier). ატარებს ორდენის ლენტით, ვარდულით. თამასა – ლურჯი, ვარდულით.

V ხარისხი: რაინდი (Chevalier). ატარებს ორდენის ლენტით. თამასა – ლურჯი.

50 წლის განმავლობაში სულ გაცემულია 306 000 ორდენი. ჯილდოს პრესტიჟისა და მნიშვნელობის ასამაღლებლად, მთავრობა ცდილობს თანდათან შეამციროს მისი გაცემის რაოდენობა.

## 4. აკადემიური პალმის ორდენი (l’Ordre des Palmes académiques)

დაარსების თარიღი – დააწესა ნაპოლეონ ბონაპარტემ 1808 წლის 19 მარტს. უძველესი ორდენი, საპატიო ლეგიონის ორდენის შემდეგ. აღდგენილია 1955 წელს, პრეზიდენტ რენე კოტის მიერ. სტატუტი – ორდენი გადაეცემა პარიზის უნივერსიტეტის აკადემიკოსებსა და პროფესორებს, ზოგიერთ ლიცეუმების და სახალხო განათლების წარმომადგენლებს – განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ორდენს აქვს სამი ხარისხი. ბოლო ხარისხი შეიქმნა 1955 წელს. ერთი ხარისხიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ 5 წლის შემდეგ. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი, განათლების მინისტრის წარდგინებით.





I ხარისხი: კომანდორი (Commandeur). ნიშანი პალმის გვირგვინი. საკიდი პალმის ორნამენტული გვირგვინი. მასალა – სხვადასხვა; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; ატარებენ კისერზე ორდენის ლენტით; თამასა – იასამნისფერ-თეთრი, იასამნისფერი ვარდულით.





II ხარისხი: ოფიცერი (Officier). ატარებს საკიდის გარეშე ლენტზე, ვარდულით. თამასა – იასამნისფერი, ვარდულით.

ორდენი დაარსების დღიდან გადაეცემოდათ მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებს, აკადემიური განათლების წარმომადგენლებს, ხოლო 1850 წელს გაიყო ორად: ოქროსა და ვერცხლის პალმებად. იმისთვის, რათა აღენიშნათ განათლებასა და კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი, როგორც ფრანგების, ასევე უცხოელი ექსპატრიანტების მხრიდან, 1866 წლიდან დასაჯილდოვებელთა არეალი გაფართოვდა და გავრცელდა დაწყებითი, სახალხო განათლების მუშაკებსა, ასევე მეცნიერებზე, ლიტერატორებსა და ხელოვანებზე.

დასაჯილდოვებელის მინიმალური ასაკი უნდა იყოს 35 წელი.





III ხარისხი: კავალერი (Chevalier). ატარებს ლენტზე, საკიდის გარეშე. თამასა – იასამნისფერი.

## 5. ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენი (L'Ordre des Arts et des Lettres)

დაარსების თარიღი – არის უწყებრივი ჯილდო, რომელიც, დაარსდა 1957 წლის 2 მაისს. ორდენის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციების მინისტრი ორდენის საბჭოსთან ერთად. სტატუტი – ორდენი გადაეცემა პირებს, რომელთაც ხელოვნებასა და ლიტერატურის დარგში მიღწეული წარმატებებით შეძლეს მისი პოპულარიზაცია და გავრცელება საფრანგეთსა და მთელ მსოფლიოში. ორდენს აქვს სამი ხარისხი. მიმნიჭებელი – კულტურისა და კომუნიკაციების მინისტრი.





I ხარისხი: კომანდორი (Commandeur). ჯვარი რვაქიმიანი ზურმუხტის, გულში ოქროზე წარწერით – საფრანგეთის რესპუბლიკა (Republique Francaise), ზედ თეთრზე ოქროს AL. საკიდი ოქროს ორნამენტული რგოლი. მასალა – ოქრო; ლენტი – მწვანე-თეთრი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს. ატარებენ კისერზე ორდენის ლენტით. თამასა – მწვანე-თეთრი-თეთრი, მწვანე-თეთრი ვარდულით.





II ხარისხი: ოფიცერი (Officier). ატარებენ საკიდის გარეშე ლენტზე, მწვანე–თეთრი ვარდულით. თამასა – მწვანე-თეთრი, მწვანე-თეთრი ვარდულით.





III ხარისხი: კავალერი (Chevalier). ატარებს საკიდის გარეშე ლენტზე. თამასა – მწვანე-თეთრი.

ორდენის საბჭოსათვის დასაჯილდოვებელ კანდიდატთა დასახელება ხდება ცალკეული პრეფექტურების მიერ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განხილვის შემდეგ კი წარედგინება მინისტრს დასამტკიცებლად. ორდენის პრესტიჟის შესანარჩუნებლად ყოველთვის არსებობდა კანდიდატთა შერჩევის მაღალი კრიტერიუმები და ჯილდო გაიცემოდა შეზღუდული რაოდენობით. ორდენის კავალერის ოფიცრის კლასით დაჯილდოვება შესაძლებელია არაუადრეს 5 წლისა, ხოლო კომანდორის კლასით დაჯილდოვება ხდება 5 წლის გასვლის შემდეგ. საფრანგეთში მუდმივად მაცხოვრებელი უცხოელები იგივე პირობებით ჯილდოვდებიან, როგორც საფრანგეთის მოქალაქეები. სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც არ ცხოვრობენ საფრანგეთის ტერიტორიაზე, არ ეხებათ ასაკობრივი და ორდენის ხარისხთა თანმიმდევრობის დაცვის წესი. მათი რაოდენობა არ შედის დეკრეტით დადგენილ რაოდენობაში და დასაჯილდოვებლად ნიშნავენ ცალკე დღეს. პარლამენტის დეპუტატებს მანდატის ამოწურვამდე არ აჯილდოვებენ ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენით.

## 6. ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (L’Ordre du Mérite agricole)

უწყებრივი ჯილდო. თავდაპირველად ჰქონდა მხოლოდ კავალერის ხარისხი, 1887 წელს დაემატა ოფიცრის, 1900 წელს კი – კომანდორის ხარისხი. დაარსების თარიღი – 1883 წლის 7 ივლისი. სტატუტი – ორდენი გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო დარგში მიღწეული წარმატებებისათვის. ორდენს აქვს სამი ხარისხი. მიმნიჭებელი – სოფლის მეურნეობის მინისტრი ორდენის საბჭოსთან ერთად.

I ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: კომანდორი (Commandeur). ვარსკვლავი – თეთრი მინანქარი, ექვსქიმიანი, უკან პურისა და სიმინდის ოქროს ღეროებით. გულში ლაჟვარდზე წარწერა – საფრანგეთის რესპუბლიკა (Republique Francaise), ზედ ოქროს „მარიანა“. საკიდი – ოქროს დაფნის გვირგვინი; მასალა – ოქრო; ლენტი – მწვანე-წითელი; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს. ატარებენ კისერზე ორდენის ლენტით. თამასა – მწვანე-წითელი-თეთრი, მწვანე-წითელი ვარდულით.





1999-მდე 1999-დან







1999-მდე 1999-დან



1999-მდე 1999-დან

II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: ოფიცერი (Officier). ატარებენ საკიდის გარეშე ლენტზე, მწვანე-წითელი ვარდულით. თამასა – მწვანე-წითელი, მწვანე-წითელი ვარდულით.

III ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ: კავალერი (Chevalier). ატარებენ საკიდის გარეშე ლენტზე. თამასა – მწვანე-წითელი.

## 7. ორდენი საზღვაო დამსახურების (L’Ordre du Mérite maritime)

სახელმწიფო ჯილდო. დაარსების თარიღი – 1930 წლის 9 თებერვალი. სტატუტი – ორდენი გადაეცემა სამხედრო, ასევე სამოქალაქო ფლოტის მეზღვაურებს სიცოცხლისთვის საშიში ქმედებებისა და სხვა პროფესიული დამსახურებისთვის. ორდენს აქვს სამი ხარისხი. მიმნიჭებელი – საზღვაო მინისტრი.



I ხარისხი: კომანდორი (Commandeur). ვარსკვლავი – თეთრი მინანქრის, რვაქიმიანი, უკან რვაქიმიანი ოქროს მცირე ვარსკვლავით. ზედ ოქროს ღუზა, გულში ლაჟვარდზე წარწერა – საფრანგეთის რესპუბლიკა /Republique Francaise/, ცენტრში – ოქროს „მარიანა“ მასალა – ოქრო; ლენტი – ლურჯი-მწვანე; დევიზი / მაქსიმა – არ აქვს; ატარებს კისერზე ორდენის ლენტით; თამასა – ლურჯი-მწვანე-თეთრი, ლურჯ-მწვანე ვარდულით.











II ხარისხი: ოფიცერი (Officier). ატარებს საკიდის გარეშე ლენტზე, ლურჯი-მწვანე ვარდულით. თამასა – ლურჯი-მწვანე, ზედ ლურჯი-მწვანე ვარდულით.

III ხარისხი: კავალერი (Chevalier). ატარებს საკიდის გარეშე ლენტზე. თამასა – ლურჯი-მწვანე.

ორდენი შედის საზღვაო მინისტრის იურისდიქციაში, რომელსაც ეხმარება საფრანგეთის პრემიერ მინისტრის მიერ 4 წლის ვადით დანიშნული ორდენის საბჭო. თითოეული დაჯილდოვება ხდება კონკრეტული დამსახურებებისათვის. არ ჯილდოვდებიან საფრანგეთის პარლამენტის წევრები. ორდენი, შესაძლოა, გადაეცეთ უცხოელებსაც, რომლებიც აკმაყოფილებენ იმავე მოთხოვნებს, რასაც საფრანგეთის მოქალაქეები. გამონაკლის შემთხვევებში აჯილდოვებენ სიკვდილის შემდეგაც. დაჯილდოვება ხდება წელიწადში ორჯერ 1 იანვარს და 14 ივლისს. კომანდორს უნდა ჰქონდეს ოფიცრის ხარისხი მინიმუმ 5 წელი. ოფიცერს უნდა ჰქონდეს კავალერის ხარისხი არანაკლებ 8 წლისა. კავლერი უნდა იყოს არანაკლებ 30 წლისა და საზღვაო ფლოტში არანაკლებ 15 წლის ნამსახურობის სტაჟით. გამოარჩევენ დასაჯილდოვებელ პირთა სამ კონტინგენტს:

- კონტინგენტი A – სავაჭრო ფლოტის ეკიპაჟის წევრები, სამოქალაქო საზღვაო ადმინისტრაციის ოფიციალური პირები, ლიცენზიის მქონე ნებისმიერი კომპანიის სამაშველო გემის ეკიპაჟის წევრები.
- კონტინგენტი B – სამხედრო მეზღვაურები, რომლებიც საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ემსახურებიან.
- კონტინგენტი C – ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვილილი შეიტანეს საზღვაო სფეროს განვითარებაში, მათ შორის კომერციული საზღვაო პორტების, თევზაობისა და წყლის სპორტის განვითარებაში.

## ჩეხეთი

### 1. თეთრი ლომის ორდენი (Řád Bílého lva )

ჩეხეთის საპრეზიდენტო ჯილდო. დაარსების თარიღი – შეიქმნა 1922 წელს ჩეხოსლოვაკიისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. 1922–1990 წლებში ორდენს ეწოდებოდა „ჩეხოსლოვაკიის თეთრი ლომის ორდენი", რომელსაც ჰქონდა სამი ხარისხი. 1990 წელს ორდენს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, თუმცა თეთრი ლომის არსებული ფარიდან აიღეს სლოვაკიის გერბი. ორდენის დღევანდელი სახის ავტორია მიხალ ვიტანოვსკი, რომელიც დაჯილდოვდა 1994 წელს. სტატუტი – ორდენი გადაეცემა ჩეხეთის და უცხო სახელმწიფოთა მეთაურებს ან მოქალაქეებს, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, ჩეხეთის სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი. ამ ორდენის მფლობელი ჩეხეთის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში ორდენი უბრუნდება სახელმწიფოს. ყველა ორდენს აქვს ინდივიდუალური ნომერი. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი.



I ხარისხი: დიდი ჯვარი (velkokřížovník). დიდი ჯვარი შედგება დიდი ჯვრის, ოქროს ვარსკვლავისა და ლენტისგან. ჯვარი – მეწამული მინანქრის, ხუთქიმიანი. ჯვრის მკლავებს შორის – ცაცხვის ფოთლები. გულში ვერცხლის ორკუდიანი ლომი – ჩეხეთის ჰერალდიკური სიმბოლო. რევერსი – ჩეხეთის რესპუბლიკის მონოგრამა და წარწერა – „სიმართლე იმარჯვებს (Pravda vítězí)". საკიდი – ცაცხვის ფოთლების ოქროს გვირგვინი, ზედ ორი გადაჯვარედინებული ხმალი. ვარსკვლავი გასხივოსნებული, რვაქიმიანი, გულში მეწამულ ველზე წარწერა – „სიმართლე იმარჯვებს (Pravda vítězí)", ზედ – ვერცხლის ორკუდიანი ლომი. I ხარისხის ორდენს დიდი ჯვრით და ჯაჭვით ატარებს მხოლოდ ჩეხეთის პრეზიდენტი, რომელიც, დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილებით, შეიძლება, გადაეცეს სამუდამოდ. მას ატარებენ ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდი ორდენის ლენტზე, ვარსკვლავს – მკერდზე მარცხენა მხარეს. ლენტი – წითელ-თეთრი; მასალა – ოქრო; დევიზი / მაქსიმა – სიმართლე იმარჯვებს (Pravda vítězí); თამასა – წითელ-თეთრი, ზედ გამოსახულია ვერცხლის ორკუდიანი ლომი, აქეთ–იქით ცაცხვის ვერცხლის ფოთლებით.









ხმლებით ხმლების გარეშე





II ხარისხი: დიდი ოფიცერი (velkodůstojník). ატარებს კისერზე, ორდენის ლენტზე, ვარსკვლავს – მარჯვენა მხარეს, მკერდზე. თამასა – წითელ-თეთრი, ვერცხლის ორკუდიანი ლომით.



ხმლებით ხმლების გარეშე



III ხარისხი: კომანდორი (komandér). ატარებს კისერზე, ორდენის ლენტზე. თამასა – წითელ-თეთრ-ყვითელი, ვარდულით.



ხმლებით ხმლების გარეშე



IV ხარისხი: ოფიცრი (důstojník). ატარებს შემცირებულ ჯვარს მარცხნივ მკერდზე, ლენტზე ვარდულით. თამასა – წითელ-თეთრი, ვარდულით.



ხმლებით ხმლების გარეშე



V ხარისხი: რაინდი (rytíř). ჯვარი, როგორიც ოფიცერს, შემცირებული. ოქროს დეტალები შეცვლილია ვერცხლით. თამასა – წითელ-თეთრი.

## 2. ტომაშ გარიგ მასარიკის ორდენი (Řád Tomáše Garrigua Masaryka)

ჩეხეთის ერთ-ერთი უმაღლესი, საპრეზიდენტო ჯილდო, რომელსაც მიკუთვნებული აქვს ჩეხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლისა და პირველი პრეზიდენტის, ტომაშ გარიგა მასარიკის (1850–1937) სახელი. დაარსების თარიღი – შეიქმნა 1990 წელს ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებისათვის. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ, 1994 წელს, ორდენი განახლდა. მისი დღევანდელი დიზაინის ავტორია ვლადიმირ ოპლი. ამ ორდენის მფლობელი ჩეხეთის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, ორდენი უბრუნდება სახელმწიფოს. სტატუტი – ორდენი გადაეცემა ჩეხეთის და უცხო სახელმწიფოთა მეთაურებს ან მოქალაქეებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დემოკრატიის განვითარების, ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ორდენს აქვს ხუთი ხარისხი. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი.

I ხარისხი. ჯვარი – ლაჟვარდის მინანქრის, ხუთქიმიანი. გულში – ოქროზე ტომაშ გარიგა მასარიკის გამოსახულება პროფილში. რევერსი – წარწერა: „ჩვენ დავრჩებით ერთგულები (Věrni zůstaneme)“. საკიდი – ოქროს დაფნის გვირგვინი. ვარსკვლავი გასხივოსნებული, რვაქიმიანი, ვერცხლის. გულში ტომაშ გარიგა მასარიკის ოქროს გამოსახულება, გარშემო წარწერით – „ჩვენ დავრჩებით ერთგულები (Věrni zůstaneme)“. I ხარისხის ორდენს ატარებს ჩეხეთის პრეზიდენტი, რომელიც დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილების საფუძველზე, შეიძლება, გადაეცეს სამუდამოდ. ატარებენ ყაწიმზე – მხარზე გადასაკიდი ორდენის ლენტზე, ვარსკვლავს – მკერდზე; ლენტი – თეთრ-ლურჯ-წითელი. მასალა – ოქრო. დევიზი / მაქსიმა – დავრჩებით ერთგულები (Věrni zůstaneme); თამასა – თეთრ-ლურჯ-წითელი, ოქროს რვაქიმიანი ვარსკვლავით.





II ხარისხი. ატარებენ კისერზე, ორდენის ლენტზე. ვარსკვლავი რომბისებრი ვერცხლის, მკერდზე მისამაგრებელი. თამასა – თეთრ-ლურჯ-წითელი, ოქროს ოთხქიმიანი ვარსკვლავით.



III ხარისხი. ატარებენ კისერზე, ორდენის ლენტზე. თამასა – თეთრ-ლურჯ-წითელი, ოქროს რვაქიმიანი ვარსკვლავით.



IV ხარისხი. ატარებენ შემცირებულ ჯვარს მარცხნივ, მკერდზე, ლენტზე ვარდულით. თამასა – თეთრ-ლურჯ-წითელი, ვარდულით.



V ხარისხი. ჯვარი, როგორიც ოფიცერს, შემცირებული. ოქროს დეტალები შეცვლილია ვერცხლით. თამასა – თეთრ-ლურჯ-წითელი.

### 3. მედალი გმირობისათვის (Medaile Za hrdinství)




ავერსი რევერსი



1990-92



1990-92



1994-დან

სამხედრო ჯილდო.დაარსების თარიღი – დაარსდა 1990 წელს, ერნა მასაროვიჩოვას დიზაინის მიხედვით. 1994 წლიდან მედლის თამასამ გარკვეული სახეცვლილებები განიცადა. სტატუტი – მედალი გადაეცემა სამხედრო, ან სამოქალაქო პირებს, რომელთაც საბრძოლო მოქმედებაში გამოიჩინეს გმირობა ან საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინეს სხვა ადამიანის სიცოცხლე და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობა. მიმნიჭებელი – პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრის წარდგინებით. მედალი არის მრგვალი. ავერსი – ორკუდიანი ლომის გამოსახულება. რევერსი – ჩეხეთის რესპუბლიკის გერბი. მასალა – ვერცხლი; ლენტი – ყვითელ-თეთრ-წითელ-ლურჯი; დევიზი / მაქსიმა – არა აქვს; თამასა – 1990–1992 წ.წ. ნარინჯისფერ-თეთრ-წითელ-ლურჯი. 1990–1992 წ.წ. სამხედრო. ნარინჯისფერ–თეთრ–წითელ–ლურჯი, ზედ გადაჯვარედინებული ვერცხლის ორი ხმლით; 1994 წლიდან ყვითელ-თეთრ-წითელ-ლურჯი.

### 4. მედალი დამსახურებისათვის (Medaile Za zásluhy).

ჩეხეთის რესპუბლიკის დაბალი რანგის სახელმწიფო მედალი, რომლითაც ჯილდოვდებიან როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირები. დაარსების თარიღი –1990 წელი. შექმნილია ირჟი ჰარკუბას დიზაინის მიხედვით. 1994 წლიდან მედლის თამასამ გარკვეული სახეცვლილებები განიცადა.




ავერსი რევერსი




ავერსი რევერსი





* *ევროპის სხვა ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები იხ. გვ. 145*

# ქართული ფალერისტიკის სათავეებთან

## ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა პირველი პროექტები (XVIII-XIX საუკუნეები)

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ნარკვევები საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დარგის – ქართული ფალერისტიკის ისტორიიდან.

ფალერისტიკა ანუ ჯილდოთმცოდნეობა წარმოადგენს საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ დამხმარე დარგს, რომელიც შეისწავლის ჯილდოებს, კერძოდ, ორდენებსა და მედლებს, ასევე ჯილდოდ გაცემულ საპატიო იარაღს – თანმხლები დოკუმენტებითურთ.

ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის საკითხები მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი წიგნში „ქართული ფალერისტიკა“ (თბ., 1995).

ეს გამოკვლევა ორ ნაწილად იყოფა. მისი ქრონოლოგიური ჩარჩო იწყება XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისამდე გრძელდება.

ამ სტატიაში არ არის განხილული მოგვიანებით შექმნილ ქართულ ჯილდოთა ისტორია, რომელიც ნაწილობრივ უკვე შესწავლილი გვაქვს ჩვენს ზემოთხსენებულ წიგნში და ასევე, ცალკეულ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალებში „ჰეროლდი“ (№ 6) და „ისტორიანი (№№ 97-98; 100-103; 105).

## ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა პირველი პროექტი (1799 წელი)

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი – უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) იყო გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არტილერიის სარდალი (ფელცეხმაისტერი), ხოლო იმავდროულად – მეცნიერი, იურისტი, მწერალი, ენციკლოპედისტი და ლექსიკოგრაფი.

იოანე ბატონიშვილი დაიბადა 1768 წლის 16 მაისს, თბილისში, ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახში. მისი პაპა იყო – მეფე ერეკლე II (1720-1798), ხოლო მამა – მეფე გიორგი XII (1746-1800).

იოანე გახლდათ გიორგი XII-ის მეორე ვაჟი, მომდევნო ძმა სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულისა – დავით ბაგრატიონისა (1767-1819).

1799 წლის 10 მაისს უფლისწულმა იოანემ თავის გვირგვინოსან მამას წარუდგინა ქართლ-კახეთის სამეფოში აუცილებლად გასატარებელი რეფორმების პროექტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით – „სჯულდება“.

„სჯულდება“ – ფრიად საყურადღებო ძეგლია XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების, ქართული სამართლის, განათლების სისტემის, ეკონომიკის, მეურნეობისა და სამხედრო წყობილების შესასწავლად.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის მოდერნიზაციასა და ევროპეიზაციას. მის ავტორს სათანადოდ ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოში იმხანად შექმნილი ვითარების სირთულე და ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რეფორმათა მთელი სისტემის განხორციელებაში ხედავდა.

უფლისწულმა იოანემ ვრცლად განიხილა ქართლ-კახეთში არსებული სახელმწიფო მმართველობისა და სამხედრო უწყების რეფორმირების საკითხები. მის მიზანს წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერება და ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა.

პროექტის თანახმად, საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო ევროპული ტიპის, დისციპლინირებული რეგულარული არმია. უნდა ყოფილიყო როგორც ქვეითი (ინფანტერია), ასევე ცხენოსანი (კავალერია) და საარტილერიო ჯარი.

„სჯულდებაში“ შენარჩუნებული იყო სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის თანამდებობათა მემკვიდრეობითობის პრინციპი. იმავდროულად, გათვალისწინებული იყო ახალ თანამდებობათა შემოღება. კერძოდ, უნდა დაარსებულიყო თანამდებობანი, რომლებიც კოორდინაციას გაუწევდა განათლების სისტემას, უცხო ქვეყნებში გაგზავნილ დიპლომატებს, მოაწესრიგებდა მატერიალურად შევიწროებული ფენის (მათ შორის დაქვრივებულებისა და დაობლებულების) პრობლემებს და სხვ.

პროექტის მიხედვით, უნდა ეზრუნათ განათლების სფეროს გაძლიერებისა და გაფართოებისათვის, კერძოდ, უნდა გაეხსნათ ახალი სასწავლებლები როგორც დედაქალაქში, ასევე ქალაქებში გორსა და თელავში. ასევე უნდა




უფლისწული იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი

შექმნილიყო ხელნაწერი დოკუმენტების საცავი და ბიბლიოთეკა.

სახელმწიფოში უნდა დახვეწილიყო საჯარო სასჯელთა სისტემა. სამშობლოს ღალატში ბრალდებული პიროვნება, მიუხედავად მისი ვინაობისა და წარმომავლობისა, უმკაცრესად უნდა დასჯილიყო. მძიმე სასჯელი უნდა დასდებოდათ კაცისმკვლელებსაც.

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, რათა სამეფო ხაზინის შემოსავალი გაზრდილიყო. აღნიშნულ სფეროებში მოღვაწე პირებისათვის სამეფო ხელისუფლებას ხელი უნდა შეეწყო.

* * *

„სჯულდებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართული სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების შექმნის პროექტს.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესი საქართველოში მანამდე არ არსებობდა. სამაგიეროდ, უძველესი დროიდან იყო მიღებული დამსახურებული პირების დაჯილდოება: თავადისა და აზნაურის მემკვიდრეობითი წოდებით, ყმობიდან განთავისუფლებით (თავისუფალ გლეხად ჩარიცხვით), ყმებითა და მამულით (მიწის ნაკვეთი), ასევე ძვირფასი საბრძოლო იარაღით, ჯიშიანი ცხენით და სხვ. განსაკუთრებით მდიდარი იყო სახელოვანი მეომრების იარაღით დაჯილდოების ტრადიცია, ვინაიდან ქართველ ერს არსებობისათვის გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1799 წლისათვის, საქართველოს უშუალო მეზობლებსაც, გარდა რუსეთისა, არ ჰქონდათ სახელმწიფო ჯილდოები – ორდენებისა და მედლების სახით. ამ ტიპის ჯილდოები მხოლოდ ხსენებულ წელს შემოიღეს ოსმალეთში, ხოლო სპარსეთში – 1808 წელს.

იოანე ბაგრატიონი ცდილობდა ზემოხსენებული სიახლის საქართველოში დანერგვას. სწორედ ამიტომ, „სჯულდებაში“ ჩამოთვლილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტებს შორის, ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა მან სათანადო ადგილზე, საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად განიხილა.

საგულისხმოა, რომ პროექტში მისმა ავტორმა არა მხოლოდ ჩამოთვალა დასაწესებელი წარჩინების ნიშნების სახელწოდებები, არამედ დეტალურად აღწერა თითოეული მათგანის გარეგნული სახე.

სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების ხსენებული კონცეფცია განხილული გვაქვს ნაშრომში „ქართული ფალერისტიკა“.

იოანე ბაგრატიონი საჭიროდ მიიჩნევდა დაწესებულიყო ხუთი დასახელების შემდეგი სახელმწიფო ჯილდო:

### 1) წმ. ნინო კაპადოკიელის ორდენი

გარეგნულად ვარსკვლავის ფორმის ეს ორდენი უნდა ყოფილიყო I და II ხარისხისა. ორივე მათგანის ცენტრში მოთავსებულ მედალიონზე უნდა აღბეჭდილიყო: წმ. ნინო კაპადოკიელი, ასევე იესო ქრისტეს კვართი და სვეტიცხოველი.

I ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა თეთრი ფერის, წითელარშიანი, მხარზე გადასაკიდებელი საორდენო ბაფთა.

II ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა შედარებით წვრილი, ყელზე ჩამოსაკიდებელი საორდენო ბაფთა.

დიდად საგულისხმოა იოანე ბაგრატიონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უზენაესი ქართული სახელმწიფო ჯილდო უნდა ყოფილიყო წმ. ნინოს ორდენი.

კაპადოკიიდან შემოსულმა წმ. ნინო კაპადოკიელმა საქართველოში იქადაგა და გაავრცელა ქრისტიანობა. მან გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, შემდეგ – მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრები. 326 წელს ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

საყურადღებოა, რომ წმ. ნინოს პორტრეტთან ერთად, ორდენის ცენტრში მოთავსებულ მედალიონზე მოცემული კომპოზიცია უნდა სრულქმნილიყო ქრისტეს კვართისა და სვეტიცხოვლის გამოსახულებით.

გადმოცემის თანახმად, გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, უფლის კვართი იერუსალიმიდან წამოიღეს მცხეთელმა ებრაელებმა და საქართველოში ჩამოიტანეს. კვართი დამარხულია ქალაქ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მთავარი სვეტის („სვეტიცხოვლის“) ქვეშ და ითვლება ამ ტაძრის მთავარ სიწმინდედ. ეს ლეგენდა ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში სხვადასხვა ვარიანტით შესრულდა, ხოლო XII საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერისძემ ქრისტეს კვართს საგანგებო ნაშრომიც მიუძღვნა.

უფლის კვართს ფრიად საპატიო და ღირსეული ადგილი უკავია ქართულ ჰერალდიკურ სიმბოლიკაშიც. იგი ცენტრში იყო მოთავსებული საქართველოს სამეფო დროშასა და გერბზე, ასევე ბაგრატოვან ხელმწიფეთა გერბებზეც.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მეტყველებს უფლის კვართის გამორჩეულ მნიშვნელობაზე ქართულ გამომსახველობით ხელოვნებაში.

## 2) წმ. დავით აღმაშენებლის ორდენი

ორდენი უნდა ყოფილიყო I, II და III ხარისხისა. მათზე უნდა გამოსახულიყო პორტრეტი გამოჩენილი ქართველი მეფისა – დავით IV აღმაშენებლისა (მეფობდა 1089-1125 წლებში), რომელიც უდიდესი დამსახურებისათვის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ჯილდო უნდა ჩასმულიყო ვარსკვლავში. მასზე უნდა ყოფილიყო ზედწერილი: „მამულის, მხნეობისა და თავდადებისათვის“.

I ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა მხარზე გადასაკიდებელი – თეთრარშიაშემოვლებული წითელი საორდენო ლენტი. II ხარისხის ორდენი განკუთვნილი იყო ყელზე ჩამოსაკიდებლად, ხოლო III ხარისხისა – მკერდზე.



ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII

ამ ორდენის გადაცემა უნდა მომხდარიყო ვაჟკაცობისათვის – წყალობის სიგელთან ერთად, სადაც აღინიშნებოდა დაჯილდოებულის ღვაწლი.

ჯილდო შეიძლებოდა გადაეცათ, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებისათვისაც, რომელთათვისაც განკუთვნილი იყო II ხარისხის ორდენი.

## 3) წმ. ქეთევან დედოფლის ორდენი

ორდენი უნდა ყოფილიყო I და II ხარისხისა. მათზე უნდა აღბეჭდილიყო პორტრეტი ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული დედოფლისა – ქეთევანისა, რომლის მეუღლეც იყო კახეთის მეფე დავით I (მეფობდა 1601-1602 წლებში).

1624 წელს შაჰინშაჰმა აბას I-მა სეფიანმა სპარსეთში მყოფ დაქვრივებულ ქეთევანს გამაჰმადიანება შესთავაზა. აბას I-ის აზრით, ქართველ ერში უდიდესი რეპუტაციის მქონე ქრისტიანი დედოფლის გამუსლიმანებას მაგალითის ძალა ექნებოდა საქართველოს ღრმადმორწმუნე მოსახლეობისათვის.

ქეთევან დედოფალი ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული დარჩა, რის გამოც იგი საშინელი წამებით მოკლეს 1624 წლის 22 სექტემ-



გიორგი ქსნის ერისთავი

ბერს, ქ. შირაზში. ეს წამება აღწერეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა ავტორებმაც. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქეთევანი წმინდანად შერაცხა.

პროექტის თანახმად, დედოფლის პორტრეტი უნდა ჩასმულიყო ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულ მედალიონში. ორდენს უნდა ჰქონოდა წითელი საორდენო ლენტი ყვითელი არშიით, ანდა არშიის გარეშე. ორდენი უმაღლესი ჯილდო უნდა გამხდარიყო წარჩინებულ ქართველ მანდილოსანთათვის.

### 4) წმ. მეფეთა არჩილის და ლუარსაბის მედალი

მედალზე უნდა გამოსახულიყო წმინდანად შერაცხული ქართლის მეფეების არჩილისა და ლუარსაბის პორტრეტები. ჯილდო, რომელიც დამშვენდებოდა ჭრელი ლენტით, უნდა გაცემულიყო საბრძოლო მამაცობისათვის.

არჩილი იყო ქართლის ერისმთავარი (ზოგიერთი საისტორიო წყაროს მიხედვით – მეფე) VIII საუკუნეში. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ეგრისზეც. იგი თავდადებით ებრძოდა არაბ დამპყრობლებს, რომელთაც ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა. სარდალმა ასიმმა არჩილს შესთავაზა გამაჰმადიანება, რაზედაც უარის გამო, იგი წამებით მოკლა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არჩილი წმინდანად შერაცხა.

ლუარსაბ II (1592-1622) – 1606-1615 წლებში მეფობდა ქართლში. ის თავადებით ცდილობდა, რომ თავისი სამშობლო მუსლიმი დამპყრობლებისაგან დაეხსნა. სპარსეთში ჩასულ ლუარსაბს შაჰინშაჰმა აბას I-მა შესთავაზა გამაჰმადიანებულიყო, რაზედაც უარის თქმის გამო, მოაკვლევინა.

ქრისტიანობისათვის თავდადებული მეფე ლუარსაბ II ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

### 5) წმ. გიორგის მედალი

მედლის ავერსზე უნდა გამოესახათ წმ. გიორგი ძლევამოსილი, ხოლო რევერსზე გაკეთებულიყო წარწერა: „მამაცობისა და მხნეობისათვის“. მას მკერდზე დასაკიდებლად უნდა ჰქონოდა ყვითელი ან წითელი ფერის ბაფთა. ვერცხლისაგან მოჭრილი ეს მედალი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა დასაჯილდოებლად. ამ ჯილდოს კავალერს გარკვეული პრივილეგიაც უნდა მინიჭებოდა, კერძოდ, მისი კავალერი გლეხის ფიზიკურად დასჯა იკრძალებოდა.

### 6) საპატიო ხმალი

ხმალზე უნდა ამოეტვიფრათ წმ. დავით აღმაშენებლის ორდენის მსგავსი ლეგენდა: „მამულის, მხნეობისა და თავდადებისათვის“. აქვე უნდა ითქვას, რომ საპატიო ხმლის, როგორც ჯილდოს ერთ-ერთი სახეობა საბრძოლო დამსახურების ან მხედრული მამაცობისათვის, არსებობდა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც, რის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ.

* * *

ზემოთ განხილული პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ იოანე ბაგრატიონი კარგად იცნობდა იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოების (და მათ შორის – რუსეთის იმპერიის) ჯილდოთა სისტემას. ამაზე მეტყველებს სათითაოდ აღწერილი თითოეული დასაწესებელი ჯილდოს გარეგნული სახე, ასევე მკაფიოდ გამოკვეთილი იერარქია, სადაც განსაზღვრულია, თუ ვის რა დამსახურებისათვის უნდა გადასცემოდა ესა თუ ის წარჩინების ნიშანი, ანდა როგორ უნდა ეტარებინათ ისინი.

პროექტში თვალშისაცემია მომავალ ქართულ ჯილდოთა რელიგიური დატვირთვა. ყველა წარჩინების ნიშანი – წმინდანის სახელობის

უნდა ყოფილიყო. თვით საპატიო ხმლის ვადაზეც უნდა ამოტვიფრულიყო წმ. მეფის – დავით აღმაშენებლის სახელი.

ამით უფლისწულმა იოანემ პატივი მიაგო საქართველოში ძველი დროიდან არსებულ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ქართველის თვითშეგნებაში ქრისტიანული სარწმუნოება გაიგივებული იყო ქართველობასთან.

პროექტის ავტორი დაეყრდნო იმ გამოცდილებას, რომელიც არსებობდა იმდროინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის მართლმადიდებელ რუსეთშიც. ამ შემთხვევაში პროექტის ავტორის მოსაზრება ნაკარნახევი იყო ობიექტური რეალობით.

იოანე ბაგრატიონმა გაითვალისწინა, რომ იმ პერიოდში მისი სამშობლო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ (1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის საფუძველზე) და ამის შესაბამისად, ქართულ ჯილდოთა სისტემა ფაქტობრივად მიუსადაგა იმდროინდელ რუსულ საიმპერიო ჯილდოთა სისტემას.

მაგალითად, თუკი რუსეთის იმპერიაში უზენაეს სახელმწიფო წარჩინების ნიშნად 1699 წელს დაწესებული წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი ითვლებოდა, უფლისწულმა იოანემ მის ექვივალენტურ ქართულ ჯილდოდ მიიჩნია წმ. ნინო კაპადოკიელის ორდენი, ხოლო უმაღლეს რუსულ სამხედრო ჯილდოს – 1769 წელს დაწესებულ წმ. გიორგის ორდენს მიუსადაგა წმ. დავით აღმაშენებლის ორდენი.

წარჩინებულ რუს მანდილოსანთათვის განკუთვნილი ჯილდოს – წმ. ეკატერინეს ორდენის ექვივალენტურ ქართულ ჯილდოდ იოანე ბაგრატიონმა მიიჩნია – წმ. ქეთევან დედოფლის ორდენი.

რაც შეეხება საპატიო იარაღს, რომლის ვადაზედაც პროექტის თანახმად, წმ. დავით აღმაშენებლის სახელთან ერთად, უნდა ამოტვიფრულიყო: „მამულის, მხნეობისა და თავდადებისათვის“, იგი მოგვაგონებს რუსულ წმ. გიორგის ორდენთან არსებულ ეგრეთწოდებულ „გიორგის ოქროს იარაღს“, რომელსაც ვადაზე ეწერა „მამაცობისათვის“.

დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი საგანგებო ჯილდოს – წმ. გიორგის მედლის შემოღების იდეა ხაზს უსვამს ქართველი უფლისწულის აზროვნების პროგრესულობას და დემოკრატიულობას.



ალექსანდრე ორბელიანი

ამრიგად, უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830) 1799 წელს შექმნა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი – „სჯულდება“, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სათანადო ადგილი დაუთმო ეროვნულ ჯილდოთა შემოღებაზე მსჯელობას. ეს გახლდათ ქართული სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების პირველი პროექტი (კონცეფცია), რომელიც ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვან წამოწყებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ამ პროგრესული სახელმწიფოებრივი ღონისძიების განხორციელება ვერ მოხერხდა.

## ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა მეორე პროექტი (1832 წელი)

1800 წლის 18 დეკემბერს, მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) გარდაცვალებამდე ათიოდე დღით ადრე, იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა საიდუმლო მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

ანალოგიური შინაარსის მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მაც. ამით რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ უხეშად



ალექსანდრე ჭავჭავაძე

დაარღვია ქართველ მეფეთათვის დოკუმენტურად მიცემული პირობა ქართული სახელმწიფოს ავტონომიური უფლებების შენარჩუნების შესახებ.

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასდროს შეგუებია იარაღის ძალით თავსმოხვეულ რუსულ მმართველობას. ამას ნათელყოფს ის ანტიიმპერიული სახალხო აჯანყებანი, რომლებიც პერიოდულად იფეთქებდა ხოლმე საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მომხდარ ანტიიმპერიულ სახალხო აჯანყებათა სისხლში ჩახშობის შემდეგ, ქართველი მამულიშვილნი იძულებულნი გახდნენ, რომ დროებით უარი ეთქვათ სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის შეიარაღებულ ფორმაზე.

ქართველმა მამულიშვილებმა ბრძოლის ფარული, შენიღბული ფორმა აირჩიეს, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა 1832 წლის მიწურულს გამჟღავნებული შეთქმულება.

აღნიშნულ შეთქმულებაში ჩაბმული აღმოჩნდა მთელი მოწინავე თავადაზნაურული ინტელიგენცია, რომელთა შორისაც იყვნენ: ალექსანდრე, გრიგოლ და ლუარსაბ ორბელიანები, გიორგი ქსნის ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები.

შეთქმულების მონაწილეთა იდეური მიმართულება არაერთგვაროვანი გახლდათ. შეთქმულთა მემარჯვენე ნაწილის წარმმართველ ძალას თავადაზნაურობა წარმოადგენდა. მათი იდეოლოგია სოციალურ სფეროში არსებით ცვლილებებს არ ითვალისწინებდა. მემარცხენე ნაწილს კი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, სურდა საქართველოს ქცევა საპარლამენტო რესპუბლიკად. ორივე ფრთის იდეების პროპაგანდა მიმდინარეობდა საიდუმლო შეკრებებზე, ლიტერატურულ სალონებში.

აღსანიშნავია, რომ რუსული საოკუპაციო მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეწესებინათ ეროვნული სახელმწიფო ჯილდოები – ორდენების სახით.

ქართულ ჯილდოთა დაწესების იდეის ავტორი იყო „საქართველოს სააღმასრულებო ექსპედიციის სოვეტნიკი“ ანუ მრჩეველი – თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი.

შეთქმულთა დაკითხვის მასალებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ორბელიანს მასთან სტუმრად მყოფ თანამოაზრეებთან – ვახტანგ ორბელიანთან, კაპიტან ჩოლოყაშვილთან, იასე ფალავანდიშვილთან, ელიზბარ და გიორგი ერისთავებთან საუბარში განუცხადებია – უეჭველად უნდა დავაარსოთ ორდენი დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის ნინოსიო.

იასე ფალავანდიშვილი იგონებდა, რომ ალექსანდრე ორბელიანმა მას უთხრა: „მე ჩვენთვის უკვე გამოვიგონე ნიშანი – დავით მეფის ჯვარი და წმ. ნინოს ჯვარი“.

გარდა ამისა, იასე ფალავანდიშვილი იქვე დასძენდა ალექსანდრე ორბელიანის ნათქვამს: – „მითხრა, რომ მან ეს ჩვენი განზრახვა გამოუცხადა ერევნის კარაბინერთა რაზმის შტაბსკაპიტანს ონიკოვს, მაგრამ აღარ მახსოვს, ის დათანხმებოდა თუ არა“.

ამის შემდეგ, როგორც ლუარსაბ ორბელიანი აღნიშნავს, ერთხელ იასე ფალავანდიშვილსაც უთქვამს შეთქმულთა წრეში, რომ აჯანყების გამარჯვების შემდეგ საჭირო იყო დავით აღმაშენებლისა და წმინდა ნინოს ორდენების დაწესება, რასაც ყველა მოწონებით შეხვედრია.

ფრიად საყურადღებოა, რომ შეთქმულებს,

რომელთა წინაშეც ურთულესი პრობლემები იყო გადასაჭრელი, ეროვნული ჯილდოების დაწესებაზეც უფიქრიათ. ისიც საგულისხმოა, რომ ეს პროგრესული მოსაზრება სწორედ ალექსანდრე ორბელიანმა გამოთქვა.

მრავლისმეტყველია დასაწესებელი ორდენების სახელწოდებებიც. ქართველთა გამაქრისტიანებლის – წმინდა ნინო კაპადოკიელისა და წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ორდენების (სხვა ჯილდოებთან ერთად) დაწესების იდეა ხომ ჯერ კიდევ 1799 წელს წამოაყენა უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830), რის შესახებაც უკვე ვწერდით „ისტორიანის" წინა ნომერში.

ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი, როგორც „პატარა კახის" უსაყვარლესი ასულის – თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ანუ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილი, კარგად იცნობდა ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეულ კონცეფციას, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ზემოხსენებული იდეა მას დამოუკიდებლადაც დაებადა.

სამწუხაროდ, ალ. ორბელიანის მამულიშვილურ განაზრახს ასრულება არ ეწერა. 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა, რასაც შეთქმულთა დაპატიმრება მოჰყვა.

ამდენად, რუსული საოკუპაციო მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ქართველ მამულიშვილებს ალექსანდრე ორბელიანის მეთაურობით, გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეწესებინათ ეროვნული სახელმწიფო ჯილდოები – წმ. ნინო კაპადოკიელისა და წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ორდენების სახით.

სამწუხაროდ, ამ შეთქმულების გამჟღავნების გამო, რაც 1832 წლის მიწურულს მოხდა, ხსენებული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ამის მიუხედავად, ეს მოსაზრება წარმოადგენდა სიმბოლურ გაგრძელებას უფლისწულ იოანე ბაგრატიონის პროგრესული წამოწყებისა და ამდენად, ფრიად საგულისხმო ფაქტს ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის ისტორიისათვის.

ეს გახლდათ ქართული სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების რიგით მეორე პროექტი, რომელსაც პირველი პროექტისაგან მესამედი საუკუნე აშორებდა.

* * *

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში, თბილისში ორჯერ იქნა შემუშავებული ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა პროექტები, რაც მიუხედავად იმისა, რომ პროექტებად დარჩა, ფრიად საყურადღებო ფაქტია ეროვნული ფალერისტიკის ისტორიისათვის.

**ნიკო ჯავახიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

# „ოქროს საწმისის“ ორდენის ისტორია

ოქროს საწმისის ორდენი ლათ. *Ordo Aurei Velleris*, ფრ. *Ordre de la Toison d'or*, გერ. *Orden vom Goldenen Vlies*, ესპ. *Orden del Toison de Oro* მსოფლიოს დინასტიურ ორდენთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ და საპატიო ადგილს იკავებს. ორდენის ასეთი მაღალი რანგი მრავალმა გარემოებამ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ ჯერ კიდევ არსებულ ორდენთა შორის ოქროს საწმისი არ არის ევროპის უძველესი ორდენი (სიძველით იგი ესპანურ მონტესას, დაფუძნდა 1317წ. ინგლისის წვივსაკრავის, დაფუძნდა 1348წ. და ახლა უკვე აღარარსებულ კიდევ რვა ორდენს ჩამოუვარდება), ბურგუნდიის მთავარ ფილიპ კეთილის მიერ დაარსებული ამ ორდენის პრესტიჟულობა, ინგლისის წვივსაკრავის ორდენის გამოკლებით, ევროპის ყველა სამეფოს უმაღლეს ორდენს აღემატებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ინგლისის მეფე ჰენრი VIII-მ კათოლიკობაზე უარი თქვა და ახალ სახელმწიფო რელიგიად ანგლიკანობა გამოაცხადა, ოქროს საწმისის ორდენი კათოლიკური ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ორდენად გადაიქცა.

დასაწყისში ვეცდებით იმის განმარტებას, თუ რას წარმოადგენს ზოგადად დინასტიური ორდენი. ასეთი ორდენი არის რჩეულ რაინდთა გაერთიანება, რომელსაც სათავეში იმ სახელმწიფოს სუზერენი უდგას, რომლის ტერიტორიაზეც ეს ორდენი დაარსდა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ტერმინ „ორდენის“ აღქმა შეიცვალა და ასე უბრალოდ მაღალი



ოქროს საწმისის ორდენის ყელსაბამი.
ბურგუნდიის ნიდერლანდები XV ს.

ხარისხის მედლებს უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ში ამ მედლებით დაჯილდოვებულებს კავალრებად ანუ რაინდებად მოიხსენიებდნენ, ისინი რაინდები არ იყვნენ და არც ორდენისთვის აუცილებელ სპეციფიურ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ. ამ ფიქტიურ ორდენებს არც განაწესი ჰქონდა და არც ორდენის დიდი მაგისტრი არსებობდა. მსგავსი სიტუაციაა ევროპის ზოგ რესპუბლიკაშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დასავლეთ ევროპელები უფრო იცავენ ორდენის არსებობის



ფილიპ კეთილი. როგირ ვან დერ ვეიდენის ნამუშევრის ასლი



შარლ გულადი. როგორ ვან დერ ვეიდენის ნამუშევარი. 1460 წ.



ანტუან ნაბუშარი. როგორ ვან დერ ვეიდენის ნამუშევარი. 1460 წ.

ტრადიციებს და განაწესები, დიდი მაგისტრე-ბი და რაინდთა ერთობები ამ რესპუბლიკური წყობის ქვეყნებში მაინც არსებობს. აუცილე-ბელია იმის ცოდნა, რომ ორდენით დაჯილ-დოვება არ ხდება. აჯილდოვებენ მხოლოდ მედლებით. ორდენში კი წევრად იღებენ. ორ-დენის წევრს კი, იმის მიხედვით, თუ რა რან-გის წევრად მიიღეს, ამის დამადასტურებელ სიმბოლიკას ანუ ინსიგნიას გადასცემენ. ესე-ნია: ყელსაბამი, სამხარიღლიე, მკერდზე და-სამაგრებელი ორდენის სიმბოლოები და ასევე ორდენის წევრის სპეციფიური სამოსელიც. ორდენთა უმრავლესობის სამოსელი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და თანამედროვე მოდის დეტალებს იძენდა. ოქროს საწმისის ორდენი ამ შემთხვევაშიც გამონაკლისს წარ-მოადგენს და კავალერის ანუ რაინდის საზე-იმო შესამოსელი დღესაც XV საუკუნის ბურ-გუნდიული მოდის გამოძახილია.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ორდენი ბურ-გუნდიის მთავარმა ფილიპ კეთილმა დააარსა. ბურგუნდიის მთავრები საფრანგეთის მეფის ჟან კეთილის უმცროსი შვილის შთამომავლე-ბი იყვნენ. მეფე ჟანის მამა, ფილიპე VI კაპე-ტიანთა დინასტიის ვალუების შტოს პირველი წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ტახტზე. სწორედ მისმა გამეფებამ უბიძგა საფრანგეთ-სა და ინგლისს შორის ასწლიანი ომის დაწყე-ბას. ფილიპ VI ვალუა კაპეტიანთა მთავარი შტოს უკანასკნელი მეფის, 1328 წელს გარ-დაცვლილი შარლ IV-ის ბიძაშვილი იყო, ხოლო ინგლისის მეფე ედუარდ III კი შარლ IV-ის დის – იზაბელის შვილი. ამრიგად, სისხლით ნათე-საობის მხრივ, ინგლისის მეფე უფრო ახლოს იდგა საფრანგეთის ტახტთან ვიდრე ფილიპ ვალუა. მაგრამ ფრანგებისთვის მიუღებელი




ბურგუნდიის მთავარს დაქვემდებარებული მიწები. XV ს.



ოქროს საწმისის ორდენის რაინდის ყელსაბამი. ბურგუნდიის ნიდერლანდები. 1435-1465 წლები

იყო საფრანგეთის ტახტზე ინგლისის მეფის ასვლა. სწორედ ამ დროს გამოიყენეს ეგრეთ-წოდებული „სალიკური სამართალი“ რომელიც სალიელი ფრანკების ეპოქაში, V საუკუნის მი-წურულსა და VI საუკუნის დასაწყისში იყო შე-მუშავებული და რომლის თანახმადაც, ქალს არ ჰქონდა ტახტის დაკავების უფლება. ეს კანონი ინგლისის მეფემ არ მიიღო. ინგლისში და საფ-რანგეთში მდებარე ინგლისის მეფეების კუთვ-ნილ ტერიტორიებზე მსგავსი კანონმდებლობა არ მოქმედებდა და ქალს ტახტის დაკავების უფლება ჰქონდა. ედუარდ III საფრანგეთში შეიჭრა, რითაც დასაბამი მისცა ასწლიან ომს. ოქროს საწმისის ორდენის წარმოშობის ისტო-რია მჭიდროდ უკავშირდება ამ ომის ეპოქას. ფილიპ VI ტახტზე მისმა ძემ, ჟან II-მ შეცვა-ლა, რომელმაც ბურგუნდიის სამთავრო თავის მეოთხე და ყველაზე უმცროს ვაჟიშვილ ფი-ლიპ გულადს უბოძა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბურგუნდია საფრანგეთის მონაპირე ტე-რიტორიას წარმოადგენდა და საფრანგეთის მეფეების სუზერენიტეტი მხოლოდ მთავრის ხელში მყოფი ტერიტორიების დასავლეთ ნა-წილზე ვრცელდებოდა, სამთავროში შემავალი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები კი საღვთო რომის იმპერიაში შედიოდა. ჩრდილოეთში ბურგუნდიის მთავ-რებს მაშინდელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი



ᲘᲐᲡᲝᲜᲘ, ᲐᲗᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘ.
ᲬᲘᲗᲔᲚᲤᲘᲒᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲐ.
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ Ქ.Შ.-ᲛᲓᲔ 460 Წ.



ᲘᲐᲡᲝᲜᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ
ᲞᲔᲚᲘᲐᲡᲡ. ᲐᲞᲣᲚᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲤᲘᲒᲣᲠᲘᲐᲜᲘ
ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘ. Ქ.Შ.-ᲛᲓᲔ IV Ს.

ნიდერლანდებიც ექვემდებარებოდა. ასწლიანი ომის პერიოდში ბურგუნდიის მთავრები ხან საფრანგეთის მეფის მხარეს იბრძოდნენ და ხან კიდევ ინგლისს ეხმარებოდნენ. ვალუების მმართველობის ხანაში ბურგუნდიის სამთავრო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ წარმონაქნად გადაიქცა. მთავრის სამფლობელოები შვეიცარიიდან ნიდერლანდებამდე იყო გადაჭიმული. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ოქროს საწმისის ორდენის შექმნა.

ოქროს საწმისის ორდენი ფილიპ გულადის შვილიშვილმა, ბურგუნდიის მესამე ვალუა მთავარმა ფილიპ III კეთილმა დააარსა 1430 წლის 10 იანვარს და დაამთხვია თავის ქორწილს პორტუგალიის პრინცესა იზაბელასთან. ფილიპი 1419 წელს მამის, ჟან I უშიშარის მკვლელობის შემდეგ გახდა მთავარი. მამის მკვლელობაში მან საფრანგეთის ტახტის მემკვიდრე და მომავალი მეფე შარლ VII დაადანაშაულა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ჯერ კიდევ ჟან უშიშარის მმართველობისას დაწყებული „ბურგინიონებისა და არმანიაკების ომის“ სახელით ცნობილი სამოქალაქო ომი სამეფო სახლის ორ უმცროს შტოს შორის, რომელსაც თითქმის მთელი საფრანგეთის ტერიტორია ჰქონდა მოცული და რომელიც ასწლიანი ომის პარალელურად მიმდინარეობდა. ბურგუნდიის მთავრები ბურგინიონების ფრაქციას მეთაურობდნენ. ფილიპ კეთილის მმართველობის პერიოდში სამთავროს ძლი-




ᲐᲠᲐᲒᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲐᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲝ V-ᲘᲡ
ᲒᲔᲠᲑᲘ. ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲗᲐ
ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐ. ᲞᲘᲔᲠ ᲙᲣᲡᲢᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1481Წ.



ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ
IV-ᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ. ᲞᲘᲔᲠ ᲙᲣᲡᲢᲔᲜᲘᲡ
ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1481 Წ.




ჟაკ დე ბურბონის გერბი. პიერ კუსტენის ნამუშევარი. 1481 წ.



ჟაკ ლუქსემბურგელის გერბი. პიერ კუსტენის ნამუშევარი. 1481 წ.

ერებამ ზენიტს მიაღწია. ფილიპი მოხერხებულად ლავირებდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. აღსანიშნავია, რომ სწორედ მისმა ჯარმა დაატყვევა ჟანა დ'არკი ორდენის დაარსების წელს. თუმცა მთავარმა უკვე 1435 წლს გაწყვიტა კავშირი ინგლისთან და თავი შარლ VII-ის ვასალად აღიარა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1422 წელს ფილიპმა უარით უპასუხა ინგლისის წვივსაკრავის ორდენის რაინდობის შეთავაზებას, ვინაიდან ინგლისურ ორდენში შესვლა უდაოდ მისი ნომინალური სუზერენის, საფრანგეთის მეფის დაუფარავ ღალატად ჩაითვლებოდა. სავარაუდოა, რომ ოქროს საწმისის ორდენის შექმნისკენაც სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა. მთავარს უყვარდა ანტიკური ეპოქის მითოლოგია. მან არგონავტების ძველბერძნული ლეგენდა გამოიყენა და ორდენის სიმბოლოდ ოქროს საწმისი აირჩია. ლეგენდის მიხედვით, მთავრის ერთ-ერთმა შორეულმა წინაპარმა არგონავტების გზა გაიმეორა და კოლხეთში აღმოჩნდა ტყვეობაში. აგრეთვე ითვლებოდა, რომ მთავარი არგონავტიკასა და ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას შორისაც მსგავსებას ხედავდა. კარგადაა ცნობილი ფილიპ კეთილის გატაცება არგონავტიკის ლეგენდით. მას საუბრისას არაერთხელ გამოუყენებებია შედარებები ლეგენდასთან. თუმცა ორდენის მთავარ სიმბოლოდ ოქროს საწმისის არჩევამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია სამთავროში. ლეგენდა წარმართულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული და იასონიც დადებით გმირად არ მოიაზრებოდა, ვინაიდან იგი ლეგენდის მიხედვით, მიზნის



იმპერატორი მაქსიმილიანი, ფილიპ ლამაზი, მარი ბურგუნდიელი, ფერდინანდ I და კარლ V. ბერნჰარდ შტრიგელის ნამუშევარი. 1515 წ.



იმპერატორი მაქსიმილიან I ალბრეხტ დიურერის ნამუშევარი. 1519 წ.



ინგლისის მეფე ჰენრი VII. უცნობი ნიდერლანდელი მხატვარი. 1505 წ.



იმპერატორი კარლ V 19 წლის ასაკში.
ბერნარტ ორლეის ნამუშევარი. 1519 წ.

მისაღწევად თვალთმაქცობას არ თაკილობდა, რაც მიუღებელი იყო შუა საუკუნეების რაინდთა ზნეობრიობისთვის. გამოსავალი ორდენის კანცლერმა შალონის ეპისკოპოსმა ჟან ჟერმენმა გამოძებნა. მან განაცხადა, რომ ოქროს საწმისის ორდენი გედეონის და ღვთიური ცვრით მოპკურებული საწმისის ბიბლიურ ამბავს უკავშირდებოდა და არა არგონავტების ლეგენდას. სწორედ ამიტომაც ლათინურად ორდენი ორი სახელითაა ცნობილი. „*Ordo Aurei Velleris*“ და „*Gedeonis Signa*“. თუმცა მეორე სახელს ძალზე იშვიათად იყენებენ.

ორდენის წევრობის ნიშან-ინსიგნიას ოქროს ჯაჭვზე ჩამოკიდებული, პროფილში გამოსა-




XVI საუკუნის დასავლეთ ევროპა. ჰაბსბურგებს
დაქვემდებარებული ტერიტორიები.

ხული ოქროს საწმისი წარმოადგენდა. ორდენის მთავარი დევიზია

„*Pretium Laborum Non Vile*” (ჯილდო არ ჩამოუვარდება საქმეს)

ორდენის მფარველებად ღვთისმშობელი და ანდრია მოციქული დასახელდნენ. თავიდან ორდენის რაინდთა რაოდენობა 24-ს არ აღემატებოდა. შემდეგ ეს რაოდენობა 30 რაინდამდე გაიზარდა, ხოლო 1515 წელს კი 50 რაინდით განისაზღვრა. ორდენს მხოლოდ ერთი საფეხური ჰქონდა და დიდი მაგისტრის გარდა ყველა წევრი რაინდი იყო. ორდენის პირველ წევრთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი ფეოდალები და მხედართმთავრები, როგორც ჰიუ დე ლანუა, ჟილბერ დე ლანუა, პიერ დე ლუქსემბურგი, ჟან დე ლა ტრემუაი, ანტუან დე კროი და სხვები. დაარსებიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ ორდენი უკვე ისეთი პატივით სარგებლობდა, რომ 1440 წელს მისი წევრობა ორლეანის მთავარმა და საფრანგეთის მეფის შემდეგ ვალუების სახლის უფროსი შტოს მეთაურმა, შარლმა, ბრეტანის სუვერენულმა მთავარმა - ჟან VI-მ, ალანსონის მთავარმა და ასევე ვალუების სახლის წარმომადგენელმა- ჟან II-მ, ხოლო 1445 წელს კი არაგონისა და ნეაპოლის მეფე ალფონსო V-მ არ ითაკილეს. 1468 წლისთვის ორდენის სახელი უკვე ისე ქუხდა, რომ მისი წევრი ინგლისის მეფე ედუარდ IV-ც კი გახდა. 1473 წლისთვის ორდენს კასტილიის მეფე ფერნანდო V და ნეაპოლის მეფე ფერდინანდო I შეუერთდნენ. ორდენის არასამეფო წარმომავლობის წევრ რაინდებს სხვა ორდენების წევრობა და ამ ორდენების ნიშნების ტარება ეკრძალებოდათ. განაწესის თანახმად, თუ რაინდი უკვე იყო რომელიმე სხვა ორდენის წევრი, ოქროს საწმისის რაინდობის საფასურად, მას დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ეს ორდენი. კარლ V-ის დროს დადგინდა, რომ ორდენის წევრი რაინდის დატყვევება და გასამართლება მხოლოდ ორდენის წევრი სხვა ექვსი რაინდის თანხმობის შედეგად დაიშვებოდა და ასეთი რაინდი საპყრობილეში კი არ უნდა ჩაესვათ, არამედ ის თანამოძმე რაინდთა „სტუმარი“ უნდა ყოფილიყო. ასევე ამ პერიოდში დაწესდა, რომ ჯაჭვზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისი საზეიმოდ იხმარებოდა, ხოლო ყოველდღიურად მისი წითელ ბაფთაზე ჩამოკიდებაც იყო დასაშვები. ორდენის სიმბოლიკა თავად ორდენის საკუთრებას წარმოადგენს და რაინდის გარდაცვალების შემდეგ ის ორდენს უნდა დაუბრუნდეს. თუმცა ამ კანონს ხშირად არ იცავდნენ. დიდი მაგისტრისა და რაინდების

გარდა ორდენს კანცლერი, მდივანი, ხაზინადარი და ჰეროლდები ემსახურებოდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ ორდენის დამაარსებელი ფილიპ კეთილი ოსმალების წინააღმდეგ პაპის მიერ დაგეგმილ ჯვაროსნულ ლაშქრობაშიც აპირებდა მონაწილეობის მიღებას. ეს სწორედ ის განუხორციელებელი ლაშქრობაა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს მაშინდელ მეფეს გიორგი VIII-საც უნდა მიეღო. არსებობს საქართველოს მეფის და სამცხის ათაბაგის ყვარყვარეს მიერ ბურგუნდიის მთავრისადმი მიწერილი წერილებიც. ფილიპი ხელოვნების მეცენატიც იყო. მთავრის კარი მაშინდელ ევროპაში ყველაზე დიდებულად ითვლებოდა. სწორედ მისი მმართველობის ხანას ემთხვევა ნიდერლანდური აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვრების, იან ვან ეიკის, როგირ ვან დერ ვეიდენის, ჰუგო ვან დერ გუსის და სხვების შემოქმედება. ამ პერიოდში ყალიბდება ბურგუნდიულად წოდებული მოდაც და აბჯრის სტილიც. ნიდერლანდები ნატიფი ოქრომჭედლობითაც იყო ცნობილი და სწორედ აქ დამზადდა ორდენის ყელსაბამები. ორდენის წევრ რაინდებს კი ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ბურგუნდიული სამოსელი ეცვათ. დაახლოებით 1450 წელს როგირ ვან დერ ვეიდენის მიერ დახატულ პორტრეტზე ფილიპ კეთილი ოქროს საწმისის ყელსაბამითაა გამოსახული. სამწუხაროდ, ამ ნახატმა ჩვენამდე მხოლოდ ასლის სახით მოაღწია. სამაგიეროდ, დღემდე შემონახულია ვან დერ ვეიდენის მიერ 1460 წელს დახატული ფილიპის შვილების, მემკვიდრის და მომავალი მთავრის, შარლ გულადის, ასევე უკანონოდ შობილი ანტუანის პორტრეტები, რომლებზეც მომავალი მთავარი და მისი ძმა ოქროს საწმისის ორდენებით არიან გამოსახულნი. ანტუანის დამსახურებაა ის, რომ 1477 წელს ნანსის ბრძოლაში დაღუპული მისი ძმის, მთავარ შარლ გულადის ერთადერთი ქალიშვილი და მემკვიდრე მარი ავსტრიის მთავარს (ერცჰერცოგს) და საღვთო რომის იმპერიის მომავალ იმპერატორ მაქსიმილიან ჰაბსბურგს გაჰყვა ცოლად.

ოქროს საწმისი სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ჰაბსბურგთა მონარქიის მთავარი ორდენი. მაქსიმილიანისა და მარის ვაჟიშვილმა ფილიპ ლამაზმა ესპანეთის გამაერთიანებელი „კათოლიკე მონარქების“ ფერნანდოსა და იზაბელას უფროს ქალიშვილზე, ტახტის მემკვიდრე ხუანაზე იქორწინა. ფილიპ ლამაზი მამის მაქსიმილიანის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. პაპისა და დიდედის გარდაცვალების



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘ XVI Ს.



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ
ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲰᲔᲠᲝᲚᲓᲘᲡ ᲧᲔᲚᲡᲐᲑᲐᲛᲘ -„ᲞᲝᲢᲔᲜᲢᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ. 1518 Წ.



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ „ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ“. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ XV Ს.



ᲚᲔᲞᲐᲜᲢᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲒᲔᲜᲣᲔᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲓᲝᲠᲘᲐ (1466-1560). ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ XVII Ს.

შემდეგ ფილიპის და ხუანას უფროს ვაჟიშვილ კარლს (ესპანეთში კარლოსი) მემკვიდრეობით ერგო თითქმის მთელი ევროპის ტერიტორიაზე მიმოფანტული ჰაბსბურგთა სამფლობელოები, გაერთიანებული ესპანეთი და მისი ზღვისგაღმა კოლონიები. იგი საღვთო რომის იმპერიის იმპერატორადაც აირჩიეს. სწორედ ამ პერიოდის შესახებ ამბობდნენ, რომ კარლ V-ის სამფლობელოებში მზე არასდროს ჩადიოდა. ფლანდრიაში დაბადებული კარლი თავისი პერიოდის ერთ-ერთ უგანათლებულეს მმართველად, ამასთანავე ხელოვნებისა და მეცნიერების მეცენატად ითვლებოდა. მისი მმართველობის ეპოქაში ოქროს საწმისის ორდენი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ორდენად გადაიქცა და მის რიგებში ევროპის მრავალი მონარქი მიიღეს. 1556 წელს იმპერატორი კარლი ტახტიდან გადადგა და ჰაბსბურგთა სამფლობელოები საკუთარ შვილს, ფილიპე II-სა და ძმა ფერდინად I-ს შორის გაყო. ფილიპეს ხელში აღმოჩნდა ესპანეთი ზღვისგაღმა კოლონიებითურთ და აგრეთვე ნიდერლანდების დიდი ნაწილი. საღვთო რომის იმპერატორად არჩეული ფერდინანდი კი ჰაბსბურგების ავსტრიულ მიწებს, ნიდერლანდების მცირე ნაწილს და უნგრეთის სამეფოში შემავალ ვრცელ ტერიტორიებს დაეუფლა. ჰაბსბურგების მიწების გაყოფის შედეგად ოქროს საწმისის ორდენის სუვერენის ტიტულს ჰაბსბურგების უფროსი ესპანური შტო დაეუფლა. ამ პერიოდიდან, XVIII საუკუნის დასაწყისამდე, ორდენის დიდი მაგისტრი ყოველთვის ესპანეთის მეფე იყო. ფილიპე II-ის მმართველობის პერიოდში 1571 წელს გაიმართა ლეპანტოს ცნობილი საზღვაო ბრძოლა, სადაც ანტიოსმალური კათოლიკური „საღვთო ლიგის“ ფლოტის მიერ ოსმალე-



ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲚ V ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲘᲒᲜᲘᲔᲑᲘᲗ. ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ XVI Ს.



ᲪᲮᲔᲜᲖᲔ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲚ V ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲧᲔᲚᲡᲐᲑᲐᲛᲘᲗ. ᲢᲘᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1548 Წ.



ᲙᲐᲠᲚ V. ᲢᲘᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲞᲘᲝ. ᲮᲣᲐᲜ ᲞᲐᲜᲢᲝᲘᲐ ᲓᲔ ᲚᲐ ᲙᲠᲣᲡᲘ. XVI Ს. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.



ᲔᲠᲪᲰᲔᲠᲪᲝᲒ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲘᲒᲜᲘᲘᲗ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲤᲚᲐᲛᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ. XVI Ს. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.



ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲐᲜᲢᲘ ᲑᲐᲚᲗᲐᲡᲐᲠ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲧᲔᲚᲡᲐᲑᲐᲛᲘᲗ. ᲓᲘᲔᲒᲝ ᲕᲔᲚᲐᲡᲙᲔᲡᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1539 Წ.



ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲠᲣᲓᲝᲚᲤ II ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲧᲔᲚᲡᲐᲛᲐᲛᲘᲗ. ᲐᲓᲠᲘᲐᲜ ᲓᲔ ᲕᲠᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1607 Წ.

თის ფლოტზე გამარჯვების მოპოვებამ ოსმალეთის ექსპანსიის შეჩერებას და ოსმალების მიერ დაპყრობილი ევროპის მიწების მომავალ გათავისუფლებას დაუდო საფუძველი. გაერთიანებულ ფლოტს იმპერატორ კარლის უკანონო შვილი, მეფე ფილიპეს ნახევარძმა და ოქროს საწმისის ორდენის რაინდი დონ ხუანი მეთაურობდა.

ორდენის კაპიტული (განაწესი) 1431 წელს დადგინდა. კაპიტულში წერია, რომ ორდენი მთავრმა ფილიპემ რაინდობისადმი გამორჩეული სიყვარულისა და კეთილგანწყობის გამო დააარსა და მისი სურვილია, რომ რაინდობამ ჭეშმარიტი კათოლიკური მრწამსის, სახელმწიფოს კეთილდღეობისა და მშვიდობის არსებობას შეუწყოს ხელი.

1433 წელს რომის პაპმა ევგენ IV-მ ორდენი აკურთხა და დაამტკიცა. პროტესტანტული რეფორმაციის დასაწყისისთანავე დადგინდა, რომ ორდენის წევრი მხოლოდ კათოლიკე შეიძლება ყოფილიყო. ესპანეთში ამ წესს XIX საუკუნემდე იცავდნენ. ორდენის სუვერენი ყოველთვის ბურგუნდიის მთავრის მემკვიდრე მამაკაცია. იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი მემკვიდრე აღარ არსებობს და მემკვიდრე ქალია, ორდენის სუვერენი მისი მეუღლე ხდება. სწორედ ეს მოხდა 1740 წელს, როდესაც გარდაცვლილ იმპერატორ კარლ VI-ს მხოლოდ ქალიშვილი მარია-ტერეზია დარჩა მემკვიდრედ. ქალის იმპერატორად არჩევა აკრძალული იყო და მარია-ტერეზიას უზარმაზარი ძალისხმევის დახარჯვა მოუწია იმისთვის, რომ მისი მეუღლე, ლოტარინგიის მთავარი, ფრანც შტეფანი ჰაბსბურგების კუთვნილ მიწებზე, ავსტრიის სამთავროში, უნგრეთისა და ბოჰემიის სამეფოებში მის თანამმართველად ჩაეთვალათ, ხოლო შემდეგ კი იმპერატორად აერჩიათ ფრანც I-ის სახელით. შედეგად, ფრანცი ოქროს საწმისის დიდი მაგისტრიც გახდა.

1700 წელს ესპანეთის უკანასკნელი ჰაბსბურგი მეფის, კარლოს II-ის გარდაცვალებამ ესპანეთში დინასტიური კრიზისი გამოიწვია და ესპანური მემკვიდრეობისთვის ომს მისცა დასაბამი. ომის შედეგად ესპანეთის ტახტზე საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის შვილიშვილი, ფილიპ ანჟუელი ავიდა - ფილიპე V-ის სახელით. იგი ესპანელი ჰაბსბურგების შთამომავალი იყო ბებიის მრიდან. ფილიპე V, როგორც კაპეტიანების ბურბონების შტოს წარმომადგენელი, თვლიდა, რომ ბურგუნდიის



ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲓᲐᲛ ᲨᲕᲐᲠᲪᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲡᲘᲒᲜᲘᲐ. 1750-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ



გრაფი სინცენდორფი ოქროს საწმისის ორდენის სამოსელში და ინსიგნიით. იასინტ რიგოს ნამუშევარი. 1728 წ.



საფრანგეთის მეფე ლუი XV (1710-1774). შარლ ვან ლოოს ნამუშევარი. XVIII ს.



რომის საღვთო იმპერიის უკანასკნელი და ავსტრიის პირველი იმპერატორი ფრანც I. ფრიდრიჰ ფონ ამერლინგის ნამუშევარი.1832 წ.

კაპეტიანი მთავრის მერ დაარსებული ორდენი წესით მის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან XV საუკუნის მიწურულს საფრანგეთის მეფე ლუი XI-მ ბურგუნდიის დიდი ნაწილი საფრნგეთის სამეფოს შეუერთა და ფილიპმა კი, როგორც საფრანგეთის სამეფო უფლისწულმა, ხოლო ქალის ხაზით ბურგუნდიის მთავრების შთამომავალმა, ეს ორი შტო გააერთიანა.

ესპანეთის ტახტისთვის დაწყებული ომის მსვლელობისას, 1712 წელს, იმპერატორმა კარლ VI-მ მადრიდის დროებით დაპყრობა შეძლო და ორდენის არქივი გაიტანა ესპანეთიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული ორდენი ორად გაიყო. ერთის სუვერენად საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი და ჰაბსბურგების სახლის მეთაური კარლ VI ჩაითვალა, ხოლო მეორესი კი -ესპანეთის ტახტზე კაპეტიანთა ბურბონების შტოს დამფუძნებელი ფილიპე V. 1724 წელს ორდენის საკითხთან დაკავშირებით კამბრეში მოწვეულმა სპეციალურმა საბჭომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ორივე სამეფო სახლმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განაგრძო ორდენის ტრადიცია. 1812 წელს ესპანური ორდენის კავალერი მთავარი ველინგტონი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტი იყო. მომდევნო წელს ესპანეთის მეფე ფერნანდო VII-მ, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონის არმიის მიერ დაპყრობილი ესპანეთის ტახტი ისევ ბურბონების ხელში აღმოჩნდა, ორდენის განაწესი ოფიციალურად შეცვალა და არაკათოლიკეთა წევრობა დასაშვები



ავსტრია-უნგრეთის უკანასკნელი იმპერატორი კარლ I ოქროს საწმისის ორდენის სამოსელითა და ინსიგნიით. 1916



ესპანეთის მეფე ალფონსო XIII (1886-1941)



ორდენის ჯაჭვით გარშემორტყმული ოქროს საწმისის ლეგენდის ამსახველი სცენა. არენდ იან ვან დრიესტენის ნამუშევარი. 1910-იანი წლები



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲘᲒᲜᲘᲐ. XIX Ს. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ



ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲒᲔᲠᲑᲘ. ᲰᲣᲒᲝ ᲨᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. 1866 Წ.



ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲘᲒᲜᲘᲐ, ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. 1950 Წ.



ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ

გახადა. ეს შესწორება პაპმა პიუს VII-მაც მოიწონა.

მიუხედავად იმისა, რომ 1794 წელს საფრანგეთის რესპუბლიკამ ავსტრიის ხელთ დარჩენილი ბურგუნდიის სამთავროს ნაწილიც (სამხრეთ ნიდერლანდები) მიიტაცა და იმპერატორ ფრანც II-ს ამ ტერიტორიული ცვლილების აღიარება ოფიციალურად მოუწია, იგი მაინც აგრძელებდა ორდენის დიდ მაგისტრად ყოფნას. საღვთო რომის იმპერიის გაუქმების და ავსტრიის, ხოლო მოგვიანებით კი ავსტრია-უნგრეთის იმპერიების შექმნის შემდეგაც ოქროს საწმისი ჰაბსბურგების (ჰაბსბურგ-ლოტარინგიელების) მონარქიის უმაღლეს ორდენად რჩებოდა. 1918 წელს, ავსტრია-უნგრეთის მონარქიის გაუქმების შედეგად, ორდენი მხოლოდ ჰაბსბურგთა საგვარეულო ორდენად გადაიქცა. 1953 წელს ავსტრიის რესპუბლიკამ „ოქროს საწმისი“ ოფიციალურად ცნო ჰაბსბურგების საგვარეულო ორდენად და საიმპერატორო ოჯახის მეთაურს ვენის ჰოფბურგის სასახლეში განთავსებული ორდენის რეგალიის გამოყენების უფლება მისცა მასთან დაკავშირებული ცერემონიების ჩატარების დროს. სადღეისოდ ორდენის ავსტრიული შტოს დიდ მაგისტრად ჰაბსბურგ-ლოტარინგიელების საიმპერატორო სახლის მეთაური, დიდი მთავარი კარლი გვევლინება.

1931 წელს ესპანეთში მონარქიის გაუქმებას მოჰყვა ის, რომ ოქროს საწმისი ტახტის გარეშე დარჩენილი ესპანელი ბურბონების საგვარეულო ორდენად გადაიქცა. თუმცა 1975 წელს ესპანეთში მონარქიის რესტავრაციის შემდეგ, ორდენმა ისევ უმაღლესი საპატიო ადგილი დაიკავა. სადღეისოდ ორდენის ესპანური შტოს დიდი მაგისტრია მეფე ფილიპე VI.

ორდენის ნიშანი წარმოადგენს 28 სეგმენტიან ჯაჭვს, რომელზეც ოქროს საწმისია ჩამოკიდებული. ჯაჭვის სეგმენტები ბურგუნდიის სიმბოლოს ტალ-კვესის ლათინური ასო B-ს ფორმით სტილიზებულ გამოსახულებას



ავსტრიული ორდენის დიდი მაგისტრი ერცჰერცოგი კარლი (დგას მარჯვნივ) ორდენის რაინდებთან ერთად. 2006 წ.



ესპანური ოქროს საწმისის ორდენის დიდი მაგისტრი მეფე ფილიპე VI თავის უფროს ქალიშვილ ლეონორს რაინდის ინსიგნიას გადასცემს. 2018 წ.

წარმოადგენს. სეგმენტები ერთმანეთთან ალის ორნამენტითაა დაკავშირებული. ორდენის ყელსაბამის ავსტრიულ ვერსიაზე საწმისის თავზე ტალ-კვესის მიერ გაჩაღებული ცეცხლის ზემოთ დამატებულია კიდევ ერთი სეგმენტი, რომელზეც ოქროს საწმისისთვის იასონისა და გველეშაპის ბრძოლაა გამოსახული. ორდენის სამოსელი იმეორებს XV საუკუნის ბურგუნდიულ კოსტიუმს. იგი მუქი წითელი ხავერდისგან იკერება. მოსასხამის ბოლოებზე ოქროს საწმისის სიმბოლიკა ოქროს ძაფითაა ამოქარგული. ორდენის ინსიგნიას გამოსახავდნენ საღვთო რომის იმპერიის და ესპანეთის გერბებზე. სადღეისოდ კი ორდენის ყელსაბამი გამოსახულია ესპანეთის სამეფო გერბზე.

ყელსაბამი ყოველთვის ოქროსგან მზადდებოდა, მაგრამ ორდენის არსებობის მანძილზე მის მთავარ სიმბოლოს სხვადასხვა რაოდენობის ძვირფასი თვლებითაც რთავდნენ.

სადღეისოდ ესპანური ოქროს საწმისის ორდენის უცხოელი რაინდები არიან დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II, შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი, იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო, დანიის დედოფალი მარგრეტე II, ბელგიის ყოფილი მეფე ალბერტ II, ნორვეგიის მეფე ჰერალდ V. ლუქემბურგის დიდი მთავარი ანრი, ტაილანდის მეფე პუმიპონ ადულიადეტი, საუდის არაბეთის მეფე აბდულა, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ხაბიერ სოლანა, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და სხვები.

ავსტრიული ოქროს საწმისის რაინდები კი ჰაბსბურგების დინასტიის თორმეტი წარმომადგენლის გარდა, არიან ბელგიის ყოფილი მეფე ალბერტ II (ბელგიის მეფე ორივე შტოს რაინდია), ლიხტენშტაინის მთავარი ჰანს-ადამ II, მალტის ორდენის ყოფილი დიდი მაგისტრი რობერტ მეთიუ. ბავარიის სამეფო სახლის მეთაური მთავარი ფრანცი, თავადი ლინი, ვიურტემბერგის სამეფო სახლის მეთაური მთავარი კარლი, თავადი ჰოჰენბერგი, პორტუგალიის სამეფო სახლის მეთაური და ბრაგანსას მთავარი დუარტე, ჩეხეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ამჟამად კი პარლამენტის წევრი თავადი კარლ შვარცენბერგი, თავადი ლოვენშტაინ-ვერტჰაიმ-როზენბერგი, თავადი ორსინი-როზენბერგი, გრაფი, ჩერნინ-ჩუდენიცი, ბარონი სოლემახერ-ანტველერი, ბელგიის ამჟამინდელი მეფე ფილიპი, ავსტრიის ელჩი ჩეხეთში ფერდინანდ ტრაუტმანსდორფ-ვაინსბერგი, თავადი ემანუილ სალმ-სალმი, თავადი პროსპერო კოლონა-აველა, მეისენის მარკგ აფი ალექსანდრე, ბულგარეთის სამეფო სახლის უფლისწული კუბრატი და სხვები.

**ზაქარია კიკნაძე**
მხატვარი-ჰერალდიკოსი

# ორდენების გამოსახულებანი გერბებზე

## შესავალი

ორდენები – სარაინდო ორდენების სიმბოლოთა, თუ რაიმე დამსახურებისთვის მიღებულ ჯილდოთა გამოსახულებები, საკმაოდ ხშირად გამოიყენება როგორც უცხოურ, ისე ქართულ ჰერალდიკაში. ორდენები, მედლები, ჯილდოები გვხვდება პრაქტიკულად ყველა ტიპის – სახელმწიფო, საგვარეულო, საადგილმამულო, თუ სხვა გერბებში.

ზოგადად, ჰერალდიკაში ორდენები, იქნება ეს სარაინდო, თუ საპატიო ჯილდოები, ორი ფორმით გამოიხატება: სრულად – თვით ორდენის რეალური გამოსახულება, მასთან ერთად ყველა ატრიბუტით (მაგალითად, საკიდით თუ ჯაჭვით), ან უფრო მარტივად – მხოლოდ ორდენის მთავარი ემბლემის სახით. ამასთანავე, საგერბე კომპოზიციებში ორდენების ჩართვაც ორი ვარიანტით ხდება: უშუალოდ საგერბე ფარში – ფიგურის სახით, ორდენის ცენტრალური ემბლემის განთავსებით, ან ორდენის და მისი ატრიბუტების ფარსგარე შესამკობლად გამოყენებით.[1] აქვე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად არ მოიპოვება უშუალოდ გერბებში ჯილდოთა გამოყენების თემატიკას კონკრეტულად მიძღვნილი არც პოპულარული და მითუმეტეს არც სამეცნიერო ნაშრომები.

რაც შეეხება, წინამდებარე, მოკრძალებულ კვლევაში განსახილველი საკითხის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს: გერბებში ორდენების და ჯილდოების გამოხატვა, რასაკვირველია, შედარებით უფრო გვიანდელი ტენდენციაა, ვინაიდან კლასიკური ჰერალდიკის ჩასახვის ხანაში – ანტიკური ეპოქის შემდგომ, განვითარებული შუასაუკუნეების ადრეულ პერიოდში, მხოლოდ იწყებოდა სარაინდო ორდენების შექმნის და ზოგადად, დაჯილდოვების ტრადიციის ხელახალი ჩამოყალიბების პროცესი. სამაგიეროდ, ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ფაქტობრივად დღევანდელობამდე მოდის, ვინაიდან ჯილდოების გამოყენება, შესაძლოა, ნაკლები სიხშირით, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე სხვადასხვა ქვეყნების ჰერალდიკურ პრაქტიკაში.

სტატიაში მიმოვიხილავთ ორდენების, მედლების, ჯილდოების უცხოურ და ქართულ ჰერალდიკაში გამოყენების სხვადასხვა შემთხვევებს. გავაანალიზებთ მიზეზებს, თუ რამ განაპირობა კონკრეტულ ვითარებაში, კონკრეტული სახით, გერბებში ამა თუ იმ ჯილდოს ჩართვა. მოხმობილი მაგალითების საფუძველზე, შევეცდებით, შევადაროთ და განვაზოგადოთ უცხოეთსა თუ ქართულ ჰერალდიკაში ორდენთა გამოყენების ტრადიცია და ძირითადი პრინციპები. ხაზგასასმელია, რომ კვლევას არ გააჩნია პრეტენზია, განიხილოს მსოფლიოში, ან თუნდაც საქართველოს გერბებში ორდენების, თუ ჯილდოების გამოსახვის ყველა შემთხვევა. ამგვარი ამოცანა ერთი სტატიისთვის აბსოლუტურად შეუსრულებადი იქნებოდა. ჩვენი მიზანია, უცხოური და ქართული გერბთმცოდნეობის იმ ნიშანდობლივი საგერბე ნიმუშების განხილვა, რომლებშიც რაიმე სახით აღიბეჭდა ჯილდოები და ამგვარ მოვლენათა ანალიზის საფუძველზე, გარკვეულ პრაქტიკულ, თუ თეორიულ დასკვნებამდე მისვლა. საბოლოოდ, ნაშრომის დასკვნით ნაწილში ვეცდებით, ძალიან ლაკონურად შევაჯამოთ ჰერალდიკაში ორდენების გამოყენების წარსული და შედარებით თანამედროვე ტენდენციები; გამოვკვეთოთ მოსაზრებები, რამდენად შესაძლებელი, ან თუნდაც მართებულია ამჟამინდელ პრაქტიკულ გერბთმცოდნეობაში ჯილდოების გამოყენება.

## ორდენები უცხოურ გერბებში

ევროპული ჰერალდიკის განხილვისას, პირველ რიგში, ალბათ, ყურადღებას იქცევს სახელმწიფო გერბებში სარაინდო ორდენების სიმბოლიკის საკმაოდ ხშირად და ხაზგასმით, გამოკვეთილად წარმოჩენის ფაქტები. იმ ქვეყნების უდიდეს ნაწილში, რომელთაც ამგვარი სახელმწიფო გერბები გააჩნიათ, დღესაც კონსტიტუციური მონარქიაა შენარჩუნებული. ხსენებული ტენდენციის გავრცელება ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, მათი ერთ დროს რეალურად, მოგვიანებით კი – სიმბოლურად მმართველი დინასტიების წარმომადგენლების, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ამა თუ იმ სარაინდო ორდენთა მფარველობით და ხელმძღვანელობით აიხსნება. აღნიშნულ ფაქტთა სამაგალითოდ, განვიხილავთ ევროპის რამოდენიმე სახელმწიფო გერბს, რომელიც შეიცავს ორდენების ელემენტებს.

ორდენის დეკორაციებით შემკულ ევროპულ სახელმწიფო გერბთაგან, ალბათ, ყვე-

1 Ю.В. Арсеньев. Геральдика. Терра. 2001. გვ. 303-4;




დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული
სამეფოს გერბი

ლაზე ცნობილია დიდი ბრიტანეთის სამეფოს სახელმწიფო გერბი, რომლის ჰერალდიკურ ფარსაც გარს ერტყმის XIV საუკუნის შუახანს, ინგლისის მეფე, ედუარდ III-ის მიერ დაარსებული ე. წ. „საკიდის სარაინდო ორდენის (თავდაპირველად „ლურჯი საკიდის" ორდენად იხსენიებოდა)" ქამარი, ორდენისავე ლათინური დევიზით - Honi soit qui mal y pense (ქართ. – „სირცხვილი მას ვინც ამაზე ცუდად იფიქრებს"). ორდენი სამეფო გერბს იმის გამო ამკობს, რომ მისი დაარსებიდან – დღემდე, ინგლისისა და შემდგომ ბრიტანეთის ტახტის მპყრობელი მეფენი და დედოფალნი, ამჟამინდელი დედოფლის, ელისაბედ II-ის ჩათვლით, მუდამ ორდენის სუვერენებად ითვლებოდნენ.[2] აქაც და შემდგომაც, თვით ორდენთა წარმოშობის ხშირად საინტრესო ისტორიების გადმოცემაზე აღარ შევჩერდებით (თუ, რასაკვირველია, ამ ჯილდოთა დაარსების ფაქტები არ უკავშირდება გერბებში მათი შეტანის ამბავს), ვინაიდან ეს მოცემული სტატიის მიზანს არ ემსახურება. ამ შემთხვევაში, მთავარია, გავაანალიზოთ, რა გარემოებები განაპირობებს საგერბე კომპოზიციებში ჯილდოების განთავსებას.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შედეგად, რევოლუციონერთა მხრიდან ფეოდალურ გადმონაშთებთან ბრძოლის ეგიდით, ოფიციალურად გაუქმდა უძველესი სარაინდო, თუ საეკლესიო ორდენების ორგანიზაციები და მათთან ერთად – ისტორიული ფრანგული ჯილდოებიც. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონ ბონაპარტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ჯილდოების მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო მოხელეთათვის, ასევე მოქალაქეთა და, განსაკუთრებით კი, სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ქვეყანაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების საქმეში. ვინაიდან არქაული ჯილდოების და ორდენების აღდგენის არც სურვილი გააჩნდა და არც იდეოლოგიური, თუ პოლიტიკური ვითარება იძლეოდა ამის საშუალებას, ნაპოლეონმა 1802 წელს დააწესა ახალი უმაღლესი პატივის მქონე სახელმწიფო ორდენი საპატიო ლეგიონისა – L'ordre national de la Légion d›honneur. ორდენის დიდ მაგისტრად, მისი შექმნიდან – დღემდე, ითვლება საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური, იყო ეს იმპერატორი, მეფე თუ პრეზიდენტი. შესაბამისად, ნაპოლეონმა მისივე შექმნილი ორდენი, საკიდთან ერთად, საფრანგეთის ახალ სახელმწიფო გერბს დაამატა ფარსგარე შესამკობლად, რეალური სახით.[3] ამიერიდან, მიუხედავად საფრანგეთში სახელმწიფო წყობის მრავალჯერ ცვლილებისა, ქვეყნის სახელმწიფო გერბს მაინც დღემდე უცვლელად არტყია გარს საპატიო ლეგიონის ორდენი და მისი საკიდი.

სახელმწიფო გერბებზე ორდენების გამოსახვაზე საუბრისას, რა თქმა უნდა, რთულია ესპანეთის სამეფო გერბისთვის გვერდის ავლა, რადგან საუკუნეთა მანძილზე, დღევანდლამდე, მას გარს არტყია „ოქროს საწმისის" სახელგანთქმული ორდენი. იგი განასახიერებს XIV საუკუნეში ბურგუნდიის სახელოვანი ჰერცოგის, ფილიპე კეთილის მიერ ჩამოყალიბებულ სარაინდო ორდენს, რომლის სუვერენობაც ესპანეთის ჰაბსბურგ მეფეებს დინასტიური კავშირებით ერგოთ. ასევე დინასტიურად აღმოჩნდა ორდენი XVIII ს-იდან ავსტრიისა და შემდგომ ავსტრია-უნგრეთის გერბებშიც.[4] „ოქროს საწმისის ორდენი" ათწლეულების მანძილზე ერთდროულად ორ სახელმწიფო გერბზე იწონებდა თავს. მაგრამ, მას მერე, რაც ცნობილი ისტორიული პერიპეტიების შედეგად, ავსტრია რესპუბლიკად იქცა, მისი გერბიდან ოქროს საწმისის ორდენიც გაქრა. ოდნავ მოგვიანებით, გასული საუკუნის შუახნიდან, ესპანეთში რესპუბლიკური წყობის დამყარებასთან ერთად, ორდენი ამ ქვეყნის გერბიდანაც გაქრა და მას მერე, კონსტიტუციური მონარქიის რესტავრაციის შემდეგაც აღარ შეუტანიათ სახელმწიფო გერბში.

2 Grant Uden. A dictionary of Chivalry.Longmans Young Books Ltd; W.S. Cowell Ltd. Ipswich. 1968. გვ. 27;

3 Carl A. von Volborth. Heraldry of the World. Blandford Press. Fletcher & Son Ltd. Norwich. 1973. გვ. 82-3, 200-2;

4 Stephen Slater. The Illustrated Book of Heraldry.Lorenz Books. Anness Publishing Ltd. Wigston. 2013. გვ. 148-9;



ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ




ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲠᲑᲘ




ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ



ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ
ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲔᲠᲑᲘ




ᲰᲐᲑᲡᲑᲣᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲠᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲙᲐᲘᲖᲔᲠ ᲤᲠᲐᲜᲪ-ᲘᲝᲡᲔᲤ I-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ (XIX-XX ᲡᲡ)

თუმცა, საწმისის ორდენი ჩანს ესპანეთის სენატისა და კონგრესის საგერბე სიმბოლოებში. საწმისის ორდენის ისტორია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჯილდოთა სახელმწიფო გერბებზე განთავსება, მიუხედავად ფრანგული გამონაკლისისა, უმეტესწილად მონარქიულ ქვეყნებშია (მაგ. დანია, ბელგია და სხვ. – ყოველი მათგანის განხილვა არ არის ამ სტატიის მიზანი) მიღებული. ასეთი კი დასავლეთ ევროპაში საკმაოდ ბევრია და, შესაბამისად, ორდენებიც ევროპულ სახელმწიფო გერბებში საკმაოდ გავრცელებულია.

რაც შეეხება, დასავლეთ ევროპაში საგვარეულო ჰერალდიკაში ჯილდოების გამოყენებას, ამ მხრივ საქმე საკმაოდ ცხადად და მარტივადაა – პრაქტიკულად, ევროპის ყველა ქვეყანაში საგვარეულო ან პიროვნება, რომელიც სარაინდო ორდენს იღებდა, მყისიერად ასახავდა მას კუთვნილ გერბში, როგორც წესი, ორდენის საგერბე ფარის გარშემო. იგულისხმება ორდენის საკიდი ბაფთა, ქამარი ან ჯაჭვი და თვით ორდენიც. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ორდენების საგერბე ფარის შიგნით აღბეჭდვა ჰერალდიკური კანონებიდან გადაცდომად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, გერბის მფლობელ ევროპელ წარჩინებულთა შორის დიდ ნაწილს, რომელიც სარაინდო ორდენების კავალერები (ანუ ორგანიზაციის წევრები და ამავდროულად ორდენის მფლობელებიც) იყვნენ თუ არიან, თავიანთ გერბებზე დართული აქვთ მათი ორდენების გამოსახულებაც. სხვათაშორის, იგივე ვითარებაა დასავლური სამყაროს (დღეს დასვლური ჰერალდიკა ევროპის გარდა ამერიკის და ავსტრალიის კონტინენტების ქვეყნებსაც მოიცავს) უმრავლესი ქვეყნების თანამედროვე საგვარეულო ჰერალდიკაშიც, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში. სადღეისოდ ხომ საგვარეულო გერბის პიროვნული, არაოფიციალური მიღება პრაქტიკულად ნებისმიერ მსურველს შეუძლია. თუმცა, ორდენების ამგვარ საგერბე კომპოზიციებში ასახვაზეც იგივე წესები ვრცელდება, რაც ოფიციალურად აღიარებულ გერბებზე. ამის ერთი, ყველაზე ეგზოტიკური მაგალითია ირანის ბოლო ორი შაჰის მმართველობისას, სხვადასხვა დროს თეირანის უნივერსიტეტის რექტორის, განათლების და საგარეო საქმეთა მინისტრის, დოქტორ ალი აკბარ სიასის საფრანგეთში შექმნილი არაოფიციალური საგერბე კომპოზიცია, რომლის ნაწილიც ერთდროულად სამი ჯილდოა და მათ შორის, საპატიო ლეგიონის ორდენიც.

დასავლეთის საგვარეულო ჰერალდიკაში ორდენების ეგზომ გავრცელების გააზრებისას, საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სწორედ სარაინდო და საპატიო ორდენებზე, რომლებიც ფაქტობრივად ორგანიზაციებს, ერთგვარ საპატიო კლუბებს წარმოადგენს. ხოლო სამხედრო და სამოქალაქო ჯილდოების პირად და, მით უმეტეს, საგვარეულო გერბებში განთავსება, ბევრად იშვიათი მოვლენაა და ჰერალდიკურ გამონაკლისებადაც შეიძლება, მივიჩნიოთ. იგივე ვითარებაა რუსულ ჰერალდიკაშიც, რომლის ერთგვარი შემადგენელი ნაწილიც იყო ქართული ჰერალდიკა. სხვადასხვა სარაინდო თუ საპატიო ორდენების კავალერ (წევრ, მფლობელ) რუს წარჩინებულთა საგვარეულო და პირად გერბებში, ევროპის მსგავსად, ჩვეულებრივ გამოიხატებოდა შესაბამისი ორდენები, მაგრამ რუსეთში და, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, საქართველოშიც, მეტად გავრცელებული იყო არაოფიციალური – საიმპერიო ჰეროლდიის ძვირადღირებული აღიარებისა და დამოწმების გარეშე შედგენილ-გავრცელებული საგვარეულო გერბები, რომლებშიც მფლობელის ყველა სამხედრო, თუ სამოქალაქო ჯილდოსა და ორდენს ნატურალური სახით, მხატვრულად გამოსახავდნენ ხოლმე – ხან ფარს გარშემო, ხანაც თვით ფარში ან ფარს ქვემოთ მდებარე მახვილზე ჩამოკიდებულთ, ხანაც რაიმე სხვაგვარი ფორმით.

აქვე მოკლედ უნდა ითქვას პოლონურ ჰერალდიკაში ჯილდოთა გამოყენებაზეც. სხვადასხვა ტიპის პოლონურ გერბებზე თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა, რომ პოლონური გერბთშემოქმედებისთვის დამახასიათებელი, მეტად მარტივი სტილიდან გამომდინარე, აქაურ გერბებში, თითქმის არ მოიძებნება ადგილი ჯილდოებისა თუ ორდენების განლაგებისთვის. პოლონურ გერბებში მეტად იშვიათია ჯილდოების ასახვა და ეს ძირითადად ხდება პოლონური საგვარეულოების მიერ სხვა სახელმწიფოების ორდენების მიღების შემთხვევაში.

ევროპაში არც სხვადასხვა სახის ჯილდოების ქალაქის გერბებში ინკორპორირება არის იშვიათი. საფრანგეთში ჩვეული მოვლენაა ქალაქის გერბებზე ორდენების ფარსგარე შესამკობლების სახით განთავსება. ასე, მაგალითად, 1949 წელს ქ. ლიონის გერბის გარე შესამკობლებად ოფიციალურად დადასტურდა საპატიო ლეგიონის ორდენის, საბრძოლო ჯვრისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მედლის რეალური, ნატურალური ფორმით გამოსახულებანი.[5] აღსანიშნავია, რომ ეს არ

5 Jiri Louda. European Civic Coats of Arms. Paul Hamlyn. London.1966.გვ. 174-5;



ᲜᲐᲡᲐᲣᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ I ᲝᲠᲐᲜᲟᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ. ᲜᲐᲡᲐᲣᲡ ᲡᲐᲒᲔᲠᲑᲔᲓᲐᲜ. 1900 Წ.



Ქ. ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ




ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲐᲚᲘ ᲐᲙᲑᲐᲠ ᲡᲘᲐᲡᲘᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ. 2019 Წ.




Ქ. ᲑᲠᲔᲡᲚᲐᲣᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ. 1938-45 ᲬᲬ.




Ქ. ᲐᲚᲘᲙᲐᲜᲢᲔᲡ ᲒᲔᲠᲑᲘ

არის გამონაკლისი და ფრანგულ საქალაქო ჰერალდიკაში ამგვარი ფაქტები მეტად ხშირია. საფრანგეთის გარდა სხვა ქვეყნების ჰერალდიკაში, წარსულში თუ აწმყოში, ფიქსირდება ფაქტები გერბებში ჯილდოების ალბეჭდვისა. მაგალითად, გერმანიაში, ნაცისტური მმართველობის პერიოდში, ქალაქ ბრესლაუს გერბში კაიზერული გერმანიის დროინდელი რკინის ჯვრის გამოსხულებაა მოთავსებული. ესპანეთში, ქალაქ ალიკანტეს გერბს კიდევ უფრო ადრინდელი ეპოქიდან მოყოლებული არტყია გარს ოქროს საწმისის ორდენის ჯაჭვი და სიმბოლო.[6] ორდენი ქალაქს უბოძა მეფე ფილიპე V-მ ე.წ. ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომში ქალაქის მიერ მისდამი აღმოჩენილი მხარდაჭერის დასაფასებლად.[7]

კიდევ უფრო ხატოვნად და საინტერესოდ გამოიყურება პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიებიდან საქვეყნოდ ცნობილი ქალაქ ვერდანის ჯილდოებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დახუნძლული არაოფიციალური გერბი. ჯილდოებით ესოდენ დატვირთვა, ცხადია, მსოფლიო ომის დროს ქალაქთან გაჩაღებული თავდაუზოგავი ბრძოლების გამოძახილია. როგორც ამ ნიმუშიდან ჩანს, გერბებზე არაოფიციალურად, უფრო თავისუფალი ფორმით მედლების დართვა ევროპაშიც გვხვდება ხოლმე, ისევე როგორც ქართულ საგვარეულო ჰერალდიკაში ხდებოდა, თუნდაც, მაგალითად, სამხედრო წარსულის მქონე წარჩინებულთა საფლავის ქვებზე აღბეჭდილი მათი გერბების თავისუფალ სტილში შესრულებულ ვერსიებზე. ეს მოვლენა, როგორც მომდევნო თავში უკეთ გამოჩნდება, უფრო მეტად გავრცელებული იყო რუსულ და, მისი გავლენით, ქართულ საგვარეულო ჰერალდიკაში.

რუსულ გერბთმცოდნეობაში, იმპერიის დროს, თითქმის არ ჩანს ქალაქის გერბებზე ჯილდოების განთავსების შემთხვევები და მასში მხოლოდ ყველაზე საპატიო ორდენების ელემენტები ვლინდება. ეს, ალბათ, უფრო იმით აიხსნება, რომ საიმპერიო ჰეროლდია, რომელიც სრულად აკონტროლებდა საქალაქო გერბების შედგენას, კლასიკური ჰერალდიკის კანონების მკაცრად დაცვას ცდილობდა ტერიტორიულ გერბებთან მიმართებით მაინც. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XIX ს-ის მეორე ნახევარში, სწორედ მაშინ, როცა რუსეთში მასობრივად იქმნებოდა ახალი და სწორდებოდა ძველი საქალაქო გერბები. რუსულ ჰერალდიკაში ორდენები გერბებში უფრო დიდ ადგილს იკავებს რევოლუციის და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საბჭოთა სიმბოლიკის ზეობის ხანაში. ცხადია, ეს პირდაპირი ანარეკლია მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების სიმბოლიკაში გადატანისა და აქ თავისთავად ჩნდება პარალელი თუნდაც ფრანგულ ჰერალდიკასთან, როცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ფრანგულ საქალაქო გერბებში მომრავლდა ჯილდოთა გამოსახულებები. აქვე აღსანიშნავია იმხანად გამოკვეთილი ტენდეცია – საბჭოთა ე. წ. „გმირი ქალაქების" ემბლემებში (რეალურად, მათ უმეტესობას ძნელად თუ დაერქმეოდა გერბი) საბჭოთა კავშირის გმირის ორდენის რეალური სახით განთავსება. ამის გამო, ომის შემდგომი






ქ. ვერდანის გერბი

6 Jiri Louda. European Civic Coats of Arms. Paul Hamlyn. London. 1966. გვ. 92-3;

7 HeraldryoftheWorld.https://www.heraldry-wiki.com/heraldrywiki/index.php?title=Alicante. მონახულებულია – 08.10.2020;



ქ. ვოლგოგრადის 1968 წელს მიღებული გერბი[8]



ქ. სევასტოპოლის 1969 წელს მიღებული გერბი[9]



ქ. ნოვოროსიისკის 1974 წელს მიღებული გერბი[10]

საბჭოთა ქალაქების სიმბოლიკაში ძირითადად სწორედ გმირობის ორდენის ოქროს ვარსკვლავები ჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, იმჟამინდელ საქალაქო ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გერბებსა და ემბლემებში მსოფლიო ომის კვალი პრაქტიკულად არ ასახულა და რამენაირი საბრძოლო ჯილდოებიც არ გამოჩენილა. ეს, შესაძლოა, იმით აიხსნას, რომ მიუხედავად უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლისა, საქართველოს ტერიტორიაზე ფრონტის წინა ხაზი არ გადიოდა და ქართველებსაც, როგორც საბჭოთა რუსეთისგან ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობას, ეთნიკურ რუსებთან ან თუნდაც ბელორუსებთან შედარებით, სუსტად ჰქონდათ საბრძოლო მოქმედების ე.წ. სამამულო ომად აღქმის განცდა.

ესპანეთის სამხედრო ჰერალდიკაში საპატიო წესად არის მიღებული და მეტად პოპულარულია სამხედრო ნაწილების სრული საგერბე კომპოზიციის განუყოფელ შემადგენელ ელემენტებად სამხედრო ჯილდოების წარმოჩენა.[11] ნაწილის საგერბე ფარის ქვეშ რეალური სახით გამოიხატება ყველა ის ჯილდო, რომელიც კი თავისი არსებობის ისტორიაში გერბის მფლობელ სამხედრო ნაწილს მიუღია. უმაღლესი ჯილდოს – „ლორეადას" (Laureada) მიღების შემთხვევაში კი, ფარს გარს ერტყმის სპეციალური დეკორაცია – ანტიკური ეპოქიდან ცნობილი, გამარჯვებულთა დაფნის გვირგვინისებრი შესამკობელი და ფარს უკნიდან – სხვადასხვა მხარეს მიმართული მახვილების პირები.

ცხადია, არა მარტო ესპანურ სამხედრო ჰერალდიკაშია გავრცელებული სამხედრო ჯილდოების გამოსახვა ნაწილებისა და ქვედანაყოფების გერბებში. მაგალითად, გერმანიაც გამოდგება, სადაც გასაკვირი არ არის, რომ მრავალი სამხედრო ნაწილის გერბში ფიქსირდება მდიდარი, თუმცა არაერთაზროვანი ისტორიის მქონე გერმანიის, ალბათ, ყველაზე სახელგანთქმული ჯილდო – რკინის ჯვარი, ოღონდ სტილიზებული, თანამედროვე გერმანიაში მიღებული ფორმით. ნატურალური სახით იგი გერმანულ ჰერალდიკაში მხოლოდ ნაცისტური გერმანიის და უფრო ადრეულ ხანებში გამოიყენებოდა.

უცხოეთის ჰერალდიკურ პრაქტიკებში ორდენებისა და ჯილდოების გამოყენების მოკლე მიმოხილვის შემდგომ, უპრიანი იქნება, გამოვლინდეს, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულ გერბთმცოდნეობაში.

## ორდენები ქართულ ჰერალდიკაში

სახელმწიფო გერბში ორდენის გამოყენება არც ქართულ ჰერალდიკაში იყო უცხო. საყოველთაოდ ცნობილ, ერეკლე II-ის დიდი სახელმწიფო ბეჭდიდან შემორჩენილ ქართლ-კახეთის სამეფოს გერბს, გარს არტყია რუსეთის იმპერიის წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ჯაჭვი და მასზე ჩამოკიდებული საკუთრივ ორდენი.[12] ბეჭედი გამოყენებულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე – გეორგიევსკის ტრაქტატზე,

8 Герб Города Волгоград. https://geraldika.ru/s/726. მონახულებულია - 06.10.2020;

9 Герб ГородаСевастополь. https://geraldika.ru/s/3309. მონახულებულია - 06.10.2020;

10 Геральдический портал (всё о флагах и гербах).shorturl.at/iwC19 . მონახულებულია - 07.10.2020;

11 Stephen Slater. The Illustrated Book of Heraldry.Lorenz Books. Anness Publishing Ltd. Wigston. 2013. გვ. 164-5;

12 თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბილისი. 2002. გვ. 17, II;



ესპანეთის შეიარაღებული ძალების მე-20 საარტილერიო პოლკის გერბი



ბუნდესვერის (გერმანიის არმია) კომანდოების გერბი



ბუნდესვერის 38-ე მექანიზირებული ბრიგადის გერბი

ხოლო წმ. ანდრიას ორდენი ერეკლეს რუსეთის „იმპერატრიცა" ეკატერინე II-მ 1769 წელს უბოძა. ამ შემთხვევაში, თავისთავად ჩნდება პარალელები დასავლეთის ზემოთაღწერილ სახელმწიფო გერბებთან, მაგრამ პრინციპული სხვაობაც სახეზეა: ევროპულ სამეფო გერბებზე თვით ამ ქვეყანათა ორდენებია აღბეჭდილი, მაშინ, როცა ერეკლესეულ გერბზე განთავსებულია „მფარველი" ქვეყნის, რუსეთის სახელმწიფო ჯილდო. პოლიტიკურად ეს რასაკვირველია უმნიშვნელოვანესი სხვაობაა, თუმცა წმინდა ჰერალდიკურ ჭრილში და მოცემული სტატიისთვის, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჯილდოს გამოსახვა სახელმწიფო გერბზე ქართულ ჰერალდიკურ ტრადიციაშიც დასტურდება.

ქართულ ჰერალდიკაში ჯილდოების გამოსახვა ყველაზე მეტად საგვარეულო გერბებში იყო გავრცელებული. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს და მათ საფუძველზე შევეცდებით, განვაზოგადოთ ეს საკითხი ქართულ გერბთმცოდნეობაში.

პომპეზურობითა და მიმზიდველობით გამორჩეული, თუმცა ჰერალდიკური წესების დაუცველობით ჯილდოთა გამოყენების ნიმუშია ახალი შუამთის მონასტრის საფლავის ქვაზე აღბეჭდილი ჭავჭავაძეთა საგვარეულოს, ყვარლის შტოს ერთ-ერთი წარმომადგენლის პირადი გერბი.[13] აქ ჯილდოები, ერთგვარი ფარსგარე შესამკობლის სახით, საგერბე ფარის ქვეშ მოთავსებულ ხმალზე არის გადაკიდებული. ჰერალდიკის კანონიკის ფარგლებს გაცდენილი ასეთი კომპოზიცია ფრიად ხშირია ქართულ ჰერალდიკაში და ჭავჭავაძეთა გარდა კიდევ რამდენიმე სხვა საგვარეულო თუ პირად გერბში გვხვდება.

უნდა ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში არანაკლებ გავრცელებული იყო გერბებში ორდენთა ჰერალდიკურად მართებული განთავსებაც – საგერბე ფარს გარშემო. თანაც, საინტერესოა, რომ ასეთი ნიმუშები გამოვლენილია, როგორც, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, საკმაოდ ძველ – XIX ს-ის დასაწყისის გერბებში (მაგალითად, სომხური წარმოშობის თავად მადათოვების გერბში), ასევე შედარებით გვიანდელ, XIX ს-ის შუა ხნის, ან მიწურულის, ხიმშიაშვილების, ფარის ფორმის საკმაოდ ორიგინალურ გერბში (ორივე შემთხვევაში შექმნის თარიღი გერბის სტილით არის ნავარაუდები) და უკვე XX საუკუნეში, ევროპული ჰერალდიკის წესების ზედმიწევნით დაცვით შექმნილ ჩხოტუა-ჭყო-

13 თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბილისი. 2002. გვ. 28-9, XLIV;



გერბი ერეკლე II-ის საბეჭდავიდან



თავად ხიმშიაშვილთა გერბი მათი საგვარეულო საბეჭდავიდან[17]



თავად მადათოვების გერბი მათი საგვარეულო საბეჭდავიდან[18]

ნიათა გერბშიც, მალტის ორდენის ჯვრით.[14]

ქართულ გერბთა შორის მოიპოვება ისეთი ეგზემპლარიც, რომელშიც ორდენი უშუალოდ ფარშია მოთავსებული. ასეთია ერეკლე II-ის მიერ თავადობაბოძებული, სომხური წარმოშობის დიდგვაროვან, არღუთაშვილთა საგვარეულოს რუსეთის იმპერიაში დაწინაურებულ მემკვიდრეთა – არგუტინსკი-დოლგორუკების გერბი. მასში ერეკლესეული ძველი კომპოზიცია შესწორდა და ნახევრად წარმოჩენილ საიმპერიო არწივთან ერთად, ფარის ცენტრში გამოიხატა წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენის ჯვარიც.[15]

ალბათ, ცალკე აღნიშვნად ღირს საკმაოდ უცნობი ვარიანტი შერვაშიძეთა ცნობილი გერბისა, რომელიც 1900 წლით თარიღდება და ეკუთვნის გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს, დანებორგის ორდენის კავალერს და 1907 წლიდან დანიის მეფე ქრისტიან XI-ის ქალიშვილის მეუღლეს. ორდენის წევრობა გიორგი შერვაშიძეს ებოძა დანიაში ვიზიტის დროს, როცა იგი რუსეთის იმპერატორის ოჯახს ახლდა თან. გერბის წარმოდგენილი ნიმუში (იხ. სურათი) დღესაც მდებარეობს დანიის სამეფო სასახლეში, დანებორგის ორდენისადმი მიძღნილ დარბაზში.[16]

როგორც ზემოთ მოყვანილი აღწერილობებიდან იკვეთება, ქართულ საგვარეულო ჰერალდიკაში ჯილდოთა გამოყენების პრაქტიკულად ყველა შესაძლო ვერსია ვლინდება, იმისდა მიხედვით, თუ გერბების შექმნის პერიოდში რომელი ტენდენციები მძლავრობდა გერბთშემოქმედებაში – ადგილობრივი, რუსულ-იმპერიული თუ ევროპული, კლასიკური.

რაც შეეხება ტერიტორიულ გერბებს, კონკრეტულად კი, საქალაქო ჰერალდიკას, არც ადრეულ და არც თანამედროვე ქართულ ქალაქთა გერბებში ჯილდოებს პრაქტიკულად ვერსად ვხვდებით, გარდა ერთადერთი გამონაკლისისა, რომელშიც მხოლოდ მცირედი ელემენტის სახით ჩნდება წმ. გიორგის რუსული ორდენის კვალი. ეს არის 1870 წელს რუსეთის იმპერიაში შექმნილი ქ. ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის გერბი, რომელშიც უშუალოდ საგერბე ფარში მოთავსებული მთავარი და ერთადერთი ფიგურა – ოქროს საწმისი, ჩამოკიდებულია რუსული წმ. გიორგის ორდენის ბაფთაზე.[19] ეს გამონაკლისი ალბათ მაინც უფრო იმ წესის ხაზგასმად უნდა აღიქმებოდეს, რომელიც ადასტურებს, რომ ქართულ საქალაქო გერბებში ჯილდოების გამოსახვის ტრადიცია ფაქტობრივად არ არსებობს. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას სამხარეო გერბებზეც, სადაც საქალაქოთაგან განსხვავებით, ქუთაისის გერბის მაგვარი გამონაკლისიც კი არ ფიქსირდება. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ტერიტორიულ ჰერალდიკაში ჯილდოთა გამოსახვის ტრადიცია არც წარსულსა და არც თანამედროვეობაში არ ვლინდება.

ქართულ სამხედრო ჰერალდიკაში, ალბათ უფრო სამწუხაროდ, ვიდრე სასიხარულოდ, საერთოდ არ არსებობს სამხედრო სახეობების, ნაწილების თუ ქვეგანაყოფების გერბებ-

14 თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბილისი. 2002. გვ. 71, 84, 88,XXVII, XLIII, XLVI;

15 თორნიკე ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბილისი. 2002. გვ. 47, XIV;

16 Гербы княжеских фамилий Абхазии. http://www.kapba.de/FamilyWappen.html .მონახულებულია - 08.10.2020

17 საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის ალბომი;

18 საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის ალბომი;

19 თორნიკეასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბილისი. 2002. გვ. 28-9, XII;



შერვაშიძეთა გერბი დანიის სამეფო სასახლიდან



ქ. ქუთაისის გერბი. 1870 წ.

სა და ემბლემებში ჯილდოების გამოსახვის ჩვეულება. ეს გასაგებიც არის, რადგან, ზოგადად არ არსებობდა არც ნაწილებისთვის ჯილდოების ბოძების პრაქტიკა და შესაბამისად, ბუნებრივია, არც მათი გერბებში გამოხატვა იყო და არის შესაძლებელი. ზემოთ ითქვა – სამწუხაროდ, რადგან საქართველოში, მიუხედავად მდიდარი მხედრული მემკვიდრეობისა, ნაკლებად არსებობდა რეგულარული შეიარაღებული ძალების ფუნქციონირების ისტორიიდან გამომდინარე, ტრადიციები, რასაც გუნდური სულისკვეთების – espri de corp, ამაღლება მოყვება. გადატანილი ბრძოლების გარდა, ამგვარ ტრადიციებს სწორედ ისეთი, ერთი შეხედვით, წვრილმანები ქმნის, როგორიც არის უცვლელი სამხედრო სიმბოლიკა, უნიფორმა, ქვედანაყოფების დაჯილდოვება და ამ ჯილდოების მათ გერბებში გამოსახვა თუ მისთ.

სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის ჰერალდიკურ პრაქტიკაში ჯილდოების გამოყენების ტიპიური ნიმუშების განხილვის შედეგად, შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი შეჯამების გაკეთება, გარკვეული დასკვნების გამოტანა და ამ მიმართულებით, ავტორისეული მოსაზრებით, სასურველი სამომავლო გეზის დასახვა.

## დასკვნა

საბოლოოდ, როგორც წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი მოკლე განხილვიდანაც ცხადად გამოვლინდა, სარაინდო თუ საპატიო ორდენების ატრიბუტების და სხვა სამხედრო, თუ სამოქალაქო ჯილდოების გამოყენება საკმაოდ გავრცელებული იყო და არის ბევრ, ჰერალდიკის მდიდარი თუ შედარებით მოკრძალებული ტრადიციის მქონე ქვეყანაში. თუ შესაძლებელია, ასე ითქვას - პრაქტიკულ ჰერალდიკაში ჯილდოების გამოყენების ტენდენციებს თავის განსაკუთრებული ნიში და როლი გააჩნია. ყოველივე ამას კი დასაბამი განვითარებულ და განსაკუთრებით, გვიან შუასაუკუნეებში სარაინდო ორდენების შექმნამ დაუდო.

კვლევისას ასევე გამოვლინდა რამდენიმე კანონზომიერება. დიდი სამხედრო ისტორიის მქონე ქვეყნებში ჯილდოების გამოყენება გერბებში უფრო ხშირიც არის და ჰერალდიკის უფრო მეტ სფეროსაც მოიცავს. აგრეთვე, ასეთ ქვეყნებში ჯილდოები ფართოდ არის გავრცელებული სამხედრო ჰერალდიკაშიც. კონსტიტუციური მონარქიული წყობის ქვეყნების სახელმწიფო გერბებში ბევრად უფრო ხშირია ორდენების ასახვა, ვიდრე რესპუბლიკური წყობის ქვეყნებში. ამასთანავე, სადაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მიდგომა ჯილდოებისადმი მეტი მნიშვნელობისა და დატვირთვის მქონეა, სადაც დაჯილდოების მრავალმხრივი სისტემა არსებობს, არამარტო პირების, არამედ ქალაქების, ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების მიმართაც, იქ, ბუნებრივია, ორდენების გავლენაც ჰერალდიკაზე ბევრად უფრო საგრძნობია.

შესწავლილი მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ქართული ჰერალდიკისთვის რელევანტური რამოდენიმე პარალელის გავლებაც: პირველი – ევროპაშიც და საქართველოშიც, ისევე როგორც რუსეთშიც, არაოფიციალურ გერბებზე ჯილდოები უფრო მრავალფეროვნად და უხვად დაერთვებოდა ხოლმე, ვიდრე ოფიციალურად დამტკიცებულ ნიმუშებში; მეორე – საქართველოში სახელმწიფო გერბზე ორდენის გამოსახვის ერთადერთი შემთხვევა ქვეყნის მონარქიულ წარსულთან არის დაკავშირებული. ისევე, როგორც ევროპაში, ჯილდოები სახელმწიფო გერბებზე, საფრან-გეთის ერთადერთი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ მონარქისტული ქვეყნების სახელმწიფო სიმბოლიკაზე ფიქსირ-

დება; და ბოლოს, მესამე – ევროპის უმრავლეს ქვეყნებშიც და საქართველოშიც ჰერალდიკის სფეროებიდან, გერბებზე ჯილდოთა განთავსება ყველაზე გავრცელებული მაინც საგვარეულო ჰერალდიკაში იყო და ბევრ ქვეყანაში დღემდე არის კიდეც. უმთავრესი, რაც ჯილდოებთან დაკავშირებით ქართულ ჰერალდიკას ევროპულისგან განასხვავებს, ეს არის საქართველოში საქალაქო და კორპორატიულ (ანუ ორგანიზაციათა), განსაკუთრებით კი, სამხედრო ჰერალდიკაში ჯილდოთა გამოყენების ფაქტების პრაქტიკულად ნულოვანი რაოდენობა.

საზოგადოდ, კლასიკური ჰერალდიკის მკაცრ კანონებს ძნელად ესადაგება გერბებში ჯილდოების ჩართვა, განსაკუთრებით, თუ ეს ხდება ჯილდოს უშუალოდ ფარში ჩასმით. სამაგალითოდ გამოდგება საფრანგეთის ქალაქ დიჟონის გერბი, რომლის საგერბე ფარის ქვედა ნახევარში, 1899 წელს, პრუსიელებთან ომში გმირული თავდაცვის გამო, ქალაქისთვის ბოძებული საპატიო ლეგიონის ორდენი გამოიხატა. თუმცა, ფარში ჩამატებული ორდენი, 1962 წელს, ფარსგარე შესამკობლად აქციეს.[20] ეს განხორციელდა სწორედ იმისთვის, რომ მთლიანად საგერბე კომპოზიცია კლასიკურ ჰერალდიკურ კანონებს უკეთ მისადაგებოდა. ამრიგად, ჰერალდიკაში ორდენების/ჯილდოების გამოყენება უფრო მისაღებია გარე შესამკობლების სახით, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფარსგარე შესამკობლად გამოხატვა არსებულ გერბთმცოდნეობის წესებს ესადაგება და არა იმ სახით, როგორც რუსულ და ქართულ საგვარეულო ჰერალდიკაშია უმეტესწილად გავრცელებული – საგერბე კომპოზიციაში ფარს გარეთ თავისუფალი, ხატოვანი და იმპროვიზაციური ფორმის დამატებით.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქართულ ჰერალდიკაში, ჯილდოთა გამოყენებას, უმეტესწილად ობიექტური მიზეზების გამო, ევროპულთან შედარებით, ბევრად ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ექცევა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სასურველი იქნებოდა, ჯილდოები, ჰერალდიკურად მისაღები ფორმით, უფრო აქტიურად იქნეს ჩართული ქართულ გერბთშემოქმედებით პრაქტიკაში. ეს ახლებურად გაამდიდრებდა ქართულ ჰერალდიკას და კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას შემატებდა მას. ამ პროცესის დაწყებას ხელი უნდა შეუწყოს, ზოგადად, ქვეყანაში ჯილდოებისადმი მიდგომის სახელმწიფო პოლიტიკამ და შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლამაც.

**თორნიკე ასათიანი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ჰერალდიკის სპეციალისტი

## გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

1. ასათიანი, თორნიკე. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბილისი, 2002;
2. საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, გლიპტიკის ფონდი, ოსკარ გეტლინგის არქივი, გლიპტიკური კოლექციის ალბომი;
3. Coat of Arms. https://www.royal.uk/coats-arms;
4. Uden, Grant. A dictionary of Chivalry. Longmans Young Books Ltd; W.S. Cowell Ltd. Ipswich. 1968;
5. Slater, Stephen. The Illustrated Book of Heraldry. Lorenz Books. Anness Publishing Ltd. Wigston. 2013;
6. Louda,Jiri. European Civic Coats of Arms. Paul Hamlyn. London. 1966;
7. Volborth, Carl Alexander von. Heraldry of the World. B landford Press. Fletcher & Son Ltd. Norwich. 1973;
8. HeraldryoftheWorld. https://www.heraldry-wiki.com/heraldrywiki/wiki/Heraldry–of–the–world. მონახულებულია – 08.10.2020;
9. *Арсеньев, Ю.В. Геральдика. Терра*. 2001.
10. *Геральдический портал* (*всё о флагах и гербах*). shorturl.at/iwC19. მონახულებულია - 07.10.2020;
11. *Геральдика.ру*. https://geraldika.ru/. მონახულებულია - 06.10.2020;
12. *Гербы княжеских фамилий Абхазии*. http://www.kapba.de/FamilyWappen.html .მონახულებულია - 08.10.2020;

20 Jiri Louda. European Civic Coats of Arms. Paul Hamlyn. London. 1966. გვ. 124-5;

# შამილის ორდენები[1]



იმამი შამილი, ჰ.დენერი, ფოტოპორტრეტი, 1859




ნაიბი ესკი და იმამატის სხვა წევრები

იმამ შამილი იყო კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი. წარმოშობით დაღესტნელი შამილის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ – მიურადიზმმა (მისი მოთხოვნა იყო თეოკრატიის ბელადის – იმამისადმი სრული მორჩილება და „ურჯულოთა" წინააღმდეგ ბრძოლა) დაღესტანი და ჩეჩნეთი რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის გააერთიანა. იგი აგრეთვე ემხრობოდა თემური სისტემის შეცვლას, რომელიც გაუთავებელ შუღლს ბადებდა კავკასიურ თემებს შორის და მუსულმანური წესის – შარიათის კანონის აღდგენაც სცადა.

დაღესტნელი და ჩეჩენი ხალხები მას, როგორც სულიერ წინამძღოლს, მოწიწებით იმამს ეძახდნენ.

შამილი თავის ბრძოლაში რელიგიურ, ადმინისტრაციულ და სამხედრო ძალაუფლებას იყენებდა. ბატონიშვილი ილია ორბელიანი, რომელმაც შამილის ტყვეობაში რვა თვე გაატარა, თავის წიგნში „რვა თვე შამილის ტყვეობაში" წერდა:

*შამილი თავისი გამჭრიახობით, მტკიცე ხასიათით, ვაჟკაცობითა და პიროვნული თვისებებით გამოირჩევა. შამილის წინამორბედები, გაზი მუჰამედი, მოლა და ჰამზათ ბეგი, 1832-1834 წლებში მოკლეს. მოლა რუსებზე თავდასხმისას დაიღუპა, ხოლო ჰამზათ ბეგი ნაიბის (ადგილობრივი ლიდერის) მიერ დაღესტანში იქნა მოკლული. შამილის პოპულარობა დაღესტნელთა შორის დღითიდღე იზრდებოდა.*

25 წლიანი ბრძოლის განმავლობაში მან მრავალი გამარჯვება მოიპოვა, რითიც მოწინააღმდეგე რუსეთის სამხედრო ლიდერების პატივისცემაც კი დაიმსახურა.

თავის სახელმწიფოში იმამ შამილმა მიიღო რიგი კანონებისა – ფულადი ჯარიმების, ვაჭრობის, მემკვიდრეობის, ქორწინების შესახებ და მრავალი სხვა.

მან ჩამოაყალიბა რეგულარული ქვეითი რაზმი, დაიწყო საკუთარი არტილერიის შექმნა და მოახდინა ჯარის რეორგანიზაცია. ამ პროცესის დასაწყისი იყო სარდლობის ოფიციალური რანგების მინიჭება და ჯილდოების სისტემის დანერგვა.

ეს ჯილდოები პირველად ისტორიკოსმა ჰაჯიმურად დონოგომ აღწერა, მანვე გადათარგმნა ორდენებზე არსებული არაბული წარწერები.

1 Хаджи Мурад Доного Ордена Шамиля (Махачкала 1995) მოკლე მიმოხილვა

### წარმოგიდგენთ ჰაჯი-მურად დონოგოს წიგნის „შამილის ორდენები" („ОРДЕНА ШАМИЛЯ") მიმოხილვას:

ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამის მიერ 1841 წელს დაწესებული სამკერდე ნიშნები თავისებურ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო ჯილდოების ისტორიაში.

რუსეთის გენერალიტეტი სიამოვნებით აგროვებდა შამილის ჯარისკაცების ორდენებს საპატიო ნაალაფარის სახით. ყველაზე დიდი მონდომებით კავკასიის გუბერნატორი ალექსანდერე ბარიატინსკი გამოირჩეოდა. სწორედ მას ეკუთვნოდა ყველაზე მსხვილი და მრავალფეროვანი კოლექცია, რომელიც 1923 წელს დაღესტნის სახელმწიფო გაერთიანებულ მუზეუმს გადასცეს.

თავდაპირველად შამილისგან მეომრების წახალისება სხვადასხვა საჩუქრების მეშვეობით ხდებოდა – იქნებოდა ეს ცხენი, იარაღი, ცხვარი, სხავადასხვა ძვირფასი ნივთი თუ ფული. მისგან 30 ვერცხლის რუბლის მიღება უაღრესად დიდ პატივად ითვლებოდა.

1840 წლისთვის მთიულებმა შამილის მეთაურობით დიდ სამხედრო წარმატებას მიაღწიეს, დიდი თავდადებით ებრძოდნენ როგორც რუსულ ჯარს, ისე აჯანყებულ ადილეელებს, აიღეს 12 ფორტიფიკაცია. ზუსტად მაშინ დაარსდა შამილის პირადი გვარდია „მურთაზიგატორი" („დაქირავებული მეომრები", მოხალისეები).

შამილს კარგად ესმოდა, რომ ომში ჯარის მორალური მხარდაჭერა და წახალისება პროვიანტზე და იარაღზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამიტომ, თურქეთის ჯილდოების სისტემის მაგალითზე, ნაიბ აჰვერდილავისა და იუსუფ-ჰაჯის დახმარებით, მან შეიმუშავა და დანერგა ჯილდოების სისტემა მამაცი მეომრებისთვის.

არ არსებობს ორი აბსოლუტურად იდენტური ჯილდო. მათთვის საერთოა მხოლოდ დიზაინის ძირითადი პრინციპები – გენერლებისთვის ნახევარვარსკვლავი, მრგვალი მედალი – ასმეთაურისთვის, სამკუთხა მედლები – სამასმეთაურისთვის, ხოლო ხუთასმეთაურისთვის – ვერცხლის სამხრეები (ეპოლეტები) და ხმლის სხვადასხვა ფერის აბრეშუმის თასმა (ე.წ. темляк).





„გამბედაობისა და კეთილშობილებისათვის" – ვერცხლი, სევადი



„ვისაც შეღები აფიქრებს, გმირი არ არის" – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ვისაც შეღები აფიქრებს, გმირი არ არის" – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ნიზამის დამწესებელი, 2616 სუნის წმინდამყოფელი, ახალი ჯავათჰანის მომტანი, ალაჰმა მისცეს წყალობა და ადღეგრძელოს მისი ნეტარება. ძალა ალაჰისაა“ – ვერცხლი, სევადი, ფილიგრანი, დიამეტრი 90 მმ



„მამაცია ვინც ბრძოლას არ გაურბის და საფრთხეა მისი ცხოვრება“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ვისაც შედეგი აფიქრებს, გმირი არ არის“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ

გარდა ამისა, იყო ნახევარმთვარის და სხვა ფორმების ჯილდოები. ჯილდოს ჰქონდა შესაბამისი წარწერები არაბულად.

1842 წლის ბოლოს შამილმა ჩამოაყალიბა სამხედრო იერარქია, შემდეგ კი ახვერდი-მაგომას, შუიბ მულას და ულუბი მულას გენერლის რანგის ექვივალენტური წოდება მიანიჭა, ხოლო დანარჩენ ნაიბებს – კაპიტანის რანგის ექვივალენტური წოდება.

გენერლები ატარებდნენ განმასხვავებელ ნიშნებს – ნახევარვარსკვლავებს (თითო მხარზე თითო ნიშანს), რომემთა შეერთების გზით ილებდნენ სრული ორდენის ვარსკვლავს.

ყველა დანარჩენი (ნაიბები და მათი თანაშემწეები), რობლებსაც კაპიტნებს უწოდებდნენ, ატარებდნენ ოვალურ მედლებს, ხოლო კაპიტნის თანაშემწეები და სოფლის უხუცესები – ვერცხლის ფირფიტებს.

შამილის ორდენების სისტემაში, როგორც ნებისმიერ სხვა ჯილდოთა სისტემაში, იყო სხვადასხვა ხარისხის მედლები, მაგრამ თითმის ყველა მათგანს ჰქონდა  ოდნავ ამობურცული მრგვალი დისკის ფორმა. ყველა ჯილდო მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლისგან იყო დამზადებული, ზოგი ფირფიტა იყო მორთული ნახევარსფეროებით, ორნამენტებითა და ჭედილი ვარსკვლავებით. მაგრამ არსებობდა უმაღლესი ხარისხის ჯილდო, რომელიც წარმოადგენდა ოვალური ფორმის მედალს, ზედაპირზე  დატანილი ჭრილი ორნამენტით, რომელიც ერთი შეხედვით გავდა ჯვარს.

უმაღლესი სარდლობის დაჯილდოება იყო შამილის ექსკლუზიური უფლება. შამილის მიერ გადაცემული ჯილდოები ხშირად იყო მოოქროვილი. ჯილდოს გადაცემის უფლება ნაიბებისთვისაც ნებადართული იყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, შამილის უახლოესი წრის წარმომადგენლებს არაერთი განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდათ და საიამოვნებით ატარებდნენ მათ, თვითონ იმამი არცერთ ორდენს არ ფლობდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუზეუმებში და საცავებში დაცული ჯილდოების უმეტესობას არ აწერია მიმღების სახელი, რაც ნიშნავს იმას,



„ვისაც შედეგი აფიქრებს, გმირი არ არის“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ეს გმირი-ბეიბათია“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 70 მმ



„ვისაც შედეგი აფიქრებს, გმირი არ არის“ –  ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ეს დიდებული სულთანი შამილის ერთ-ერთი გამორჩეული ნაიბია, ალაჰმა დალოცის მისი სახელმწიფო“ – მოოქროვილი ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 90 მმ



„ეს ორდენი ეკუთვნის გმირს“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ამ ნიშნით დანიალ სულთანმა გმირი დააჯილდოვა, 1263 წ.“ (1846-47 წ.წ.) – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 67 მმ



„ეს კაცი ლომივით იბრძვის“ – მოოქროვილი ვერცხლი, სევადი, ფილიგრანი, დიამეტრი 75 მმ



„ეს ახალი ჯარის ასმეთაურია“ – მოოქროვილი ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 65 მმ



„ვისაც შედეგი აფიქრებს, გმირი არ არის“ – ვერცხლი, სევადი, დიამეტრი 60 მმ

რომ ჯილდოების უდიდესი ნაწილი წინასწარ იყო დამზადებული.

ჯილდოს მიმღების სახელი მხოლოდ რამოდენიმე ორდენზეა აღნიშნული. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ორდენი მზადდებოდა კონკრეტული პიროვნებისთვის და მისი სახელი დატანილი იყო ჯილდოს ზედაპირზე.

პირველად გამორჩეულ მეომარს გადასცემდნენ მოკრძალებულ ჯილდოს, რომლის აუცილებელი ელემენტი იყო არაბული სევადის წარწერა.

შამილის ორდენების ძირითადი სამხატვრო ელემენტი გახლავთ ხმალი, როგორც ყველა მეომრის აუცილებელი ატრიბუტი. იშვიათ შემთხვევაში ხმალთან ერთად გვხდება პისტოლეტის გამოსახულება, მაგრამ არასდროს – ხანჯლის.

აქვე, მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ მედლებზე დატანილი რამდენიმე წარწერა:

„ეს საპატიო ნიშანი იმამმა გადასცა გმირს ადამიანთა შორის“

„ეს კაცი ლომივით იბრძვის”

„კეთილშობილის და ღირსეულის ორდენი. იმამმა გადასცა მათ, ვინც ხალხში გმირობა და სიმამაცე გამოავლინა”

„ვინც შემდგომზე ფიქრობს, ის არ არის გმირი. გამოავლინა სიმამაცე, ემორჩილება ნაიბ გაირბექს”

„ეს გმირი ზეიბათია”

„ეს გმირობის ნიშანია”

საინტერესოა, რომ სიმამაცისთვის წახალისების რიგი საშუალებების გარდა, არსებობდა ეგრეთწოდებული „სიმხდალის ნიშანი”. იგი წარმოადგენდა მარჯვენა მკვლავზე ან ზურგზე მიკერებულ თექის ნაჭერს, რომლის ტარებას მშიშარას აიძულებდნენ მანამ, სანამ ბრძოლაში თავს არ გამოიჩენდა.

იმამ შამილის თითოეული ჯილდო დაღესტნის იუველირთა დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მაღალმხატვრული ნამუშევარია.

თარგმნა ვიქტორია სარჯველაძემ

**ჰაჯი მურად დონოგო**




1559 დიოგო ჰომემის პორტოლანი (შავი ზღვა). პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა. 101,5X147. სმ.


Septentrio.
EVROPA
Rusia.
Campestria
Mēgralia.
hungaria:~
servia.
grecia:
Asia minor:~
Oriens
judea.
Arabia petrea
Egiptus.
Marmarica.
Diegus homē cosmographus me fecit año dm. .1560.

# კვლავ ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ ანუ „არასიმართლე... წარმოსახვით ნასაგრდლოები"

2018 წელს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში გამოქვეყნდა ნინო ჯაველიძის წერილი „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერსახის გარკვევისთვის",[1] სადაც ავტორი მიზნად ისახავს, გაარკვიოს ერთიანი ქართული მონარქიის დროშის სახე და პარალელურად აკრიტიკებს ამავე თემაზე 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქმულ ჩემს მოსაზრებებს.[2]

შეგახსენებთ, რომ ჩემს ნაშრომში ქართველი (თამარის პირველი ისტორიკოსი), სომეხი (სტეფანოს ორბელიანი) და სპარსელი (მუჰამად იბნ ალი რავენდი) მემატიანეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვივარაუდე, რომ XII საუკუნეში საქართველოს სამეფო დროშა თეთრი ფერის ქსოვილზე დატანილ წითელ ჯვარს წარმოადგენდა.[3] ნ. ჯაველიძე, როგორც განსხვავებული შეხედულების მქონე, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ილაშქრებს და თავის წერილს ერთობ დამახასიათებელი კრიტიკით იწყებს. მომყავს ციტატა ჩემი სტატიიდან, რომელიც თვალში არ მოუვიდა პატივცემულ მკვლევარს: „შუა საუკუნეების ქართული დროშების შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება. კიდევ უფრო მწირია ცნობები, რომლებიც ამ დროშის აღწერილობას შეიცავს. ერთიანი მონარქიის გორგასლიან-დავითიანი დროშის ფერსა თუ სახეზე მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსი (XII ს.) და სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.) მოგვითხრობს".[4] ამ უწყინარმა და, რაც მთავარია, მართებულმა ფორმულირებამ ჩემი ოპონენტის ისეთი რისხვა დაიმსახურა, რომ მას მთელი ორი თავი მიუძღვნა. მოვუსმინოთ ნ. ჯაველიძეს: „დავიწყოთ საკითხით, რომელიც წყაროებში ზოგადად ქართული დროშების ხსენებას მოიცავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი არ იცნობს (ან არ სურს განიხილოს) იმ წერილობით წყაროებს, სადაც ქართული დროშები მათი აღწერის გარეშეა ნახსენები".[5] ამას მოსდევს გრძელი ჩამონათვალი, სადაც, არც მეტი, არც ნაკლები, მოყვანილია მაგალითები წყაროებიდან, სადაც უბრალოდ სიტყვა „დროშა" არის ნახსენები! შედეგად, ნ. ჯაველიძე ასკვნის: „ზემოთქმულიდან გამომდინარე, მ. წურწუმიას სიტყვები, თითქოსდა „შუა საუკუნეების ქართული დროშების შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება", არ შეიძლება გავიზიაროთ, ვინაიდან, ამ მხრივ, ჩვენს წინაშე სხვა სინამდვილე წარმოჩინდება – როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან წყაროებში, ქართული დროშები ნახსენებია არაერთგზის".[6] გვიანი შუა საუკუნეების დროშების აღწერის შემდეგ კი კმაყოფილებით იმეორებს: „ერთი სიტყვით, მ. წურწუმიას ზემომოხმობილი ნათქვამი დროშების აღწერილობის სიმწირის თაობაზე არ შეესატყვისება სინამდვილეს და მხოლოდ მის მცდარ ვარაუდად აღიქმება".[7]

კარგი ბატონო, დავუშვათ, არ ვიცნობ ან რაიმე ფარული ზრახვით მსურს ქართული დროშების შესახებ არსებული ცნობების მიჩქმალვა. ნება მიბოძეთ, გკითხოთ: რას გვაძლევს თქვენ მიერ ნახსენები დროშები იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც მე დავაყენე? რომელი მათგანი აღწერს ერთიანი მონარქიის დროშას? ან რაში გვარგია ამ თვალსაზრისით გვიანი შუა საუკუნეების ქართული დროშები?

რაც შეეხება იმას, თუ რა ტიპის ინფორმაციაზე ვამახვილებდი ყურადღებას: ადვილი მისახვედრია, რომ მე ვგულისხმობდი ისეთ ცნობას, რომელიც რაიმე ხელშესახებ მონაცემს იძლევა შუა საუკუნეების ქართული დროშის შესახებ და არა უბრალოდ დროშის ხსენებას მატიანეებში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან მაგალითს: 1410 წელს ტანენ-

---

1 ნინო ჯაველიძე, „XI-XII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე*, 1 (2018), 5-28.

2 იხ. მამუკა წურწუმია, „სპარსი მემატიანის ცნობა XII საუკუნის ქართული დროშის შესახებ", *ჰეროლდი*, 6 (2017), 19-21.

3 იქვე, 21.

4 იქვე, 19.

5 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", 6.

6 იქვე, 9.

7 იქვე, 14.

ბერგთან (გრიუნვალდთან) ტევტონთა ორდენის დამარცხების შემდეგ, პოლონელებმა მათ ხელში ჩაგდებულ მოწინააღმდეგის 56 დროშას ცალკე წიგნი *Banderia Prutenorum* მიუძღვნეს, სადაც იან დლუგოშმა ამ დროშების სურათები თავისი ზომებითა და ბლაზონით გამოაქვეყნა.[8] შეგვეძლო სხვა მაგალითებიც დაგვესახელებინა, თუნდაც 1300 წლის პოემა კერლავეროკის ალყაზე, სადაც დროშაზე გამოსახული 110 (!) ინგლისური გერბის ბლაზონია მოცემული,[9] თუმცა, ვგონებ, უკვე ცხადია, თუ რაგვარ ცნობასა და აღწერას ვგულისხმობდი. თავისთავად, თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფო დროშის შესახებ კამათი დღემდე არ წყდება, სწორედ ჩემი მოსაზრების მართებულობის ილუსტრაციაა და ამტკიცებს, რომ არსებული ცნობები დეტალურობით ვერ დაიკვეხნიან.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ რაში დასჭირდა ჩემს ოპონენტს ასეთი ყოვლად არაპროდუქტიული და უმისამართო შენიშვნის მოცემა? რა თქმა უნდა, საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომლის ფონზეც მისი მოსაზრებები, რომლებიც ჩემი ძირითადი დასკვნების უგულებელსაყოფადაა მიმართული, უფრო წონადი გამოჩნდება. მაგრამ, დავანებოთ თავი ამ არაფრის მომცემ დავას და უშუალოდ ნ. ჯაველიძის წერილზე გადავიდეთ.

აქ კი ირკვევა, რომ პატივცემულ მკვლევარს, რომელიც ცოდნასა და მეთოდოლოგიას მიწუნებს, ის საკითხებიც არ ესმის სრულყოფილად, რომელზეც ამდენს წერს: მის მიერ მოყვანილ მაგალითებსა და მსჯელობაში უხვად გვხვდება ფაქტობრივი თუ მეთოდოლოგიური შეცდომები ანუ, მისივე განმარტებით, „არასიმართლეები“.

დავიწყოთ იმით, რომ ნ. ჯაველიძე ვერ ასხვავებს სადროშოს ლაშქრისაგან და ერთმანეთში ურევს ქართულ და თურქულ სინამდვილეს. ის წერს: „წყაროთა თანახმად, საკუთარი დროშა ჰქონდა ყველა სადროშოს: „დაღაცათუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი ათორმეტისა დროშისანი“.[10] ამ მონაკვეთში თამარის პირველი ისტორიკოსი ამბობს, რომ ლაშქარი თორმეტი დროშისაგან ანუ რაზმისაგან იყო ფორმირებული, ნ. ჯაველიძეს კი ჰგონია, რომ აქ სადროშოებზეა საუბარი; მეტიც, მას მიაჩნია, რომ ეს მონაკვეთი ქართულ სინამდვილეზე მეტყველებს, სინამდვილეში კი მემატიანე მუსლიმთა ლაშქრის დროშებზე მოგვითხრობს. მათი მიხედვით თამარის ისტორიკოსი, შაჰარმენის ლაშქართან ზაქარია ფანასკერტელის ბრძოლის აღწერისას, შაჰარმენის არმიაში შემავალი ტაქტიკური ერთეულების რაოდენობას განსაზღვრავს და მოწინააღმდეგის ლაშქრის მრავალრიცხოვნებას ადგენს: „დაღაცათუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი...“[11] აღნიშნული ციტატა ნ. ჯაველიძეს ს. ბარნაველის მიხედვით მოჰყავს[12] და ეს შეცდომებიც, შესაძლოა, ამითაა განპირობებული. საერთოდ კი, წყაროთა ნაცვლად მეორადი ლიტერატურით სარგებლობა მეტად დამახასიათებელია ჩემი ოპონენტისათვის.

ნ. ჯაველიძე მოგვითხრობს, რომ „ქ. ცხუმის შემოგარენში, 23 ვერსზე მდებარე ერთ ეკლესიაში ნაპოვნია ფილა, რომელზეც გამოსახულია ცხენოსანი დროშით ხელში. მკვლევართა აზრით, ქვაზე ამონაკვეთი თარიღდება XII-XIII სს-ით“.[13] შემდეგ კი ასკვნის: „... ალმიან დროშებზე ჯვარი დამაგრებული იყო დროშის ბუნის თავზე. ამის თქმის უფლებას გვაძლევს XII-XIII სს-ით დათარიღებული ქვის ფილის გამოსახულება...“[14] ეს ცნობა კვლავ ს. ბარნაველზე დაყრდნობით მოჰყავს,[15] თუმცა პატივცემული მკვლევარი ისე მისდევს სხვის ნაშრომს, რომ გადამოწმებით თავს არ იწუხებს. გადამოწმებას კი შეეძლო საგრძნობი კორექტივები შეეტანა მის მსჯელობაში. აღმოჩნდებოდა, რომ დამოწმებული არტეფაქტი არის არა უბრალო ქვის ფილა, არა-

8 იხ. მანუსკრიპტი Biblioteka Jagiellońska, BJ Rkp. 10001.

9 იხ. *The Siege of Carlaverock in the XXVIII: Edward I. A.D. MCCC; With the Arms of the Earls, Barons, and Knights, Who Were Present On the Occasion; With a Translation, a History of the Castle, and Memoirs of the Personages Commemorated by the Poet,* by Nicholas Harris Nicolas (London, 1828), I-XXXII, 1-380.

10 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 8.

11 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი 1959), 56; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ, *ქართლის ცხოვრება*, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი 2008), 428.

12 სარა ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი 1953), 12.

13 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 7.

14 იქვე, 25.

15 დამოწმებისას ეშლება გვერდი: 20-ის ნაცვლად უთითებს 33-ს. შდრ. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 20.

მედ საკურთხევლის კანკელი; ის არის არა ცხუმის შემოგარენიდან, არამედ წებელდის თემის ს. ოლგინსკოეს ეკლესიის ნანგრევებიდან, ხოლო ოლგინსკოე, როგორც ამას ჯერ კიდევ 1980 წელს წერდა ლ. ხრუშკოვა, ცხუმის შემოგარენში არ მდებარეობს;[16] არც ფილა გახლავთ XII-XIII საუკუნეების, როგორც ამას პ. უვაროვასა და ს. ბარნაველის კვალდაკვალ იმეორებს ნ. ჯაველიძე.[17] ოლგინსკოეს ეკლესიაში ნაპოვნი ფილები X საუკუნეს მიეკუთვნება: გ. ალიბეგაშვილი და ნ. ალადაშვილი მათ X საუკუნის შუახანებით ათარიღებენ,[18] ლ. ხრუშკოვა კი X საუკუნის I ნახევრით;[19] დაბოლოს, არც წებელდის კანკელზე გამოსახული ცხენოსანი წმინდანის დროშის თავი არის ჯვარი, არამედ რიპიდიონი, იგივე სამწერობელი.[20] ასე რომ, სანამ დასკვნის უფლებას მივცემთ თავს, სჯობს თავად ცნობა გადავამოწმოთ.

სხვაგან ნ. ჯაველიძე ჩამოთვლის ქართულ დროშებს, რომლებზეც, სხვადასხვა ცნობების მიხედვით, XIV საუკუნიდან მოყოლებული წმინდა გიორგი იყო გამოსახული[21] და რატომღაც მათ რიცხვს მიათვლის იმერეთის მეფის დროშას წმ. დიმიტრის გამოსახულებით, იმ არგუმენტით, რომ „მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მთავარმოწამე წმ. გიორგი და წმ. დემეტრე ერთმანეთის დარი წმინდანებია – ორივე მეომარი, გველეშაპის განმგმირავია“.[22] ჯერ ერთი, წმ. დიმიტრის სასწაულებში გველეშაპი არ ფიგურირებს (ის ამარცხებს გლადიატორ ლიაოსს, მეფე კალოიანს, ჯვრის გადაწერით კლავს ღრიანკალს, მაგრამ არა გველეშაპს) და არც მისი იკონოგრაფიული ხატისთვისაა დამახასიათებელი გველის განგმირვა.[23] მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, ერთი უსახელო გველეშაპი კი არა, თვით გლაურუნგი ან ანკალაგონ შავი რომ მოეკლა, რა კავშირი ექნებოდა ამას წმ. გიორგისთან? თუ, უკვე სულერთია, დროშაზე წმ. გიორგი იქნება გამოსახული თუ წმ. დიმიტრი (აღარას ვამბობ გველეშაპის მლახვრავ წმ. თევდორეზე), ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე წმ. გიორგისთან გვაქვს და დროშის რეკონსტრუქციისას ამ „მოცემულობით“ უნდა ვიხელმძღვანელოთ? ასეთი უცნაური ლოგიკის მაგალითებით ქვემოთ კიდევ გაგვანებივრებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჯაველიძე წყაროთა ნაცვლად ხშირად მიმართავს მეორად ლიტერატურას, რაც შესაბამის შეცდომებს იწვევს. ასე მაგალითად, მკვლევარი 1888 წელს Православный Палестинский сборник-ში ა. ცაგარელის რუსულად დაბეჭდილი ნაშრომის კვალდაკვალ იმეორებს: „...XV საუკუნის ავტორის, ბერნჰარდ ფონ ბრაიდენბახის ცნობა, რომ ქართველები ლაშქრობაში გამგზავრების წინ თავიანთ მფარველს, წმ. გიორგის მსხვერპლს სწირავდნენ“.[24] XIX საუკუნეში გამოქვეყნებული ცნობა XXI საუკუნის მკვლევარმა რომ უნდა გადაამოწმოს, ამას ვგონებ განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს. დავიჯერო, XV საუკუნის საქართველოში წარმართული რიტუალის არსებობა (ლაშქრობის წინ წმ. გიორგისათვის მსხვერპლის შეწირვა), ცოტათი მაინც არ ეხამუშა ჩემს ოპონენტს, სანამ მას თავის სტატიაში შეიტანდა და ასეთ შორსმიმავალ დასკვნას გააკეთებდა: თურმე ნუ იტყვით, საქართველოში „წმ. გიორგისადმი არა მხოლოდ ლოცვებს აღავლენდნენ ეკლესიებში, არამედ ომის დაწყების წინ მის სახელზე სწირავდნენ

16 Л.Г. Хрушкова, *Скульптура раннесредневековой Абхазии*: V-X века (Тбилиси, 1980), 117, пр. 1.

17 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 7, 23, 25.

18 გ. ალიბეგაშვილი, „რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII-8 (1951), 515; Н.А. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии* (Москва, 1977), 88.

19 Л.Г. Хрушкова, *Скульптура раннесредневековой Абхазии: V-X века* (Тбилиси, 1980), 90.

20 იქვე, 87.

21 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 10-11.

22 იქვე, 11. შენ. 39.

23 Christopher Walter, The Warrior Saints in Byzantine Art and Tradition (Aldershot, 2003), 67-93. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ა. პრეობრაჟენსკი ასახელებს გვიან შუა საუკუნეებში წმ. გიორგის გავლენით შექმნილი, გველთან მებრძოლი წმ. დიმიტრის გამოსახულების რამდენიმე მაგალითს. ასევე, როგორც იშვიათ გამონაკლისს წმინდანის ადრეულ იკონოგრაფიაში, ის იმოწმებს ლატალის მაცხვარიშის ეკლესიაში გამოსახულ წმ. დიმიტრის, რომელიც, თითქოსდა გველს გმირავს. იხ. „Димитрий Солунский," *Православная Энциклопедия*, т. XV (Москва, 2007), 155-95, განს. А.С. Преображенский, „Иконография великомученика Димитрия Солунского." რუსი მკვლევარი ცდება, მაცხვარიშში წმ. დიმიტრი თელავს მეფის სამოსში გამოწყობილ ფიგურას და არა გველს. შდრ. Тинатин Вирсаладзе, „Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши," *Грузинская средневековая монументальная живопись* (Тбилиси, 2007), 211.

24 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 12.

მსხვერპლს..."[25] სინამდვილეში, „მსხვერპლის შეწირვის" ნაცვლად, წყაროში ვკითხულობთ: „ისინი თავს უწოდებენ გეორგიანებს წმინდა გიორგის მიხედვით, რომელსაც ისინი მიიჩნევენ თავიანთ მთავარ მფარველად, პატრონად და მედროშედ წარმართებთან ომებში და რომელსაც ისინი დიდი მოწიწებით პატივს ცემენ და ეთაყვანებიან".[26] სხვათა შორის, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახისა და მისი ცნობის შესახებ ნ. ჯაველიძეს შეეძლო წაეკითხა ქართულ ენაზეც ე. მამისთვალიშვილის სტატიაში, რომელიც 40 წელზე მეტი ხნის წინ გამოქვეყნდა.[27]

ცოტა ქვემოთ, გრიგოლ ფერაძის მიხედვით, ნ. ჯაველიძეს მოჰყავს „იოჰანის, სოლმის გრაფის" 1483 წლის ცნობა.[28] მკვლევარი ისევ არასწორად ასახელებს წიგნის გვერდს (46-ის ნაცვლად 33-ს), რაც ყველას შეიძლება მოუვიდეს;[29] თუმცა, ამ ცნობის კვლევისათვის მეტი დრო რომ დაეთმო, შეცდომას არ დაუშვებდა და სოლმსის გრაფის იოჰანის ნაცვლად ცნობის ნამდვილ ავტორს დაასახელებდა.[30] საქმე ისაა, რომ დასახელებული ცნობა ეკუთვნის არა იოჰანს, არამედ ზემოთ ნახსენებ ბრაიდენბახს. გ. ფერაძის შეცდომა გამოწვეულია 1659 წელს ნიურნბერგში გამოცემული კრებულით, სადაც თავმოყრილია წმინდა მიწაზე მოგზაურობათა აღწერილობები და რომელშიც სოლმსის გრაფის იოჰანის (Graf Johann zu Solms) მოგზაურობაცაა შეტანილი.[31] ცნობილია, რომ წმინდა მიწაზე პილიგრიმობის შემდეგ უკან მომავალი იოჰანი ალექსანდრიაში გარდაიცვალა 1483 წელს. მისი მოგზაურობა კი აღწერა ბერნარდ ფონ ბრაიდენბახმა, რომელიც გრაფ იოჰანთან ერთად ეწვია წმინდა მიწას და მისი ექსპედიციის წევრი იყო. აქაც, ნ. ჯაველიძე წყაროსთან არ მიდის და მეორადი ინფორმაცია ისევ ხდება შეცდომის სათავე.

ახლა ვნახოთ, როგორ იყენებს ნ. ჯაველიძე ისეთ ცნობას, რომელიც, მისივე სიტყვებით, მეტად მნიშვნელოვანია ვითარებაში გასარკვევად. ის წერს: „საკითხის გარკვევისთვის ერთობ საგულისხმოა ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, გოტიე დე მეცის (XI-XII სს) ცნობა. კანცლერი დე მეცი, 1121 წელს მუსლიმთა ტყვეობიდან გათავისუფლებული, ბრუნდება ანტიოქიაში და ქმნის თხზულებას „ანტიოქიის ომები". იგი თავის გალექსილ მოთხრობაში „Roman de la Mappemonde" აღწერს, თუ როგორ იბრძოდნენ ქართველები... ე.ი. XII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ანტიოქიის სამთავროს კანცლერის თქმით, ქართველი მეომრები ბრძოლის დროს წმ. გიორგის სახელის შეძახილით უტევდნენ მოწინააღმდეგეს. გოტიე დე მეცის ამ ნათქვამს ეხმიანება..."[32] წესით, ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ უნდა ამეღო ხელი ყოველგვარ პოლემიკაზე და ბედს შევრიგებოდი, მაგრამ რადგან ჩემი ოპონენტი სტატიიდან სტატიაში აგრძელებს ამ, მაპატიეთ და, აბსურდის გამეორებას, ვიტყვი, რომ აქ არეულია ორი პიროვნება, ორი ეპოქა, ორი ცნობა და ა.შ. კანცლერ გოტიე დე მეცს, მით უმეტეს, კანცლერ დე მეცს არ იცნობს არც ანტიოქიის სამთავროს და არც მთელი ჯვაროსნული აღმოსავლეთის ისტორია. წესით, ყველა მკვლევარმა უნდა იცოდეს XII საუკუნის ანტიოქიის კანცლერი გოტიე და ასხვავებდეს მას XIII საუკუნის ფრანგი

25 იქვე, 13. იმავეს იმეორებს, უკვე მესამეჯერ, 22-ე გვერდზე: „თანაც ქართველები ამ წმინდანის სახელზე ბრძოლის დაწყების წინ მსხვერპლს სწირავდნენ (ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი)".

26 "His homines a sancto georgio georgiani vocantur que(m) in suis p(roe)liis contra paganos p(rae)cipuu(m) habentes advocatu(m) et patronu(m) ta(n)quam signiferu(m) om(n)i cum honore venerantur et colunt." იხ. Bernhard von Breydenbach, Peregrinatio in terram sanctam (Mainz, 1486), 183 (პირობითი პაგინაცია), შდრ. მეორე გამოცემას: *Peregrinatio in terram sanctam* (Speyer, 1502), 109.

27 ელდარ მამისთვალიშვილი, „ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი პალესტინაში მყოფი ქართველების შესახებ", *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (1975), 74-79. მართალია, თარგმანი ლათინური დედნიდან არ არის შესრულებული, მაგრამ ძირითად აზრს სწორად გადმოცემს.

28 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", 12. შდრ: Gregory Peradze, „An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims," Georgica, 4-5 (Autumn 1937), 193-94; გრიგოლ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), 46-47.

29 იმასაც თავი დავანებოთ, გ. ფერაძის წიგნის გამომცემლად გოჩა ჯაფარიძის ნაცვლად გ. ჯვარიძე რომ ყავს დასახელებული. ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", 9, შენ. 28.

30 იხ. მამუკა წურწუმია, „ევროპელ ავტორთა ცნობები შუა საუკუნეების ქართველ ამორძალებზე: მითი თუ სინამდვილე?", *აღმოსავლეთმცოდნეობა*, 5 (2016), 428, შენ. 5.

31 *Bewehrtes Reisebuch des Heiligen Lands* (Nürnberg, 1659), 167.

32 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", 11-12.

სასულიერო პირისა და პოეტის გოტიე დე მეცისაგან. ბოლოს და ბოლოს, კანცლერი გოტიე, ზურაბ ავალიშვილიდან დაწყებული, ლამის ყოველ ქართველ ისტორიკოსს ჰყავს მოხსენიებული, ვინც კი XII საუკუნესა და დავით აღმაშენებელზე წერდა. გოტიე დე მეცი კი, რომელიც მეტრ გოსუენის სახელითაცაა ცნობილი, სრულიად სხვა პიროვნება გახლავთ, რომელიც 1245 წელს დაწერილ ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში სამყაროს ხატი ქართველების შესახებ გვაწვდის ცნობას.[33] ამ პატარა მონაკვეთში ნ. ჯაველიძე ახერხებს დაუშვას სხვა შეცდომებიც: გოტიე არ გათავისუფლებულა 1121 წელს, ის ალეპოში, ილ-ღაზის ტყვეობაში 1119 წლის ბოლომდე თუ იმყოფებოდა და 1120 წელს უკვე თავისუფალი იყო;[34] არც 1121 წელს დაუწერია მას „ანტიოქიის ომები", არამედ ეს თხზულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში იქმნებოდა – პირველი ნაწილი 1115-19 წლებში, მეორე კი 1119/20-22 წლებში.[35]

როგორც უკვე ითქვა, ნ. ჯაველიძე კანცლერს და პოეტს ვერ ასხვავებს თავის სხვა ნაშრომშიც,[36] სადაც ეს შეცდომა უკვე არგუმენტის ძალას იძენს და ცდილობს გააბათილოს დ. მუსხელიშვილის ერთი მოსაზრება: ანუ, მკვლევარი, ისე რომ ერთი ადამიანის ნათქვამი ჰგონია, XII საუკუნის გოტიეს (კანცლერის) ნათქვამს დავით აღმაშენებლის წმინდა ჯვრის ნიშანზე უპირისპირებს XIII საუკუნის გოტიე დე მეცის (პოეტის) ცნობას ქართველთა საბრძოლო შეძახილის („წმინდა გიორგი") შესახებ და სვამს რიტორიკულ კითხვას: „რომელ ცნობას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა და რის საფუძველზე?"[37] თავს უფლებას მივცემ გიპასუხოთ: უპირატესობა წყაროების დედანში კითხვას უნდა მივანიჭოთ, იმის საფუძველზე, რომ ამას მოითხოვს ისტორიული კვლევის მეთოდოლოგია. მაგალითისათვის, ასე რომ მოქცეულიყავით და წყაროსათვის მიგემართათ, არ დაგჭირდებოდათ ამდენი წვალება პახიმერეს ცნობის უარსაყოფად, როდესაც ბერძენი ავტორის ჯვრიან დროშაში, მაინცდამაინც, დროშის ბუნზე დამაგრებული ჯვრის დანახვას ცდილობთ.[38] არადა, საქმე გაცილებით იოლდება, როგორც კი დედანს მივმართავთ: თავის დროზე, გრიგოლ ფერაძის მიერ თარგმნილი პახიმერეს ცნობა[39] ითვლებოდა ერთ-ერთ მტკიცებულებად ჯვრიანი დროშის არსებობის შესახებ საქართველოში. ამჟამად, თქვენი მონა-მორჩილის მიერ, უკვე გარკვეულია, რომ პახიმერეს ცნობაში ჯვრიანი დროშა არ იგულისხმება.[40] ფერაძისეული თარგმანის გადამოწმებამ ცხადყო, რომ ცნობის შინაარსი სხვაგვარია. ბერძნულ დედანში წერია: „როდესაც მან [ყაზან ყაენმა] შეიტყო, რომ ქრისტიანთათვის ჯვარი გამარჯვების ნიშანი [ან გამარჯვების მომტანი] იყო, ის მან ომში გაატანა თავის თანამებრძოლებს [ქართველებს]..."[41] როგორც ხედავთ, წყაროსთან მისვლამ ამჯერად თქვენს წისქვილზე დაასხა წყალი.

ლამის საუკუნის უკან, „ისტორიის იდეაში" რ. ჯ. კოლინგვუდი აღნიშნავდა, რომ ისტორიული მეთოდი, არსებითად, წყაროების გააზრებაა: „ისტორია წარმოადგენს მონაცემების ინტერპრეტაციას, მონაცემები კი დოკუმენტების კრებსითი სახელია".[42] ჩვენი ოპონენტის შემთხვევაში კი მხოლოდ რუსი ისტორიკოსის ს. პერევალოვის კრიტიკული გამონათქვამი შეგვიძლია გავიმეოროთ: „თუკი ისტორიკოსი, წყაროებთან და საბუთებთან მუშაობის ნაცვლად, კმაყოფილდება

33 იხ. მამუკა წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", *საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, ტ. I (თბილისი, 2013), 321.

34 Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, a translation and commentary by Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington (Aldershot, 1999), 73.

35 იქვე, 8.

36 იხ. ნინო ჯაველიძე, „დიდი წითელი ჯვარი გორგასლიანი დროშის ალამზე" (?!)", *ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი* (თბილისი, 2019), 242-45 .

37 იქვე, 243.

38 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის", 22-25.

39 „ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ". ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 35.

40 იხ. წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", 330, შენ. 116.

41 Georgii Pachymeris, *De Michaele et Andronico Palaeologis libri tredecim*, rec. Immanuel Bekkerus, t. II (Bonnae, 1835), 457; Georges Pachymérès, *Relations historiques*, édition, introduction et notes par Albert Failler, traduction française Vitalien Laurent, t. IV (Paris, 1999), 504-5. როგორც ჩანს, გ. ფერაძე პახიმერეს ბეკერისეული ბერძნულ-ლათინური გამოცემის მხოლოდ ლათინური ტექსტით სარგებლობდა და ბერძნული ტროპაიონის (*τρόπαιον*), რომელიც გამარჯვების ნიშანია, ლათინურმა თარგმანმა შეცდომაში შეიყვანა.

42 R. G. Collingwood, *The Idea of History*, revised edition with lectures 1926-1928, edited with an introduction by Jan Van Der Dussen (Oxford, 1994), 9-10.

მისი წინამორბედების წიგნებიდან სხვადასხვა მასალის ამოკრეფით – ეს უკვე არ არის ისტორია“.[43]

ისიც სათქმელია, რომ ნ. ჯაველიძე წყაროების გარდა, შუა საუკუნეების ავტორებსაც არ წყალობს. ასე მაგალითად, თავისი ნაშრომის 23-ე გვერდზე მას მოჰყავს იბნ ალ-ასირის, არაბი მემატიანის სახელი, როგორც „იბნ-ალასირი“ (*sic*). ეს რომ კორექტურული შეცდომა არ არის, 25-ე გვერდზეც დასტურდება, სადაც არაბი მემატიანის სახელი იმავე ფორმითაა მოტანილი[44] და სხვა სტატიითაც, სადაც კვლავ ვხვდებით „იბნ-ალასირს“.[45] უბრალოდ უხერხულია, საქვეყნოდ ცნობილი არაბი მემატიანის სახელს აღმოსავლეთმცოდნე ამ ფორმით წერდეს. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ იბნ ალ-ასირსაც ჩემი ოპონენტი დედანში არ იცნობს და მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის დამოწმებით სარგებლობს.

ორიოდე სიტყვა ეთიკაზეც. ნ. ჯაველიძეს მოჰყავს ნაწყვეტი ჩემი ნაშრომიდან,[46] სადაც ის სამეცნიერო ეთიკის ერთგვარ, თუნდაც „მსუბუქ“ დარღვევას მსაყვედურობს და ამბობს, რომ „უპრიანი იქნებოდა, თუკი იგი განმარტავდა, რომ პირველად ამ ნუსხის ცნობას ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ს. ბარნაველმა, რომელმაც ეს ფაქტი აღნიშნა 1953 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში (ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 16)“.[47] ბოდიში მომითხოვია, მაგრამ ასეთ მსუბუქ საყვედურსაც კი ვერ მივიღებ. საქმე ისაა, რომ როდესაც ჩემს ნაშრომში პირველად ვიმსჯელე ამ საკითხზე, მაშინ არათუ მივუთითე სარა ბარნაველზე, არამედ მისი ციტატაც კი მოვიყვანე: „სარა ბარნაველის დახასიათებით, „ეს ცნობა მეორდება შევსებულს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს“ ამ მონაკვეთს“.[48] და თუ სამეცნიერო ეთიკის ესოდენ მაღალ სტანდარტებს მისდევთ, მაშინ თავადაც უნდა აღგენიშნათ, თქვენი ნაშრომის ერთი მონაკვეთი[49] და პათოსი იმავე ს. ბარნაველისაგან რომ გაქვთ წამოღებული.[50]

ამ ზოგადი შესავალის შემდეგ, რომელშიც, ვფიქრობ, უკვე გავარკვიეთ თუ რა ცოდნას ფლობს ოპონენტი შუა საუკუნეების რეალიების შესახებ, ვნახოთ, თუ რას გვთავაზობს პატივცემული მკვლევარი ჩვენი მოსაზრების კრიტიკის სანაცვლოდ.

თავის წერილში ნ. ჯაველიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ერთიანი მონარქიის სამეფო დროშაზე წმ. გიორგი იყო **დახატული** და მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეების ქართულ დროშებზე ჯვარი ალმის ქსოვილზე კი არ იყო გამოსახული, არამედ მის თავზე იყო დამაგრებული.[51] მკვლევარი კატეგორიულად გამორიცხავს წითელი ჯვრის გამოსახულების არსებობას ქართულ დროშებზე.[52] მისი აზრით, „შუა საუკუნეების ქართულ დროშებზე „წითელჯვრიანი თეთრი ალმის“ ფაქტები არ დასტურდება და ტრადიცია სახელმწიფო თუ სხვა სახის დროშათა ალმებზე წითელი ჯვრის გამოსახვისა საქართველოში გავრცელებული არ ყოფილა... არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს დროშაზე წმ. გიორგის სიმბოლოდ წითელი ჯვრის გამოსახვა მთელი ქრისტეანული სამყაროსათვის ყოფილიყოს ჩვეული. შუა საუკუნეების მართლმადიდებლურ ხატებსა და ფრესკებს თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ არ შექმნილა კანონიკური ხატი ან ფრესკა წმ. გიორგის გამოსახულებით, სადაც მასთან ერთად წითელი ჯვარიც იყოს აღნუსხული. მცდარია ისიც, თითქოს მართლმადიდებ-

43 С.М. Перевалов, „Как создаются мифы,” *Историко-археологический алманах*, вып. 4 (Армавир-Москва, 1998), 99.

44 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 23, 25.

45 იხ. ჯაველიძე, „დიდი წითელი ჯვარი გორგასლიანი დროშის ალამზე” (?!)“, 230.

46 „თავის დროზე მე მივუთითე, რომ „ისტორიანისა და აზმანის” ერთ ნუსხაში (ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებულ ტექსტში) ქართული დროშის ფერი სიბერის ფერს ანუ თეთრს არის შედარებული – „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ“, რაც ნიშნავს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ქსოვილი (ველი) თეთრი იყო“. წურწუმია, „სპარსი მემატიანის ცნობა XII საუკუნის ქართული დროშის შესახებ“, 21.

47 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 15, შენ. 57.

48 იხ. მამუკა წურწუმია, „დროშები შუა საუკუნეების საქართველოში”, *ჰეროლდი*, 4 (2015), 32, შენ. 19.

49 “ულირს სარდალს მეფე ბრძოლის წინ დროშას არ უბოძებდა. მას შემდეგ, რაც ივანე ათაბაგმა შალვა ახალციხელს ჯარი არ მიაშველა და ქართველებმა ხვარაზმელებთან ბრძოლა წააგეს, რუსუდანმა მტრის წინააღმდეგ ხელახლა წარგზავნილ ივანე ათაბაგს სეფე დროშა აღარ უბოძა და ლაშქარი სამეფო დროშის გარეშე გაგზავნა მტერთან შესახვედრად”. ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის”, 7.

50 შდრ. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 18.

51 იქვე, 22-25.

52 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის”, 22.



სურ. 1. წმ. სერგის და წმ. ბაქოსის ხატი თეთრ დროშაზე წითელი ჯვრით. XIII ს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი



სურ. 2. წმ. სერგის ხატი წითელჯვრიანი ბაირაღით. XIII ს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი

ლურ სამყაროში წმ. გიორგი გაიგივებულია წითელ ჯვართან, ასეთი სიმბოლური გაიგივება დასავლეთ ევროპაში შექმნილი დროშებისთვისაა დამახასიათებელი...“[53]

ასეთი ხმამაღალი განცხადებისათვის შესაფერი ცოდნაც უნდა გაგვაჩნდეს აღმოსავლეთის საქრისტიანოს მხატვრული ტრადიციების შესახებ. ვეჭვობ, ჩემი ოპონენტი ასეთ ცოდნას ფლობდეს, რადგან მეც კი, რომელსაც საკმაოდ შეზღუდული ინფორმაცია გამაჩნია ამ დარგში, შემიძლია დავასახელო რამდენიმე ფაქტი, რომლებიც სწორედ რომ საწინააღმდეგოზე მეტყველებს: სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცულია XIII საუკუნის II ნახევრის წმინდა მხედართა ორი ხატი: ერთზე წმ. სერგი და წმ. ბაქოსია გამოსახული, მეორეზე კი წმ. სერგი (სურ. 1 და 2). ორივე ხატზე წმ. სერგის თეთრ ბაირაღზე წითელი ჯვარია გამოხატული.[54] დროშებზე ჯვრებია გამოსახული სირიის მონასტრების XII-XIII საუკუნეების წმინდა მხედართა ფრესკებზეც:



სურ. 3. წმ. სერგის ფრესკა წითელჯვრიანი თეთრი დროშით. XII-XIII სს. ქარა, წმ. სერგის და წმ. ბაქოსის ეკლესია.

ქარას წმ. სერგის და წმ. ბაქოსის ეკლესიის ფრესკაზე წმ. სერგის შუბზე თეთრ ფონზე წითელჯვრიანი ალამია დამაგრებული (სურ. 3). ნებეკთან, დეირ მარ მუსა ალ-ჰაბაშის (წმ. მოსე ეთიოპელის) მონასტრის ფრესკებზე გამოსახულია წმინდანები დროშებით: წმ. ბაქოსი წითელ ველზე თეთრი ჯვრით და წმ. სერგი თეთრ ველზე წითელი ჯვრით (სურ.

53 იქვე. 25-26.

54 Corinna Rossi, *The Treasures of the Monastery of Saint Catherine* (Vercelli, 2006), 157, 164-65.



სურ. 4. წმ. ბაქოსის ფრესკა
თეთრჯვრიანი წითელი დროშით.
მარ მუსა ალ-ჰაბაშის მონასტერი



სურ. 5. წმ. სერგის ფრესკა
წითელჯვრიანი თეთრი დროშით.
მარ მუსა ალ-ჰაბაშის მონასტერი

4 და 5).[55] ორივე ეს მონასტერი დამასკოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, სირიის იმ ნაწილში იმყოფება, სადაც ჯვაროსანთა გავლენა, მათი ძლიერების ზენიტშიც კი, არ ვრცელდებოდა და აღმოსავლური ქრისტიანული ხელოვნების ტრადიციები მძლავრობდა.[56] აღარაფერს ვიტყვით იმ გარემოებაზე, რომ XIII საუკუნეში სწორედ ქართველი მხედრები და პილიგრიმები შეიძლება წარმოადგენდნენ სირიელ ქრისტიან ხელოვანთა შთაგონების წყაროს.[57]

ისიც აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქრისტიანოში ჰერალდიკა გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ეს წარმოუდგენიათ და ზოგიერთი მკვლევარი, დასავლეთ ევროპაში ჰერალდიკის წარმოშობას, სულაც ბიზანტიის გავლენას მიაწერს.[58] რაც შეეხება თავად ვექსილოლოგიას, დღემდე მოღწეული მასალით შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ბიზანტიური დროშა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ფერებისა და სიმბოლოების ჰერალდიკური მოტივები გაითავისა.[59] ჯ. დენისი აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ საბრძოლო დროშებზე ყველაზე ხშირად ჯვარი იყო გამოსახული.[60] 960 წელს კრეტაზე ექსპედიციის დროს ნიკიფორე ფოკას ბრძანებით ბიზანტიელთა საბრძოლო წყობის წინ გამოაქვთ დროშა, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული.[61] 971 წელს ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისხი რუსების წინააღმდეგ ლაშქრობას ჯვრიანი დროშის აღმართვით იწყებს.[62] ბიზანტიური ჯვრიანი დროშები გვხვდება იობის წიგნის მინიატურებზე (XI ს), წმ. მარკოზის მინანქარზე (XII ს.), წმ. დემეტრიოსის ფრესკაზე სალონიკის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (1310-20) და სხვ.[63] მეტიც, XIV საუკუნის შუახანებში შედგენილ სამეფო კარის განგებათა ტრაქტატში (*De Officiis*) ფსევდო-კოდინე ადასტურებს, რომ ბიზანტიის იმპერიის დროშები ხუთფიგურიანი ჯვრის გამოსახულებას ატარებდნენ. მისი აღწერით, ერთ ასეთ წყვილ დროშაზე, რომლებიც სადღესასწაულო ცე-

55 Mat Immerzeel, „Divine Cavalry, Mounted Saints in Middle Eastern Christian Art," *in East and West in the Crusader States: Context – Contacts – Confrotations*, eds. K. Ciggaar and H. Teule, vol. 3 (Leuven and Dudley, MA, 2003), 272; E. Cruikshank Dodd, *The Frescoes of Mar Musa al-Habashi: A Study in Medieval Painting in Syria* (Toronto, 2001), 51-52.

56 Immerzeel, „Divine Cavalry," 267-71; Cruikshank Dodd, *The Frescoes of Mar Musa al-Habashi*, 105.

57 ვრცლად, ამ გამოსახულებებსა და მათზე შესაძლო ქართული გავლენის შესახებ, იხ. წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", 301-349.

58 T.R. Davies, „As It Was in the Beginning," *The Coat of Arms*, 109 (Spring 1979), The Heraldry Society, https://www.theheraldrysociety.com/articles/as-it-was-in-the-beginning/, accessed January 18, 2020.

59 Andrea Babuin, „Standards and Insignia of Byzantium," *Byzantion*, 71 (2001), 41.

60 George T. Dennis, „Byzantine Battle Flags," *Byzantinische Forschungen*, 8 (1982), 59.

61 Лев Диакон, *История*, перевод М.М. Копыленко (Москва, 1988), 9.

62 იქვე, 68.

63 იხ. Babuin, „Standards and Insignia of Byzantium," figs. 30, 32-33, 43, 55.



სურ. 6 კონსტანტინოპოლის ალყა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიერ. დ. 1330 წ.
BODLEIAN LIBRARY, MS LAUD MISC. 587, F. 1R.

რემონიების დროს იმპერატორის წინ გამოჰქონდათ, ცენტრალური ჯვრის ყოველ მეოთხედში წმინდანი იყო ჩახატული (წმ. დემეტრიოსი, პროკოპიოსი, თეოდორე ტირონი და თეოდორე სტრატილატი),[64] ხოლო მეორე, ყოველდღიური საიმპერატორო დროშა ე.წ. „ტეტრაგრამატიკულ ჯვარს“ წარმოადგენდა, სადაც ჯვრის ოთხივე მხარში ასო B-ს მსგავსი ჰერალდიკური კვესი იყო გამოსახული.[65] ეს ტეტრაგრამატიკული დროშა დადასტურებულია იმდროინდელ მანუსკრიპტებშიც: ის გვხვდება კონსტანტინოპოლის გარემოცვის ამსახველ მინიატურაზე ჟოფრუა დე ვილარდუენის ქრონიკიდან (*კონსტანტინოპოლის დაპყრობა*, დ. 1330) და პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის პორტოლანზე (დ. 1321)[66] (სურ. 6 და 7). საერთოდ კი, დროშაზე გამოსახული ცენტრალური ჯვარი და მის მკლავებში ჩასმული ოთხი სხვადასხვაგვარი ფიგურა მრავალსაუკუნოვან ბიზანტიურ ჰერალდიკურ ტრადიციას ეკუთვნის და მისი გამოვლინებები გვხვდება როგორც მონეტებზე, ისე მინიატურებზე.[67]

თუმცა, ასეთი წიაღსვლები, ვშიშობ, ძნელი აღსაქმელი არ გახდეს და აღმოსავლურ საქრისტიანოზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.



სურ. 7. კონსტანტინოპოლის თავზე გამოსახული დროშა პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის პორტოლანიდან. დ. 1321 წ.
BIBLIOTECA APOSTOLICA VATICANA. MS VAT. LAT. 2972, F. 107R.

მოვიყვან მხოლოდ ქართულ მაგალითს, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ ჩვენი ოპონენტის შეხედულება ქართულ დროშებზე ჯვრის გამოსახვის შესახებ, რბილად რომ

64 *Pseudo-Kodinos and the Constantinopolitan Court: Offices and Ceremonies*, eds. Ruth Macrides, J.A. Munitiz, and Dimiter Angelov (Farnham, 2013), 126-29.

65 იქვე, 70-71.

66 სხვათა შორის, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს პორტოლანებზე ასახული ინფორმაციის ხასიათსა და საიმედოობას, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

67 იხ. Babuin, „Standards and Insignia of Byzantium," 39.



სურ. 8. მაცხოვარი წმ. გიორგის დროშით. გელათის სახარების ყდა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 9. გალერა ჯვრიანი დროშებით. XVII ს. სვეტიცხოვლის სამხრეთი კედელი.

ვთქვათ, არცთუ ისე მართებულია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XII საუკუნის გელათის ოთხთავი, რომლის ყდა უფრო გვიანაა მოჭედილი.[68] ყდის უკანა ფრთაზე გამოსახულია აღდგომის კომპოზიცია, სადაც მაცხოვარს ხელთ უპყრია წმ. გიორგის დროშა: ვერცხლის (ჰერალდიკურ თეთრ) ველზე კარგად ჩანს შტრიხებით გამოსახული ჯვარი (სურ. 8). ეს არტეფაქტი გვიჩვენებს, რომ ქართველები დროშებზე ჯვარს გამოსახავდნენ, თანაც სწორედ რომ წმინდა გიორგის ჯვარს! ჯვრიან დროშებს ვხედავთ სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის XVII საუკუნის ფრესკაზეც, სადაც აფრიან გალერაზე ორი დროშა ფრიალებს.[69] ორივე დროშის წითელ ველზე ოქროსფერი ჯვარია გამოსახული. საყურადღებოა, რომ ორივე ტიპის დროშა სწორად არის დაკიდებული: ნაციონალობის მაჩვენებელი მთავარი დროშა, ე.წ. *ენსინი* (*ensign*) კიჩოზე და ვიმპელის ტიპის სამკუთხა, ორკუდიანი *პენონი* კი ფოკ-ანძაზე (სურ. 9).

თავისთავად, ცოტათი უცნაურია ხელაღებით უარყო ჯვრის გამოსახულება იმ ქვეყნის დროშებზე, რომლის ოფიციალური იდეოლოგია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობა იყო, მაგრამ მოდით, მივყვეთ ოპონენტის მსჯელობას და ვნახოთ, როგორ მივიდა ამ დასკვნამდე. ნ. ჯაველიძე დარწმუნებულია, რომ წმ. გიორგის ხატი ქართულ დროშას ჯერ კიდევ IV საუკუნეში ამკობდა: „ჩვენ ვიცით, რომ წმ. გიორგის ხატწერილი ალამი სამეფო დროშაზე ჩნდება ქრისტეანობის სახელმწიფო სარწმუნოებად დაწესებისთანავე“.[70] ამ მეტისმეტად თამამი განცხადების საფუძველი მკვლევრისთვის არის „თეიმურაზ ბაგრატიონის (XIX ს) „ისტორია“, სადაც დამოწმებულია ანტიოქიის პატრიარქი ევსტათის (IV ს) სიტყვები იმის თაობაზე, რომ წმ. ნინომ დაუწესა ქართველებს „დროშასა ზედა“ მთავარმოწამე წმ. გიორგის ხატის გამოსახვა“.[71] აქაც, ამ განცხადების უკან, რბილად რომ ვთქვათ, სრული გაუგებრობა იყურსება. ვნახოთ, როდის და რას წერს თეიმურაზ ბაგრატიონი და რამდენადაა მისი ცნობა გამოსადეგი: „ხოლო ოდეს წმინდა პატრიარხი ანტიოხიისა ევსტატი და იოანე ეპისკოპოსი, წარმოვლენილნი დიდისა კონსტანტინეს მიერ, ჴელსა ქვეშე წმიდისა ნინოსსა ნათელ-სცემდეს ერთა ივერიისათა, მეფესა მირიანს, სახლეულებასა მთავართა და მხედრობათა მეფისა მირიანისთა, ყოველსა ასაკსა მამათა და დედათა, ყრმათა და მოხუცებულთა, ჭაბუკთა და ჩჩვილთა, მაღალთა და მდაბალთა. იტყოდა პატრიარხი ევსტატი: „ნათელს იღებენ მონანი და მხევალნი ესე ღუთისანი, ერნი გიორგიისანი სახელითა მამისათა ამინ, და ძისათა ამინ და სულისა-წმიდისათა ამინ. მიერითგან წმინდამან ნინო სათნოყოფითა მეფისა და მთავართა მისთა და ერისა მისი-

68 „მოგვიანებით ნაკეთები სქელი, ფიცრული, ტყავგადაკრული ყდა ვერცხლით არის მოჭედილი“. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია*, ტ. II (თბილისი, 1958), 327.

69 მ. გაბაშვილის სამართლიანი შენიშვნით, სპეციალურ ვექსილოლოგიურ ლიტერატურაში სვეტიცხოვლის დროშებს არ ექცევა სათანადო ყურადღება. მანანა გაბაშვილი, „ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე“, *ჰეროლდი*, 5 (2016), 11.

70 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 22.

71 იქვე, 9.

სათა განუწესნა და მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა და იქმნა სახეჲ მისი შეწყნარებულ პირველს ორდენად გიორგიისა საჴელმწიფოსა...“[72]

არ ვაპირებ სიღრმისეულად ვიმსჯელო ქართლის მოქცევის პრობლემებსა და ევსტათი ანტიოქელის საქართველოში ყოფნის შესახებ, მაგრამ ნ. ჯაველიძეს ერთ კითხვას კი შევბედავ: როდესაც ევსტათი ანტიოქელის საქართველოში ყოფნას პირველად მხოლოდ ეფრემ მცირის XI საუკუნის II ნახევრის ცნობაში ვხვდებით,[73] რომელსაც შემდგომში მხოლოდ იმეორებენ არსენ იყალთოელი (XII ს.)[74] თუ უფრო გვიანდელი მოღვაწეები; როდესაც არც ერთი ადრეული წყარო (გელასი კესარიელი,[75] რუფინუსი,[76] თეოდორიტე კვირელი,[77] სოკრატე სქოლასტიკოსი,[78] სოზომენე),[79] რომელთაგან ზოგს თავად ეფრემ მცირე ეყრდნობა, არ ასახელებს საქართველოში გამოგზავნილ მღვდელმთავართა სახელებს; როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა რედაქციები (შატბერდული,[80] ჭელიშური,[81] სინური)[82] და „ქართლის ცხოვრება“[83] იოანე ეპისკოპოსს ასახელებს ქართლში მოვლინებულად ან არ ახსენებს ევსტათის, მცირედი ეჭვი მაინც არ უნდა აღგეძრას მკვლევარს?[84] თუმცაღა, რადგან ჩვენი მსჯელობისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, დავუშვათ, ევსტათი ანტიოქელი მართლაც იმყოფებოდა მცხეთას და აკურთხა ახლადაგებული ეკლესია და ქართული ეკლესიის მღვდელმთავარი; მაინც რა მანქანებით ვასკვნით, რომ ის ტექსტი, რომელიც თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, 1848 წელს აქვს მოყვანილი თეიმურაზ ბაგრატიონს, მართლაც მან თქვა? დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის აღიარებას, რომ ეს ტექსტი გაცილებით გვიანაა შეთხზული და ასახავს არა IV საუკუნის, არამედ XIX საუკუნის რეალობას. სხვა რომ არა, ამაში თავად წმ. გიორგის თაყვანისცემის ისტორია დაგვარწმუნებს. წმინდანის კულტი ლიდაში პირველად მხოლოდ 518-30 წწ. დასტურდება თეოდოსიუსის ცნობით.[85] წმ. გიორგისადმი მიძღვნილი უადრესი ეკლესია 518 წელს იხსენიება.[86] წმ. გიორგის უადრესი იკონოგრაფია მცირერიცხოვანია და VI საუკუნეზე ადრე არ გვხვდება; წმინდანის გამოსახულებათა რიცხვი მხოლოდ ხატთმებრძოლობის დასრულების შემდეგ იზრდება.[87] ეს მოკლე მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ IV საუკუნის დასაწყისში წმინდა ნინო ვერაფრით ვერ დაუწესებდა ქართველებს წმ. გიორგის სა-

72 თეიმურაზ ბაგრატიონი, *ისტორია დაწყებითგან ივერიისა* (სანკტ-პეტერბურგი, 1848), 19.

73 ეფრემ მცირე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების*, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ (თბილისი, 1959), 8.

74 ენრიკო გაბიძაშვილი, *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა)* (თბილისი, 1978), 180.

75 *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტომი I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი, 1961), 193-94.

76 *გეორგიკა*, ტ I, 206-7.

77 იქვე, 213.

78 იქვე, 234.

79 იქვე, 240-41.

80 *შატბერდის კრებული*, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (თბილისი, 1979), 322.

81 *ქართლის მოქცევა*, ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელგუჯა გიუნაშვილისა, გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვახტანგ გოილაძისა (თბილისი, 2009), 85.

82 ზაზა ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის” ახალი რედაქცია, N/Sin-48“, *მრავალთავი*, XX (2003), 10.

83 *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 115.

84 ევსტათი ანტიოქელის საქართველოში მოსვლის საკითხს ჯერ კიდევ XII საუკუნეში კრიტიკულად მიუდგა ნიკოლოზ გულაბერისძე და *სვეტიცხოვლის საკითხავში* ამ საკითხის თავისებურად ახსნა სცადა. იხ. ეფრემ მცირე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 017-018; *საქართველოს სამოთხე*, გამოცემული გობრონ პავლეს ძე საბინინის მიერ (პეტერბურღი, 1882), 96. ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი საეჭვოდ მიიჩნევდნენ და უარყოფდნენ ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართული ეკლესიის მღვდელმთავრის ხელდასხმას. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია”, წიგნი I, *თხზულებანი*, ტ. I (თბილისი, 1979), 358-59, 363. ევსტათი ანტიოქელის მონაწილეობას ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბებაში, მით უფრო, კონსტანტინე დიდის ხელშეწყობით, კატეგორიულად გამორიცხავდა თ. მგალობლიშვილი. *კლარჯული მრავალთავი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა (თბილისი, 1991), 167-68. ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ ევსტათიმ მხოლოდ აკურთხა იოანე და სხვა სასულიერო პირებთან ერთად გამოგზავნა ქართლში. *ქართლის მოქცევა*, 206.

85 ცნობილია, რომ 385-86 წლებში წმ. ჯერომი (ეუსებიუს სოფრონიუს იერონიმუსი) ახსენებს ლიდას, მაგრამ დუმს წმ. გიორგის შესახებ. Walter, *The Warrior Saints in Byzantine Art and Tradition*, 112, n. 14.

86 იქვე, 113.

87 იქვე, 123-24, 126.

ხის გამოსახვას „დროშათა ზედა და ღერბთა მათთა“ და ვერც წმინდანის სახე იქნებოდა იმ ეპოქაში „პირველს ორდენად შეწყნარებული“. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაში მოყვანილი ევსტათი ანტიოქელის სიტყვაც და წმ. ნინოს განწესებაც ლიტერატურული ფიქცია გახლავთ და ის ნასაზრდოებია შემდგომი საუკუნეების რეალიებით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო IV საუკუნის სინამდვილესთან.[88] წყაროების უგულებელყოფა და მათ ნაცვლად სხვისი კვლევებით სარგებლობა ერთია, მაგრამ წყაროს, მითუმეტეს გვიანდელის, უკრიტიკოდ მიღება უკვე სხვა პრობლემაა: 1848 წლის ცნობას IV საუკუნის ვითარების შესახებ ეჭვითა და სიფრთხილით რომ უნდა მოვეპყროთ, ეს მარტივი ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, პატივცემული მკვლევრისათვის უცხოა.

ამის შემდეგ, რაკი ჰგონია, რომ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა IV საუკუნის ქართულ დროშაზე წმ. გიორგის გამოსახულების არსებობა, რადგანაც თურმე „წმ. ნინომ დაუწესა ქართველებს „დროშასა ზედა“ მთავარმოწამე წმ. გიორგის ხატის გამოსახვა“, ნ. ჯაველიძე თავისუფლად ასკვნის, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლისა და წმ. ნინოს დროიდან მოყოლებული, „XI-XIII სს-ის გორგასლიან-ბაგრატოანდავითიანი დროშის ალამზე გამოსახული იყო წმ. გიორგი“.[89] ასეთია ის „ფაქტები“, რომელთა მიხედვითაც, თურმე, ქართულ დროშაზე ოდითგანვე წმ. გიორგი იყო დახატული. მე კი ვიტყოდი, რომ ეს გახლავთ ფაქტის სახით გასაღებულ ფიქციაზე დამყარებული სასურველი, მაგრამ მცდარი დასკვნის გამოყვანის ქრესტომათიული ნიმუში.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ ერთიანი საქართველოს დროშაზე წმინდა გიორგი იკონოგრაფიულად ანუ არაჰერალდიკურად, ნატურალისტურად იყო გამოსახული, მაშინ ისიც უნდა გავიაზროთ, რომ ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგება წყაროთა მონაცემებს: **შეუძლებელია დროშაზე, რომელიც თეთრ ტილოზე დახატულ წმ. გიორგის ფერად გამოსახულებას წარმოადგენს, ვინმეს ეთქვა – მოსპეტაკდებოდაო!**

ნ. ჯაველიძის რეკონსტრუქციებში წყაროების პირდაპირი მონაცემების უარყოფას კიდევ შევხვდებით. მისი აზრით, ერთიანი საქართველოს დროშის „ალამი შეკერილი უნდა ყოფილიყო თეთრი (გული) და შვინდისფერი (აშია) ქსოვილებისგან“.[90] ვნახოთ, თუ რას ეფუძნება ეს რეკონსტრუქცია: მკვლევარი გვიანი შუა საუკუნეების სხვადასხვა დროშის მაგალითზე ადგენს, რომ „ქართულ დროშათა ალმების შეფერილობაში ჭარბობს თეთრი და შვინდისფერი“, რის შემდეგაც, ყოველგვარი საბუთის გარეშე აცხადებს: „ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ერთიანი საქართველოს სეფე დროშა (მისი ალამი) ამ ტრადიციის მიხედვით უნდა ყოფილიყო და დროშას უნდა ჰქონოდა ალამი თეთრი ველითა და შვინდისფერი აშიით“. [91] კარგით, ასე იყოს, იმასაც არ გკითხავთ, გვიანდელით რატომ უნდა ვიმსჯელოთ ადრეულზე, მაგრამ იმას კი შეგბედავთ, ასე ჩვენს ჭკუაზე წითელი აშიით რომ გავაწყვეთ თეთრი დროშა, ეს რომელი წყაროს მიხედვით გავაკეთეთ? ახლა, შემდეგი არგუმენტი: „მეორეც, გასათვალისწინებელია რუსთველის ნათქვამი დროშის თაობაზე: „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“.[92] აქ, პოეტური გამონათქვამის ისტორიულ მტკიცებულებად მიღების სათუოობის გარდა, ისიც არის გამოსარკვევი, თუ რა ხერხებით ვიღებთ წითელ-შავი ალმისაგან წითელ აშიიან თეთრ დროშას?! და „მესამე, ყურადსაღებია ერთ ფოტოზე აღბეჭდილი დროშა, რომელიც ეროვნული დროშის მიხედვით 1882 წელს დადგმული სპექტაკლისათვის („სამშობლო“) შეუქმნიათ და რომლის ალამიც თეთრი (გული) და შვინდისფერი (აშია) ტილოებისაგან არის შეკერილი“.[93] აი ამას კი საგანგებოდ დაუკვირდი მკითხველო: ერთიანი მონარქიის ანუ XII-XIII საუკუნეების დროშაზე 1882 წლის სპექტაკლისათვის შექმნილი დროშით უნდა ვიმსჯელოთ! ნუ მიწყენთ, თუკი ამ „არგუმენტს“ და მის უკან მდგომ „ლოგიკას“ კომენტარის გარეშე დავტოვებ...

ასე, ერთი ხელის მოსმით, ზემომოყვანილ „არგუმენტებზე“ დაყრდნობით, უარყო პატივცემულმა მკვლევარმა თამარის პირველი ისტორიკოსის, რავენდისა და სტეფანოს ორ-

88 გასაკვირიც არ არის, რომ „გეორგიკაში“, სადაც თავმოყრილია ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, მოყვანილია მხოლოდ ევსტათი ანტიოქელის კომენტარი იბერებისა და მესხების შესახებ და არა შეთხზული სიტყვა მეფე მირიანისა და ქართველი ერის მიმართ. *გეორგიკა*, ტ. I, 34-35.

89 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 9-10.

90 იქვე, 18.

91 იქვე, 17.

92 იქვე.

93 იქვე.

ბელიანის ცნობები. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ ჩემი აზრი არ გაიზიარა: „ამიტომ ვერ გავიზიარებთ მ. წურწუმიას თვალსაზრისს იმის თაობაზე, თითქოსდა „რავენდის და ქართულ-სომხური მატიანეების ინფორმაცია ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ერთიანი მონარქიის დროშა ნამდვილად თეთრი იყო“.[94] ყოველი შემთხვევისათვის, შეგახსენებთ, რომ ეს ჩემი აზრი კი არ გახლავთ, არამედ წყაროების მონაცემები, ცალსახა და ეჭვმიუტანელი.

რამ აიძულა ნ. ჯაველიძე თეთრი დროშის შესახებ წყაროების ერთსულოვანი მონაცემების წინააღმდეგ წასულიყო? რა აუცილებლობამ გამოიწვია „შვინდისფერი აშიის“ გაჩენა თეთრ დროშაზე? თავი და თავი კი სტეფანოს ორბელიანის ცნობაა, რომლის მორგებაც მის ჰიპოთეზასთან ვერაფრით ხერხდება.

ვნახოთ ეს ცნობა, რომელიც აღწერს XII საუკუნის საქართველოს მეფისა და ამირსპასალარის დროშებს: „რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა ალმისა და წითლისა ნიშნისა, და უბრძანეს მათ წითლისა ალმისა ქონებად, დროშისა და თეთრისა ნიშნისა მას ზედა“.[95] დ. მუსხელიშვილის განმარტებით, „სომხური სიტყვა „ნშან“ (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს” ნიშნავდა და ასეც ითარგმნებოდა“. ამრიგად, ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ (ვთარგმნოთ): „წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალამი თეთრი ყოფილიყო, ხოლო (ზედ) წითელი ჯვარი ჰქონოდა“.[96] სხვაგვარად ფიქრობს ნ. ჯაველიძე, რომელსაც მოჰყავს სტეფანოს ორბელიანის ცნობაში მოხსენებული „ნშანის“ სხვადასხვა თარგმანები და მათგან გამორიცხავს ჯვრის მნიშვნელობას.[97] მისი აზრით, ეს სიტყვა „უნდა ითარგმნოს ცნებით იერსახე, ხატი (წმ. გიორგისა) და არა ცნებით ჯვარი“.[98]

დავუშვათ, დავიჯერეთ, რომ სტეფანოს ორბელიანის „ნშანი“ იერსახეა, თან არა უბრალო იერსახე, არამედ წმინდა გიორგის, როგორც ეს ნ. ჯაველიძეს სურს (მერე რა, რომ წმინდანზე მინიშნებაც არ არის ორბელიანის ტექსტში). რა ვუყოთ სიტყვა „წითელს“, რომელიც „ნშანის“ მახასიათებელს, მის მსაზღვრელს წარმოადგენს? თუკი ამ მოცემულობას მთლიანობაში გავიაზრებთ, დავრწმუნდებით, რამდენად უსაფუძვლოა „ნშანის“ იზოლირებულად ახსნის ცდა: თუკი ცალკე აღებული „გამოსახულება“, „იერსახე“, „ხატი“ კიდევ შეიძლება ყველაფერი იყოს, გამორიცხულია წმინდა გიორგის აღსანიშნად „წითელი გამოსახულება“, „წითელი იერსახე“ ან „წითელი ხატი“ გამოეყენა ვინმეს!

„ნშანის“ წმ. გიორგით ჩანაცვლების უსაფუძვლობა კარგად გამოჩნდება, თუკი ვითარებას თავად სტეფანოს ორბელიანის პოზიციიდან შევხედავთ: გამოდის, ავტორმა წმინდა გიორგის სახელი რატომღაც დამალა და ის უცნაური განსაზღვრებით – „წითელი ნშანით“ ჩაანაცვლა?! ანუ პატივცემულ ნ. ჯაველიძეს სურს დაგვაჯეროს, რომ სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ეპისკოპოსი წმინდა გიორგის ხსენებას ერიდებოდა და მას ტექსტში პირობითად „წითელი ნშანის“ სახით მოიხსენიებდა?! გამოდის, სტეფანოს ორბელიანმა ცნობა კი არ მოგვაწოდა, არამედ შეგნებულად თავსატეხი გაგვიჩინა. რომელი კონსპირატორი ის იყო, რომ დაშიფრული გზავნილი ჩაედო თავის თხზულებაში? სტეფანოსი ორბელიანთა გვარის ისტორიას წერდა, რებუსს კი არ ადგენდა; მისი ცნობა უნდა გავიგოთ როგორც არის და მასში დაფარული მნიშვნელობის ძებნას აზრი არ აქვს; ის გარკვევით აღწერს დროშებს და მისი მონათხრობი სრულიად გასაგები ხდება, თუკი „ნშანს“ წავიკითხავთ როგორც ჯვარს: გამოვა, რომ ორბელიანმა „წითელი ჯვარი“ დაწერა, რაც ამ სიტყვის არათუ მხოლოდ ლოგიკური, არამედ ერთადერთი შესაძლებელი ახსნაა.[99]

---

94 იქვე, 18.

95 *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 38.

96 დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, *ლიტერატურული საქართველო*, 13-20 მარტი (1998), 5.

97 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 21-22. მისგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა, რომ ხუთჯვრიანი დროშის საწინააღმდეგოდ მოჰყავთ არგუმენტები, ა. სილაგაძე და გ. ჯაფარიძე ობიექტურად აღიარებენ „ნშანის“ როგორც ჯვრის შესაძლო წაკითხვას და მხოლოდ მის ხუთ ჯვრად ინტერპრეტაციას უარყოფენ. აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, *ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა* (თბილისი, 1999), 17-18.

98 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 25.

99 სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილიც კი, რომელიც XVII საუკუნის მოგზაურის კოტოვიჩის (Johannes Cotovicus) მიერ აღწერილი ქართული სამხედრო დროშების საფუძველზე თვლიდა, რომ ქართულ დროშაზე წმ. გიორგი იყო გამოხატული, სწორედ სტეფანოს ორბელიანის ცნობის გათვალისწინებით, სულაც არ მიიჩნევდა, რომ ასეთივე იყო ერთიანი საქართველოს სამეფო დროშაც: „რაკი მე-XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელიანს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წ´ა გიორგის სახით მოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მე-XI-XIII სს-შიც იყო ალამზე წ´ა გიორგის სახე გამოყვანილი,

გარდა ამისა, თუკი „ნშანი“ წმ. გიორგის გამოსახულება და ხატია, მაშინ „წითელი ნშანი“ გულისხმობს, რომ დროშაზე წითელი წმ. გიორგი იყო დახატული. როგორც ჩანს, მდგომარეობის უხერხულობა თავად ნ. ჯაველიძესაც ესმის და გამოსავლის ძიებაში ზემოხსენებული შვინდისფერი აშია შემოაქვს: „სტ. ორბელიანის „წითელი ნშან“-ის ფერთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თითქოსდა უცნაურია ალამზე წმ. გიორგის ხატის აღქმა წითელი ფერის გამოსახულებად. მაგრამ, თუკი გავიხსენებთ, რომ გერის ეკლესიის დროშის თეთრ ალამზე ამოქარგული ხატი შვინდისფერი ნაჭრებითაა შემოვლებული, მაშინ სავსებით შესაძლებელია, XIII ს-ის დროშაზე წმ. გიორგის ხატი ასევე ყოფილიყო გარშემოვლებული მეწამული ფერის ქსოვილით ან „გაწყობილი“ ყოფილიყო ყირმიზი აბრეშუმის ძაფიანი ნაქარგით“.[100] მე თუ მკითხავთ, უცნაური სწორედ ასეთი ახსნაა, რომელიც წყაროში გარკვევით მოცემული წითელი ფერის გამოსახულების ნაცვლად მის წითელ აშიაშემოვლებულ ალტერნატივას გვთავაზობს.

და აქ მივადექით სტეფანოს ორბელიანის ცნობის მეორე ნაწილს, რომელზეც, როგორც წესი, და ეს მხოლოდ ქალბატონ ნინოს არ ეხება, ჯვრიანი დროშის ოპონენტები თვალს ხუჭავენ და მის სრულ უგულებელყოფას ამჯობინებენ. არადა, ეს მონაკვეთი უაღრესად მნიშვნელოვანია და მთლიანობაში, მის პირველ ნაწილთან ერთად, საკმაოდ მარტივ მოცემულობას გვთავაზობს: სტეფანოსის მიხედვით, სამეფო დროშა თეთრია, ზედ წითელი „ნიშნით“, ამირსპასალარის დროშა კი წითელი, ზედ თეთრი „ნიშნით“ ანუ ადგილი აქვს სახელმწიფო დროშის ფერების შენაცვლებას სამხედრო დროშაში. ფერთა შენაცვლება ცნობილი ჰერალდიკური ხერხია, რითაც გამოხატავენ განსაკუთრებულ პატივისცემას იმ დროშისადმი, რომლის ფერებსაც იყენებენ მონაცვლეობით.[101] ქართულ სამეფო და სამხედრო დროშებში კიდევ ერთი ჰერალდიკური ხერხის გამოყენება შეიძლება დავინახოთ: ჩვეულებრივ, სამხედრო დროშა ეროვნული დროშიდან წარმოდგება. ასეა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიასა თუ სხვაგან.[102] ასე იყო საქართველოშიც, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მაღალ კულტურას, რომლებიც ამ მეთოდს ჯერ კიდევ XII საუკუნეში იყენებდნენ.

ორბელიანის ცნობის ორივე ნაწილის ფონზე, თავიდან გავიაზროთ ჩვენი ოპონენტის მოსაზრებები, რომელიც გვიმტკიცებს, რომ სამეფო დროშის თეთრ ქსოვილზე წითელ აშიაშემოვლებული წმინდა გიორგი იყო გამოსახული. მაშ რაღა იყო გამოსახული ამირსპასალარის წითელ ალამზე? თეთრ აშიაშემოვლებული წმინდა გიორგი? ასე ესმის ნ. ჯაველიძეს წყაროში გარკვევით წარმოდგენილი ფერთა შენაცვლების პრინციპი?! მეტიც, თუ თავსმოხვეულ აშიას უკუვაგდებთ, წყაროს ჩვენებას დავუბრუნდებით და „ნშანში“ წმ. გიორგის ვიგულისხმებთ, გამოვა, რომ მეფის დროშაზე წითელი წმ. გიორგი იყო დახატული, ამირსპასალარის კი – თეთრი წმ. გიორგი. სად ან ვის სმენია ასეთი იკონოგრაფიული წაჯექ-უკუჯექობა? ვის უნდა მოსვლოდა აზრად წმინდა გიორგის (ან მისი აშიის) ნაირფერად შეფერადება დროშებზე? თუკი XII-XIII საუკუნეების საქართველოში იმდენად ესმოდათ ჰერალდიკა, რომ ფერთა მონაცვლეობის პრინციპს აღიარებდნენ და იყენებდნენ, ნუთუ წითელი ჯვრით წმინდა გიორგის აღნიშვნა გაუჭირდებოდათ თუ ჰერალდიკური კულტურა არ ეყოფოდათ ამისთვის? სტეფანოს ორბელიანის ცნობის ოპონენტისეული ახსნიდან მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გავარკვიოთ: „ნშანის“ წაკითხვა წმ. გიორგის მნიშვნელობით არის ისტორიულ ფაქტზე ძალადობის ტიპური ნიმუში.

ნ. ჯაველიძე თავის წერილს ასეთი დასკვნით ამთავრებს: „მ. წურწუმიამ საკუთარი უნარით წყაროს მოძიებისა და დაკვირვებისა, ქართული ვექსილოლოგიისათვის ერთობ საჭირო ცნობას მიაქცია ყურადღება. ამ ძიების შედეგად სპარსელი მემატიანის ცნობები ახა-

თუ ეს მერმინდელი დანართია“. ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვეთი II, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 161. მას ეთანხმება ს. ბარნაველიც: „არც შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის ცნობა, რომ ქართველების სამხედრო დროშებზედ, ჩვეულებრივ, წმინდა გიორგი იყო დახატული, არ გულისხმობს, რომ ასევე იყო სამეფო გორგასლიან დროშაზედაც“. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 16.

100 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 25, შენ. 103.

101 В.В. Похлебкин, *Словарь международной символики и эмблематики* (Москва, 2004), 206. შუა საუკუნეებში სიუზერენის მიერ ვასალისათვის თავისი ჰერალდიკური სიმბოლიკის რაიმე ფორმით გაზიარება დიდ პატივად ითვლებოდა. შესაბამისი მაგალითები იხ. Maurice Keen, *Chivalry* (New Haven, 1984), 166.

102 William G. Crampton, „The Dynamics of Flag Evolution,“ *Proceedings of the International Congresses of Vexillology*, 15 (1993), 92.

ლი კუთხით გაშუქდა, რაც შეავსებს და გაამდიდრებს ქართული სამეფო დროშის თაობაზე შექმნილ ლიტერატურას. ნუ დავჩრდილავთ ამ წვლილს ოდენ წარმოსახვით ნასაზრდოები თვალსაზრისების გამომზეურებით“.[103] ჩემი უმნიშვნელო წვლილის აღნიშვნისათვის მადლობას მოგახსენებთ ქალბატონო ნინო, მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხოთ: თუკი თქვენ ქართული დროშის ჩემეულ რეკონსტრუქციას – თეთრ ფონზე წითელ ჯვარს, რომელიც, სხვა თუ არა, სტეფანოს ორბელიანის „ნშან“-ის ერთ-ერთ მნიშვნელობას (ჯვარს) მაინც ეფუძნება, „ოდენ წარმოსახვით ნასაზრდოებს“ უწოდებთ, მაშ ჩვენ რაღა დავარქვათ თქვენ მიერ შემოთავაზებულ ალტერნატივას – შვინდისფერ აშიაშემოვლებულ თეთრ დროშას, რომელიც არაფერს ეფუძნება?! ალბათ, აჯობებს, ისევ თქვენ დაგესესხოთ და ასეთ „რეკონსტრუქციას“ თქვენივე ტერმინი – *არასიმართლე* ვუწოდოთ. კი ვხვდები, აშიაშემოვლებული დროშის მთელ დიდებულებას სრულად ეს სიტყვაც რომ ვერ გადმოცემს, მაგრამ რა გაეწყობა, ვაღიარებ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი წარმოსახვაც კი უძლურია.

P.S.

ამ წერილში საგანგებოდ არ ვმსჯელობ ხუთჯვრიან დროშაზე, არც მის წინააღმდეგ ნ. ჯაველიძის მიერ მოყვანილი არგუმენტების[104] განხილვას ვაპირებ და არც ამ რთული საკითხის საფუძვლიანად გარკვევას ვგეგმავ, ჩემი ოპონენტისაგან განსხვავებით, რომელიც „ესეოდენ მძიმესა საქმესა ასე სუბუქად შეეხო“ და კატეგორიულად განგვიცხადა: „აქ „გასარკვევი“ არაფერია – წითელი ჯვარი, როგორც წმ. გიორგის სიმბოლო და, მით უფრო, „ხუთჯვრიანი“ კომპოზიცია არ ყოფილა გამოხატული არც სამეფო და არც სხვა სახეობის ქართული დროშის ალამზე. ასეთი ფაქტი საისტორიო წყაროებიდან ცნობილი არ არის“.[105]

მაგრამ განსჯისათვის მინდა შემოგთავაზოთ ერთი ცნობა ქართლის სამეფო დროშის შესახებ, რომელიც ნ. ჯაველიძესაც მოყავს თავის წერილში,[106] რაღა თქმა უნდა, ისევ სხვისი (ე. მამისთვალიშვილის) ნაშრომიდან[107] და არა უშუალოდ წყაროდან: „იმ მრავალ დროშათა შორის, რომლებიც ომში მიაქვთ, ქართველთა მეფის დროშა ჩვეულებრივზე უფრო მდიდარია და ლამაზი. ის გაკეთებულია ოთხი განის თხელი წითელი ქსოვილისაგან, ოქროთი მდიდრულად მორთული ულამაზესი ჯვრით, ყოველ განზე ორნამენტებით მორთული უძვირფასესი ქვებით და მარგალიტებით, მწვერვალზე გამოხატულია მეფის გვირგვინი“. ამ ცნობას, პატივცემულმა მკვლევარმა, ისე რომ გადამოწმებით თავი არ შეუწუხებია, მყისვე გამოუტანა განაჩენი: „ესპანურ საბუთში დამოწმებული ფრაზა „ქართველთა მეფის... ოქროთი მორთული ჯვარი“ უნდა გავიგოთ არა როგორც ალამზე დახატული, არამედ დროშის ბუნზე დამაგრებული ჯვარი“.[108]

დავუბრუნდეთ ისევ ცნობას. ეს ნაწყვეტი ამოღებულია მარკო ანტონიო აბაგაროს ვრცელი მოხსენებიდან, რომელიც მან 1588 წელს, სვიმონ მეფის ელჩის ალექსანდრეს მონათხრობის საფუძველზე შეადგინა და სანტა სევერინას კარდინალს წარუდგინა.[109] საბუთი დაიბეჭდა ლ. ხ. ფერნანდესისა და ი. ტაბაღუას მიერ ესპანეთში გამოცემული დოკუმენტების კრებულში,[110] რომელიც ქართულ ენაზეც ითარგმნა.[111] სწორედ ამ თარგმანიდან ჰქონდა მოყვანილი ადგილები ე. მამისთვალიშვილს, რომლითაც ნ. ჯაველიძემაც ისარგებლა.

ცნობამ სვიმონ მეფის დროშის შესახებ იმთავითვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, რადგან მისი ქართული თარგმანის სისწორეში დამაეჭვა. მართლაც, საბუთის იტალიური დედნის შემოწმებამ სრულიად სხვა ვითარება ცხადყო.[112] მოგვყავს იტალიური დედანი: „Tra le altre richissime bandiere che sogliono portare in

103 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის”, 27.

104 იქვე, 26.

105 იქვე, 26-27. ასევე იხ. მისი: „დაუსაბუთებელი და მცდარია აზრი იმის თაობაზე, თითქოსდა ე.წ. ხუთჯვრიანი სიმბოლო ქართულ სინამდვილეს, კერძოდ, სამეფო დროშას უკავშირდებოდეს“. იქვე, 26.

106 იქვე, 22-23.

107 იხ. ელდარ მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* II (თბილისი, 2011), 193.

108 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 26.

109 ეს გახლავთ რომის კურიის პოლიტიკის წარმმართველი, გავლენიანი კარდინალი და ცნობილი ინკვიზიტორი ჯულიო ანტონიო სანტორიო, რომელიც სანტა სევერინას დიოცეზის არქიეპისკოპოსიც იყო.

110 Luis Gil Fernández, Ilia M. Tabagua, *Fuentes para la historia de Georgia en bibliotecas y archivos españoles* (*siglos XV-XVII),* Madrid, 1993.

111 ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, *დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.),* მადრიდი, 1991.

112 ჩემი გულითადი მადლობა პროფ. მურმან პაპაშვილს, რომელმაც ამ ძვირფასი საბუთის დედანი მოგვაწოდა.



სურ. 10. ქართლის სამეფოს დროშა XVI საუკუნეში. რეკონსტრუქცია:
ა) გრაფიკული; ბ) თეთრი ჯვრებით; გ) ოქროსფერი ჯვრებით.

guerra, danno quella del lor Sig(no)re sopra modo ricca e bella; questa e fatta in quattro faccie di fino panno rosso ricamato d'oro con una bellissima croce per faccia, et in cima vn'ornamento di giogie et perli che representa la corona Real";[113] და მისი ქართული თარგმანი: „იმ მრავალ მდიდრულ დროშათა შორის, რომლებიც ომში მიაქვთ, [ქართველთა] მეფის დროშა ყველაზე მდიდრული და ლამაზია; ის შედგება (გაკეთებულია) ოქროქარგული ნატიფი **წითელი ქსოვილის ოთხი ნაწილისაგან, ყოველ (ოთხივე) ნაწილზე (გამოსახული) ულამაზესი ჯვრით**, (სულ) მაღლა კი ძვირფასი ქვებისა და მარგალიტების ორნამენტით გამოხატული სამეფო გვირგვინია". ანუ, სვიმონ I-ის ელჩის აღწერით, ქართლის მეფის წითელი დროშა ოთხ ნაწილად არის გაყოფილი და ოთხივე ნაწილზე ჯვარი არის გამოსახული (სურ. 10აბგ). რამეს ხომ არ გაგონებს ეს აღწერა, მკითხველო?

ზედმეტია საუბარი წარმოდგენილი ცნობის მნიშვნელობის შესახებ. ეს გახლავთ პირველი წერილობითი დასტური იმისა, რომ ქართველები ნამდვილად იყენებდნენ ხუთჯვრიან დროშებს[114] და რომ პორტოლანების მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე დატანილი ხუთჯვრიანი დროშების შესახებ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს; მისგან ვიგებთ, რომ XVI საუკუნის II ნახევარში, სვიმონ I-ის ეპოქაში, ქართლის სამეფოში ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ხუთჯვრიანი დროშის გამოყენების ტრადიცია.[115] ცნობაში არ არის აღნიშნული დროშაზე გამოსახული ჯვრების ფერები; ეს შესაძლოა იყოს თეთრი[116] ან სულაც ოქროსფერი, ოქროთი ნაქარგი. ასეა თუ ისე, ოქროსფერი თუ თეთრი (თუნდაც ნებისმიერი სხვა ფერი), საქმის ვითარებას ეს არ ცვლის – ალმის ოთხივე კუთხეში დატანილი ჯვრები სწორედაც რომ ხუთჯვრიანი კომპოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს!

**მამუკა წურწუმია**
ისტორიის დოქტორი

113 ფერნანდესი, ტაბალუა, *დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში,* 217.

114 ოპონენტები შეიძლება იმაზეც შეგვედავონ, ცნობაში გარკვევით მხოლოდ ოთხი ჯვარია დასახელებული და მეხუთე საიდან მოგაქვთო; საქმე ისაა, რომ დროშის ოთხ ნაწილად გაყოფა მხოლოდ ცენტრალური ჯვრით არის შესაძლებელი.

115 ქართლის სამეფოში წითელი დროშის გამოყენების ტრადიციას, ომში თუ მის გარეშე, შესაძლოა, სწორედ ერთიანი საქართველოს სამხედრო, წითელ-თეთრჯვრებიანმა დროშამ ჩაუყარა საფუძველი.

116 თუკი ვიგულისხმებთ, რომ სვიმონის დროშაში გამოყენებული ფერების სათავე სტეფანოს ორბელიანის სამხედრო დროშაში უნდა ვეძებოთ.

საქართველოს პრეზიდენტის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**N 191 2020 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი**

## საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტის დროშა თანდართული სახით.

მუხლი 2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სალომე ზურაბიშვილი

** 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№191) დამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის დროშა (აღწერილობით). საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ მომზადდა საქართველოს პრეზიდენტის დროშის ოთხი შესაძლო ნიმუში (გვ.122). საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეირჩა - საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის შტანდარტის (გვ.123) საფუძველზე შექმნილი ესკიზი. სახელმწიფოებრივი უწყვეტობის აღსანიშნავად უპირატესობა მიენიჭა აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტის აღწერილობას (გვ.124). შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის დროშა და მისი აღწერილობა, წარმოადგენს საქართველოს მოქმედ სახელმწიფო სიმბოლოებს (საქართველოს სახელმწიფო გერბის მთავარ ფიგურას, საქართველოს სახელმწიფო დროშის - თეთრ და მეწამულ- ფერებში) სახეცვლილს სახელმწიფოებრივი ტრადიციის ყაიდაზე.*

საქართველოს პრეზიდენტის
2020 წლის 30 ივლისის
N 191 ბრძანებულების
დანართი

## საქართველოს პრეზიდენტის დროშა



საქართველოს პრეზიდენტის დროშა არის კვადრატული ფორმის თეთრი ალამი. ალმის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. საქართველოს პრეზიდენტის დროშას შემოვლებული აქვს წითელი არშია წითელი კუწუბებით შიგნითა მხრიდან.



## საქართველოს პრეზიდენტის დროშა

პროექტი

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

2020



# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

1918 წ. დეკემბრის 27.



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტისა.

I. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შესდგება
კვადრატულ ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთა-
ვსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვ-
ლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა
მხრიდან.

არშიას გარს არტყია ოქრომკედით ამოქარგული ქართულისი-
რმა. ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები - შავი და თეთ-
რი, მომსხო ზოლები-შვინდისფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

*The law on the Flag of the Government of the Democratic Republic of Georgia, adopted on December 27, 1918, signed by the Chairman of the Government Noe Jordania and the Comrade of the Chairman of Government Ekvtime Takaishvili*

საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

**N 03/08/01 2020 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი**

## საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 30 ივლისის N191 ბრძანებულების გათვალისწინებით, დამტკიცდეს „საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესი“ თანდართული რედაქციით.

სალომე ზურაბიშვილი

# საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვის და გამოფენის წესი*

1. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტის ხელმარჯვნივ აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ - საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



2. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას ორი დროშის (საქართველოს სახელმწიფო დროშა და საქართველოს პრეზიდენტის დროშა) ხელმარჯვნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება კიდეში პირველი.



3. საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, ასევე საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ყოფნისას, წარმომდგენი შენობის ხელმარჯვნივ აღმართულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ - საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის, ასევე საქართველოს პარლამენტის დატოვებისას, წარმომდგენი შენობის წინ საქართველოს პრეზიდენტის დროშა დაეშვება.



5. საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილი ადგილის ხელმარჯვნივ აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ – საქართველოს პრეზიდენტის დროშა, პრეზიდენტის შენობაში ყოფნის მიუხედავად.





6. საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის წინ საქართველოს პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილი ადგილიდან საქართველოს პრეზიდენტის დროშა საპატიო დაცვის თანხლებით გადადის და აღიმართება საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, საქართველოს სახელმწიფო დროშის მარცხნივ. სიტყვის დამთავრების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის დატოვებისას, საქართველოს პრეზიდენტის დროშა საპატიო დაცვის თანხლებით კვლავ ბრუნდება მისთვის მინიჭებულ ადგილას.



7. საქართველოს პრეზიდენტის გადაადგილებისას ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე ხელმარჯვნივ აღმართულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ – საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



** 2020 წლის 3 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (№03/08/01) დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესი. საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესის პროექტი (გვ.126-127) შემუშავებულია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში და ეფუძნება საქართველოს სახელმწიფოებრივ ტრადიციებსა და ეროვნული, სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დროშების აღმართვისა და გამოფენის საერთაშორისოდ დამკვიდრებულ წესებს.*

# თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები*




## თელავის მუნიციპალიტეტის გერბი

თელავის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად:

I და IV ნაწილზე – მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) ფრთოსანი ცხენი;

II ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს ციხე-სიმაგრე ზემოდან ოქროს გვირგვინით;

III ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ორი ოქროს მტევანი და ვაზის ორი ოქროს ფოთოლი. გერბის ფარი გადაკვეთილია სამი, ვერცხლის, ტალღისებური შემცირებული სარტყელით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი „თელავი“.

## თელავის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ველი გაყოფილია ჰორიზონტალურად ორ ნაწილად – მეწამულ (წითელ) და ლაჟვარდოვან (ლურჯ) ველებად. დროშის ცენტრში გამოსახულია ვერცხლის ფრთოსანი ცხენი. დროშის პროპორციაა 2:3.



** ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ა/წ 24 მარტს N14 დადგენილებით დაამტკიცა თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები (გერბი და დროშა).*

**საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები და მედლები:

ა) ეროვნული გმირის ორდენი;

ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი;

გ) დავით აღმაშენებლის ორდენი;

გ1) თამარ მეფის ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
გ2) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
გ3) წმინდა ნიკოლოზის ორდენი; *(31.07.2009 N 1553)*
დ) ოქროს საწმისის ორდენი;

ე) ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხისა;

ვ) ღირსების ორდენი;

ვ1) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“; *(18.06.2010 N 3110)*
ზ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;

თ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;

ი) ღირსების მედალი.

*(24.06.2004 N 217)*
2. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულებას საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს დადგენილებით. *(31.07.2009 N 1553)*
3. დაწესდეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე ერთდროული ფულადი პრემია: *(18.06.2010 N 3110)*
ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 10 000 ლარი;

ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე – 6 000 ლარი;

გ) დავით აღმაშენებლის ორდენზე – 4 000 ლარი;

დ) თამარ მეფის ორდენზე – 1 000 ლარი;

ე) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენზე – 1 000 ლარი;

ვ) ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 000 ლარი;

ზ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე – 1 000 ლარი;

თ) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე – 600 ლარი;

ი) ღირსების ორდენზე – 600 ლარი;

კ) მედალზე „სამოქალაქო თავდადებისათვის“ – 1 000 ლარი;

ლ) მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ – 400 ლარი.

3.1 ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. *(27.04.2010 N 3026)*

4. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ერთდროული ფულადი პრემია გადაეცემა დაჯილდოებული პირის მემკვიდრეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

5. მედლით "მხედრული მამაცობისათვის" სამჯერ დაჯილდოებულ პირს გადაეცემა პრეზიდენტის სამახსოვრო საჩუქარი.

6. დავით აღმაშენებლის ორდენით, ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილოებული პირი სარგებლობს:

ა) დადგენილი წესით ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახელმწიფოს ხარჯზე მგზავრობის უფლებით;

ბ) კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით. *(28. 10.97. N1008 პარლამენტის უწყებანი N45)*
7. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცეს იმ პირებზე, რომლებიც:

ა) დაჯილდოვდებიან 2003 წლის 1 იანვრიდან;

ბ) მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის – აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში და დაჯილდოვდნენ საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის; *(20.04.2005 N 1339)*
გ) დაჯილდოვდნენ სიკვდილის შემდეგ. *(29.01.2003 N1951)*
8. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემია იმ პირებზე, რომლებიც მითითებულნი არ არიან ამ კანონის მე-7 პუნქტში, გაიცეს 2006 წლის 1 იანვრიდან. *(29.12.2004 N 855)*

თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური *ე.შევარდნაძე*

მუხლი 1. საქართველოს იმ მოქალაქეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში, განსაკუთრებული პირადი წვლილი შეიტანეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, დაწესებულია საქართველოს შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები და მედლები: *(18.06.2010 N 3142)*

ა) ეროვნული გმირის ორდენი;

ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი;

გ) დავით აღმაშენებლის ორდენი;

დ) თამარ მეფის ორდენი;

ე) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი;

ვ) წმინდა ნიკოლოზის ორდენი;

ზ) ოქროს საწმისის ორდენი;

თ) ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხისა;

ი) ღირსების ორდენი;

კ) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“;

ლ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;

მ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;

ნ) ღირსების მედალი.

საქართველოს 2018 წლის 14 ნოემბრის კანონი №3721 – ვებგვერდი, 07.12.2018წ.

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების სახეობები

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების სახეობებია:

ა) ორდენები:

ა.ა) საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი;

ა.ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი;

ა.გ) დავით აღმაშენებლის ორდენი;

ა.დ) თამარ მეფის ორდენი;

ა.ე) ბრწყინვალების ორდენი;

ა.ვ) წმინდა ნიკოლოზის ორდენი;

ა.ზ) ოქროს საწმისის ორდენი;

ა.თ) ვახტანგ გორგასლის ორდენი – I ხარისხის, II ხარისხის, III ხარისხის;

ა.ი) ღირსების ორდენი;

ბ) მედლები:

ბ.ა) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“;

ბ.ბ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;

ბ.გ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;

ბ.დ) ღირსების მედალი;

გ) (ამოღებულია - 14.11.2018, №3721).

**საქართველოს 2018 წლის 14 ნოემბრის კანონი №3721 – ვებგვერდი, 07.12.2018წ.**

მუხლი 21. საქართველოს სახელმწიფო პრემიების სახეობები

საქართველოს სახელმწიფო პრემიების სახეობებია:

ა) შოთა რუსთაველის სახელობის პრემია;

ბ) საქართველოს ეროვნული პრემია;

გ) ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია.

საქართველოს პრეზიდენტის
# ბრძანებულება

N 28 2019 წლის 17 იანვარი ქ. თბილისი

**საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების თანდართული წესი დანართებით (დანართი №1, №2 და №3).

მუხლი 2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 23 მარტის №105 ბრძანებულება.

მუხლი 3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სალომე ზურაბიშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2019 წლის 17 იანვრის
№28 ბრძანებულებით

**საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესი**

**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობის, აგრეთვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, მის აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების (შემდეგში - სახელმწიფო ჯილდო) მინიჭების საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებს.

**მუხლი 2.**

1. გადაწყვეტილებას სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონითა (შემდეგში - კანონი) და ამ ბრძანებულებით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო ჯილდოთი, გარდა კანონის მე-2 მუხლის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ჯილდოსი, როგორც წესი, ჯილდოვდება საქართველოს მოქალაქე. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ჯილდოთი შეიძლება დაჯილდოვდეს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. კანონის მე-2 მუხლის „ა.ზ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ჯილდოთი ჯილდოვდება უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

3. სახელმწიფო ჯილდოს აღწერილობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

**მუხლი 3.**

1. სახელმწიფო ჯილდოთი ჯილდოვდებიან მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის, კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების პირობების შესაბამისად.

2. დაჯილდოებული პირები ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ დაჯილდოვდნენ იმავე ან სხვა სახელმწიფო ჯილდოთი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. პირის სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოება შეიძლება სიკვდილის შემდეგაც.

**მუხლი 4.**

პირს სახელმწიფო ჯილდოთი (გარდა კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) აჯილდოებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე. კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირს აჯილდოებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ავტონომიური



რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მთავრობების ხელმძღვანელების, საქართველოს გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების საფუძველზე.

**მუხლი 5.**

1. კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირის მედლით დაჯილდოების თაობაზე, დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს ან ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იგი ცხოვრობს, შუამდგომლობით მიმართავს წარდგინების უფლებამოსილების მქონე ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს.

2. პირის დაჯილდოების თაობაზე ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირის წარდგინებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე ჯილდოს გადამცემი პირის ვინაობა. წარდგინებას უნდა ერთვოდეს შევსებული დაჯილდოების ფურცელი (დანართი №1).

3. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი დეპარტამენტი (შემდეგში – დეპარტამენტი) განიხილავს წარდგინებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და, მისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს პირის დაჯილდოების თაობაზე შესაბამის წინადადებას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში - ამზადებს სამართლებრივი აქტის პროექტს.

**მუხლი 6.**

წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 7.**

1. დაჯილდოებულ პირს სახელმწიფო ჯილდოს და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ გადასცემს საქართველოს პრეზიდენტი ან მისივე გადაწყვეტილების (რეზოლუციის) საფუძველზე, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი.

2. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი ოდენობით, პირს სახელმწიფო ჯილდოსთან ერთად ეძლევა ერთდროული ფულადი გასაცემელი.

3. გარდაცვალების შემდეგ პირის სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების შემთხვევაში, სახელმწიფო ჯილდო და შესაბამისი ერთდროული ფულადი გასაცემელი ეძლევა დაჯილდოებული პირის მემკვიდრეს (არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4. დაჯილდოების ცერემონიისათვის სახელმწიფო ჯილდოს უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის შესახებ დეპარტამენტი ავსებს სააღრიცხვო ბარათს (დანართი №2). იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტი უშუალოდ არ გადასცემს სახელმწიფო ჯილდოს, დაჯილდოებული პირისათვის სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის შესახებ დგება ოქმი (დანართი №3), რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო ჯილდოს გადამცემი პირი.

5. დაჯილდოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთ თვეში, №3 დანართით გათვალისწინებული სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის ოქმი ეგზავნება დეპარტამენტს.

**მუხლი 8.**

1. დაჯილდოებული პირისათვის ერთდროული ფულადი გასაცემლის გაცემის მიზნით, პირის დასაჯილდოებლად წარმდგენი დაწესებულება/ორგანო ან დაჯილდოებული პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის:

ა) დაჯილდოებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;



ბ) დაჯილდოებული პირის მომსახურე ბანკის (ფილიალის) ან პირის დასაჯილდოებლად წარმდგენი დაწესებულების/ორგანოს მიერ დადასტურებულ ცნობას ბანკის (ფილიალის) რეკვიზიტებისა და პირის ანგარიშის ნომრის მითითებით;

გ) შესაბამისი პირის დაჯილდოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ასლს (მოთხოვნის შემთხვევაში);

დ) სამკვიდრო მოწმობის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს (პირის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში).

2. დეპარტამენტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დაჯილდოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ასლს.

**მუხლი 9.**

1. გარდაცვლილი დაჯილდოებული პირის ან სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულის მემკვიდრეთა თანხმობით, სახელმწიფო ჯილდო და შესაბამისი მოწმობა შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ან მუზეუმს.

2. თუ გარდაცვლილ დაჯილდოებულ პირს ან სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულს არა ჰყავს მემკვიდრე, სახელმწიფო ჯილდო გადაეცემა ან რჩება სახელმწიფოს.

**მუხლი 10.**

სახელმწიფო ჯილდოების დუბლიკატები საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაჯილდოებულს არ შეეძლო მათი დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილება. ხოლო შესაბამის მოწმობის დუბლიკატს გასცემს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი დეპარტამენტი, იმავე პირობის არსებობისას.

**მუხლი 11.**

სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს დაჯილდოებულის მიერ სახელმწიფო ჯილდოს შეურაცხმყოფელი საქციელის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო ჯილდოზე წარმდგენი დაწესებულების/ორგანოს შუამდგომლობით.

## დაჯილდოების ფურცელი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი

____________________

2. სამუშაო ადგილი, თანამდებობა

____________________

3. დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი

____________________

4. მოქალაქეობა

____________________

5. განათლება____________________

6. რომელი სახელმწიფო ჯილდოთი იყო დაჯილდოებული და როდის

____________________

7. მისამართი

____________________

ტელეფონი ბინის ____________ სამსახურის ____________

8. რომელ სახელმწიფო ჯილდოზეა წარდგენილი

____________________

დამსახურება, რისთვისაც წარდგენილია სახელმწიფო ჯილდოზე

____________________

სახელმწიფო დაწესებულების, ორგანიზაციის
კადრების სამსახური
ბ.ა. ____________________

სახელმწიფო დაწესებულების,
ორგანიზაციის ხელმძღვანელი

____________________

„______ “____________ 20.. წ.

დანართი №2 *(26.03.2019 N 149)*

**სააღრიცხვო ბარათი**
**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების,**
**მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა სამსახური**

**დაჯილდოების ცერემონიაზე სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის შესახებ**

| № | განკ. № თარიღი | სახელმწიფო ჯილდოს დასახელება | დაჯილდოებულის სახელი, გვარი | ვის მიერ არის წარმოდგენილი | ვის გადაეცა (ორგანიზაცია, გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელეფონი) | გადაცემის თარიღი | მიმღების ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

დანართი №3

**სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის**
**ო ქ მ ი**

----------------------------

გადაცემის ადგილი

„--------“

-------------- 20.. წ.

გადაცემის თარიღი

მე, ____________________ ____________
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

საქართველოს პრეზიდენტის 20.. წლის „ -----------“ ---------------------------- №--------------------------განკარგულებით დაჯილდოებულ ქვემოთ მითითებულ პირ(ებ)ს საქართველოს პრეზიდენტის სახელით გადავეცი

____________________
(სახელმწიფო ჯილდოს დასახელება)

| № | დაჯილდოებული პირის სახელი, გვარი | სამუშაო ადგილი, თანამდებობა |
|---|---|---|
| | | |

____________________

სახელმწიფო ჯილდოს გადამცემი პირის ხელმოწერა.

ძალადაკარგულია
საქ. პრეზიდენტის
07/15/2008 N 369
ბრძანებულებით

# საქართველოს პრეზიდენტის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
# N 810 1996 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

## საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს საპატიო მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა განმხილველი კომისიის შესახებ

*(03.09.2003 N429)*

საქართველოს წინაშე თანამემამულეთა და უცხოელ მოქალაქეთა განსაკუთრებული ღვაწლისა და კონკრეტული დამსახურების შეფასების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტთან საქართველოს საპატიო მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების,პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა განმხილველი კომისია თანდართული სიის მიხედვით *(03.09.2003 N429)*

2. დამტკიცდეს კომისიის თანდართული დებულება და შემადგენლობა.

3. გაუქმდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 1 სექტემბრის N286 ბრძანებულებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საპატიო მოქალაქეობის საკითხთა კომისია.

4. ბრძანებულება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

*ე. შევარდნაძე*

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1996 წლის 14 დეკემბრის
N 810 ბრძანებულებით

### საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს საპატიო მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა განმხილველი კომისიის შესახებ დებულება *(03.09.2003 N429)*





1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა განმხილველიკომისიის მუშაობის წესს, ადგენს კომისიის უფლებებსა და მოვალეობებს. *(03.09.2003 N429)*

2. კომისია არის საპატიო მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის საკონსულტაციო მუდმივი ორგანო, რომელიც მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, *(03.09.2003 N429)*

3. კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია:
საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პრეზიდენტის აქტები, მოქმედი კანონმდებლობა და ეს დებულება.

4. კომისიას ქმნის საქართველოს პრეზიდენტი და განსაზღვრავს მის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას.

5. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. *(09.09.2005 N 740)*

6. კომისიას მომზადებულ მასალებს განსახილველად გადასცემს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური. კომისიის სხდომა იმართება სამსახურის მიერ კომისიისათვის მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. *(09.09.2005 N 740)*

7. კომისიის სხდომას იწვევს თავმჯდომარე. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიაზე საკითხი წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპებით და ამავე დროს ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

9. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხები:

ა) საპატიო მოქალაქეობის მინიჭებისა და ჩამორთმევის შესახებ;

ბ) სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების მინიჭებისა და ჩამორთმევის შესახებ;

გ) საპატიო წოდების მინიჭებისა და ჩამორთმევის შესახებ;

დ) პრემიის მინიჭების შესახებ.

ე) სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოებაზე პირის წარდგენის შესახებ. *(03.09.2003 N429)*

10. კომისია უფლებამოსილია სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განიხილოს და გადაწყვიტოს სახელმწიფო ჯილდოს მუზეუმში შენახვისა და ექსპონირების საკითხი თუ არსებობს:

ა) დაჯილდოებული პირის თანხმობა;

ბ) დაჯილდოებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის თანხმობა.

11. კომისია განიხილავს განცხადებებს,წინადადებებსა და საჩივრებს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

12. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

13. კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს სათანადო მასალები და მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, თანამდებობის პირებისა და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1996 წლის 14 დეკემბერი
N 810 ბრძანებულებით

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს საპატიო მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა განმხილველი კომისია:*(30.11.2005 N1017)*

| | | |
|---|---|---|
| **დავით მაღრაძე** | - | მწერალი, კომისიის თავმჯდომარე |
| **სოზარ სუბარი** | - | საქართველოს სახალხო დამცველი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| **გიორგი ანდრიაძე** | - | კავშირის „ნაციონალური ლობის" თავმჯდომარე |
| **მამუკა გონგაძე** | - | მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი |
| **დავით დარჩიაშვილი** | - | ფონდ „ღია საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი |
| **ფრიდონ თოდუა** | - | აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი |
| **მარიკა კვანტრიშვილი** | - | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი, კომისიის მდივანი |
| **დავით ლორთქიფანიძე** | - | საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი |
| **ნატალია ყანჩელი** | - | საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე |
| **კახაბერ ჩიქოვანი** | - | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე. |



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N60

**29 ივნისი 2018 წ.**

ქ. თბილისი

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ც" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

**მუხლი 1**
დამტკიცდეს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლის ნიმუშები N1 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლისა და მედლის თამასების ტარების წესი N2 დანართის შესაბამისად;

გ) სამკერდე ნიშნის ნიმუშები N3 დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის №77 ბრძანება.

**მუხლი 3**
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

https://publish.matsne.gov.ge/doc-portal/gxt/xmlfilepreview?documentId=4238184&fileVersionId=4238197&appId=6hAHku 1/2

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

**ბრძანება N76**

**19 აგვისტო 2020 წ.**

ქ. თბილისი

**„უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №60 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად,

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის № 60 ბრძანებაში (ვებგვერდი, 02/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 001330000.22.026.016607) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. №1 დანართს დაემატოს „ნიმუში 15“ შემდეგი რედაქციით:**

**„ნიმუში 15. მედალი „ღირსეული პარტნიორი“**



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება N1000

31 დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

**სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ**

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 46–ე მუხლის, მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“, „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს:

ა) სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესი თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №1);

ბ) სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონის და მედლის თანდართული ნიმუშები (დანართი №2);

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამკერდე ნიშნის თანდართული ნიმუში (დანართი №3);

დ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამკერდე ნიშნისა და მედლისა თანდართული ნიმუშები (დანართი №4).

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნების, მედალიონის და მედლის ნიმუშების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით, მედალიონით და მედლით პირთა დაჯილდოვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის №740 ბრძანება.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე

დანართი N1

# სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესი

## თავი I
## დაჯილდოების წესი

**მუხლი 1**

ეს ბრძანება განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამკერდე ნიშნების, მედალიონის და მედლის სახეებსა და მათი გადაცემის წესს.

**მუხლი 2**

1. გადაწყვეტილებას სამკერდე ნიშნებით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების შესახებ იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტით.
2. სამინისტროს თანამშრომელთა გარდა მედალიონითა და მედლით შეიძლება დაჯილდოვდნენ სხვა პირებიც.

**მუხლი 3**

1. პირები ჯილდოვდებიან როგორც კონკრეტული დამსახურებისათვის, ასევე ნამსახური წლების ან საიუბილეო თარიღის გამო.
2. დაჯილდოებული პირები ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ დაჯილდოვდნენ იმავე ან სხვა სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით.

3. პირის დაჯილდოება შეიძლება სიკვდილის შემდეგაც.

**მუხლი 4**

1. სამკერდე ნიშნით, მედალიონით და მედლით დაჯილდოებაზე პირის წარდგენა ხდება მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელთა მიერ. წარდგინებაში აღინიშნება პირის კონკრეტული დამსახურება.
2. დაჯილდოებულს ჯილდოსთან ერთად გადაეცემა დაჯილდოების ფურცელი.

3. დაუშვებელია მოქმედი დისციპლინური სახდელის მქონე თანამშრომლის წარდგენა სამკერდე ნიშნის, მედლის ან მედალიონის მისაღებად.

**მუხლი 5**

1. დაჯილდოებულ პირს შესაძლებელია ჯილდო გადაეცეს საზეიმო ვითარებაში.
2. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ჯილდო გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

3. თუ დაჯილდოებულ გარდაცვლილ პირს ან სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულს არ ჰყავს მემკვიდრე, ჯილდო რჩება სამინისტროს.

4. სამკერდე ნიშნის, მედალიონის ან მედლის დაკარგვის შემთხვევაში დაუშვებელია მათი ასლის გაცემა.

**მუხლი 6**

1. დაჯილდოებულ პირებს აქვთ ჯილდოების ან მათი აღმნიშვნელი ნიშნების ტარების უფლება. დაჯილდოებული პირი სამკერდე ნიშანს, მედალს ან მედალიონს ატარებს მკერდზე მარცხენა მხარეს.
2. დაუშვებელია სამკერდე ნიშნის, მედლის ან მედალიონის ტარება საამისო უფლების არმქონე პირის მიერ.

## თავი II
## ჯილდოს სახეები

**მუხლი 7**

1. სამინისტროს სამკერდე ნიშნით – „უმწიკვლო სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ხასიათდებიან დადებითად და წარმატებით ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს. პირის დაჯილდოება „უმწიკვლო სამსახურისათვის“ ხდება მხოლოდ იმ ხარისხის სამკერდე ნიშნით, რომელიც შეესაბამება წელთა ნამსახურობას (10 წელი, 15 წელი, 20 წელი) დაჯილდოების დღისათვის.

2. სამკერდე ნიშნის – „უმწიკვლო სამსახურისათვის“ (10, 15, 20 წლის ნამსახურობისათვის) ჩამორთმევა ხდება მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დაჯილდოებულის მიერ უხეში დისციპლინური გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

**მუხლი 8**

სამინისტროს სამკერდე ნიშნით – „დამსახურებული პოლიციელი“ ჯილდოვდებიან ზღვრულ ასაკს მიღწეული სამინისტროს თანამშრომლები და ღვაწლმოსილი ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას გამოირჩეოდნენ საქმის კეთილსინდისიერი შესრულებით.

**მუხლი 9**

სამინისტროს მედალიონით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ ჯილდოვდებიან სამინისტროს თანამშრომლები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტაში, ასევე საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა პირები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში ან რომელთა დამსახურებითაც სამინისტრომ მიაღწია წარმატებებს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტისას.

**მუხლი 10**

სამინისტროს მედლით – „მამაცობისათვის“, ასევე სამინისტროს I და II ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ ჯილდოვდებიან სამინისტროს თანამშრომლები და სხვა პირები, რომელთაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისას გამოიჩინეს განსაკუთრებული მამაცობა და თავდადება ან რომელთა დამსახურებითაც სამინისტრომ მიაღწია წარმატებებს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტისას.

## თავი III
## ამოღებულია

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის ბრძანება №205 - ვებგვერდი, 21.04.2016წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის ბრძანება №367 - ვებგვერდი, 13.07.2017წ.*

**მუხლი 11. ამოღებულია**

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის ბრძანება №205 - ვებგვერდი, 21.04.2016წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის ბრძანება №367 - ვებგვერდი, 13.07.2017წ.*

## თავი IV
## სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ჯილდოები

**მუხლი 12**

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამკერდე ნიშნითა და მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

## თავი V

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №291 - ვებგვერდი, 02.06.2016წ.*

## სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსამსახურეთა ჯილდოები

**მუხლი 13**

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სამკერდე ნიშნით – „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ – ჯილდოვდებიან სააგენტოს მოსამსახურეები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სააგენტოს წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტიანად განხორციელებაში.

2. სააგენტოს სამკერდე ნიშნით – „წარმატებული სამსახურისთვის“ – ჯილდოვდებიან სააგენტოს მოსამსახურეები სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ასევე ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №291 - ვებგვერდი, 02.06.2016წ.*

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10
2017 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამკერდე ნიშნის, მედალიონისა და მედლის ნიმუშებისა და აღნიშნული სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 51-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ზ.ზ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „რ.თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

+
**მუხლი 1**
დამტკიცდეს:
ა) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესი თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №1);

ბ) სამსახურის სამკერდე ნიშნის, მედალიონისა და მედლის თანდართული ნიმუშები (დანართი №2, №3, №4).
+
**მუხლი 2**
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს სახელმწიფო<br>უსაფრთხოების სამსახურის უფროსი | ვახტანგ<br>გომელაური |



**დანართი №1**
**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესი**

**თავი I**
**დაჯილდოების წესი**

**მუხლი 1**

ეს ბრძანება განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამკერდე ნიშნის, მედალიონისა და მედლის სახეობებსა და მათი გადაცემის წესს.

**მუხლი 2**

1. გადაწყვეტილებას სამკერდე ნიშნებით, მედალიონითა და მედლით დაჯილდოების შესახებ იღებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რომელიც ფორმდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

2. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, სამსახურის მოსამსახურეთა გარდა, მედალიონითა და მედლით ამ წესის შესაბამისად შეიძლება დაჯილდოვდნენ სხვა პირები.

**მუხლი 3**

1. პირები ჯილდოვდებიან როგორც კონკრეტული დამსახურებისათვის, ასევე ნამსახურები წლების გამო ან საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

2. დაჯილდოებული მოსამსახურე ახალი დამსახურების გამო შეიძლება ამ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, კვლავ დაჯილდოვდეს სხვა სამკერდე ნიშნით, მედალიონითა და მედლით.

3. პირის დაჯილდოება შეიძლება გარდაცვალების შემდეგაც.

**მუხლი 4**

1. სამკერდე ნიშნით, მედალიონით და მედლით დაჯილდოებაზე მოსამსახურის წარდგენა ხდება სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის, სამსახურის უფროსის მოადგილეების, ან სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა მიერ. ასევე დაჯილდოებაზე წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურის სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ. წარდგინებაში აღინიშნება პირის კონკრეტული დამსახურება.

2. დაჯილდოებულს ჯილდოსთან ერთად შეიძლება გადაეცეს დაჯილდოების ფურცელი (წესის დანართი).

3. დაუშვებელია მოქმედი დისციპლინური სახდელის მქონე მოსამსახურის წარდგენა სამკერდე ნიშნის, მედალიონის ან მედლის მისაღებად.

**მუხლი 5**

1. დაჯილდოებულ პირს შესაძლებელია ჯილდო გადაეცეს საზეიმო ვითარებაში.

2. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ჯილდო გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

3. თუ დაჯილდოებულ გარდაცვლილ პირს ან გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულს არ ჰყავს მემკვიდრე, ჯილდო რჩება სამსახურს.

4. სამკერდე ნიშნის, მედალიონის ან მედლის დაკარგვის შემთხვევაში, დაუშვებელია მათი ასლის გაცემა.

**მუხლი 6**

1. დაჯილდოებულ პირებს აქვთ ჯილდოების ან მათი აღმნიშვნელი ნიშნების ტარების უფლება. დაჯილდოებული პირი სამკერდე ნიშანს, მედალიონს ან მედალს ატარებს მკერდზე მარცხენა მხარეს.

2. დაუშვებელია სამკერდე ნიშნის, მედალიონის ან მედლის ტარება საამისო უფლების არმქონე პირის მიერ.

**თავი II**

**ჯილდოს სახეები**

**მუხლი 7**

1. სამსახურის სამკერდე ნიშნით – „ღირსეული სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან სამსახურის მოსამსახურეები, რომლებიც ხასიათდებიან დადებითად და წარმატებით ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს. პირის დაჯილდოება „ღირსეული სამსახურისათვის“ ხდება მხოლოდ იმ ხარისხის სამკერდე ნიშნით, რომელიც შეესაბამება წელთა ნამსახურობას (5 წელი, 10 წელი, 15 წელი, 20 წელი) დაჯილდოების დღისათვის.

2. სამკერდე ნიშნის – „ღირსეული სამსახურისათვის“ (5, 10, 15, 20 წლის ნამსახურობისათვის) (დანართი №2) ჩამორთმევა ხდება სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დაჯილდოებულის მიერ უხეში



დისციპლინური გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სამსახურის სამკერდე ნიშნით დაჯილდოების მიზნებისათვის ნამსახურობის წლებში ჩაითვლება წოდების არმქონე პირებისათვის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ნამსახურობის პერიოდი, ხოლო სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისათვის როგორც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებებში ამ წოდებით ნამსახურების წლები.

**მუხლი 8**

სამსახურის მედალიონით – „განსაკუთრებული წვლილისათვის“ (დანართი №3) ჯილდოვდებიან საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა პირები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის განხორციელების კუთხით ან რომელთა დამსახურებითაც სამსახურმა მიაღწია წარმატებას საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტისას.

**მუხლი 9**

სამსახურის მედლით – „მამაცობისათვის“, ასევე სამსახურის I და II ხარისხის, „საპატიო“ მედლით (დანართი №4) – განსაკუთრებული დამსახურებისთვის ჯილდოვდებიან სამსახურის მოსამსახურეები და სხვა პირები, რომელთაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის განხორციელების კუთხით გამოიჩინეს განსაკუთრებული მამაცობა და თავდადება ან რომელთა დამსახურებითაც სამსახურმა მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტისას.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურის უფროსის

## ბრძანება

№ 17575 ქ. თბილისი 28 ივლისი, 2014 წ.

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესებისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**

**„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N77 დადგენილების მე-9 პუნქტის შესაბამისად**

## ვბრძანებ:

**მუხლი 1**

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა და სამსახურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის სხვა პირების წახალისების მიზნით დამტკიცდეს:

ა) „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესებისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულება, დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და სანიმუშო დისციპლინისათვის" - სიგელის ნიმუში, დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის" - სიგელის ნიმუში, დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის" - სიგელის ნიმუში, დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) „უმწიკვლო სამსახურისთვის" - სიგელის ნიმუში, დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) „უმწიკვლო სამსახურისთვის" - მედლის ნიმუშები დანართი N6-ის შესაბამისად;

ზ) „გამორჩეული თანამშრომლობისათვის" სამახსოვრო მედლისა და მედალთან ერთად გადასაცემი ბლოკნოტის ნიმუშები №7 და №8 დანართების შესაბამისად.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 22.08.2016წ. ბრძანება №31143 - ვებგვერდი, 23.08.2016წ.*

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესებისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის №1196 ბრძანება.

**მუხლი 3**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**სამსახურის უფროსი**
**სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკი თეიმურაზ მღებრიშვილი**

**დანართი №1**

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესებისა და გადაცემის წესის შესახებ**
**დებულება**

**მუხლი 1**

„საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უწყებრივი ჯილდოების დაწესებისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში (შემდგომში – სამსახური) უწყებრივი ჯილდოების სახეებს და მათი გადაცემის წესს.

**მუხლი 2**

1. სათანადო დამსახურების მქონე შესაბამისი კატეგორიის პირებს, წახალისების მიზნით ან/და სამახსოვროდ, გადაეცემათ შემდეგი სახის უწყებრივი ჯილდოები:

ა) სიგელი „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და სანიმუშო დისციპლინისათვის";

ბ) სიგელი „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის";

გ) სიგელი „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის";

დ) სიგელი „უმწიკვლო სამსახურისთვის";

ე) მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის";

ვ) სამახსოვრო მედალი „გამორჩეული თანამშრომლობისათვის".

2. სიგელი „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და სანიმუშო დისციპლინისათვის" გადაეცემა თანამშრომელს, რომელმაც თავი გამოიჩინა დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებით, სანიმუშო ყოფაქცევით და მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით, აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალების ან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებით.

3. სიგელი „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის" გადაეცემა თანამშრომელს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამსახურის პროფესიულ და ტექნოლოგიურ განვითარებაში.

4. სიგელი „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის" გადაეცემა პირს (არათანამშრომელს), რომელმაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას ან სამსახურის პოპულარიზაციას.

5. სიგელი „უმწიკვლო სამსახურისთვის" გადაეცემა სამსახურის ღვაწლმოსილ თანამშრომელს, ხანგრძლივი სამსახურებრივი საქმიანობისთვის (სიგელში კეთდება აღნიშვნა ნამსახურები წლების შესახებ).

6. მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის" გადაეცემა ღვაწლმოსილ თანამშრომელს, რომელიც ხასიათდება დადებითად და წარმატებით ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს.

7. სამახსოვრო მედალი „გამორჩეული თანამშრომლობისათვის" შესაბამის ბლოკნოტთან ერთად გადაეცემა პირს (არათანამშრომელს) სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან აქტიური და კვალიფიციური პროფესიული თანამშრომლობისათვის, მხარდაჭერისა და გამოჩენილი პროფესიონალიზმისთვის.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 22.08.2016წ. ბრძანება №31143 - ვებგვერდი, 23.08.2016წ.*

**მუხლი 3**

1. „უმწიკვლო სამსახურისთვის“ მედლით დაჯილდოებისას მხედველობაში მიიღება თანამშრომლის წელთა ნამსახურობა დაჯილდოების დღისათვის, კერძოდ:

ა) 10-დან 15 წლამდე ნამსახურობისთვის გაიცემა III ხარისხის სამკერდე ნიშანი;

ბ) 15-დან 20 წლამდე ნამსახურობისთვის გაიცემა II ხარისხის სამკერდე ნიშანი;

გ) 20 და მეტი წლის ნამსახურობისთვის გაიცემა I ხარისხის სამკერდე ნიშანი.

2. თანამშრომელს „უმწიკვლო სამსახურისთვის“ შესაბამისი ხარისხის მედალთან ერთად შეიძლება გადაეცეს ამ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიგელიც.

3. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, „უმწიკვლო სამსახურისთვის“ მედლით ნამსახურები წლების მიუხედავად, შეიძლება დაჯილდოვდნენ ის თანამშრომლებიც, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტაში, რამაც განაპირობა სამსახურის წარმატება და პოპულარიზაცია.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*

**მუხლი 4**

1. ჯილდოზე თანამშრომლებს და სხვა პირებს წარადგენენ სამსახურის უფროსის მოადგილეები და სტრუქტურული დანაყოფების უფროსები კურატორ ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით, გარდა სამახსოვრო მედლისა, რომლის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი, ხოლო ბრძანებას მისივე დავალებით ამზადებს სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველო.

2. წარდგენა ხორციელდება წერილობითი პატაკით, რომელშიც აღინიშნება ჯილდოს სახეობა და წარდგინების საფუძველი.

3. პატაკები სათანადო რეზოლუციით ეგზავნება სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარ სამმართველოს, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის უფროსის შესაბამისი ბრძანების მომზადებას (აღნიშნულ ბრძანებაში აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყვნენ სამსახურის უფროსის მიერ მითითებული პირებიც).

4. უწყებრივი ჯილდოების სააღრიცხვო რეგისტრაციას აწარმოებს სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველო.

5. უწყებრივ ჯილდოსთან ერთად შეიძლება გაიცეს ფულადი ჯილდოც, რომლის ოდენობაც დგინდება სამსახურის უფროსის ბრძანებით.

6. მოქმედი დისციპლინური სახდელის მქონე თანამშრომელი, შესაბამისი დამსახურების შემთხვევაში, უწყებრივი ჯილდოს მისაღებად წარდგენასთან ერთად იმავდროულად წარდგენილი უნდა იქნეს დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნაზე.

7. დაჯილდოებული თანამშრომელი ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ დაჯილდოვდეს იმავე ან სხვა ჯილდოთი.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 22.08.2016წ. ბრძანება №31143 - ვებგვერდი, 23.08.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 25.06.2020წ. ბრძანება №15802- ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

**მუხლი 5**

1. დაჯილდოებულ პირს უწყებრივი ჯილდო გადაეცემა პირადად ან საზეიმო ვითარებაში. ჯილდოს გადასცემს სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე.

2. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ჯილდო გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

3 სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულს, თუ არ ჰყავს მემკვიდრე, ჯილდო რჩება სამსახურს.

4. სამკერდე ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში დაუშვებელია მისი ასლის გაცემა.

5. დაჯილდოებული თანამშრომლის პირად საქმეში თავსდება დაჯილდოების შესახებ სამსახურის უფროსის ბრძანების ეგზემპლარი ან ამონაწერი, ხოლო პირადი საქმის ნამსახურობის ნუსხაში კეთდება სათანადო ჩანაწერი, ბრძანების ნომრის, გამოცემის თარიღისა და ჯილდოს სახეობის მითითებით.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*

**მუხლი 6**

1. დაჯილდოებულ თანამშრომლებს აქვთ ჯილდოების ან მათი აღმნიშვნელი ნიშნების ტარების უფლება. დაჯილდოებული თანამშრომელი სამკერდე ნიშანს ატარებს მკერდზე, მარცხენა მხარეს.

2. მედლის ტარების უფლება აქვს მხოლოდ ამ მედლით დაჯილდოებულ თანამშრომელს. დაუშვებელია ამ უფლების სხვა პირისთვის გადაცემა.

3. აკრძალულია ჯილდოდ გადაცემულ სიგელზე და მედალზე ნებისმიერი სახის ზემოქმედება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი ორიგინალური სახის (ვიზუალური და ხარისხობრივი) შეცვლა.

4. სიგელის ან/და მედლის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში დაჯილდოებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურის ხელმძღვანელობას. ასეთ დროს ხორციელდება მისი ჩამოწერა, რაც წარმოადგენს სარეგისტრაციო-სააღრიცხვო მონაცემებში შესაბამისი აღნიშვნების შეტანის საფუძველს.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*

**მუხლი 7**

სიგელების, მედლების, მათი შესანახი ყუთების და სამახსოვრო მედალთან ერთად გადასაცემი ბლოკნოტების დამზადების ორგანიზაციულ და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მოთხოვნისა და მონაცემების საფუძველზე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 16.05.2016წ. ბრძანება №16830 - ვებგვერდი, 17.05.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 22.08.2016წ. ბრძანება №31143 - ვებგვერდი, 23.08.2016წ.*
*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 25.06.2020წ. ბრძანება №15802- ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება
№ 01-212; 04/12/2020
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი – საგარეო საქმეთა სამინისტროს მედლით დაჯილდოების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ




*დანართი 3*

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი - სამინისტროს მედლით დაჯილდოების წესი და პირობები**

**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდო - სამინისტროს მედლით (შემდგომში - სამინისტროს მედალი) დაჯილდოების პროცედურებსა და პირობებს.

**მუხლი 2.**

სამინისტროს მედლით დაჯილდოების მიზანია თანამშრომელთა წახალისება, მათი მოტივაციის გაძლიერება, მიღწეული შედეგების აღიარება-დაფასება და შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.

**მუხლი 3.**

ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებული სამინისტროს მედლით ჯილდოვდებიან **სამინისტროს მოქმედი თანამშრომლები** ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობის შემთხვევაში:

ა) საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებისთვის.

ბ) სამსახურის განვითარებაში შეტანილი წვლილის/ღვაწლის ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

გ) ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

**მუხლი 4.**

1. გადაწყვეტილებას სამინისტროს მედლით პირის დაჯილდოების შესახებ იღებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სამინისტროს მედლით დაჯილდოების მიზნით მინისტრისათვის კანდიდატურების წარსადგენად იქმნება შესაბამისი კომისია მინისტრის პირველი

მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების შემადგენლობით.

3. დასაჯილდოებლად წარსადგენ პირთა კანდიდატურები კომისიას წარედგინება მისი წევრების - მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ, ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.

4. მინისტრი უფლებამოსილია პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს კომისიის წარდგინების გარეშე.

**მუხლი 5.**

კალენდარული წლის განმავლობაში დასაშვებია სამინისტროს მედლით არაუმეტეს 3 პირის დაჯილდოება.

**მუხლი 6.**

1. დაჯილდოებულ პირს სამინისტროს მედალი შესაძლებელია გადაეცეს საზეიმო ვითარებაში, მათ შორის, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ან სამინისტროს მიერ დაგეგმილი რაიმე ღონისძიების ფარგლებში.

2. სამინისტროს მედლით დაჯილდოებისას პირს გადაეცემა ფულადი ჯილდო 300 ლარის ოდენობით და შესაბამისი სერტიფიკატი.

3. დაჯილდოებული პირის არყოფნის შემთხვევაში, სამინისტროს მედალი გადაეცემა მის მიერ განსაზღვრულ პირს.

*დანართი 4*

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივ ჯილდოზე - სამინისტროს მედალზე წარდგენის ფორმა

| | |
|---|---|
| წარსადგენი მოხელის სახელი და გვარი | |
| სტრუქტურული ერთეული | |
| თანამდებობა | |
| წარმდგენის სახლი და გვარი | |
| თანამდებობა | |
| დამსახურება, რისთვისაც წარდგენილია უწყებრივ ჯილდოზე (მოკლე აღწერა) | |
| | |
| თარიღი | |
| ხელმოწერა | |

# ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები

(ცხრილები)

ესტონეთი

| თეთრი ვარსკვლავის ორდენი / Valgetähe teenetemärk | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიპი | ესტონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი მიძღვნილი სახელმწიფო ჯილდო. | | | | | |
| დაარსების თარიღი | 1936 წლის 7 ოქტომბერი. | | | | | |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა ესტონეთისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. | | | | | |
| ხარისხი | თეთრი ვარსკვლავის ორდენს აქვს უმაღლესი (ჯაჭვით), ხუთი ხარისხი და მედალი. | | | | | |
| უმაღლესი ხარისხი | I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი | V ხარისხი | მედალი |
|  |  |  |  |  |  |  |

| არწივის ჯვრის ორდენი / Kotkaristi teenetemärk | |
|---|---|
| ტიპი | შექმნილია ქვეყნის დამოუკიდებლობის 10 წლის აღსანიშნავად ესტონეთის თავდაცვის ლიგის მიერ. |
| დაარსების თარიღი | 1928 წლის 17 თებერვალი. სახელმწიფო ჯილდოდ მიიღეს 1936 წლის 13 სექტემბერს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემათ ესტონეთის მოქალაქეებს სამხედრო სამსახურისა და  ეროვნული თავდაცვის სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. არის მამაკაცებისათვის და ქალებისათვის. |
| დევიზი | PRO/PAT/RIA |
| ხარისხი | თეთრი  ვარსკვლავის ორდენს აქვს უმაღლესი (ჯაჭვით), ხუთი ხარისხი და მედალი.  ორდენი არსებობს ხმლებით და ხმლების გარეშე. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი | V ხარისხი | მედალი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

| ესტონეთის წითელი ჯვრის ორდენი / Eesti Punase Risti teenetemärk | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დააარსა ესტონეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ 1920 წელს. სახელმწიფო ჯილდოდ მიიღეს 1936 წლის 7 ოქტომბერს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემათ პირებს, ესტონელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გაწეული ჰუმანიტარული სამსახურისა და სიცოცხლის გადარჩენისათვის. |
| ხარისხი | ესტონეთის წითელი ჯვრის ორდენს აქვს ხუთი ხარისხი და მედალი. |
| დევიზი | Inter Arma Caritas |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი | V ხარისხი | მედალი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

| თავისუფლების ჯვარი / Vabadusrist | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1919 წლის 24 თებერვალს, იმ სამხედრო და სამოქალაქო პირთა პატივსაცემად, ვინც მსახურობდა ესტონეთის დამოუკიდებლობისათვის ომის პერიოდში. 2007 წლის 19 დეკემბრის კანონით, თავისუფლების ჯვარი ესტონეთის უმაღლეს სამხედრო ჯილდოს წარმოადგენს. |
| დიზაინი | დიზაინის ავტორია გამოჩენილი ესტონელი მხატვარი პიტ არენი. |
| ხარისხი | თავისუფლების ჯვარი არის სამი ხარისხის და თითოეულ ხარისხს აქვს სამი კატეგორია. I ხარისხით აჯილდოვებდნენ სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, მეორე – პიროვნული სიმამაცისთვის და მესამე – სამოქალაქო სამსახურისთვის. „თავისუფლების ჯვრის“ მიმღების სახელს თან ერთვის წოდება და ხარისხი პოსტ-ნომინალური ასოების სახით: VR I/1, VR I/2, VR I/3 – სამხედრო ხელმძღვანელობისთვის; VR II/1, VR II/2, VR II/3 – პიროვნული სიმამაცისთვის და VR III/1, VR III/2, VR III/3 – სამოქალაქო სამსახურისათვის. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

| სახელმწიფო გერბის ორდენი / Riigivapi teenetemärk | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დაარსების თარიღი | 1936 წლის 7 ოქტომბერი, ესტონეთის დამოუკიდებლობის დღის (1918 წლის 24 თებერვლის) აღსანიშნად. | | | | |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემათ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეებს, როგორც უმაღლესი ჯილდო სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურისათვის. | | | | |
| დიზაინი | დიზაინის ავტორია ესტონელი მხატვარი პაულ ლუჰტეინი. | | | | |
| ხარისხი | ესტონეთის „სახელმწიფო გერბის ორდენს“ აქვს უმაღლესი (ჯაჭვით) და ხუთი ხარისხი. | | | | |
| უმაღლესი ხარისხი | I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი | V ხარისხი |
|   |    |    |   |   |   |

| მარიამის მიწის ჯვრის ორდენი/Maarjamaa Risti teenetemärk | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1995 წლის 16 მაისს, ესტონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღსანიშნად. | | | | |
| სტატუტი | გადაეცემა ესტონეთის პრეზიდენტს და უცხოელებს, ესტონეთის სახელმწიფოში განსაკუთრებული მსახურებისათვის. | | | | |
| დევიზი | მარიამის მიწისთვის / Pro Terra Mariana | | | | |
| ხარისხი | მარიამის მიწის ჯვრის ორდენს აქვს ექვსი ხარისხი. | | | | |
| უმაღლესი ხარისხი ჯაჭვით | I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი | IV ხარისხი | V ხარისხი |
|  |  |  |  |  |  |

სამმაგი ორდენი / Banda das Três Ordens

აერთიანებს შუა საუკუნეებში შექმნილ „ქრისტეს“, „ავიშისა“ და „სანტიაგო და ესპადას“ ორდენებს. ამჟამად ის არის პორტუგალიის პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო ორდენების გროსმეისტერის, სამკერდე ნიშანი.



<table>
<tr><td colspan="6">კოშკისა და მახვილის სამხედრო ორდენი, ღირსების, ერთგულებისა და დამსახურებისთვის / Ordem Militar da Torre e Espada, do Valor, Lealdade e Mérito</td></tr>
<tr><td>დაარსების თარიღი</td><td colspan="5">1459 წელი. აღდგენილია ჯერ 1808 წელს, შემდეგ კიდევ ერთხელ განახლდა –1917–ში.</td></tr>
<tr><td>სტატუტი</td><td colspan="5">ორდენი გადაეცემა პორტუგალიელებს და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს სამოქალაქო ან სამხედრო სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; გამორჩეული დამსახურებისთვის: პარლამენტში, მთავრობაში, სასამართლო სისტემაში ან წარმატებული სამხედრო კამპანიებისას სარდლებს – გმირობისთვის.</td></tr>
<tr><td>ხარისხი</td><td colspan="5">„კოშკისა და მახვილის“ სამხედრო ორდენს აქვს ექვსი ხარისხი და სამხედრო და სამოქალაქო კატეგორია.</td></tr>
<tr><td>I ხარისხი: დიდი ყელსაბამი</td><td>II ხარისხი: დიდი ჯვარი</td><td>III ხარისხი: დიდი ოფიცერი</td><td>IV ხარისხი: კომანდორი</td><td>V ხარისხი: ოფიცერი</td><td>VI ხარისხი: რაინდი</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

| ქრისტეს ორდენი / Ordem de Nosso Senhor Jesus Cristo | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1319 წელს, ხოლო 1789 წელს მოხდა ორდენის სეკულარიზაცია. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო პირებს – საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისთვის. |
| ხარისხი | ქრისტეს ორდენს აქვს ხუთი ხარისხი. |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | V ხარისხი: რაინდი |
|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |

## ავიშის ორდენი / Ordem de São Bento de Avis

| | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1146 წელს, ხოლო 1789 წელს მოხდა ორდენის სეკულარიზაცია. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო კონტინგენტს – გამორჩეული სამხედრო დამსახურებებისთვის. |
| ხარისხი | „ავიშის ორდენს“ აქვს ხუთი ხარისხი. |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | V ხარისხი: რაინდი |
|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |

| წმ. ჯეიმსის / სანტიაგოს ხმლის ორდენი / Ordem Militar de Sant'Iago da Espada | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1172 წელს, ხოლო 1789 წელს მოხდა ორდენის სეკულარიზაცია. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო და საჯარო პირებს – განსაკუთრებული და გამორჩეული დამსახურებისთვის ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. |
| დევიზი | წმ. ჯეიმსის / სანტიაგოს ხმლის ორდენის დევიზია – CIENCIAS, LETRAS, E ARTES (მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება). |
| ხარისხი | წმ. ჯეიმსის / სანტიაგოს ხმლის ორდენს აქვს ექვსი ხარისხი. |

| I ხარისხი: დიდი ყელსაბამი | II ხარისხი: დიდი ჯვარი | III ხარისხი: დიდი ოფიცერი | IV ხარისხი: კომანდორი | V ხარისხი: ოფიცერი | VI ხარისხი: რაინდი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

## პრინც ენრიკეს ორდენი / Ordem do Infante D. Henrique

| | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1960 წელს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო და საჯარო პირებს – პორტუგალიისა და პორტუგალიური კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. |
| დევიზი | პრინც ენრიკეს ორდენის დევიზია – Talant de bien faire (ნიჭი წარმატების მისაღწევად). |
| ხარისხი | პრინც ენრიკეს ორდენს აქვს ექვსი ხარისხი. |

| I ხარისხი: დიდი ყელსაბამი | II ხარისხი: დიდი ჯვარი | III ხარისხი<br>დიდი ოფიცერი | IV ხარისხი: კომანდორი | V ხარისხი: ოფიცერი | VI ხარისხი: რაინდი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

## თავისუფლების ორდენი / Ordem da Liberdade

| | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1976 წელს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო და საჯარო პირებს – თავისუფლებისა და დემოკრატიის მშენებლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. |
| ხარისხი | თავისუფლების ორდენს აქვს ექვსი ხარისხი. |

| I ხარისხი: დიდი ყელსაბამი | II ხარისხი: დიდი ჯვარი | III ხარისხი: დიდი ოფიცერი | IV ხარისხი: კომანდორი | V ხარისხი: ოფიცერი | VI ხარისხი: რაინდი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

| ღირსების ორდენი / Ordem de São Bento de Avis | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1927 წელს, როგორც განათლებისა და ქველმოქმედების ორდენი. 1929 წელს კვალიფიკაცია შეეცვალა ქველმოქმედების ორდენად, ხოლო 1976 წელს კი მიიღო ღირსების ორდენის სტატუსი. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პორტუგალიისა და უცხო ქვეყნების სამხედრო და საჯარო პირებს, საზოგადოებისათვის სასარგებლო, ღირსეული მოქმედებისა და თავდადებისათვის საზოგადო ან კერძო სექტორში. |
| ხარისხი | ღირსების ორდენს აქვს ოთხი ხარისხი, მედალი და ჰყავს საპატიო წევრი. |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | მედალი |
|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |

| საზოგადოებრივი განათლების ორდენი / Ordem da Instrução Pública | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1927 წელს, როგორც განათლების და ქველმოქმედების ორდენი, ხოლო 1929 წელს მიიღო საზოგადოებრივი განათლების ორდენის სტატუსი. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა პედაგოგებს – განათლების და სწავლების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისთვის. |
| ხარისხი | „საზოგადოებრივი განათლების ორდენს“ აქვს ოთხი ხარისხი, მედალი და ჰყავს საპატიო წევრი. |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | მედალი |
|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |

<table>
<tr><td colspan="5">ორდენი სამეწარმეო საქმიანობაში დამსახურებისათვის / Ordem do Mérito Empresarial</td></tr>
<tr><td>დაარსების თარიღი</td><td colspan="4">დაარსდა 1893 წელს.</td></tr>
<tr><td>სტატუტი</td><td colspan="4">ორდენი გადაეცემა კომერციული, სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო მიღწევებისთვის.</td></tr>
<tr><td>ხარისხი</td><td colspan="4">სამეწარმეო საქმიანობისათვის ორდენს აქვს ოთხი ხარისხი, მედალი და ჰყავს საპატიო წევრი.<br>ლენტის ფერი იცვლება დარგების მიხედვით.</td></tr>
<tr><td colspan="5">კომერციული საქმიანობისათვის</td></tr>
<tr><td>I ხარისხი: დიდი ჯვარი</td><td>II ხარისხი: დიდი ოფიცერი</td><td>III ხარისხი: კომანდორი</td><td>IV ხარისხი: ოფიცერი</td><td>მედალი</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

## სასოფლო-სამეურნეო მიღწევებისთვის







## სამეწარმეო მიღწევებისთვის







# ლატვია

| სამი ვარსკვლავის ორდენი / Triju Zvaigžņu ordenis | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1994 წლის 24 მარტს ლატვიის დამოუკიდებელი  სახელმწიფოს შექმნის აღსანიშნად. აღადგინეს საბჭოთა კავშირის ოკუპაციის შემდეგ, 1994 წლის 25 ოქტომბერს. | | | | | |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა ლატვიისა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. | | | | | |
| დიზაინი | ორდენი შეიქმნა მოქანდაკე გუსტავ შილტერსის დიზაინით. | | | | | |
| დევიზი | „სამი ვარსკვლავის ორდენის“ დევიზია – Per aspera ad astra. | | | | | |
| ხარისხი | ორდენს აქვს უმაღლესი (ჯაჭვით), ხუთი ხარისხი და მედლის სამი კატეგორია. | | | | | |
| უმაღლესი ხარისხი | I ხარისხი: კომანდორის დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | V ხარისხი: რაინდი | მედალი |
|  |  |  |  |  |  |  |

## ვიესტურას ორდენი / Viestura ordenis

| | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსების თარიღი – 1938 წლის 11 აგვისტო; აღდგენილია 2004 წელს. |
| სტატუტი | ორდენი განკუთვნილია ლატვიისა და უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისადმი, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ქვეყნის საზღვრების დაცვის საქმეში დამსახურებისთვის.<br>ორდენი, რომელიც ლატვიის, კერძოდ, ისტორიული ზემგალიის, ძლევამოსილი მმართველის, ვიესტურას სახელს ატარებს, თავდაპირველად შექმნილია „ძველი, დამოუკიდებელი ლატვიის ძლიერების საპატივცემულოდ“ და გადაეცემოდა მხოლოდ სამხედრო პირებს. |
| ხარისხი | ვიესტურას ორდენს აქვს ხუთი ხარისხი და მედლის სამი კატეგორია.<br>თანამედროვე ლატვიაში ამ ჯილდოს ანიჭებენ როგორც სამხედრო (ხმლებით), ისე სამოქალაქო პირებს (ხმლების გარეშე). |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | V ხარისხი: რაინდი | მედალი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

## აღიარების ორდენი / Atzinības krusts

| | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსებულია 1710 წელს კურლენდისა და ზემგალიის ჰერცოგის, ფრიდრიხ ვილჰელმის მიერ. მისი გარდაცვალების შემდეგ ორდენი აღარ დამზადებულა. *„აღიარების ორდენი“* ხელახლა დაარსდა ლატვიის რესპუბლიკაში 1938 წელს. აღადგინეს 2004 წელს. |
| სტატუტი | სახელმწიფო ორდენი გადაეცემა ლატვიის მოქალაქეებს, სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის – საკონსტიტუციო და საზოგადოებრივ (კულტურა, მეცნიერება, განათლება, სპორტი) საქმიანობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის. შეიძლება, მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებსაც. |
| დევიზი | „აღიარების ორდენის“ დევიზია – Pour les bonnêtes gens. |
| ხარისხი | „აღიარების ორდენს“ აქვს ხუთი ხარისხი და მედლის სამი კატეგორია. |

| I ხარისხი: დიდი ჯვარი | II ხარისხი: დიდი ოფიცერი | III ხარისხი: კომანდორი | IV ხარისხი: ოფიცერი | V ხარისხი: რაინდი | მედალი |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

| ლანჩპლესისის სამხედრო ორდენი / Lāčplēša Kara ordenis | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | ლატვიის პირველი უმაღლესი ჯილდო.<br>დაარსდა 1919 წლის 11 ნოემბერს, ლატვიის დამოუკიდებლობის ომის დროს, ქვეყნის არმიის მთავარსარდლის, იანის ბალოდისის ინიციატივით. ატარებს ლატვიის ეპოსის გმირის, ლანპჩლესისის სახელს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემოდათ ლატვიის, ასევე უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და სამხედრო პირებს. დაჯილდოვება ამჟამად შეჩერებულია. |
| ხარისხი | ლანჩპლესისის სამხედრო ორდენს აქვს სამი ხარისხი. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

# სლოვაკეთი

| ორმაგი თეთრი  ჯვრის ორდენი / Rad Bieleho dvojkríža | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | 1994 წლის 2 თებერვალი. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სლოვაკეთის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარებისთვის. |
| ხარისხი | ორმაგი თეთრი  ჯვრის ორდენს აქვს სამი ხარისხი და როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო კატეგორია. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

| ანდრეი ჰლინკას ორდენი / Rad Andreja Hlinku | |
|---|---|
| მიმნიჭებელი | პრეზიდენტი – მთავრობის წარდგინებით, რესპუბლიკის საიუბილეო წლებში. |
| დაარსების თარიღი | 1994 წლის 2 თებერვალი, აღდგენილია 2008 წლის 6 ნოემბერს. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა სლოვაკეთის მოქალაქეებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. |
| ხარისხი | ანდრეი ჰლინკას ორდენს აქვს სამი ხარისხი. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

| ლუდოვიკ შტურის ორდენი / Rad Ľudovíta Štúra | |
|---|---|
| **მიმნიჭებელი** | პრეზიდენტი, მთავრობის წარდგინებით, რესპუბლიკის საიუბილეო წლებში (*სლოვაკეთის ყოველი პრეზიდენტი „ლუდოვიკ შტურის ორდენის" კავალერია). |
| დაარსების თარიღი | 1994 წლის 2 თებერვალი. |
| სტატუტი | ორდენი გადაეცემა სლოვაკეთის მოქალაქეებს – დემოკრატიის, ადამიანის უფლებების განვითარებისათვის, ქვეყნის უსაფრთხოების ან ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, სპორტის და ა.შ. სფეროებში შეტანილი წვლილისა და განსაკუთრებული მიღწევებისთვის. |
| ხარისხი | ლუდოვიკ შტურის ორდენს აქვს სამი ხარისხი და სამოქალაქო და სამხედრო კატეგორია. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

| „პრიბინას ჯვრის“ ორდენი / Rad Pribinov kríž | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაარსდა 1994 წლის 2 თებერვალს. ატარებს სლოვაკეთის მიწების პირველი ცნობილი მთავრის, პრიბინას (IX ს.) სახელს. |
| სტატუტი | გადაეცემათ სლოვაკეთის მოქალაქეებს – რესპუბლიკის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის. |
| ხარისხი | „პრიბინას ჯვრის“ ორდენს აქვს სამი ხარისხი. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|   |   |   |

| „მილან რასტისლავ შტეფანიკის“ ორდენი / Řád Milana Rastislava Štefánika | |
|---|---|
| დაარსების თარიღი | დაწესებული იყო ვაცლავ ჰაველის მიერ და გაიცემოდა 1990–92 წლებში, სლოვაკიის რესპუბლიკის ჩეხეთიდან გამოყოფამდე. |
| სტატუტი | განკუთვნილია სლოვაკეთის მოქალაქეებისთვის – საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ქვეყნის დაცვის, სხვისი სიცოცხლისა  და მატარიალური ფასეულობების გადარჩენისათვის. |
| ხარისხი | „მილან რასტისლავ შტეფანიკის“ ორდენს აქვს სამი ხარისხი, რომელიც განსხვავდებოდა თამასების მიხედვით. |

| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|---|---|---|
|  |  |  |

| სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მედალი – *Medaila prezidenta Slovenskej republiky* | |
|---|---|
| სტატუტი | გაიცემა სლოვაკეთის მოქალაქეებზე ქვეყნის მართვაში მნიშვნელოვანი დამსახურების, სლოვაკეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკის, ადგილობრივი ხელისუფლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების, განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის და სოციალური საკითხების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. |



| მედალი „მამაცობისათვის“ – *Medaila Za hrdinstvo* | | |
|---|---|---|
| დაარსების თარიღი | 1939 წლის 8 მაისი. | |
| სტატუტი | გადაეცემა სლოვაკეთის სამხედროებს გამბედაობისა და მამაცობისთვის. **მიმნიჭებელი** – პრეზიდენტი. | |
| ხარისხი | მედალს აქვს სამი ხარისხი. თითოეულ ხარისხს შეესაბამება მასალა (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) და ლენტის სხვადასხვა ფერი.<br><br>**I ხარისხი. ოქროს მედალი.**<br>**ლენტი** – წითელ–თეთრი, შუაში გამყოფი წვრილი მწვანე ზოლით<br>**II ხარისხი. ვერცხლის მედალი.**<br>**ლენტი** – ლურჯ–თეთრი, შუაში გამყოფი წვრილი მწვანე ზოლით<br>**III ხარისხი. ბრინჯაოს მედალი.**<br>**ლენტი** – ყვითელ–თეთრი, შუაში გამყოფი წვრილი მწვანე ზოლით | |
| I ხარისხი | II ხარისხი | III ხარისხი |
|  |  |  |

MAMUKA GONGADZE

The State award system is a primary way to encourage citizens and express a gratitude for their merit. Citizens' effort to contribute in society and state development is mainly measured in dignity, which, in its turn, can only be evaluated symbolically.

Appreciation and respect of the State towards its citizens' merit can only be increased in symbolic quality and therefore a unified mechanism of state and structural reward regulations, strict determination of the purpose and number of issued rewards is essential for the strengthening of statehood.

Despite the fact, that a long break from traditions knocked the ground of the State award mechanism, the current State legislation and accumulated knowledge already allows us to improve the reward system and successfully implement it in the State politics.

This issue of „Herold" is a step in this direction, which aims to explain readers the current situation in comparison to the western practice and on the other hand, - show a better scope of action to decision makers.

## GEORGIAN AWARDS

MAMUKA TSURTSUMIA, MAMUKA GONGADZE

The article is the section from the book "Georgian awards" published in 2000. The authors present historical overview of Georgian and European award traditions and ample information about the contemporary awarding systems, mainly of European countries. Article describes the acting awards in Georgia and underlines the shortcomings which are to be addressed.

## GEORGIAN STATE AND INSTITUTIONAL AWARDS

STATE AWARDS: 1. Order of the National Hero of Georgia; 2. St. George's Victory Order; 3. Order of David IV The Builder; 4. Order of Queen Tamara; 4. Presidential Order of Excellence; 5. Order of St. Nicholas; 6.Order of the Golden Fleece; 7. Vakhtang Gorgasali Order (I, II, III), 10. Order of Honor; 11. Military Courage Medal; 12. Military Honor Medal; 13. Honor Medal; 13.Devotion to the Motherland Medal;

INSTITUTIONAL AWARDS: Ministry of Defense; Ministry of Internal Affairs of Georgia (Ministry, Border Guard, State Security Service of Georgia, Special State Protection Service of Georgia); Ministry of Foreign Affairs (On 4th December 2020 the Minister of Foreign affairs of Georgia approved the institutional medal of the Ministry of Foreign Affairs of Georgia – "Sulkhan-Saba Orbeliani" (prominent Georgian diplomat, writer and statesman)).

## AWARDS OF EUROPEAN STATES

LITHUANIA: The Order of Vytautas the Great; the Order of the Cross of Vytis; the Order of the Lithuanian Grand Duke Gediminas; the Order for Merits to Lithuania. FRANCE: The Legion of Honour, The Order of Liberation; National Order of Merit; Order of Academic Palms; Order of Arts and Letters; The Order of Agricultural Merit; Order of Maritime Merit. CZECH REPUBLIC: Order of the White Lion; Order of Tomáš Garrigue Masaryk; Medal of Heroism; Medal of Merit.

## THE FIRST PROJECTS OF GEORGIAN STATE AWARDS (XVIII-XIX CC)

NIKO JAVAKHISHVILI

This article presents two essays from the one of the fields of historical sciences - Georgian phaleristics. Phaleristics is one of the auxiliary branches of history, which studies the awards, in particular- orders and medals, as well as the honorary weapon awarded with accompanying documents. We have discussed the issues of national award system in the monograph „Georgian Phaleristics" (Tbilisi, 1995). This study is divided in two parts. Its chronological framework starts at the end of the XVIII century and lasts until early 30s of the XIX century.

The first essay is dedicated to the first draft of the Georgian State Awards, which was presented to King George XII of Kartli-Kakheti on May 10, 1799 (1746-1800) by his son, Prince Ioane Bagrationi (1768-1830). He was a prominent state and military figure, an artillery commander (Feltschmeister), and an artist, lawyer, writer, encyclopedist and lexicographer at the same time.

Prince Ioane deemed it necessary to introduce the following state awards:

1) Order of St. Nino of Cappadocia (I and II degree);
2) Order of St.David the Builder (I, II and III degrees);
3) Order of St. Queen Ketevan (I and II degrees).
4) Medal of St. kings Archil and Luarsab
5) St. George Medal
6) Honorary sword.

The second essay describes the second project of the Georgian state awards, developed at the end of 1832 by one of the leaders of the anti-imperial conspiracy revealed in Tbilisi, Alexander Orbeliani. He considered it necessary to introduce orders of St. Nino of Cappadocia and St. David the Builder.

This was the second project of Georgian state awards - orders and medals, which was separated from the first project by 1/3 of century. Thus, at the end of the XVIII century and in early 30s of the XIX century, two Georgian state award projects were developed Tbilisi, which, (although both remained projects) is a very remarkable fact for the history of national phaleristics.

## THE ORDER OF THE GOLDEN FLEECE

ZACHARY KIKNADZE

This article tells the story of one of the most distinguished dynastic chivalric orders in the world. The author covers the historic developments of the order over centuries, from the establishment of the order by the Capetian duke Philipp the Good of Burgundy in 1430 to the present. Mr. Kiknadze explains why membership of the order was highly prestigious in all of Europe, and how it later became associated with Habsburg emperors of the Holly Roman Empire, and Habsburg and later Capetian Bourbon kings of Spain. The article explains why the story of Golden Fleece was chosen to represent the virtues of medieval chivalry, as well as the insignia and robes worn by the knights. Readers can also see lists of the most distinguished knights of the modern period, of both the Spanish and Austrian branches of the order.

## ORDERS DEPICTED ON THE COATS OF ARMS

TORNIKE ASATIANI

The aim of the article is to investigate a place and a role of the various kinds of orders and honorable decorations in heraldry generally and in Georgian heraldry particularly. The subject in very poorly researched in the academic circles, but it has not only theoretical but also a practical meaning for Georgian heraldry, as a discussion about use of decorations in the official Georgian heraldic practice is pretty widely discussed by Georgian heraldry practitioners and theorists.

The article, based on the typical examples, discusses a history of use of the orders and honorable decorations in several European countries, Russia and Georgia as well. The research shows, that use of the orders is usual in all of these countries and is commonly met in all types of coat of arms – state (mainly royal), civic, corporative (mostly in military) or family ones. At the same, attempts are made to draw parallels of the roles of the orders in these significantly different heraldic practices. These parallels reveal that there are number of similarities in the ways of use of the orders in heraldries of the countries mentioned above. For instance: in the city arms use of the orders is widespread in the countries and areas with a rich military and combat history; the ways how the orders are used in the family arms is very similar in most of the research countries – some of the Western European states, Russia and Georgia.

The summary suggests that use of the orders and honorable decorations was significantly popular in Georgian heraldry and it is desirable to incorporate this kind of decorations in contemporary Georgian heraldic practice more widely.

## ONCE MORE ABOUT THE STANDARD OF UNIFIED GEORGIA

MAMUKA TSURTSUMIA

The present study critically examines the notion that crosses were not depicted on the standard of the unified Georgian kingdom. It introduces new evidence based on the information provided by a certain Alexander, ambassador of Simon I of Kartli, confirming that four crosses were placed in each quarter of the Georgian standard.

## THE ORDERS OF SHAMIL

HADJI MURAD DONOGO

Shamil was the political, military and religious leader of Caucasian Muslims. The Dagestani and Chechen peoples called him Imam, as spiritual leader. He formed a regular infantry, started to create his own artillery and reorganized the army. The beginning of this process was the assignment of official ranks of command and the introduction of award system. These awards were first described by the historian Haji-Murad Donogo, who also translated Arabic inscriptions on the orders. We present a brief overview of Donogo's book, The Orders of Shamil.

## THE FLAG OF THE PRESIDENT OF GEORGIA

On the 30th of July 2020 the President of Georgia by the decree #191 adopted the Flag of the President of Georgia. The description and the design of the flag considering the statehood traditions is based on the Standard of the Government of the Democratic republic of Georgia (1918-1921) and created by The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia.

On the 3rd of August the president of Georgia by the Ordinance #03/08/01 approved the Protocol of Usage of the Flag of the President of Georgia. The project was elaborated by The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia.

## THE SYMBOLS OF TELAVI MUNICIPALITY

On 24th of March 2020 the Municipal Council of Telavi adopted the Municipal Symbols – The coat of arms and the flag – of Telavi Municipality.

## LEGAL ACTS

LEGAL DOCUMENTATION, LAWS, DECREES:

1. Law on the Establishment of State Awards of Georgia,
2. Presidential Decree on the Georgian State awarding regulations, January 17, 2019;
3. Presidential Decree # 810, on Calling on the Georgian State Presidential Commission to review Honorary Citizenship, State Awards, Bonuses, Honorary Titles and Arms Award issues, Dec.14, 1996;
4. Order of the Minister of Defense of Georgia on the Approval of the Institutional Sample Medals and Badges, June 29, 2019;
5. Amendments to Order# 60 of the Minister of Defense of Georgia on approval of the institutional sample medals and badges and the awarding regulations by the Minister of Defense of Georgia, June 29, 2018;
6. Amendments to Order #60 of the Minister of Defense of Georgia on approval of the institutional sample medals and badges and the awarding regulations by the Minister of Defense of Georgia, August 19, 2020;
7. Order #1000 of the Minister of Internal Affairs of Georgia on approving of the institutional badge, medallion and medal samples and the following awarding regulations, December 31, 2013;
8. Order of the Head of the State Security Service of Georgia №10 on approval of the institutional Badge, Medallion and Medal and the following awarding regulations, February 8, 2017;
9. Order of the Head of the Special State Protection Service of Georgia № 17575 on the Approval of the General provision for establishing of the institutional awards and the following awarding regulations, Jul. 28, 2014;
10. Order of the Minister of Foreign Affairs of Georgia № 01-212on the awarding regulations of institutional Sulkhan-Saba Orbeliani Medal , Dec. 4, 2020.